ადამ მიცკევიჩი

# პან თადეუში

ვარშავის უნივერსიტეტი
ოსოლინსკების სახელობის ეროვნული ინსტიტუტი

Adam Mickiewicz

# PAN TADEUSZ

czyli
Ostatni zajazd na Litwie

Historia szlachecka z r. 1811 i 1812
we dwunastu księgach wierszem

Z języka polskiego przełożył
Witalis Ugrechelidze

Tekst polski wraz z przekładem gruzińskim porównał,
opatrzył posłowiem i przygotował do druku Dawid Kolbaia

2015
Studium Europy Wschodniej Uniwersytetu Warszawskiego
Zakład Narodowy im. Ossolińskich

ადამ მიცკევიჩი

# პან თადეოში

ანუ
უკანასკნელი თავდასხმა ლიტვაში

აზნაურთა ამბავი 1811–1812 წლებში
თორმეტ წიგნად და ლექსად თქმული

პოლონურიდან თარგმნა
ვიტალი უგრეხელიძემ

ტექსტი დედანთან შეადარა, ბოლოთქმა დაურთო
და გამოსაცემად მოამზადა დავით ყოლბაიამ

2015
ვარშავის უნივერსიტეტი
ოსოლინსკების სახელობის ეროვნული ინსტიტუტი

Książka dofinansowana przez Ambasadę Rzeczypospolitej Polskiej w Tbilisi
Ministerstwo Kultury i Ochrony Zabytków Gruzji

Embassy
of the Republic of Poland
in Tbilisi

MINISTRY OF CULTURE
AND MONUMENT PROTECTION
OF GEORGIA

© by Biblioteka Polska – POSK w Londynie

Redakcja i korekta
Sofio Jvania, Dawid Kolbaia

Portret Adama Mickiewicza. Pastel na papierze 26x36 cm
Dawid Pataraia

Studium Europy Wschodniej
Wydział Orientalistyczny Uniwersytetu Warszawskiego
Pałac Potockich, Krakowskie Przedmieście 26/28
00-927 Warszawa
tel:. 22 55 22 555, fax 22 55 22 222
e-mail: studium@uw.edu.pl

Wydanie drugie poprawione

Druk: DUO STUDIO, Warszawa

ISBN 978-83-61325-40-6



ადამ მიცკევიჩი

# წიგნი პირველი

## მამული

### შინაარსი

ყმაწვილის დაბრუნება
პირეელი შეხვედრა ოთახში, მეორე სუფრაზე
მსაჯულის სიტყვა აღზრდილობაზე
პოდკომოყის შენიშვნები პოლიტიკაზე და მოდებზე
დავა ორი მწევრის შესახებ კუდა და მიმინოზე
ვოისკის შეწუხება
ტრიბუნალის უკანასკნელი შიკრიკი
ლიტეისა და ევროპის პოლიტიკური მიმოხილვა

ლიტვა! სამშობლო! შენა ხარ ჩემი სულის ჩამდგმელი;
ვინ დაგაფასებს შენ სათანადოდ თუ ვინმე შენი არ დამკარგველი,
დღეს თვალწინ მიდგას შენი წალკოტი, მშვენება ველის ტყისა და ტბისა,
ბოლმა და სევდა შენდამი მხუთავს და მინდა შენი შესხმა ხოტბისა.

დედავ ღვთისაო! შენ ხარ მფარველი ჩენსტოხოვისა წმინდა კედლების,
ოსტრობრამაში ანათებ ნაზად და ქომაგი ხარ ციხე-კოშკების
ნოეოგროდისა და მისი მრევლის, აღმსრულებელის შენისა ნების.
ბავშვობას, ოდეს მომაკვდავ ვიყავ, ეღირსე ნახვას შენის მშვენების,
(თვალი ვარიდე დედისა ცრემლებს და მოგაცქერდი შემოწირული,
მე განვიკურნე სასწაულითა, ძალზედ მოვიდა ჩემი სხეული,
შენი წყალობა, შენი კურთხევა, ჩემზედა იყო არაჩვეული.
ფეხით შემეძლო საყდარში წასვლა, ღვთისადმი მეთქვა ლოცვა ეული),
და ასეთივე სასწაულითა კვლავ აყვავდება ჩემი მამული,
და ჩემი ერი მტირალ-ტანჯული შინ დაბრუნდება მუდმივ რბეული.
ჯერ კი შენა გთხოვ, გადამიხიზნო ტანჯული სული,
სად ბორცვებია და წალკოტი სამოთხეული,
ფირუზ ნემანის ნაპირებზე აყვავებული,
ჯეჯილთ ფერები თვალს რომ ატკბობს ამწვანებული
და პურთა ღელვა ოქროდ ველებს გადაფარია,
მათ გვერდით მისდევს ვით ვარაყი ვერცხლის ღვარია
და ველთა შორის სწორი ხაზით გადის ზღვარია,
ზღვარზე აქა-იქ მსხლის ნამყენებს განუხარია

მრავალ წლის წინათ, ასეთ ველზე, ღელის ნაპირზე,
მცირე გორაკზე, ცაცხვთა შორის ბორცვებით გვერდზე,
მამული იყო აზნაურის, თუმც სახლი ხისა,

დორე – კოჭები მაგრად იდგნენ საფუძველს ქვისა,
მწვანე ცაცხვებში თეთრი ოდა შორით მოჩანდა,
ტოტების ფარი ცივ სუსხისგან ოდას იცავდა.
ოდა პატარა, კოპწია და ტურფა სანახად,
იქვე საბძელი გავსებული ზამთრის მარაგად.
საბძელის გვერდზე სამი ზვინი გამწკრიეებული,
რადგან საბძელში არ ეტია, არს აღვსებული.
ჩანს რომ მიდამო მდიდარია ჭირნახულითა,
ფართე სვრელები ფენილია მსხვილ კონებითა.
აქ ბრჭყვიალებენ მზის სხივებზე კავ-სახნისები,
ბევრი იხვნება ყოველ წლობით ულევაწ მიწები
და შავი მიწა დახნულია ვით ბოსტნის კვალი,
ბარაქს, სინოყეს ირგვლივ ხედავს კაცისა თვალი.
ალაყაფისა კარი მუდამ ღია დაგხვდებათ,
გამვლელისათვის დღე თუ ღამე მისაწვეველად
და მასპინძელი ხელგაშლილი შემოგეყრებათ.

ოდას მოადგა ეტლი, ჩორთით ორცხენიანი
ვაჟი გადმოხტა, ვერვინ ნახა ადამიანი,
ცხენები იქვე მიატოვა აღვირიანი,
ცხენთ ჭამა იწყეს, ველი იყო კოინდრიანი.
არვის ეძებდა რომ ეკითხა თუ შინ ვინ არი,
ოდას ავიდა, დაინახა დახშული კარი.
ქალაქში იყო დიდი ხანი და იქ სწავლობდა,
რომ დაემთავრა მალე სკოლა, ის ოცნებობდა.
ვაჟმა გააღო ყოველ კართა რაზა ურდული
და სიხარულით ფარფაშებდა, უძგერდა გული
შინ შეირბინა. ცნობიერად ახედა კედლებს.
და გრძნობის თვალით შეაცქერდა ჭერს და კოზმიდებს
არტახებიდან ჰქონდა მუდმივ მათი ჩვენება
და მოაგონდა გადასული მათი მშვენება,
მაგრამ ეხლა კი მას სიდიდე გადაკარგვია,
წარმოდგენითი მშვენება კი, გულს დანერგვია.
ძველ ჩარჩოებში სურათები უცვლელ არიან,
მათში კოსტიუშკო, როგორც მუდმივ, ხმალ – ჩამარიან,
თვალნი ალაპყრო ზეცით, ფიცავს რომ ამ მახვილით,
სამივე მეფეს პოლონეთიდან გარეკავს რისხვით
და ან თვის ხმალსა თან დააკვდება. შემდეგ ჩარჩოში,
რეიტანია დაღვრემილი ძველურ სამოსში
და იმას დარდობს, რომ მტერია მის სამშობლოში.
თვისვე გულმკერდზე მიბჯენილი უჭირავს დანა,
და მას წინ ულევს „ფედონი" და „კატონის ხანა"

შემდეგ ჯეელი იასინსკი მრისხანე სახით,
შემდეგ კორსაკი შეფიცული, ხელს იარაღით.
პრაგის სანგრებზე ერთად დგანან მოსკალთ გვამებზე;
ირგვლივ ცქერიან, ალი ასდის პრაგას საზღვრებზე.
მათ დააცქერდა, გული უცემს, ზიზღი აქვს მტერის,
ამ დროს საათი იცნო ხისა, რომელიც მღერის

ვით ცია ბალღმა ჩამოსწია საათს ზონარი,
სურს მოისმინოს მაზურკის ხმა მაჟრჟოლი არი.
ერთ ოთახიდან მეორეში გარბი-გამორბის,
უნდა რომ ნახოს მან ოთახი თავის ბავშვობის.
შევარდა, ნახა და დარცხვენით დახუჭა თვალი,
რადგან ოთახში თურმე ცხოვრობს ვიღაცა ქალი.
ვინ უნდა იყოს? ბიძამისი არის უცოლო,
დეიდამისი პეტერბურგში დასახლდა, ხოლო,
აქ მსახურისა ქალის არ არს საცხოვრებელი,
ფორტეპიანზე ნოტებია ულაგებელი
აყრილ-დაყრილი ყველაფერი, მაგრამ ლამაზად;
მოხუცის ხელი მასში არ ჩანს, არამედ ნაზად,
არეულია ყოველივე. აქ თეთრი კაბა,
სკამზე არის დაკიდებული. ფანჯრის დარაბა
გაღებული. ფანჯარაზე ყვავილები დალაგებული.
იასამანი და ზამბახი აყვავებული.
ღია ფანჯარას მიირბინა, დატოვა კარი,
ეზოს გახედა, დაინახა, იქ სად ჯინჭარი.
მუდმივად იყო ჩოთირად და ბუჩქებად ზრდილი,
ეხლა ბაღია ვით თივთიკის ქარგი მანდილი,
მწვანე მინდორი სუნნელ პიტნით და ყვავილები,
ბაღსა ამკობენ როგორც მარჯანის კაკილები.
თეთრი ტკეჩისა ღობით იყო შემორაგული,
და მას ირაგის ამშვენებდა გვირგვინი რგული.
ეხლად მორწყული მცენარისა არის სილაღე,
სად დაიმალა საიდუმლო ქალი მებაღე?
აქვე ჭურჭელი წყლით აღვსილი დაფანტულია,
კარიც ქიანებს, ეხლა ვიღაცა გასულია,
და სველ სილაზე ვითომც კვალი მოჩანს ცინცხალი
ფეხიც შიშველა, ნუთუ ყმაწვილს ატყუებს თვალი?
კვალი სუმბუქი, ჩანს რომ ვიღაც აქეთ გარბოდა
და ნორჩი ფეხი თითქოს მიწას არც კარებოდა.

მგზავრს განუწყვეტლივ ბაღისაკენ უჭირავს თვალი.
და გამოიცნოს ვისი არის ეს კვალი.

ის დიდხანს იდგა და ბაღისკენ იცქირებოდა,
ზამბახის სუნით–საამურით იგი ტკბებოდა.
თუმც პირი მისი დაიხარა ყვაეილს დაედო.
ხოლო მას ცქერა ბაღისაკენ ვერა დაეგდო
იმისი თვალი ფეხთა კვალებს აჩერდებოდა,
ხოლო არსების გამოცნობა ვერ შესძლებოდა.
პირი აღმართა, ერთხელ კიდევ ბაღს მიმოხედა,
და დაინახა, რომ გოგონა დგას ღობეზედა.
ტანის სიმშვენეს თეთრი კაბა მკერდამდე ფარავს,
მკლავნი შიშველნი. კისერს თითქოს გედის ფრთა ნამავს.
ასეთ სამოსში დილით დადის ლიტეელი ქალი,
მაგრამ ვაჟისა მას ვერ ნახავს ვეროდეს თვალი.
ქალი ფიქრობდა, რომ მცქერალი არავინ არი;
მკლავი დაიჭდო, დაიფარა მკერდი ნარნარი.
თმა ნაწნაეებად დავარცხნილი ქალს ამშვენებდა
და მზის სხივებზე კრიალებდა და მღელვარებდა.
ნაწნავი ჰქონდა შემოკრული მას საფეთქლებზე.
შარავანდედად გამოჩანდა ვითა ხატებზე
პირი არ ჩანდა, მიქცეული ჰქონდა მინდორზე.
თითქოს ვიღაცას მოელის და არ მოდის დროზე.
უცებ შენიშნა. გაიცინა და დაჰკრა ტაში,
როგორც ფრინველი გადაფრინდა ღობიდან ბარში.
მერცხალის ფრენით გადაევლო ბუჩქს და ყვავილებს,
პირდაპირ მიჰქრის დაბრკოლებას თავს არ არიდებს.
ქალი შემოხტა ფანჯარაში არ ცქერდა არეს,
ისე მსუბუქად ანათებდა — წაჰგავდა მთვარეს.
აიღო კაბა სიმღერით და სარკეს მივარდა.
ვაჟს თვალი მოჰკრა, კაბა კრთომით მას დაუვარდა.
ვაჟმა სირცხვილით თავი ხარა, პირი უწითლდა,
ვითა ღრუბელი მზის სხივებით აღმომაველითა.
და დარცხვენილმა თვალი დახშო, პირი იფარა,
ბოდიშის მოხდა მოინდომა და მოიხარა,
მაგრამ ქალწულმა დაიკივლა აღელვებულმა,
ისე, ვით ბალღმა ძილში ხოლმე შეშინებულმა.
ყმაწვილიც შეკრთა. დასამშვიდად სიტყვის თქმა სურდა.

თვალი ახილა, ვერვინ ნახა, გეგმა უცრუვდა,
და არ იცოდა, ეს შეხვედრა არს სასაცილო,
გასაკვირვალი, სანუგეშო თუ სამარცხვინო?
მსახურთ მიმართეს, დაინახეს ღია ბჭეკარი.
იქ ცხენებია და მოსულა ვიღაც სტუმარი.
ცხენები თავლას შეიყვანეს და საპირეში,

ალერდი მისცეს, ცხენთ უვლიდა თავლის ფარეში.
აქაურ პატრონს როდი ჰქონდა ჩვეულებაში,
სტუმართ ცხენები გაეგზავნა ქირით თავლაში.
თუმც არ შემოხვდა სტუმარს მსახურ და პირფარეში,
მაგრამ არ ნიშნავს რომ მსახურნი ამა მხარეში
უზრდელნი იყვნენ. აქ ვოისკის ელოდებიან.
მსაჯულის სახლში ყველას ზრდილობით ეპყრობიან.
მოურავს ყველა ელოდება ოდეს ჩაცმული
დარბაზს გამოვა. მას აბარის მთელი მამული.
ბატონი თუმცა თვის მამულში ხშირად არ არი,
მოურაეისგან პატივშია ყველა სტუმარი.

(ნათესავია ის ბატონის და კიდეც მოყვრობს).
მას გაუგია სტუმრის მოსვლა, შინისკენ ჩქარობს.
მუშათ და ყანებს დასცქეროდა და შინ დაბრუნდა,
არ წინა კარით შინ შევიდა, გადაცმა სურდა.
მისი სამოსი მარაგად არს მუდმივ ოთახში,
სტუმართ მიიღებს დღეს სავახშმოდ იგი დარბაზში.
ვოისკმა მგზავრი წამში იცნო, ხელებგაშლილი
მას მიეგება, ჩაიკონა ვით ლვიძლი შვილი.
ბაასი წამოიწყეს იმათ შეკითხვებითა,
მაგრამ დიდი ხნის ამბავს ვინ იტყვის სიტყვებით
დასაწყისს რომ არიან არეულად თქმული.
ოდეს გინდა გამოთქვა მთელი გულისწყლული.
როდესაც დაშოშმინდნენ პირველ მისალმებითა,
ვოისკმა წამოიწყო ჯერ ყმაწვილის ქებითა.

„კარგი, ჩემო, თადეოზ! (ვაჟსა ეგრე ერქვა
ეს სახელი უწოდეს ოდეს ინათლებოდა.

კოსტიუშკოს სამახსოვროდ. ამ დროს იგი ომობდა).
ეხლა რომ ჩამოდიო და ვოისკი ხარობდა.
ზუსტად, მაშინ ოდესაც ბლომად გვყავს გოგონები,
ბიძას სურს დაგაქორწინოს, მუდამ შენ აგონდები.
იოლია საცოლის პოვნა ჩვენსა თემშია,
საზღვრებზე მორიგება სურთ მათ ერთმანეთშია.
დაამთავრონ ეს დავა გრაფთან, ვიცი სურთ მათა,
ყველას სურს მორიგება, აბა იბრძოლონ რათა?
პოდკომოჟიც აქ არის მეუღლით, ასულებით,
მათ ყმაწვილები გაჰყვნენ ტყეში კაჩხა თოფებით,
მოხუცი მანდილოსნები ჭირნახულს უცქერიან,
და ტყის პირას ყმაწვილებს ალბათ ელოდებიან;

თუ გსურს, ჩვენც იქ წავიდეთ ვნახავთ ყველა ნაცნობებს,
პოდკომოჟსა, ბიძას და ჩვენსა მანდილოსნებს".

ვოისკი და თადეოზი ტყის ნაპირით მიდიან,
და ღიურსა დუხჭირზე ერთმანეთს შესჩივიან.
მზემ გადიხარა სრულად, დასავლეთს ჩაეწურა
ხოლო მისი სხივები ტყესა საბნად ეხურა.
მზის წითელფერა სხივებს ღრუბლისფერიც ერთოდა
და ბუნება – გარემო, ხარობდა, მზეს შეტრფოდა.
ძილისთვის ემზადება ცისა წრე სხივიანი,
შავ ნაბადში ეხვევა ტყე და ღრე ნისლიანი;
ხეთ კენწერო, ტოტები, შუქით აღმოვსებული,
შორიდან ისე მოჩანს, როგორც შედუღებული
ტყე ცურაობს ნისლიან შემოხვეულ თალხებში,
როგორც დიდი შენობა, ცეცხლის ალის ტალღებში.
„მზე ცის ხაზს ჩაეფარა, სხივები კი ტოტებში,
ისე იჭერიტებიან, ვით ფანჯრის დარაბებში.
მზე ჩაქრა; ამავე დროს ფორჩხები და ნამგლები,
ზე აღმართეს მუშებმა, კრბებიან მაშერალები".

მუშაობა დამთავრდა, ყველას შინ ეშურება,
მზე ჩადის – შრომა წყდება – არს ბატონის ბრძანება.
შრომის დრო დაადგინა მსოფლიოსა ბატონმა,
მისი მუშა – მზე ჩადის, – თავდება კაცის შრომა;
მზის ჩასვლისას მუშების შრომისა დამთავრება,
ბრძანებაა მსაჯულის და ბატონისა ნება.
მნეს ნაკლული ტომრები ხშირად შინ უგზავნია,
რადგან მზე გადასულა, პური ველს უტოვნია.
სუმბუქი საპალნით ხომ ურემი არ ჭრიალებს.
და შინისკენ მიმავალთ მიახალისებს ხარებს.

ეს იყო, ბრუნდებოდნენ შინ სტუმარ-მასპინძლები,
იმათ წინ მიუძღოდნენ ჟღივილითა ბავშვები,
აღმზრდელით და მსაჯული პოდკომოჟის მეუღლით,
მის გვერდით პოდკომოჟი, თვის ორთავე ასულით.
ასულნი უფროსთ უკან, ვაჟნი კი წრესა ჰკრიან,
ქალწულთ უკან მწყობრად და დაშორებით მოდიან.
(ეს არის აღზრდილობა) ჭკვიანთაგან ქებული,
თუ კაცმა დაივიწყა, ცუდად არს ხსენებული
აქ ყველანი წესს და რიგს თვითონ დაინახავდა.
მსაჯული ძველ ადათებს პატივით ინახავდა
ყველას თვალს ადევნებდა, არვის აძლევდა ნებას.

უპატიოდ ქცეოდნენ, ხანს, გვარს, ანდა გონებას.
„ასეთი წესრიგითო ცნობილია ერები,
ადათებს დაივიწყებ, ცუდად დაიწერები",
და წესს ყველა იცავდა ბატონი თუ ფარეში
მოყვარეა თუ მტერი, აქ არ იყო თარეში
თუკი ვინმეს მსაჯულთან ეს ყოველი უნახავს,
თვის სახლშიც ჩვეულება მუდმივად შეუნახავს.

მოკლე იყო შეხვედრა ძმისწულთან მსაჯულისა.
ხელი მისცა და ნება ბიძამ ხელზე კოცნისა.
თვით კი შუბლზე აკოცა, ზრდილიანად – მშობლურად,
სტუმრებთან თავი ჰქონდა მეტად მორიდებულად.
ჩანს რომ მას თადეოზი ძლიერადაც უყვარდა,
ყურთმაჯით მოიწმინდა ოდეს ცრემლი უვარდა.
ბატონს ტყე-ველიდანა ყველა უკან მოჰყვება,

სათიბ-სამკაულიდან შინისკენ ეშურება.
ცხვრის ფარაში ვერძები ერთმანეთს ეჯახებიან,
ეჟვიანი ძროხები, კორიანტელს ფარიან.
ნახირთან ცხენის ჯოგი მორბის; იმის თარეში,
ჭიხვინი და ფრუტუნი ისმის არემარეში.

პირუტყვი მიდის ჭისკენ, საპირესთან ტრიალებს,
წყალი სწყურთ და ამიტომ, ჭის კაკუჭი ჭრიალებს,
დაღლილია მსაჯული, მაგრამ სტუმართ თვალშია,
ხათრიანი. მას ახსოვს, რომ მასპინძლის ვალშია.
ჭისკენ თვით წავიდა, არ გააგზავნა გზირი
საღამოთი წყლის სმისას, სურს თვით ნახოს ნახირი.
პატრონის თვალი ცხენსა ასუქებს, – აურავებს
და ამიტომ თავის ჯოგს, თვითონვე უთვალყურებს.

ვოისკი და კარისკაცი პროტაზი დერეფანში,
სანთლით დგანან და არიან უთანხმოებაში.
ვოისკი შინ არ იყო და არ დაუდასტურა,
რომ პროტაზს გაეტანა ოდიდან დიდი სუფრა,
და დაედგა მას კოშკში ტყის პირას რომ მოჩანდა,
და რომელიც შორიდან, რაღაც ნანგრევსა გვანდა.
ვოისკსა და პროტაზს მსაჯული ეკითხება:
ნუთუ საჭირო იყო სუფრის გადაბარგება.
კარისკაცი პროტაზი მსაჯულს ეუბნებოდა;
რომ ამდენი სტუმარი, ოდას არ ეტეოდა,
რადგანაც არის გვიან, გადაწყობა ძნელია,

სტუმრისადმი ბოდიში, ადგილი სათქმელია.
და ასეთი დარბაზი ჩვენს სახლში ხომ არ არი!
სად დაისმის ამდენი საპატიო სტუმარი?!

კოშკში არის დარბაზი ნათელი და სრულიო,
ჭერი მთელი, კედელი თუმცა გაბზარულიო,
და გატეხილი მინა ზაფხულს არავის აენებს,
მარანის სიახლოეც, მერიქიფესა არგებს.
ამას ეუბნებოდა კარისკაცი მსაჯულსა.
ჩანდა არ უმჟღავნებდა საიდუმლოს ფარულსა.
სახლიდანაც კოშკამდე გრძელი გზაც კი არ იყო.
შენობა მეტად დიდი, თუმც ცოტა წამხდარიყო,
ჰორეშკოთა წინაპართ ეკუთვნოდა ყოველი,
აქ არეულობაში დაიღუპა რომელი.
მამული განადგურდა უამრავ ბაჟებითა,
ცუდი პატრონობით და მთავრობის განაჩენითა.
დედის მხრივ ნათესავებს წილად შეხვდათ ნაწილი,
ნაშთი მოვალეთ შორის მთლად იქნა გაყოფილი
კოშკი არავის სურდა აზნაურთ არცა თავადთ,
არვის სურდა ხარჯები კოშკის შესანახავად.
ჰორეშკოთ ნათესავი, გრაფია მეზობელი,
მოიზარდა, მომწიფდა, მდიდარია რომელი,
სამშობლოში დაბრუნდა, მოიწონა შენობა,
ამბობდა: „გოტიკური არისო ეს ხელობა,
მსაჯული ამტკიცებდა, რომ კოშკის მშენებელი,
არა გოტი, წინაპრით ვილნოს არს მცხოვრებელი,

არა აქვს მნიშვნელობა და მსჯელობაც არ უნდა
რომ ორთავეს კოშკისა პატრონობა მოუნდა".
საჩივარი გადასცეს მაზრის სასამართლოში,
მაზრიდან გადიგზავნა, სადღაც სამინისტროში,
დაეიდარაბით, ფულით ოდეს ძვირად უღირდათ,
საქმე უკან დაბრუნდა თვით მოეგვარებინათ.
პროტაზმა მართალი თქვა, რომ კოშკს ოდა აქვს ვრცელი,
იქ ყველა მოთავსდება სტუმარ და მასპინძელი;
იატაკს ქვაფენილი და საამო დარბაზი,
მთლიანად არის სრული და ჭერიც აქვს ლამაზი.

შიგ მხატვრობა არ არის და სუფთაა; კედლები
შემკულია, ავსებენ შველთ და ირემთა რქები,
რქებს შუა, შუბლის ფიცარზე თარიღი აღნიშნული,
სად და ვის მიერ არის ეს ნადირი მოკლული.
ჰორეშკოს გვარი არის აქ ხშირად ხსენებული

და მის გვარის ტვიფარით ჭერია მშვენებული.
(ნახევარ ვაცით არის ჰორეშკო აღნიშნული)
სტუმრები შემოვიდნენ დარბაისლურ წყობითა,
პირველი – პოდკომოჟი, თვის თანამდებობითა,
წოდებით, ხნოვანებით, ეკუთვნის პირველობა,
ყველას აძლევს ერთგვარად სალამს; აქვს აღზრდილობა.
ერთად მობრძანდებიან სუფრისაკენ ისინი,
ლათინურად ლოცულობს ხუცესი ბერნარდინი,
არაყი რომ დაასხეს, შემდეგ სტუმრები დასხდნენ,
და ლიტეურსა წვნიანს, მადიანადა ჭამდნენ.

თუმც თადეოში იყო ნორჩი წლოვანებითა,
მღვდელთან ზის, ქალთა შორის სტუმრისა უფლებითა.
თადეოზს და მღვდლის შუა, ცარიელია სკამი,
ალბათ ელის ვიღაცას იქვე ჭიქა და ჯამი.
ბიძა ხან კარს შეჰყურებს, ხან კიდევ სკამს უცქერის,
ალბათ სტუმარს მოელის, მიტომ გული უძგერის.
თადეოში ბიძას განუწყვეტ თვალს ადევნებს,
ბიძის კარისკენ ცქერა, ცოტად მასაც აღელვებს.
გასაკვირვალი არის, რომ ირგვლივ ეს სკამები,
დაკავებული არის და სხედან ასულები –
და ქალები კოპწია, ლამაზი და ნარნარი.
თადეოში სკამს უცქერს, საცა არავინ არი.
ცარიელი სკამია იმისთვის ამოცანა;
ფიქრები აერია, აზრსაც ვერ კრებავს თანა.
თადეოზის მარჯვენით ასული პოდკომოჟის,
გამოუცვლელი თეფშით და ცარიელ ჭიქით ზის.
ქალს არც ებაასება და არც მიუგდო ყური,
ჩანს მას დავიწყებია ზრდილობა ქალაქური.
ეს ცარიელი სკამი თადეოზსა იზიდავს,
არც არის ცარიელი, მთელ მის ფიქრებსა ზიდავს
ათასგვარი ფიქრები სკამს ირგვლივ ერეოდა,
თადეოზი განუწყვეტ ამ ადგილს დასცქეროდა.
ერთი ფიქრი მათ შორის ბატონობდა – მეფობდა,
ეით მაღლობზე ყაყაჩო იგი ყველას ამკობდა.
ოდეს მესამე თავი შემოსთავაზეს სტუმრებს,
თავის ასულებისკენ პოდკომოჟი აშურებს,
ჭიქებს ღვინო დაასხა და მისწვდა სუფთა ჯამებს,
„უნდა გიფარეშოთო, გადასძახა გოგონებს".
მაშინვე რამდენიმე ზე წამოდგა ყმაწვილი,
სურთ რომ გამრჯელობაში მიიღონ მათაც წილი.
მსაჯულმა თავის ძმისწულს თადეოზს გადახედა,

ყურთმაჯა გადაეგდო და ულვაშსა იგრეხდა.
დაისხა ღვინო და თქვა: „დღევანდელი ადათით,
ახალგაზრდებს სასწავლად ჩვენ ქალაქში ვაგზავნით
და არ უარვყოფ, რომ ცოდნა აქვთ იმათ წიგნეული,
ჩვენზე მეტი, რითაც ვარ მეტადრე მხიარული,
ხოლო ერთი რამ ცოდნა მათ კი აკლიათ თანა,
ცხოვრება არ იციან ამა ქვეყნის ხალხთანა.
ძველადაც გვაგზავნიდნენ ცნობილ პირთან საწვრთნელად
ათი დავყავი წელი ვოევოდას მხლებელად.
პოდკომოჟის მამასთან. იყო დარბაისელი.
(ეს თქვა და პოდკომოჟსა მუხლზე წამოჰკრა ხელი)
მე მან გამწვრთნა, გამზარდა, ჩვენი ერის მსახურად,
და მის ფრთის ქვეშ ვიყავი, სანამ არ გავხდი კაცად.
ჩემს სახლში მუდამ არის იმისი წმინდა ხსოვნა,
ჩემგან ღმერთსა ეკუთვნის, მისი ცხონების თხოვნა.
და სხვამ რაც შეითვისა, მე ვერა ვქენი ეხედავ,
მე მამულში დავრბუნდი და მიწას ვხნავ და ვთესავ;
სხვანი კი, ცხონებული ვოევოდის წყალობით,
ჩინებულნი არიან დიდი თანამდებობით,
და ის კი ვისარგებლე, რომ ყოველ შემთხვევაში,
ზრდილობა და თავაზი ყველას აქვს ჩემსა სახლში,
და კარგი აღზრდილობა, მოგახსენებთ თამამად,
იოლად როდი მოსდის ადამიანს სასწავლად,
და ადვილად როდია, რადგან არა თავდება
ფეხის ფეხზე შემოკვრით, და მასთან გაღიმება
მიატანო. ეს არის აღზრდილობა ვაჭრული,
არ არის ძველებური, არცა აზნაურული.
თავაზი ყველასათვის არს განსაკუთრებული,
თავაზიანი უნდა, ბავშვისა სიყვარული;
ქმარს ცოლისადმი მართებს ხომ თავაზიანობა?
ბატონს მსახურისადმი დიდი ხელგაშლილობა.
დიდხანს უნდა ისწავლო ზრდილობა თვალსაჩინო,
არავინ დაივიწყო, არავინ გამოარჩინო.
წინაპრებიც სწავლობდნენ და ჰქონდათ ეს თვისება,
ამით ჩვენს ისტორიას აქვს თავისი ღირსება.
ჩვენ ყოველმა წოდებამ, ერთმანეთი გაიცვნეს,
და ძველი ადათებიც შეინახეს, დაიცვეს
ჩვეულებას აბუჩად არავინ იგდებს ვხედავთ
და ამ წესის დარღვევას, ნურავინ ნუ გაბედავთ.
დღეს ნურავისა ჰკითხავთ ვინ არის, ვინ დაბადა,
ვისთან ცხოვრობს, რას შვრება, რა აქვს ან რა ებადა,
თუ ჯაშუში არ არის, ანდა კიდევ დატაკი

ვესპასიანისავით ფული არ უყარს რაკი,
ან რა ერმა გამოსცა, რა გზით, რა მხარით მიდის,
ნურავის ეკითხები რა გვარიდან გამოდის.
კმარა გაბლინძულია, არავის უგდებს ყურსა,
პატივსა ვსცემთ ასეთებს, როგორც ებრაელი ფულსა".

მსაჯულმა დაამთავრა და სტუმართ გადახედა,
მჭევრმეტყველი იყო და აზრსა როდი უხვევდა.
იცოდა მოუთმენი არის ახალგაზრდობა,

ასეთი დარიგება არ მოეწონებოდა.
ყმაწვილები უსმენდნენ მსაჯულს სტუმართა ვალით.
(პოდკომოჟს ეს მსაჯულმა სწრაფად ანიშნა თვალით)
პოდკომოჟი ზრდილობით სიტყვას არ აწყვეტინებს,
და ხშირად თავის ქნევით თანხმობასაც უმტკიცებს.
მსაჯულმა დაამთავრა თავისი საბაასო,
პოდკომოჟის და თვისი ჭიქა ღვინით აღავსო
და განაგრძო: „ზრდილობა ეს როდია ადვილი
რომ იცოდე ყველასთვის სათანადო ადგილი,
სხვათა შთამომავლობა, ღირსება, ადათები.
შენს ერის ფასს გაიგებ, ამით გაინათები,
რომ გაიგო ერისა შენის წონა, სიმძიმე,
სასწორს მეორე მხარეს უნდა დასვა სხვა ვინმე,
ხოლო იმას კი უნდა ყურადღება მიექცეს,
რომ ვაჟებმა ქალებსა მეტი პატივი რომ სცენ.

ზრდილობის კი ეს არის დაურღვეველი წესი,
უნდა გამოვარჩიოთ მანდილოსანთ სქესი.
აქედან კი იწყება ოჯახთა შეერთება,
მამა-პაპათ ასეთი ჰქონიათ ჩვეულება".
ესა თქვა და თადეოშს მან მკაცრად გადახედა.
ამით იყო მსაჯული რომ სიტყვას ამთავრებდა,
ხოლო ჩანდა რომ ბიძას მის ქცევა აღელვებდა.

ოქროსი საბურნუთე პოდკომოჟმა გაიღო,
მსაჯულის საპასუხოდ სიტყვის ნება აიღო,
და თქვა: „ძველად უარესი იყო და შენ აჭარბებ",

ჩვენ მოდა არ გვიხდება და ამას ნუ იკადრებ,
მახსოვს რომ სამშობლოში ყველგან გაბატონდა,
რაღაც უცნაური და ფრანგული მოდა.
უცხო ახალგაზრდობა ჩვენს მხარეს მოდიოდა,

ისე შემოგვესივნენ, როგორც თათრების ორდა.
ტუქსავდნენ ჩვენსა რწმენას, რჯულსა და ადათებსა,
ურცხვენლად დასცინოდნენ ჩვენ ქალების კაბებსა.
საბრალო, ყვითელ სახით, უნამუსო, უპირო,
ცხვირში ლაპარაკობდნენ, ხშირად იყვნენ უცხვირო.
ბლომად ჰქონდათ ჯიბეში წიგნები, ქაღალდები,
სურდათ გამოეცვალათ რჯულ-ადათ-კანონები;
ყველგან  ჰქონდათ მიღება, ხალხზე დიდი გავლენა;
ოდეს ღმერთს ესურვება სრულად ერის წახდენა,
ხალხს ჯერ ჭკუას წაართმევს, შემდეგ ნებისა ყოფას,
მოხუცნიც მიტომ აჰყვნენ ჭაბუკთა პამპულობას.
ჭკუაზე გვიან მოვიდა ჩვენი მხარე რბეული,
მაგრამ სნეული იყო მთელი მისი სხეული;
თუმცა ხალხი ლანძღავდა ასეთ ახალთაობას,
იცვლიდა რჯულს, ტანსაცმელს, ძველსა კანონმდებლობას,
ეს იყო ჩვენი ერის დიდი რამ თავხედობა
და ამიტომ დავკარგეთ ჩვენივე არსებობა.

მახსოვს, მაშინ ვიყავი მე პაწაწინა ბავშვი,
მამაჩემს რომ ეწვია ოშმიანის უბანში,
მელვინეთუხუცესი ფრანგულ ურიკელითა;
ლიტვას პირველი იყო უცხო ჩაცმულობითა.
ვით უცხო ნადირს სდევდნენ. იგი ამით ტკბებოდა.
შურის თვალით უცქერდნენ, ვის კარის წინ დგებოდა.
მელვინეთუხუცესის ეტლსა წყვილი ცხენითა,
კარიულკას ეძახდნენ ფრანგული ენითა.
მხლებელთ ნაცვლად, ძაღლები ახლდნენ იმას ეტლშია,
ეტლზე ნემეცი უჯდა ცხენი, სადავეით ხელშია,
აყლაყუდა, გამხდარი, როგორც ხარდანი ხმელი,
გრძელ წინდებში, პრიალა ბალთებით, ფეხსაცმელი,
ხელოვნური თმა ჰქონდა ფოჩებით, გაჩეჩილი,
მოხუცნი რომ უცქერდნენ, გაისმოდა სიცილი.
გლეხები დანახვაზე პირჯვარსა ისახავდნენ,
არაწმინდა რამ სული — ეტლშიაო ამბობდნენ.
მელვინეთუხუცესის აღწერა არა მწადის,
კმა, რომ მაიმუნივით იპრანჭება და დადის.
უჩმახურ ყვითელ პარიკს ოქროს კრავს ადარებდა,
ხოლო მისი მნახველი, ძველ ნამჯას ამგვანებდა,
და თუ ვინმეს მოსწონდა ეროვნული საცმელი,
ამას ვერვის ეტყოდა, არ იყო გასამხელი,
რადგან დაუყვირებდნენ შენ გსურსო შეჩერება,
პროგრესის და კულტურის არ გაქვსო მის უფლება.

ასეთი იყო იმ დროს ჭაბუკთ მიმართულება.
მელვინეთუხუცესმა ისურვა რეფორმები,
ერისა განათლება და რაღაც რამეები,
განაცხადა: „საფრანგეთს აქვსო გამოგონება,
რითაც რომ წოდებები სულ გაერთიანდება.
ყველამ ვიცით ეს მცნება ქრისტემ მოგვცა — ძველია,
ამასვე გვიმეორებს ყოველ წირვას მღვდელია;
საღვთო სჯულია — ვიცით, ხოლო საქმეა მასში,
რომ არვინ დაგიდევდა ამის შესრულებაში".
ამ დროს ახალგაზრდობას ხომ არაფერი სწამდა!
გარდა ფრანგულ გაზეთში რასაც წაიკითხავდა.
მელვინეთუხუცესს, ვითომ სწამდა ერთობა,
პარიზიდან მიიღო წოდება — მარკიზობა,
(ასეთ მოქმედებაში არ ჰქონდა ფაქიზობა).
აქ უნდა მოგახსენოთ მე რომ არ დავივიწყო,
დრო რომ გამოიცვალა, დემოკრატობა იწყო.
ოხუნჯად ნუ მიმიღებთ, აქ ხუმრობას რა უნდა?!
ნაპოლეონთან იყო და ბარონად დაბრუნდა.
ვფიქრობ კი, რომ სიცოცხლე დღეგრძელი შერჩენოდა,
მეორედ დემოკრატად ალბათ ის გახდებოდა.
პარიზს ვიცნობთ, ხშირადა მოდების ცვლილებითა,
მისგან ყოველს მივიღებთ დიდი თაყვანისცემითა.

„საზღვარგარეთ ხომ დღესაც ყმაწვილი ემგზავრება!
მაგრამ მოდას არ დასდევს, ის სწავლას ეტანება,
მან იცის როგორ უნდა იქ ცოდნისა შეძენა,
არა სურს შეითვისოს მან ყავახანის ენა,
ჯერ ხომ ნაპოლეონი მოდებსა არა დასდევს?
და სალაყბოდ თავის ერს დროს და ნებას არ აძლევს.
იარაღი ჩხრიალებს და ჩვენ გული გვიხარის,
რომ პოლონეთზე ეხლა, იქ ლაპარაკი არის.
ჩვენ, ჩვენი რესპუბლიკა უკან დაგვიბრუნდება
და ხე თავისუფლების კვლავად აგვიყვავდება.
აფსუს, რომ შორს არიან, ხანა ჭიანურდება,
და იმათ მოლოდინში ჩვენს ერს გული უტყდება.
დიდი ხანია უცდით, ცნობაც ხშირად არ მოდის;
მამაო! (აქ კი ჩუმად წასჩურჩულა ბერნარდინს)
მსმენია, ნემანის გაღმით, თქვენ ცნობა მიგიღიათ,
და ჩვენს ჯარის შესახებ რაღაც გაგიგიათ?".
არაო! მკვახედ უთხრა რობაკმა და ჩაჩუმდა.
(ჩანს რომ, არც მუსაიფი და არც სმენა უნდოდა)
„პოლიტიკა არ მესმის. ვარშავიდან ცნობები —

რაც მივილე სინოდის არის მონაწოდები,
ბერნარდინებს ეხება, – სამღვდელო საქმე არი,
მოქალაქეთა შორის ეს არის დასაფარი".

„პოდკომოჟმა დაამთავრა თვისი სიტყვა გრძელი.
სტუმართა შორის იყო მოსკალი, რიკოეი ჯეელი,
ჯარიდან კაპიტანი მიწვეული სტუმრადა,
მეზობელ სოფლიდანა, საცა იყო მდგმურადა,
მადიანადა ჭამდა და სმასაც არ იკლებდა,
პოლიტიკურ მუსაიფს ის აბუჩად იგდებდა,
მაგრამ ოდეს რიკოვმა გაიგონა ვარშავა,
რომ არაფერი ეთქვა, თავი ვერ შეიკავა.
მე ჯაშუში არა ვარ და პოლონურიც ვიცი,
მესმის თქვენი გულისთქმა, აქ მე არ მინდა ფიცი,
რომ რუსეთს და პოლონეთს დღეს ზავი აქვთ შეკრული,
ერთ სუფრაზე ვსვამთ და ვჭამთ, ამით ვართ მხიარული,
ბრძოლის წინა ხაზებზე ფრანგებთან ერთად რუსი,
ერთად სვამენ არაყსა, რადგანაც გვაქვს ნამუსი.
რუსული ანდაზაა, სცემე ვინც რომ გიყვარდეს,
რბილად სცემე ქურქზედა, ცოტა მას გაუხარდეს,
მე მაიორ პლუტს ვუთხარ, რომ ომი დაიწყება,
რომ ფრანგი და ოსმალი, ჩვენზედა ემზადება
და თუ ჩვენ არ გვექნება კარგი მომარაგება,
ბონაპარტე მსოფლიოს მთლად დაეპატრონება.
ამბობენ: სუვოროვი რომ ჩვენ არ გვყოლოდაო,
ბონაპარტე მსოფლიოს სულ მთლად დაიპყრობდაო.
ამბობენ: – ბონაპარტემ იცის მოჯადოება,
მაგრამ მას სუვოროვიც არ ჩამოუვარდება.
ბრძოლაში ბონაპარტე მელად გადაქცეულა,
სუვოროვი კი მწევრად და მელა გაქცეულა,
და შემდეგ ბონაპარტე კატადა გარდაქმნილა.
ხოლო მიწყივ კვერნადა სუვოროვი შექმნილა".
რიკოვმა დაამთავრა. ჭამას კი განაგრძობდა,
ლაქიას კი მეოთხე შემწვარი შემოჰქონდა.
გვერდით კარი გაიღო, სით ნიავი მოქროდა.

ამ ნიავსა შემოჰყვა ახალგაზრდა სტუმარი,
ციალა და ნარნარი, ვით გაზაფხულის დარი.
სტუმართ სათითაოდ ასულს ესალმებიან,
თადეოზისა გარდა, ჩანს რომ ყველანი სცინიან.
წელწერილი და მკერდი – მოკვარახჭინებული,
ვარდისფერ აბრეშუმის კაბას იყო ჩაცმული.

საკინძი ამოჭრილი, ღაწვის საგრილებლად
ხელს მარაო ეჭირა თავის გასართობელად.
(რადგან არა სცხელოდა)  და მარაოს ქიანი,
ამშვენებდა და იყო მართლადაც ეშხიანი.
ხშირი თმა მსხვილ ნაწნავად ქალს ჰქონდა დავარცხნილი,
ნაწნავები შუბლისა ირგვლივ შემოკონილი.
თმებიდან მარგალიტის სხივი კი გამოკრთოდა,
ნაზად, თითქოს თვისივე ბრჭყვიალისა რცხვენოდა.
ქალის მოკაზმულობა სადარბაზოს წაჰგავდა,
და ამიტომ ეს კაბა ყველას როდი მოსწონდა!
თუმც კაბა მოკლე იყო, ფეხი კი არ მოჩანდა.
ნაბიჯს დგამდა, იფიქრებ, ტბას გედი მოცურავდა.
ტანი სწორად ეჭირა დარბაისლურ ქცევითა,
ყველას თვალი უტკბოდა მის მშვენების ცქერითა.
სალამს აძლევდა ღიმილით მიცემულ სალამზედა.
გაეშურა დაბრძანდეს მისთვის დადგმულ სკამზედა.
ძნელი იყო იქ მისვლა, სად მისთვის სკამი იდგა.
ორფად, სუფრისა ირგვლივ აქ წვეულება იჯდა.
უნდა რიგი აშალოს, ანდა კიდევ გადახტეს,
მომარაგებულ სკამზე ქალი როგორმე დაჯდეს.
სუფრის და სტუმართ შორის ოსტატურად გაცურდა.
ასულისა მშვენებით ყოველი პირი დადუმდა.
თადეოზს ახო ხელი, თუმცა ქალს არა სურდა,
მეზობელ სტუმრის მუხლზე მას კაბა დაებურდა;
ვით თევზი შეტორტმანდა და ფეხი გაუცურდა,
და ანაზდად, თადეოზს მკერდზედა მიეყუდა.
ზრდილიანად — ბოდიში მოიხადა და დაჯდა,
თადეოზს და ბიძას შუა, ხოლო არაფერს ჭამდა.
მარაოსა ფრიალით სახესა იგრილებდა,
სასმელიც არ ინება, — ჭიქასაც არ იღებდა.
თმის კავი გაისწორა, უბჯინა სავარცხელი,
ხოლო ვერ მოასვენა ვერც ნაწნავი, ვერც ხელი.
მუსაიფი რომ შეწყდა ხუთიოდე წუთითა,
დაირღვა სუფრის ბოლოს ბაასით — ჩურჩულითა,
თანდათან გადავიდნენ უფრო მაღალ ხმაზედა,
და დაიწყეს დაობა მონადირობაზედა.
ერთმანეთს გადაება ორიოდე სტუმარი,
ორთავენი იძახდნენ, ჩემი სჯობსო მწევარი.
ჩემმა კუდა მწევარმა კურდღელი დაიჭირა,
ეს ხომ სინამდვილეა, ამას ყველამ უცქირა

მოწინააღმდეგე ამბობს: „მოგახსენო – დამაცა,
ჩემმა მწევარმა მიმინომ კურდღელს პირი წასტაცა.
სტუმრებსა შეეკითხნენ, თუ მართალი ვინ იყო,
ორი მწევრის მომხრენი, ორ ნაწილად გაიყო,
ზოგი ვით ძაღლის მომხრე, ზოგი როგორც მნახველი,
ყველა თავისას ამბობს, სიტყვის არვინ მძრახველი".
მსაჯული კი სტუმარ ქალს ყურში ეჩურჩულება,
რომ ვერ შეძლო ვახშმისა მან გაჭიანურება.
ყველა იყო მშიერი, იყვნენ სეირნობაზე
ვფიქრობდი არ იქნები დღეს ჩვენთან ვახშმობაზე.
ეს თქვა და პოდკომოჟსა სავსე ჭიქა დაუდგა
და მასთან მუსაიფში პოლიტიკას შეუდგა.

ოდესაც მუსაიფში გართულ იყვნენ სტუმრები,
სტუმარ ქალმა მიიპყრო თადეოზის ფიქრები
თადეოზი ეხლა ხომ ცხადად ამას ხედავდა,
ცარიელ სკამს ბიძა ვისთვის ინახავდა.
გაწითლდა, გულიც ძლიერ ვაჟს ჩქარა უძგერდა,
ამოცანისა ახსნას, ის ეხლა უცქეროდა.

გაიგო თადეოზმა მსაჯულისა მიზანი,
ოდეს იმათ შუაში ჩაჯდა მანდილოსანი.
თადეოზმა სტუმარი ვერ იცნო, ეს აკვირვებს,
რადგან ჩაცმა კაცს დიდად, ხან კი ჩიად გვაჩვენებს.
ოთახში ასულს შეხვდა, იყო ქერათმიანი,
აქ უცქერის, ნაწნავი ყორნისა ფრთიანი.
მზის ჩამავალ სხივებმა იქნებ უცვალეს ფერი,
იქნებ მზისა სინათლით ფერს იცვლის ყველაფერი?
ქალის სახე ოთახში კარგად ვერ დაინახა,
იმიტომ მახსოვრობა გულში ვერ შეინახა.
შავთვალწარბა ეგონა ოთახს ნახული ქალი,
პირი თეთრი, ტუჩები – ვით ტყუპი ალუბალი.
ორ არსებათა შორის ნახა დიდი მსგავსება
ხოლო ხნოვანობაში არის კი განსხვავება.
მებაღე ქალი ვაჟს, ეჩვენა ნორჩ გოგონად,
ხოლო გვერდით სტუმარი, მწიფედ და ქალბატონად.
ყმაწვილი ვაჟი ქალსა, არ ჰკითხავს რა ხნისა არის,
მისთვის ხანშიშესულიც მზეთუნახავი არის.
ყოველ ქალსა ჩაგითვლის თავის კბილად და ტოლად,
თუნდა როსკიპიც იყოს, მიაჩნია ქალწულად.
თადეოზს ოცი წელი ამ დროს უსრულდებოდა;
ვილნოდან ჩამოვიდა, საცა აღიზრდებოდა.
იგი მღვდელს მიაბარეს სათანადო საწრთნელად,

ძლიერ მკაცრად აღზარდა ყველას გასახარებლად.
თეოდოზს თან ჩამოჰყვა მორალური ქონება,
გაურყვნელი გული და თვალსაჩინო გონება.
ეხლა თადეოზს სურდა ცოტად თავის აშვება.
თავის ტოლ-მეგობრებში, გავლა, განავარდება.
სოფლად ვერვინ დაუშლის ეხლა ასეთ ლაღობას;
ტანად კარგი, თვალადი და გრძნობდა ჯანსაღობას.
მშობელთაგან დაიმკვიდრა თვისება ამგვარი,
გვარად იყო სოპლიცა და სოპლიცების გვარი,
ცნობილია ყოველგან როგორც კარგი ვაჟკაცი,
მეომარი უებრო, სწავლაში კი ზარმაცი.

ყმაწვილი წინაპართაგან როდი განსხვავდებოდა.
ვაჟკაცი, მუხლმაგარი, კარგადაც ცხენოსნობდა
და თუმც ვაჟი სკოლაში ვიცით არ ბეჯითობდა,
ბიძა ძმისწულისათვის, ხარჯს არ ერიდებოდა.
ერჩია კაჩსა თოფი და ხმალისა ტრიალი;
იცოდა, მხედრობაა იმისთვის მომავალი.
თურმე მამას ანდერძად ეს დაუტოვებია,
რადგანაც რომ მამასაც ბრძოლები ჰყვარებია.
თუმც პირველად ბიძას თურმე სხვა გეგმა ჰქონდა,
მოისურვა, თადეოზს ცოლ-შეილი რომ ჰყოლოდა;
პირველთ, ვაჟსა დაჰპირდა ერთი დიდი სოფელი,
შემდეგ თვისი მამული და სიმდიდრე ყოველი.

თადეოზის მშვენება როს ქალმა დაინახა,
(გვერდით მანდილოსანმა) ეს გულში ჩაისახა.
ქალმა ვაჟის მხარ-ბეჭი ცნობით აწონ-დაწონა,
მართალი აღვიპყრო, ძლიერად მოეწონა.
და რამდენჯერ ქალი ვაჟს პირში აცქერდებოდა,
თადეოზსა რცხვენოდა, პირი უწითლდებოდა.
ხოლო ოდეს ყმაწვილმა სირცხვილი გადალახა,
მიიღო ქალის ცქერა ნაზად და არ შელახა.
ერთმანეთს შემოხედეს, გაუმართეს თვალია,
და ისე ელეარებდნენ, ვით კელაპტრის ალია.

ჯერ ქალმა წამოიწყო ლაპარაკი ფრანგული,
ახალ გამოცემაზე. (ალბათ აქვს წაკითხული).
მწერლობისა შესახებ აზრსა ეკითხებოდა,
და თამამი კითხვებით, ვაჟს არ ერიდებოდა,
მაგრამ ჩქარა გადავიდა კლასიკურ მხატვრობაზე,
მუსიკაზე, ცეკვაზე, მოქანდაკეობაზე.

დაანახა რომ ესმის მწერლობა და ნოტები,
და რომ გადაუვლია სწავლის ყველა ტოტები.
ვაჟი შეკრთა არ გახდეს სასაცილო პირადა,
ვით ბავშვი, ოდეს ლექსი არ იცის ზეპირადა.
იღბლად მასწავლებელი მთლად ლმობიერი არი,
და მიხვდა თუ რომ ვაჟი, რატომ არის მღელვარი...
მუსაიფით გადავიდა სოფლისა ცხოვრებაზე,
ყანის დამუშავება და იქ მძიმე შრომაზე.
ასწავლიდა თუ როგორ ვაჟმა დრო გაატაროს,
თვითონ გაიხალისოს და სხვაცა გაახაროს.
თადეოზი თანდათან ცოტა რომ გათამამდა.
სიტყვა მოიმარჯვა და ძველ მოარშიყეს ჰგავდა.
ხუმრობაც კი დაიწყეს, ლამაზი — არა ცუდი,
ქალმა მოგრაგნა სამი, პურის გულისა გუნდი.
ვაჟმა შუანა ირჩია, ბევრი დრო არ დააყოვნა,
პოდკომოჟის ასულმა, ქცევა არ მოუწონა;
ქალმა თუმც გაუღიმა — საიდუმლოს ფარავდა,
რჩეული პურის გუნდი, ვინ მეზობელს ნიშნავდა.

სხვა გვარია გართობა სუფრის მეორე მხარეს,
მწევარ მიმინოს მომხრეთ, თავი აქ მოიყარეს;
კუდა მწევრის მომხრეთა, სულმთლად თავზე წააჯდნენ,
ისეთი არის დავა, არაფერს აღარ ჭამენ.
ფეხზე დგომით, ღვინის სმით, ყველანი კამათობდა,
ხოლო რეენტი სიტყვას არავის არ უთმობდა.
თავის მწევრის უკუდოს ქებაში მთლად გაერთო
და მის ყვირილს, ხელების მიხვრა-მოხვრაც დაერთო.
(წილად ვექილად იყო ბოლესტა — ეს რეენტი
და მისი ლაპარაკით, ყველას ესხმოდა რეტი)
ოქროპირი დაარქვეს. ეხლა ხელებს აქნევდა,
გრძელ ფრჩხილიან თითებით, ჰაერში აჩვენებდა,
ვითომ სამბული უჭერს, მწევრები დგანან ერთად,
მიუტიეთ, გაუშვით, კურდღელის დასაჭერად.
ვით თითით დაცემული ჩახმახი ორ ლულისა,
ძაღლები მიუსიეთ დასაჭერად კურდღლისა.
კურდღელი გაეშურა ისარივით ველზედა,
მწევრები დაედევნენ (აქ გვიჩვენა ხელზედა,
ორი თითი რომელიც გვიხატავდნენ მწევრებსა).
სად მიმინო პირველი მიუძღოდა მდევრებსა.
მხოლოდ ერთი გოჯითა ის იყო წინა სხვებზე,
თუმც როდია სწრაფი მეტადრე სხვა ძაღლებზე.
ვხედავედი, კურდღელს რაღაც ოინი რომ უნდოდა,

თუმც ვაკეზე პირდაპირ ძაღლებსა გაურბოდა,
მაგრამ ოდეს მან იგრძნო, რომ მწევრებია ჯგუფად.
მარჯვენივ ყირამალითა, არ შეიქმნა ულუფად.
მწევრები მარჯვენივ გაჰყვნენ, მარცხნივ შემოტრიალდა
და კუდა მწევრის პირში, საბრალოდ აწრიალდა.
ხმამაღლა ლაპარაკში, სუფრაზე დაყრდნობილი,
მთელ ამ სურათს გვიხატავს თითები დაწყობილი.
„დაიწიო!" ოდესაც მან ხმამაღლა დასძახა,
შემკრთალი ორი თავი, ერთმანეთს დაეჯახა.
ეს იყო თადეოზი და ქალი მეზობელი,
რომელთ, ალერსის გარდა, დაივიწყეს ყოველი.
როგორც ხისა კენწერო გრიგალით გაპობილი,
გაიხლიჩა სუფრის ქვეშ, ორი ხელი ჭდობილი.
სახენიც გაითიშნენ ახლო პირით მყოფარე,
ორი იყო არსება ერთ ცეცხლით მოელვარე.

ვაქსა სურს რომ დაფაროს რცხვენა – უხერხულობა.
ბოლესტასთან დაიწყო კუდა ძაღლზე მსჯელობა.
შეხედვით კარგიაო შენი კუდა მწევარი,
ხოლო ეს კი არ ვიცი თუ კარგია მდევარი.
მე და ცუდი მდევარი? აბა რად მინდა ძაღლი?
თადეოზს მოეწონა მწევარს რომ არ აქვს ნაკლი.
ტყიდან რომ მოვდიოდი, დავინახე პირველად,
და შემთხვევა არ მქონდა მისა გასაცნობელად.

ეს ასესორს მოესმა და იმგვარად გაცხარდა,
რომ ღვინით სავსე ჭიქა ხელიდან გაუვარდა.
ტანმცირე ასესორი ზანტად იყო მოძრავი,
რეენტზე უფრო წვრილი, დინჯად ეჭირა თავი.
ამბობენ, გმირიაო და იცისო მოლხენა,
კრებებზე როს ქადაგობს, შხამიანი აქვს ენა,
ოხუნჯობაში იცის კაცის მასხრად აგდება,
ისე, რომ მისი სიტყვა წიგნში დაიწერება.
სიტყვა აქვს მოსწრებული, დამცინავი კაცისა,
მან შეჭამა მამული თვისი, მამის და ძმისა,
ფული უცხო მხარეში გაფლანგა და არ ეყო,
დაბრუნდა და მაზრაში მოხელეობა ეწყო.
ნადირობაც უყვარდა თავის გასართობადა,
ბუკისა და ძაღლის ხმა – სმენის დასატკბობადა.
მაშინ აგონდებოდა თვისი ახალგაზრდობა,
მსახურნი, მეძებრები, ტოლებთან მეგობრობა.
ამდენი ძაღლებიდან ორი მწევარი დარჩა,

და ერთი იმათგანი ლანძღვასაც ვერ გადაურჩა
თადეოზთან მივიდა, ხელით წვერი გაიყო,
გაიღიმა, — ღიმილი შხამიანი რამ იყო,
და თქვა: „კუდა მწევარი ჰგავს ლაგაკსა თავადსა".

კუდი კი ესმარება ნავარდში ხოლმე ძაღლსა.
მწევრისა უკუდობას არ თვლი ნაკლოვანებად?
შენი ბიცოლა იყოს ამის დასამოწმებლად.
თუმცა იგი ცხოვრობდა სხვადასხვა ქალაქებში,
ხშირად უნადირია მას ჩვენსა მამულებში.
ახალგაზრდებსა სჯობნის და იცის ნადირობა.
დროსა გასვლით გვეძლევა ხოლმე გამოცდილება.
თადეოზი სრულებით ამას არ მოელოდა,
რომ კამათი მეხივით თავზე დაეცემოდა.
მას ასეთმა მოპყრობამ გულში ლახვარი ჩასცა,
იღბალზე პოდკომოჟმა ორჯერაც ცხვირი დასცა.
მას უსურვეს ხეირი. ყველას მადლობა უძღვნა.
საბურნუთეს, სალუკი თითი დაურაკუნა.
საბურნუთე ოქროა, ჩარჩო კი ალმასისა,
შუაში სურათია მეფე სტანისლავისა.
(ეს მამისადმი იყო მეფისაგან ფეშქაში,
მამის შემდეგ ვაჟია მის თანამდებობაში).
ეს კაკუნი ნიშნავდა, რომ სიტყვისა თქმა უნდა;
იცის ყველამ ეს წესი და ამიტომ დადუმდა.
მან თქვა: „პატივცემულნო ძმანო და აზნაურნო!
მონადირებს აფასებს დიდი ტყისა უდაბნო;
და ამიტომ ამ საკითხს აქ ჩვენ ნუ გადავწყვეტთ,
განაჩენსა კი მხოლოდ ხვალე თუ გამოვიტანთ.
დღეს უკრძალავ აქ ყველას ამ საგანზე დაობას,
და ჩვენ ხვალ დავინახავთ ველად კარგ ნადირობას.
მსაჯულს გრაფი ეწვევა ამალით, მსახურებით,
მსაჯულო! წამობრძანდით თქვენ თქვენისა სტუმრებით,
ტელიმენაც, და მასთან დიაც — მანდილოსანნი.
ყველანი და დავხოცოთ ნადირი ტყაოსანი.
ვოისკიც უარს არ გვეტყვის სიტყვას გაძლევთ ფიცებულს
თქვა და საბურნუთე გადასცა მოხუცებულს".

სუფრის ბოლოს ვოისკი იჯდა სხვებთანა ერთად,
თვალებსა აბრიალებს გადაქცეული სმენად.
არაერთი ყმაწვილი იმას ეკითხებოდა,
რადგანაც ნადირობა უკეთ არვის ესმოდა.
წყნარად იჯდა და ხელში ეჭირა მას ბურნუთი.
ჯერ უყნოსა, ჩაფიქრდა რამოდენიმე წუთი,

ცხვირი დააცემინა ურიდოდ და ხმამაღლით,
თავი გააქნია და ესა თქვა დიდი ნაღვლით:
ოჰ! „მე მოხუცებულსა, მაწუხებს და მაკვირვებს
რომ თქვენ სახელსა ურცხვენთ ძველ დროთა მონადირებს.
ამდენი აზნაური აქ რომ არს კაცი ქუდზე.
სასირცხოდა დაობენ, უკუდო მწევრის კუდზე.
მკვდრეთით აღმდგარ რეიტანს ეს ყურს რომ ჩაწვეთოდა,
გარწმუნებთ, სამარეში უკანვე ჩაწვებოდა.
ან კიდევ ნესიოლოვსკი, ვოევოდად რომ არი,
დუნიაზე არვის ჰყავს მისგვარი მეძებარი.
ორასი ჰყავს მსროლელი ბატონური ადათით
და ვორონჩანის კოშკში ასი ურემი ბადით.
როგორც დაყუდებული, ზის თვის ადგილ-მამულში;
ვერვინ გამოიწვია ნადირზე ველს — გვიმბრულში.
თვით ბიალოპეტროვიჩსა მან განუცხადა უარი,
თქვენს ნადირობაზეო, ჩემთვის მხეცი არ არი.
ხომ სასირცხო იქნება და თავი სად იჩინოს,
თქვენთან ასეთ ბატონმა კურდღელი დაიჭიროს!?
მონადირისა ენით, ნადირი მხოლოდ არი,
ღორი, დათვი, ირემი, მგელი, თხა და კანჯარი.
ნადირს, რომელს არა აქვს რქა, ეშვი ანდა კლანჭი,
ეს მსახურთათვის არის საზღევი და დასაჭი.
არც ერთ ბატონის მიერ ხელში არ აიღება,
წვრილი თოფი, რომელშიც საფანტი ჩაიყრება.
მწევარიც ყველას ჰყავდა და სამბულს მიჰყვებოდა,
თუ ცხენის წინ კურდღელი მას გამოუხტებოდა;
სასეირნოდ მწევრებსა მაშინვე მიუტევდნენ
და ბავშვები ცხენდაცხენ, მწევრებს უკანა სდევდნენ.
მშობლების თვალწინ იყო ყმაწეილების ნავარდი,
ვისა ჰქონდა კურდღლისა და ან მწევრისა დარდი?
ბატონო პოდკომოჟო! ამიტომ გთხოვთ მორჩილად,
გამოცვალოთ ბრძანება, ეს როდი მიღირს ჩირად,
მე ასეთ ნადირობას, არა ვარ მიჩვეული.
და აროდეს იქნება ჩემი ფეხი იქ დგმული.
გვარად, მეფე ლეხიდან, მე გახლავართ ჰრეჩეხა,
და კურდღელი ჰრეჩეხას, აროდეს არ ეჩეხა".

ამ დროს ვოისკის სიტყვა სიცილით დაიფარა.
პოდკომოჟი წამოდგა, სტუმარი აიყარა,
წოდებით, ხნოვანობით, ეკუთვნის პირველობა,
ყველას აძლევს ერთგვარად სალამს. აქვს აღზრდილობა.
მას მიჰყვება კალმასი, მღვდელი ბერნარდინიც,

პოდკომოჯის მეუღლეს, მსაჯულმა მხარი მისცა,
ყმაწვილმა ტელიმენას, ასესორმა სხვა ქალწულს,
და ბოლოს კი რეენტმა, მოხუც ვოისკის ასულს.
დაიშალნენ. ყმაწვილნი მივლენ სად საბძელია.
თადეოზი მიუძღვის, ძლიერ დაღვრემილია.
იგონებს თადეოზი დღევანდელსა შემთხვევებს,
მეზობელ მანდილოსანს, შეხვედრასა და სტუმრებს.
მაბეზარ ბუზებივით ფიქრები თავს ეხვია,
ვინ არის ეს ბიცოლა იგი ვერ გაერკვია.
მას სურდა გამოეცნო ტელიმენა ვინ არი,
სამწუხაროდ, ფარეში საკითხად არსად არი.
ვოისკიც ვერა ნახა, თუმც ეძება იგია,
მიაცილებს სტუმრებსა, ვით მასპინძელთ რიგია.
ვოისკი თვალყურს უგდებს, რომ ყველა თავის რიგად,
გააცილონ სტუმარი დასაწოლად — საძილად.
თადეოზი ყმაწვილებს საბძლისკენ მიაცილებს,
სუნნელოვან თივაზე თვითონაც ჩაიძინებს.

სიჩუმე გაბატონდა ირგვლივ არემარეში,
როგორც ცისკრისა ზარზე სადმე წყნარ მონასტერში.
სიწყნარე დაარღვია ღამის დარაჯისა ხმამ,
მსაჯულის გარდა ყველამ დაიძინა ირგვლივ სხვამ.
უნდა რომ შეადგინოს გეგმა ნადირობისა,
მომავალი მეჯლისის, ხვალის წვეულებისა.
უკვე გასცა ბრძანება მსახურთ და მოხელეთა,
მეღვინეთ და ლაქიებს, საჯინიბოს მმართველთა,
და ოდეს შეამოწმა დღისა ხარჯის დავთარი,
პირფარეში მოიხმო, დასაწოლად მზად არი.
მსახურმა მას შემოხსნა სლუცკის ფართე ქამარი,
ფოჩებით მშვენებული, ოქროდ ჭედილი რომ არი,
ერთი მხარე კოპლებით, ყვავილებით ჭრილია,
და მეორე შავადა, დამწვარ ვერცხლით-თლილია.
ეს სარტყელი, ორივე პირითა იტარება,
ხოლო მარცხენა პირით, თუ არს მგლოვიარება.
მიალაგა პროტაზმა მსაჯულისა ნივთები,
ოთახიდან ისმოდა მსახურისა სიტყვები:

„კოშკს სუფრა გავიტანე, გთხოვთ ცუდად არ გამიგოთ,
არვინ რა იზარალა, თქვენ იქნება მოიგოთ;
კოშკის შესახებ არის დიდი ხანია დავა,
ეხლა, კოშკი კანონით ხომ თქვენს ხელში გადავა!
მოწინააღმდეგეს ვეტყვით სრულიად გასაგებად,
რომ დღეიდან შენობა ჩვენია საკუთრებად

და თუ სტუმრებს დარბაზში ვახშამზედა ვპატიჟებთ,
ვამტკიცებთ რომ ჩვენია, ან რომ მალე მივიღებთ.
მოწმეთათვის ცხადია და ყველა გაერკვევა,
რომ ძველადაც ასეთი ხშირი იყო შემთხვევა".

როს მსაჯულმა ჩათვლიმა, გაეხვია საბანში,
მსახური ფეხაკრეფით გავიდა დერეფანში.
ჭრაქს მოუჯდა, წიგნაკი ამოიღო ჯიბიდან,
რომელს თან ატარებდა განუწყვეტლივ ძველ ხნიდან.
წიგნაკში პროტაზს ჰქონდა, მოდავეთ გრძელი სია,
ვის, მიწაზე დაობა, თავათ ვერ გაერჩია.
ყველას კარგად იცნობდა და რიგ-რიგად იხმობდა,
ოდეს სასამართლოში, წინათ ის მსახურობდა
ასეთი სია ჩვენთვის უფასო რამე არი, —
ძველ დროს მოსაგონებლად, ძვირფასი, შეუდარი.
კითხულობს, რომ ოგინსკის ედავება ვიზგირდი,
რიმშა კი მონასტერს და რიმშას კი ვიშოგირდი,
რადზივილი გედროიცს, გერდოიც როდულტოვსკის,
ობუხოვიჩ ებრაელს, იურაჰა პიოტროვსკის.
მალესკი მიცკევიჩებს, ბოლოს გრაფი სოპლიცას,
ედავება კოშკზე და ახლო მდებარე მიწას.
აგონდება ყველანი ეს მოდავე მხარენი,
ვინ ვის წინააღმდეგია, ან ვისი მოწამენი.
მოაგონდა, ოდესაც ის ქუპანში ჩაცმული,
სასამართლოში იყო ყოვლად პატივცემული.
ერთი ხელი ხმალზე და მეორე კი სუფრაზე.
ქრიამულსა შეწყვეტდნენ, იმის რიხიან ხმაზე.
ლოცვა თქვა: „ჩაეძინა დერეფნის კარის ძირსა,
ლიტვისა სასამართლოს, უკანასკნელსა გზირსა".

წყნარ ლიტვაში ცხოვრება ამგვარად გადიოდა,
დანარჩენ მსოფლიოს კი ალმური ასდიოდა.
სისხლის ცრემლში ახრჩობდა ყველას ომისა ღმერთი,
ზარბაზნებით, ჯარებით, მან შექმნა ჯოჯოხეთი.
და ოქროს არწივებმა, ვერცხლისას მისცეს ხელი.
ლიბიიდან ალპამდე, იყო ბრძოლისა ველი
ჯერ მეხივით დაეცა იგი პირამიდებსა,
მარენგოს, ულმს, აუსტერლიცს და მათ მედგარ გმირებსა.
მის ჯარს წინ მიუძღოდნენ ბრძოლისა ლეგენდები
და უკვდავი დიდება და საქები სარდლები.
ოდესაც ის მოადგა ნემანისა ნაპირებს,
ვით ფიქალი კლდეს ეცა მოსკოვთან ჯარის ხიშტებს,

დამარცხდა, მიიბრუნა ნაპოლეონმა პირი,
რუსისთვის რომელ იყო, ვითა უემური ჭირი.

ხანდახან ცნობა მოვა როგორც სეტყვა ზეციდან,
ხან პურისა მთხოვეელი მოვიდოდა შორ გზიდან,
ხელ ან ფეხმოკვეთილი იღებდა სამოწყალოს,
ფრთხილი თვალით სინჯავდა მოწყალეს და უწყალოს.
ოდეს დარწმუნდებოდა რუსი ახლო არ არი,
არც ებრაელია, ან კიდევ ფერად ჩაცმული ჯარი,
ამხელდა, ლეგიონში გაიარა ბრძოლები,
დაბრუნდა, მშობელ მიწას რომ მიაბაროს ძვლები.
რადგანაც ხიჩარია, არ უძლს მას მეტი ბრძოლა,
ხმალ — შუბისა ტრიალი და არც თოფისა სროლა.
სუფრაზე მოიწვევდნენ, ირგვლივ ყველა ტიროდა,
ოდესაც ვით ზღაპარსა ამბავსა მოჰყვებოდა.

გენერალი დომბროვსკი იტალიიდან მოდის,
ჩვენი ლეგიონითო და ცრემლები გადმოდის.
მამულიშვილებს აგროვებს ლომბარდიისა ველზე,
კნიაზევიჩი ბრძანებლობს კაპიტოლისა წვერზე,
საჩინოდ გაიმარჯვა ცეზართა მემკვიდრეებზე,
რაც ყოველი აღნიშნეს ფრანგებისა დროშებზე.
იაბლონოვსკი იბრძვის, საცა პილპილი ყვავის,
საცა შაქარს ასხამენ და გაზაფხული ხარის,
საცა სუნნელი ტყეა — ზანგთა ქვეყანას ამხობს,
ხოლო ჩვენსა სამშობლოს, იგი დასტირის — ნაღვლობს.

მოხუცისა ცნობები ჩუმადა ვრცელდებოდა,
ვაჟი ვინმე მსმენელი, გადაიკარგებოდა,
ბურან ტყეში დიდ ხევებს ამოეფარებოდა,
თუ მოსკალი დაედევნა, ნემანშიც კი ხტებოდა.
გაღმა ნაპირს გასცურა, აქ საშიში აღარ არს
და თავისიანები მიეგებნენ მეგობარს,
ერთხელ კიდევ მოასწრო წყალში გადახტომამდის,
მოსკალისთვის შეეძახა: მივდივარო ნახვამდის.
ამგვარად გადიხვეწენ გურეცკი, ობუხოვიჩი,
პაცი, პიოტროვსკი, რუჟიცკი და მათთან იანოვიჩი,
მეჟეევსკი, ბროხოცკი და სხვა კიდეც მრავალი,
კუპცი, გედიმინი მოძმეთურთ ძნელია დასათვალი.
და ტოვებდნენ მშობლებსა, მიწა-წყალს, ვის რა ჰქონდა,
ხოლო რაც რომ დატოვეს, მეფის მთაერობას გაჰქონდა.

ხან კიდევ ბერი ვინმე უცხო მონასტრიდანა,
მოვიდოდა მამულში და ანაფორიდანა,

გაზეთს ამოიღებდა საცა იყო ხსენება,
ჯარის რიცხვის და მათი ბრძოლებში გამარჯვება.
ლეგიონის გმირების სახელები და გვარი.
ან კიდევ ვინ სად მოკლეს, სად უთხარეს სამარი.
უცდიან და არა აქვთ მშობელთ შვილთაგან ცნობა,
ცოცხალია თუ მოკლეს, თუ იჩინა გმირობა!
ოჯახი მგლოვიარობს და ფლასში გაეხვია,
ვისზე არის ძაძები, ვერ გაემჟღავნებია.
მეზობელთ კი იცოდნენ თუ ვის დასტირიან,
ან ვისზედა ცნობებით ოჯახში იხარიან.
ამგვარ იდუმალ ბერად, რობაკიცა ყოფილა.
მსაჯულთან საბაასოდ, მან ყველა მოიცილა,
ასეთი ბაასის შემდეგ, მოტანილი ამბები,
სოფლადა ვრცელდებოდა როგორც ზღვისა ტალღები.
მუდმივ ანაფორაში ის თურმე როდი დადის,
ანდა მისი ცხოვრება, საკანშიც არ გადის.
მარჯვნივ, საფეთქლის ზევით, გაჩეხილი აქვს თავი,
ერთი ხელისა დებით კი იყო ნაზომავი.
დამბაჩითა ან ხმალით ჭრილობაცა აქვს ყბაში,
მგონია, არ დაიჭრა ლოცვანისა კითხვაში.
ცქერა და ჭრილობებიც მკაცრი აქვს და გმირული,
მიხვრა-მოხვრას და ხმასაც, ბეჭედი აქვს მხედრული.

წირვისა დროს ტრაპეზში ის აპყრობილი ხელითა,
რომ მობრუნდა, მრევლს უთხრა „მშვიდობაო ყოველთა",
ისე შემოტრიალდა რაღაც, „არამღვდელურად",
თითქოს ბრძანებისათვის ჯარისადმი მხედრულად.
ლოცვის სიტყვებს ისეთი რიხით ამბობდა ბერი,
ცხენოსან ასეულის წინ ვითა ლაზიერი.
მრევლმა ეს შეამჩნია. (ვინც აქ იყო საყდარში).
კარგადაც გარკვეული იყო პოლიტიკაში,
ვიდრე სახარებასა და წმინდანთ ცხოვრებაში,
ღამეს ხშირად ათევდა შორ სამაზრო ქალაქში.
საიდუმლო წერილებს ის ხშირად ღებულობდა,
ხოლო უცხო პირებთან, აროდეს კითხულობდა.
შიკრიკებს აგზავნიდა, არვინ იცის საითა,
თვითონ იპარებოდა არაერთხელ ღამითა.
თუ ვინმე სჭირდებოდა, არვის უნდოდა ძებნა,
ახლომახლო სოფლებში ბილიკები გატკეპნა.
სოფლის სამიკიტნოშიც ის ხშირად ქადაგებდა
უცხო მხარეთ შესახებ, თუ სადმე რამ ხდებოდა,
ეხლა მიდის, მძინარე გააღვიძოს მსაჯული,
ახალი რამ ცნობა აქვს მას მომარაგებული.

# წიგნი მეორე

## კოშკში

### შინაარსი

მწევრებით ნადირობა
სტუმარი კოშკში
სასახლის უკანასკნელი მსახური მოგვითხრობს
უკანასკნელ ჰორეშკოს ამბავს
ბალში თეალის გადაველება
ასული კიტრებში
საუზმე
ტელიმენას მოთხრობა პეტერბურგზე
ახალი დავა მწევრებზე
რობაკის შუამავლობა
ეოისკის სიტყვა
სანაძლეო
სოკოობა!

ვის არ გვახსოვს ძველი დრო — ჩვენი ახალგაზრდობა?
თოფით მხარზე, რიქრაკზე გვიყვარდა ნადირობა.
ღობე, თხრილი, მესერი დაბრკოლება არ იყო,
მდინარესაც გაცურავ გაღმა რომ გაირიყო.
ლიტვაში მონადირე — ვითა ზღვაში ხომალდი,
რა მხარეზედაც გინდა, იმ მხარეზე მიბრძანდი.
ცას შესცქერი სად ასდის განთიადისა ალი,
ცაზე ბევრ რამეს ამჩნევს მონადირისა თვალი.
ანდა ვით ჯანსაღი მიწას ესაუბრები,
ვითომც მიწა ბაასობს და ვითომც აქვს ყურები.

იქ შაშვმა დაისტვინა, დანახვა კი ძნელია,
შამბებში მიიმალა, შეძვრა როგორც გველია,
ღრმა ცაში აჭიკჭიკდა გაზაფხულისა ზარი,
ვერ ხედავ, მაგრამ იცნობ, რომ ეს ტოროლა არი.
ხან არწივი მოშხუის — ცას გააკრა ფრთებია,
მსხვერპლს ეძებს ასაუზმოს თავისი ბახლებია.
ქორიც ცაზე გაეკრა; ისეა განაბული,
არ ერყევა არცა ფრთა და არც ერთი ბუმბული,
მაგრამ თუ დაინახა ჩიტი ანდა ბაჭია,
დაეცემა ვით მეხი, რომ ჩაარჭოს კლანჭია
ოდეს ღმერთი გვაღირსებს ჩვენ შინა დაებრუნდებით

მამა-პაპათა მამულს ისევ ჩავუსახლდებით,
მსურს ვიყო ცხენოსანი, კურდღელსა ვსდიო ველზე,
ან ფეხოსნად, რომ თოფი მე ვატარო ფრინველზე.
ნამგლის მეტი არ მინდა რკინა არავითარი.
გაზეთიც არ ვიცოდე, მხოლოდ სახლის დავთარი.

მზის სხივებმა გაფანტეს ღამისა სქელი ნისლი,
სოპლიცოვს სახურავზე თეთრად აორთქლდა ისლი.
სხივი ჭუჭრუტანაში გრძელ ბროლად დაებჯინა,
სად ყმაწვილთ ჯგუფს თივაზე დილით ღრმად ჩაეძინა.
მძინარეთა ტუჩებზე მზის სხივმა გადირბინა,
თითქოს სურდა ყველანი გამოეღვიძებინა.
მზე ჩაეკონა მიწას და ყანას უცვლის ფერსა,
ვით ეთერი განთიადს ყმაწვილს, თვის საყვარელსა.
ბეღურები დამსხდარან კარს ზევით საბძელზედა,
საქათმიდან გავიდნენ ფრინველები ველზედა.
კომბალით მწყემსი მიდის, აზმორებს და ამთქნარებს,
საძოვრად ერეკება ფარას, ძროხებს და ხარებს.

ყველას გამოეღვიძა, დაიბანა პირ-ხელი,
თადეოზს კიდევ სძინავს, გვიან დაწვა წუხელი.
ძლიერ გვიან დაბრუნდა, ჩამოჯდა ზღვის პირზე,
და ძლივს თვალი დახუჭა პირველ მამლის ყივილზე.
ჩაეძინა როგორც დათვს საზამთროდ ბუნაგშია,
გაალვიძა ნიავმა, რომ დაჰბერა თმაშია.
ამ დროს საბძლის კარები მოიფელა ჭრიალით
და მღვდელი შემოვიდა ხელში თოკის ტრიალით.
„Surge, puer!" დაჰყვირა ვითომ ცემას აპირებს,
და ხუმრობა დაუწყო იქ შეკრებილ ყმაწვილებს.

მარქაფა ეტლთა რიგი ეზოში გამოვიდა,
შეკაზმულ ბედაურებს მეჯინიბე უძღვიდა,
ოღეს უკვე მზად იყვნენ სანადიროდ სტუმრები,
ბუკმა დაჰკრა, გაუშვეს მწევარ და მეძებრები.
მწევრები წკმუტუნებდნენ, ცქერიან ბედაურებს,
ხან წელსა იზნიქავენ, სმენაში ცქვეტენ ყურებს,
მეძებრები დახტიან, ლაღობენ ხალისობენ,
ალბათ შეჯიბრების წინ ამგვარად ვარჯიშობენ.
ეს ცხადი ნიშანია კარგი ნადირობისა,
პოდკომოჟმა ანიშნა რომ დროა მგზავრობისა,
თუმცა ერთად დაიძრა ბჭეკარისაკენ ყველა,
ოღეს ჭიშკარს გასცილდნენ, რიგი კი გაიწელა.

ასესორი რეენტთან მუსაიფით მიდიან,
თუმცა დიდი ზიზღითა ერთმანეთს უმზირიან
და ისე ბაასობენ როგორც კარგი მოყვრები,
რომ შეეძლოთ, ერთმანეთს შეჭამდნენ როგორც მგლები.
არც ერთს სიტყვა არ უთქვამს რაიმე უხეშარი,
ორთავეს სამბულითა მიჰყავს თვისი მწევარი.
ეტლი ეტლსა მიჰყვება — სხედან მანდილოსნები,
და დაცილებით, მწყობრად, ვაჟები-ცხენოსნები.

ბერნარდინი რობაკი დილის ლოცვას ჩურჩულებს,
ცალი თვალით თადეოზს განუწყვეტლივ უყურებს;
მიიღო მკაცრი სახე და შემდეგ გაუღიმა,
და თითი დაუქნია თადეოზს ბერნარდინმა.
თადეოზი მივიდა მასთან მოწიწებითა,
რაღაცას ანიშნებდა მღვდელი დამუქრებითა.
თადეოზმა მღვდელს სთხოვა ეთქვა თუ მას რა სურდა,
მღვდელმა სიტყვა არ უთხრა და უკან გამობრუნდა.
დაასრულა მან ლოცვა დასახული ჯვარითა,
თადეოზი კი სტუმრებს გაჰყვა ჩორთით ჩქარითა

მონადირეთა ჯგუფი უცებ ველზე შეჩერდა,
ერთ მხარეს მიქცეული, რაღაც საგანსა ცქერდა,
საცა მინდორს ქვა იყო როგორც ნაპრალი კლდისა,
ტუჩებზე თითს იდებდნენ, ნიშნად სრული სიჩუმისა.
წინ მსაჯული გავიდა, ნადირი დაინახა,
მსახურთ ხელით ანიშნა და ბრძანებაც გასძახა.
მათ ეჭირათ მწევრები ხელმოკლეედ სამბულითა.
რეენტი, ასესორი ჩქარობენ ძუნძულითა.
იმათ კი თადეოზმა სირბილით გადაასწრო,
ბიძას გვერდს ამოუდგა და თვალები მიაპყრო.
დიდი ხანია რაც მას, არ უნადირია,
ვერ შენიშნა კურდღელი, რადგან ველზე ქვებია.
აქ თითით დაანახა თადეოზსა მსაჯულმა,
ოდეს ყური აცქვიტა ყურამ შეშინებულმა.
იცოდა საცოდავმა თუ მას რა მოელოდა,
თავის დასაფარავად მიწასა ეკვრებოდა.
მიწას ისე გაეკრა და იყო განაბული,
იფიქრებდი არისო ის მოჯადოებული.
მინდორზე მტვერი ასდის და მას უახლოვდება,
მიმინოც და კუდაც გაშვებას ელოდება.
როს მწევრები გაუშვეს, სამბული დარჩათ ხელში,
ძაღლიც და პატრონიც არ ჩანს კორიანტელში.

ძაღლების მიტევება მოხდა ზუსტად იმ დროსა,
როს გრაფი გამობრძანდა კოშკისა მიდამოსა.
ყველა ლიტველს სმენია ამბავი ჰორეშკოზე,
რომ არსად ის არ მოვა, აროდეს თავის დროზე.
დღესაც ჩასძინებოდა, მსახურთ უჯავრდებოდა,
რომ მონადირეთ უკან უნდა დადევნებოდა.
მის საცმელი ინგლისის ყაიდისა კი არი,
კალთებს მიაფრიალებს, ვით იალქანსა ქარი.
ცხენოსანი მხლებლებიც ხავერდის ქუდებითა,
ფერადი ხალათებით და თეთრი შარვლებითა.
ოდეს მხლებლებს ამგვარად ჰორეშკომ გადააცვა,
წოდებაც მიანიჭა და ქოკეი დაარქვა.

ნავარდით გაიშალა მთელი ჯგუფი ველზედა,
ჰორეშკომ კოშკს შესცქირა, თუმცა იჯდა ცხენზედა,
გააჩერა, გაკვირდა, თვალის არა სჯეროდა,
რომ ასეთი რამ არის კოშკი — პაპათა ოდა.
მზის სხივმა გააშუქა ძველებური შენობა,
ბუმბერაზად გადიქცა კოშკისა მნიშვნელობა;
სახურავი, სხივებში მოქარგულსა წაჰგავდა,
მაღლად, ნისლში ტყორცნილი როგორც გუმბათი ჩანდა
ჩატეხილ ფანჯრის მინას მზემ სხივი გადაამტვრია,
ცისარტყელის ფერები უხვადა მოაფრქვია;
შენობის ბალავერი ნისლში იყო ფარული,
გაბზარული კედლები არ იყო დაბურული.
მონადირეთ ქლივილი აქეთ მოჰქონდა ნიავს,
კედელს დაეჯახა შემდეგ კი ოდა ინთქავს.
კოშკიდან ეს ყიჟინი ეზოში გამოისმის,
გეგონება რომ კოშკში რაღაც ავი სული ზის.

არაჩვეულებრივი, გრაფს ყოველი მოსწონდა,
რომანტიკულიაო ივი ასე ამბობდა.
მართალი ვთქვათ, კი იყო დიდი ახირებული;
ოდეს ტყეში ნადირსა სდევდა გაჭენებული,
ხშირად გაჩერდებოდა, ცას დაუწყებდა ცქერას,
ვით კატა მაღალ ნაძვზე, ცქერის თავისაწერას.
უთოფოდ და უძაღლოდ ტყეში ხეტიალებდა,
დამალულ მხედარივით ღელეში ტრიალებდა,
ხან ცქეროდა ნაკადულს ვითა ყანჩი ლიფსიტებს,
ცარიელ მუცელს მხოლოდ ცქერით ხოლმე რომ იძღებს.
საკვირველი კი იყო მისი ჩვეულებები,
თავში მას აკლიაო ამბობდნენ მეზობლები;

ყველა პატივს კი სცემდა, იცნობდნენ მის წინაპრებს,
თვით იყო ხელგაშლილი, ნუ იტყვით მის სიხარბეს.
მან ცხენი მოაბრუნა, კოშკს დაუპირდაპირა,
და მთავარ შესავალთან მოაჯირსა უმზირდა.
გრაფი კენესით და ხვნეშით კედლებსა შესცქეროდა,
და ქალალდზე ფანქრითა გადახატვა უნდოდა.
გრაფმა კაცი შენიშნა ოდისა მოაჯირზე,
ვილაც იდგა, დალრეჯა ჩანდა იმისა პირზე.
ჩაუქინდრია თავი, ჯიბეში აქვს ხელები,
იფიქრებ, რომ სწადია დათვალოს ირგვლივ ქვები
იცნო, მაგრამ მას სამჯერ უნდა გამოეძახა,
რომ გერვაზის, ეზოში ბატონი დაენახა.
ის იყო აზნაური და მსახური დარბაზის,
და ჰორეშკოთა სახლში ეძახოდნენ გერვაზის,
მაღალი, კარგი ტანის, ულვაში კი ჭაღარა,
და პირი მოწყენილი — დრომ შუბლი დაუღარა.
ძველად, ოხუნჯობითა იგი ცნობილი იყო,
ჰორეშკოთა ბრძოლიდან (საცა დაღუპულიყო),
გერვაზი გარდაიქმნა, დადის მოწყენილია,
და მისთვის არ არსებობს ფსონი არც ქორწილია.
ამ დღიდან სიხალისე მან სრულებით დამარხა,
და ის გაღიმებული აქამდე ვერვინ ნახა.
ჰორეშკოთ ლიბერიას ის მუდმივ ატარებდა,
ოქროს სირმის ნაქარგი რომელსაც ამშვენებდა,
ეხლა დაძველდა ცოტად და ამიტომ გახუნდა,
გერვაზის სხვა საცმელი, არ მოსწონს და არც უნდა.
ამოქარგული ჰქონდა მას ნახევარი ვაცი
ნახევარ ვაცს ეძახდა სოფლად ყოველი კაცი,
შენ ჩემი ბატონიო ზოგი მას ეძახოდა,
რადგანაც მუსაიფში ამა სიტყვებს ხმარობდა.
მელოტ თავზე მრავალი ჭრილობათა კვალია,
გვიჩვენებს რომ მას ხშირად მოხვედრია ხმალია.
იგი მხოლოდ თავისთავს კლუჩნიკსა უწოდებდა
რადგან თანამდებობას ოდესლაც ასრულებდა.
მუდმივ წელზე ეკიდა გასაღებების კონა,
ვერცხლის სირმით შეკრული, არ ამძიმებდა წონა.
კოშკში თუმც სადარაჯოდ არაფერი არ არი,
რადგანაც იკეტება იქ მხოლოდ ორი კარი,
რომელ თვით გაასწორა; დიდი შრომაც დაერთო,
ყოველდღე მათი კეტვით, რომ მას თავი გაერთო.
ორიოდე ოთახში მარტოხელა ცხოვრობდა,
გრაფი ფულსა აძლევდა და პურმარილი ჰქონდა,

ხოლო ძლიერ დარბოდა, თავს გრძნობდა ავადმყოფად,
თუ კოშკისა ობის სუნს არა ჰყნოსავდა ბლომად.

დაინახა გერვაზმა თვის ბატონთ ნათესავი,
ქუდი მოიხადა და მდაბლად დაუკრა თავი.
მოტვლეპილი მელოტი უპრიალებდა შორით,
და დასერილი ჰქონდა უამრავი ჭრილობით.
თავზე ხელი გადისვა, კიდევ მისცა სალამი,
„შენ ხარ ჩემი ბატონი იწყო გულის ვარამი.
გთხოვ, რომ ასეთ წოდებას ნუ ჩამითვლი უზრდელად
იცი, რომ გცემ პატივსა ხოლო მაქვს ჩვეულებად
და ყოველი ჰორეშკო ჩემს ბატონსა ამბობდა,
ცხონებული სტოლნიკიც  ძლიერ ხშირად ხმარობდა.
ეხლა მსურს შეგეკითხოთ: „ნუთუ თქვენ ფულსა ნანობთ,
და ძველ კოშკს და მიწებსა სოპლიცებსა დაუთმობთ?
მე არ მჯერა ეს ხოლო, მთელი მაზრა ხომ ლაყბობს".
გერვაზმა კოშკს ახედა, ჩანდა რომ ძლიერ ნანობს.

მე ვამთავრებ ამ დავას, ბევრია აქ ხარჯები,
ირგვლივ უთანხმოება და დავიდარაბები,
მე მივიღებ პირობებს სასამართლოს მოცემულს,
სოპლიცებთან ზავს დავდებ დიდი ხნიდან დარღვეულს
აქ გერვაზი გაცხარდა მაღლა ასწია თავი,
იყვირა: — „სოპლიცებთან არ იქნებაო ზავი.
ერთი წამით გერვაზი ვითომდა რომ ჩაფიქრდა,
და სიბრაზით საბრალოს ტუჩებიც გაუფითრდა.
სოპლიცა არ იქნება შენ ხარ ჩემი ბატონი".
ჰორეშკოების კოშკის და ბუდისა პატრონი.
თქვენ ხომ არ მეხუმრებით? ცხენიდანა ჩამოხტით.
ეზოს მიმოიხედეთ და კოშკიდანაც შემოდით.
არ იქნება რომ კოშკი სოპლიცებისა გახდეს;
უზანგიც დაუჭირა, ცხენიდან რომ ჩამოხტეს.

კოშკს შევიდნენ. გერვაზი თხრობდა გულში ალითა:
„ამ დარბაზში ბატონი შეკრებულ ამალითა,
ნასადილევს აქ იჯდა თვის ფართო სავარძელში,
ხშირად შუამავლობდა სადაო რამ საქმეში,
ანდა მოგვიყვებოდა ძველ გადასულსა ამბავს.
და რომელის მოსმენით სტუმარი ირთობდა თავს.
ყმაწვილთ ჯგუფი ამა დროს, ხტოდა და თამაშობდა,
ხან ბურთისა გაისროდა და ხან კი ცხენოსნობდა".

დერეფანში შეჩერდა, სურს ყოველი წარმოთქვას,
იმოდენა რიცხვითო, ვერ ნახავთო თქვენ აქ ქვას,
რაც ღვინო შეუსვამთ თუნგებით და ტიკითა,
აზნაურნი ზიდავდნენ სარდაფიდან თოკითა,
მოწვეული სტუმრები მაზრისა ყრილობაზე
ან მხოლოდ საქეიფოდ და ან ნადირობაზე.
ქეიფის დროს აივანს დიდი გუნდი გალობდა,
ან უკრავდა და ამით მსმენელებსაართობდა.
ოდესაც სადღეგრძელო ყველასი შეისმოდა,
სიმღერა — საკრავის ხმა, შორს არეში ისმოდა.
პირველი სადღეგრძელო იყო ჩვენი მეფისა,
მეორე ეგზარხოსის, მესამე დედოფლისა,
შემდეგ აზნაურობის და მთელ პოლონეთისა,
და ამ რიგის დარღვევა არ იყო ერთისა.
შემდეგ სმა გრძელდებოდა გამარჯვების სურვილით,
ერთმანეთს დალოცავდნენ და თავდებოდა დოლით.
ამ დროს იდგნენ ეტლები, მზად იყვნენ მსახურები,
რომ თავიანთ ბინაზე გაემგზავრონ სტუმრები.

რამდენიმე ოთახი სიჩუმით გაიარეს,
და კედელთან მივიდნენ რომლის მარჯვენა მხარეს,
გერვაზი მიაჩერდა. მოაგონდა ამბავი,
რაღაც სასიხარულო, შემდეგ გულშემზარავი.
(ჩაიქნია ხელი, რომ „ყოველივე დამთავრდა"
ადვილი მისახვედრად, თუმც სიტყვას არ ართავდა).
სამწუხარო ფიქრებში იგი იყო გართული,
სარკის დარბაზს შევიდნენ, აიარეს სართული.
ამოგლეჯილ სარკეთა ჩარჩოებიღა დარჩა,
ძველებური დიდება დროთა სვლას ვერ გადარჩა.
აქ შევიდა გერვაზი, თავი დაბლა დახარა,
და ორივე ხელები თვალებზე მიიფარა
მოჩანს იმისი დარდი, სასოწარკვეთილება,
მაგრამ გრაფი გერვაზის ვერაფერს ეკითხება.
მოხუცის ასეთ ქცევამ ჰორეშკო მთლად არია,
ხელი რომ გაუწია, თვალზე ჩანდა ცვარია.
ოდეს მოხუცებულმა ბატონსა ხელი მისცა,
უთხრა „თქვენთანა ზავსა ვერ დააგდებს სოპლიცა.
ჰორეშკოთან სისხლი ჩქეფს ვიცი თქვენსა ძარღვებში,
უახლოეს სტოლნიკის ხარ მის ნათესავებში.
ვიცი რომ გყავდათ კაშტელანის ასული
რომელ ქალბატონისა თქვენ ბრძანდებით დისწული;
მოისმინე ამბავი მთელი შენი გვარისა,
რომელს ეერვინ მოგითხრობს ჩემ გარდა — გერვაზისა

ჩემსა ბატონს — სტოლნიკსა (ღმერთმა ჰყოს ცხონებული)
ერთი ჰყავდა ასული — ანგელოზისა გული,
ქალის სილამაზეს, სიმდიდრეცა დაერთო,
ყოველ ყმაწვილსა სურდა ცოლად იგი შეერთო.
ყმაწვილთა შორის იყო აქ ერთი აზნაური —
სოპლიცა, აბეზარი და რაღაც უცნაური.
მამასახლისს ეძახდნენ ვითომდა ხუმრობითა,
მას კი თავი მოჰქონდა გვარში უფროსობითა.
ალბათ მის თავზე იყო ღვთისა წყევლისა დევა,
მიწაც კი ცოტა ჰქონდა, ორიოდე რამ ქცევა,
ჰქონდა ძველი ხმალი და გრძელი ქერა ულვაში,
ხშირად სტოლნიკის სახლში იყო წვეულებაში.
ოდეს მაზრისა იყო აქ ხოლმე კრებულება,
უმისოდ არ ხდებოდა ჩვენს კოშკში წვეულება,
ხოლო საზღვარს გასცილდა იმისი თავხედობა,
სოპლიცამ მოისურვა სტოლნიკისა სიძობა.
ისე ხშირად სტუმრობდა დაუპატიჟებელი,
თითქოს მთელ აქაობის იგი იყო მფლობელი.
ხოლო ქალის მშობლებმა როს მიზანი გაუგეს,
სადილის დროს სოპლიცას, შავი წვენი დაუდგეს.
ასულსაც კი სოპლიცა თურმე შეყვარებოდა,
მშობლისთვის ვერ ემხილა, მათი მოხათრებოდა.

ეს მოხდა სწორედ მაშინ, კოსტიუშკო როს ომობდა;
ჰორეშკო ჯარსა კრეფდა, რომ მას დახმარებოდა;
ოდეს შეკრება სურდათ ვით მეომართ წესია
მოსკოვის ჯარი ჩვენს კოშკსა, ღამით შემოგვესია.
დრო არ იყო ზარბაზნის საგანგაშო სროლისა
ქვედა კართა ჩაკეტის, ჩაგდების ურდულისა;
შინ სტოლნიკი მეუღლით, მე და ხათუნ ქალია,
ორი დამხმარე ბიჭით — მზარეული — მთვრალია,
მღვდელი, ლაქია, ოთხიც მსახური გამბედავი,
თოფნი ვიღეთ და ვხედავთ, მოსკალნი (გულშემზარავი),

„ურას" გაიძახიან, აივანზე მოდიან,
ათი ვიყავით მსროლელნი ვაჟ და მანდილოსნიან.
ოდეს ბატონი და მე ვესროდით აივნიდან,
მსახურნი მტერს ესროდნენ დაბალი სართულიდან.
ყოველი იყო მწყობრად, არ ვკრთოდით მტრისა ხმაზე,
თოფებისა კონები ეყარა იატაკზე.
ოდეს ერთს გავისროდით, მეორე გამოჰქონდა
მღვდელს გატენილი თოფი, მას შიში არა ჰქონდა;

ქალბატონი ასულით, ქალი, კაცი, მხლებელი,
ვესროდით, რუსთან გვქონდა ცეცხლი განუწყვეტელი
სეტყვასავით გვაყრიდა ჩვენც მოსკალის ჯარი ცეცხლსა,
ხოლო ჩვენც აივნიდან, როდი ვაკლებდით ხელსა!
სამჯერ შემოგვიტიეს, სამჯერ მოაწყდნენ კარსა,
და სამჯერვე სამ სამსა, კართან ტოვებდნენ მკვდარსა.
გაიქცნენ და დამთავრდა ბრძოლა დილის რიჟრაჟზე,
ბატონი მოხარული მისდგა აივნის კარზე,
და თუ სადმე კი მოსკალმა თავი გამოაჩინა,
წამს ესროდა სტოლნიკი, ერთიც არ დააცდინა.
მაშინვე მხედრის ქუდი ველზე დავარდებოდა,
სახლის კუთხიდან დიდხანს ვერვინ გვეპარებოდა.
ბატონმა დაინახა მტერია გაქცეული,
დაედევნა, ეჭირა მას ხმალი პაპეული,
აივნიდან მსახურებს გადასჭყივლა ბრძანება,
„გამომყეო" გერვაზი ეს იყო მისი ნება.
ბჭეკარიდან ვიღაცამ გაისროლა ამადროს,
ტყვიამ გაუპო გული ჩემსა ბატონს საბრალოს.
დავინახე სტოლნიკი რომ მომაკვდავი არი,
ხოლო თითით მიჩვენა შორეული ჭიშკარი.
ვიცანი მე სოპლიცა ულვაშით, ტანადობით,
ვიცანი არამზადა დაქნილი მიხვრა-მოხვრით.
ბატონი დაიღუპა მისი ტყვიით ნასროლი,
დავინახე რომ იდგა ცხელ ლულიანი თოფით.
(წყეულ იყოს). უცქერდი, იდგა გაქვავებული,
ორჯერ ვესროლე ტყვია, ვიყავ აღელვებული,
ორჯერვე დავაცილე თოფი მირონცხებული,
მივიხედე, გათავდა ბატონი ცხონებული".

აქ გერვაზი დადუმდა, სდის ცრემლისა ღვარია,
და თქვა: „ამა დროს მოსკალმა კარი შემოანგრია,
მე სტოლნიკის სიკვდილით თითქოს ცეცხლში ვიწვოდი.
ჩემ ირგვლივ რა ხდებოდა, არაფერი ვიცოდი.
ვხედავ, საშველად მიდის პარაფიანოვიჩი,
მიცკევიჩებით დაბა მთელი ჰორბატოვიჩი
საცა ყოველი კაცი მამაცი, ერთგულია,
და ვის განწყობილებაც სოპლიცებთან მტრულია.

ამგვარად დაიღუპა ეს ბატონი ძლიერი,
კაცი პატიოსანი, მდიდარი და ღვთიური,
მას არ დარჩა მემკვიდრე გვამზე მიეცა ფიცი
მის სისხლის აღებაზე, ხოლო მე კარგად ვიცი,

რომ მას ჰყავდა მსახურნი სიკვდილამდე ერთგული,
ხმალი მის სისხლს შევახე დანადა წოდებული.
(ალბათ გაგიგონიათ ჩემი დანისა ქება,
უმისოდ არ მოხდება ქეიფი და არც კრება).
დავიფიცე, – სოპლიცებს დავამტვერიო კისერზე –
ეს ხმალი და დავდევდი სოფლად, ბარსა და სერზე;
ორი ჩხუბში მოვკალი, ორიც ფარიკაობაში,
რამდენიმე გადავწვი საკუთარ სახლ-ოდაში.
ოდეს რიმშასთან ერთად კორელინს მიედიოდი,
ერთიც მწვადივით შევწვი, მის ბედს არ დავტიროდი.
რამდენს ყური მოვთალე, მათი დათვლა ძნელია,
ერთი დამრჩა სოპლიცა ჯანსაღი და მრთელია.
მკვლელის არის ღვიძლი ძმა და იმისი სისხლისა,
მდიდარია, ბატონი კარგი ოდა-სახლისა,
ჰორეშკოთ კოშკსა სწვდება და მათ მიწასა საზღვრობს,
მსაჯულია, ყოველგან დიდი პატივით ხარობს.
ნუთუ კიდევ აპირებთ ამ კოშკისა დათმობას?
ამით ხომ სრულად წაშლით ჰორეშკოთ მახსოვრობას!
მაგრამ გეტყვით, რომ სანამ დანა შინ მიკიდია,
ბატონის სიყვარულიც ჩემს გულშიც დიდია.
და მე, გერვაზს სანამდე პირში მიდგია სული,
სოპლიცის არ იქნება არც კოშკი, არც მამული".

„დაიკვნესა გრაფმა და ზე ასწია ხელები.
რაღაც გრძნობა მაქვს მეო, მიყვარს ძველი კედლები;
არ ვიცოდიო კოშკის ამბავი ამოდენა,
ეს ზღაპრული მოთხრობა, მრავალი სისხლის დენა.
კოშკს და მამულს სოპლიცას გამოვგლეჯ, გადავარჩენ
და იმის მიუხედავად, გერვაზ! შენ იქ დაგაჯენ.
შენმა ზღაპრულ მოთხრობამ ამაღელვა სავსებით,
აფსუს, ღამით არ მოველთ მოხვეული ნაბდებით,
დავჯდებოდი მთვარის წინ დანგრეულ ყორის ქვებზე,
შენ კი მომიყვებოდი გმირულ საქმეთ მოყვრებზე.
აფსუს! მოთხრობის ნიჭიც დიდი რომ არ გქონია,
მე ასეთი ამბებიც ბევრი გამიგონია.
ინგლისში ოდეს კოშკი, თუ არის ვინმე ლორდის,
მემკვიდრეზე ქონებაც და თქმულებაც გადმოდის
ძველ ფეოდალურ გვარზე და ძველსა შენობაზე,
ხშირად არის მოთხრობა ღალატით მკვლელობაზე,
და ნაშიერს ხშირადაც ღვთის რისხვაც მოელენია,
ხოლო მე სამშობლოში, ასეთი არ მსმენია.
ჰორეშკოს სისხლი რომ ვარ, ჩემთვის არის უღაო,

გვარისადმი მე ვალი შევასრულო უნდაო.
სოპლიცებთან ლაპარაკს ვსწყვეტავ მორიგებაზე,
თუ გინდ საქმეც მიეიდეს დამბაჩაზე ან ხმალზე.
სავსებით შევასრულებ გვარისადმი ჩემს ვალსა,
არ შევარცხვენ წინაპართ ჰორეშკოთა საფლავსა''.
გრაფმა იქით გასწია, სად ცხენი ეგულება,
გერეაზი მიაცილებს, სიტყვას არ ეუბნება,
ხოლო გრაფი თავისთვის ამბობს გულზე მოსული,
„აფსუს! მსაჯულს არ ჰყავსო არც ცოლი, არც ასული,
რომელს შევიყვარებდი, სოპლიცა უარს მეტყოდა,
ამით, განხეთქილება ახლად დაიწყებოდა,
ახლად შურისძიება, ახალი სიყვარული,
გულის მოვალეობა, დავა რომანტიკული''.

ამ ფიქრებში დეზი ჰკრა, ცხენი გაანავარდა,
მონადირეთა ჯგუფი ველზედა გამოვარდა.
გრაფს უყვარს ნადირობა მგელი არის თუ ტურა,
დაავიწყდა ყოველი, ჯგუფისკენ გაეშურა.
ბჭეკარს ნავარდით გასცდა და თხრილზედაც გადახტა,
ლობისკენ მიიხედა — განცვიფრებული დადგა.

იყო ბაღი. ხეხილი დარგულია მწკრივადა.
მისი ჩრდილი ბოსტნისთვის ვითომ არის გრილადა.
კომბოსტო წამომჯდარა მოტვლეპილი თავითა,
თითქოს გულნატკენია ბოსტნის ბედ-იღბალითა.
სტაფილოს გაუშლია თვის ფართო ნაწნავები.
მას შესცქერის ათასი ცერცვის მრგვალი თვალები.
სიმინდს გადუგრეხია ყვითელი ულვაშია.
მის ძირში კი საზამთროს გაუბერავს ფაშია.
გრძელი ყლორტი გასტყორცნა სტუმრად შორსა მხარეში.
საბრალოდ დახლართულა ქონდარსა და შაშკვლავებში.

ქალის დავარცხნილ თმასა ჰგავს ბოსტნისა კვალია.
კვალთა შუა გუშაგად კანაფი მაღალია,
ბოსტნის კიპაროსია და როდი იხრის წელსა,
და თვის ფოთლის სიმყრალით, ის იგერიებს მწერსა.
შხამიანი გველიც კი ვერ მივა იმის ახლოს,
და მუხლუხსაც მოწამლავს პირიც რომ არ შეახოს.
ოღეს ყაყაჩოს უცქერ, გეგონება შორიდან,
რომ მის პარკსა პეპლები შესევიან გარედან.
მათი მრავალფერები, მჩატედ ჰაერს ფრიალი,
გარწმუნებს, ცისარტყელას მოუქარგავს ტიალი.

მზესუმზირა ამშვენებს ბოსტნისა არემარეს,
წააგავს ვარსკვლავთ შორის თხუთმეტი დღისა მთვარეს,
დილით, ამომავალსა მზეს რომ მიესალმება,
საღამომდე შესცქერის – მას არ ჩამოშორდება.

ღობის ძირში მცენარეთ აუყრიათ კვირტები,
აქ კიტრებს დაინახავ თუ რომ დააკვირდები;
მწვანედ, ფართოდ გაშლილან და თავსა იფარავენ,
თვის ფოთლებში ვითომცდა რაღაცას იპარავენ.
ბოსტანს ასული იდგა თეთრ კაბაში ჩაცმული;
სუნნელოვან მწვანილში მუხლებამდე ჩაფლული;
არაბიჯებს, არამედ როგორც გედი მიცურავს
და თითქოს მთელსა ბოსტანს მწვანე საბანსა ხურავს.
ჩალის ქუდით მზისაგან თავი დაუფარია,
თუმც მზის სხივებში ყოფნა, ჩანს ძლიერ უხარია;
ხან ბუჩქებსა გადაშლის, მიწას ცქერს, კისერს იღერს,
იფიქრებ, მწვანე ტბაში მეთევზე თევზსა იჭერს.
ყოველ მხარეს უცქერის და კრეფს ბოსტნეულსა,
ხან კი გასართობად, კალათს დაიბჯენს მუხლსა,
ხანაც გაიღიმება და ჩანს ხელის ქიანი,
ხოლო ყლორტებს და ფოთლებს არა აქვთ მათი ზიანი.
ქალს აქვს ფრთხილი მიმოხვრა და სვლა ფეხაკრეფითა,
გრაფმა რომ დაინახა განცვიფრდა მშვენებითა,
წყნარად დადგა, მოესმა ხმა ცხენების ნავარდის,
ხელით ნიშანი მისცა, აქეთკენ არვინ მოდის.
მოიგრიხა კისერი იქმნა სმენად ქცეული,
ვითა ყანჩი, მძინარე გუნდისა ყარაული,
ოდეს ძლიერ სიფრთხილით სმენაში კისერს სჭიმავს
და რომ არ დაეძინოს, ცალ ფეხში ქვა უჭირავს.

ოდესაც გაოცებით გრაფი ქალს უცქეროდა,
უკან ბერი რობაკი ჩუმად მიპარებოდა;
მხარზე ხელი დაადო, გრაფი გამოარკვია.
და მას უთხრა: „კიტრები თქვენთვის აქ არ აწყვია",
თქვენ აქედგან წაბრძანდით, და შესცქირა ღიმილით
„არ ეკადრის ცხენოსანს თავის მორთვა მწვანილით
შემდეგ თითი უქნია, ვითომ ემუქრებოდა,
გრაფი ყურს არ უგდებდა, ადგილს არ შორდებოდა".
გრაფმა ჯერ გაუღიმა, შემდეგ გაჯავრდა კიდეც,
ბერნარდინი წავიდა, გრაფი ცქერის ბოსტნის კიდეს.
გულცემა შეუჩერდა, თანაც სული განაბა,
დაინახა, ღობეზე გადახტა თეთრი კაბა.

უცქერს როგორ ირყევა მცენარე ლობესთანა,
ალბათ ქალმა შეახო მას კაბა სიფრიფანა.
ყლორტი შეირხა, შესდგა ვით მოჯადოებული,
ვით წყლის დონე, ნავარდში მერცხლის ფრთით შერხეული;
მიატოვა შამბებში კალათი დაგდებული,
თეთრი ტკეჩით ქსოვილი, კიტრებით ავსებული.
ხეხილი დაეფანტა, ჩამოეკიდა ტოტებს,
გრაფი დგას და უცქერის და თვალსა ვერ აშორებს.
ირგვლივ დადგა სიჩუმე ბნელ სამარისებური,
გრაფი ვითომ გაქვავდა შამბებში განაბული.
ის მუდამ ოცნებობდა ვით არ ამა ქვეყნისა,
უკან მხლებელთა ჯგუფი იდგა ცხენოსნებისა.
სახლთან ფუსფუსი არის და გაიღო კარია,
ვით ძველ მუხის ფუტუროს ეხვევა ფუტკარია.
ჩანს დაბრუნდნენ ვინც იყო ყველა ნადირობაზე,
ლაქიები საუზმეს ალაგებენ სუფრაზე.

ყოველ ოთახში არის უწყვეტი მოძრაობა,
მსაჯულს სურს რომ გასწიოს ქებული მასპინძლობა;
კაცები შემოვიდნენ მწვანე ტანსაცმელებში.
სავსე ჭიქით და თეფშით დადიან ოთახებში;
სვამენ, ჭამენ და ჯგუფად იდაყვით ფანჯარაზე,
გააბეს მუსაიფი ძაღლით და ნადირობაზე.
პოდკომორჟი მსაჯულთან ერთად სხედან კუთხეში,
ქალები ჩურჩულებენ თავ-თავიანთ ჯგუფებში.
ჩვეულებრივი წესი სუფრისა კი არ იყო,
სტუმარ და მასპინძელი ჯგუფებად რომ დაიყო.
საუზმის დროს მსაჯული თუმცა ნებას აძლევდა
ამგვარ უწესობას, ხოლო როდი აქებდა.

სასმელ-საჭმელი არის ყველასათვის სხვადასხვა.
ქალებისათვის დილით, საუზმედ არის ყავა;
თუნუქისა ჭურჭელი — ნახატ ყვავილოვანი.
და ახლოს ოხშივარი სასმელს სუნნელოვანი
საქსონის ფაიფური და ოქროს ფინჯანები
ყოველ ფინჯანს უდგია ჭიქა სავსე ნაღები.
ასეთ ყავას ვერ ნახავ პოლონეთს გარდა ვერსად,
ძველებურსა ოჯახში, ეს არის ხოლმე წესად.
ყავას ერთი აკეთებს, ერთი არის მსახური,
კარგ ხარისხსა დაეძებს, ყავაზე აქვს თვალყური.
ეს არის ხეაშიადი და ვერავინ გაიგებს,
საიდუმლოს ყავისას საიქიოს წაიღებს.

შავია ვით გიშერი, ფაიფურში კრიალებს,
სქელია როგორც თაფლი, ყნოსვას აღიზიანებს.
ვიცით ყველამ რა არის ნაღები ყავისათვის,
სოფლად ძნელი როდია შოვნა მეყავისათვის.
დილით ადრე მიირბენს საცა ძროხებს სწველიან
და მზადა აქვს ნაღები, როს საუზმეს ელიან.
ყავიან ყოველ ფინჯანს სარძევე საკუთარი,
უნდა ახლდეს ნაღებით სავსე და განუყარი.

ქალებმა დილის ყავით საუზმე დაამთავრეს,
ნაღებიან ცხელ ლუდში ყველის ნაჭრები ჩადეს;
თუმც მანდილოსანთათვის არს ასეთი სასმელი,
მართალი მოგახსენოთ, არის კი სანატრელი.

ვაჟთათვის სუფრა იყო სავსე შაშხით, ძეხვითა,
ხბოს ბეჭით, ინდაურით და შემწვარი იხვითა,
რაც შინაური წესით იყო მომზადებული,
რითაც მსაჯულის სახლი ყველგან იყო ქებული.
შემდეგ, სტუმართ მიართვეს ხორცეული შემწვარი,
სოპლიცოვში ასეთი საუზმე ხოლმე არი.
ორ ოთახში ორ ჯგუფად გაყოფილან სტუმრები,
კუთხეში დიდ სუფრასთან არიან უფროსები,
მუსაიფი გააბეს დღევანდელ ცხოვრებაზე,
ჭირნახულზე, ბაჟებზე და მეფის ბრძანებაზე
პოდკომოჟი კი მხოლოდ ომზე ნასმენს ჰყვებოდა
პოლიტიკურ საკითხში როდი იხლართებოდა,
ვოისკის ასული კი გართულია ცელქობით,
ცხვირზე ლურჯი სათვალით, ქალთა მარჩიელობით.
ყმაწვილების ბაასი არის ნადირობაზე,
სროლაზე, სიმარდეზე და კარგ ცხენოსნობაზე.
ასესორი, რეენტი — კარგად მოლაპარაკე.
მდურნი სხედან, უსიტყვოდ და ვითომდა ცალ-ცალკე
რადგან ორთავე იყო მასში დარწმუნებული,
რომ იმისი მწევარი კურდღელს დადევნებული,
დაიჭერს, ხოლო სადაც ვაკეა მინდორ-ველი,
მაგრამ, რადგან აქა-იქ პურია მოუმკელი,
ვერავინ დაინახა კურდღლელისა დაჭერა,
რადგან პურთან მსაჯულმა ყველანი შეაჩერა.
ვის ძაღლმა დაიჭირა, ეს არავინ არ იცის,
მწევრები დაბრუნდნენ და კურდღელი იქნებ იქ ზის?
ანდა იქნებ შეჭამეს? რომელია საჩინო?
ძნელია ეს განსაჯო კუდაა თუ მიმინო.

რომელ ძაღლს რომელი სჯობს არის გაურკვეველი,
ხოლო დავა აქამდე არის განურჩეველი.

ვოისკი დასეირნობს ოთახიდან ოთახში,
და ვიღაცას დაეძებს ამოდენა ოდაში.
არ ერევა არავის მუსაიფს და ბაასში,
ჩანს რაღაც აზრი აქვს ახალი ალბათ თავში.
ხან ერთ ადგილს ჩერდება და სტუმარსა გასთვალავს,
ხან მიადგება კედელს და ტყავითა ბუზებს ჰკლავს.

თადეოზი, ტელიმენა, ერთად დგანან კარშია,
ყურს არავის უგდებენ, გართულნი ბაასშია.
სტუმართა და მათ შორის მანძილია პატარა,
ამიტომ ჩურჩულებენ, სხვისთ არ ესმით არარა.
ტელიმენამ უთხრა, რომ მისი ბიცოლა არი,
(ყვავი ჩხიკვის მამიდა). ამასთანაც მდიდარი,
და თუმც არის ბიცოლა, როდია დაფარული,
რომ კანონით მათ შორის არაა აკრძალული....
მსაჯული დას უწოდებს მიუხედავად მისა,
და-ძმანი არ არიან და ხნით განსხვავებისა.
ოდესაც ტელიმენა პეტერბურგში ცხოვრობდა,
სხვადასხვა საქმეებში მსაჯულს ეხმარებოდა.
ტელიმენას სოპლიცა კარგადაც აფასებდა,
და ამიტომ მსაჯული ქალს დასა უწოდებდა.
მსაჯულთან სიახლოვე ტელიმენას მოსწონდა.
თადეოზს გულახდილად იდუმლად უამბობდა.
ბევრი თქვეს და ერთმანეთს ჩაუხედეს გულშია,
ყოველივე ეს მოხდა რამდენიმე წუთშია.
ნაწყენი ასესორი რეენტს ეუბნებოდა,
„ვიცოდი ნადირობა კარგი არ იქნებოდა,
რადგან ყველგან არ არის მომკული მთელი ველი.
გლეხთა პური აქა-იქ ჯერ არის მოუმკელი,
და ბევრი რამ მცენარე კიდევ არის ღეროზე,
მიტომ გრაფიც არ იყო ჩვენსა ნადირობაზე.
გრაფს ესმის ნადირობა, არც აკლია მხნეობა,
უცხო მხარეშიც იყო, გვამცნო მათი ზნეობა.
სხვა მხარეს ყოველ ნადირს დრო აქვსო დანიშნული,
არ იქნება აროდეს ნადირიო მოკლული.
ოდეს იგი მაკეა ან ოდეს თმასა იცვლის,
ჩვენში ასეთ მოვლენას კაცი ხომ ვერ დაითვლის?
სხვის მიწაზე ვნადირობთ და ჯეჯილსაც ვუთელავთ,
და ამას ჩვენ ჩავდივართ პატრონის უკითხველად.

გაზაფხულს თუ ზაფხულზე დავთარეშობთ ტყე და ველს.
ველეტავთ მელას, კურდღელსა, ირემსა და მწოვარ შველს.
ანდა მაკე ღორისა დევნა მოგვწონს ცხენ და ცხენ,
არ გვაქვს სინდისის ქენჯნა, როს ძაღლები გლეჯავენ.
ამაზე გრაფი ჯავრობს, ეს მოვლენა აწუხებს,
ცივილიზაციაო მეტი ჰქონიათ მოსკალებს.
ნადირობის კანონი მეფისგან დადებული,
დამნაშავეს მკაცრად სჯის, ნადირია დაცული".

ტელიმენა ამ ბაასს წყნარად ყურსა უგდებდა,
თივთიკის ცხვირსახოცით გულმკერდსა იგრილებდა,
და თქვა: „დედას ვფიცავარ, გრაფი არის მართალი,
რუსეთს ვიცნობ და ვიცი იმათი სამართალი
და რამდენჯერმე მითქვამს, რუსეთს ბევრი რამ არი,
სიმკაცრის და მათრახის გარდა თვალსაჩინარი.
პეტერბურგში ვყოფილვარ ხშირად ჩემს ცხოვრებაში.
და ქალაქის გეგმაც მაქვს მაგიდისა უჯრაში.
მოგონებებიცა მაქვს ბევრი რამე კარგისა,
ხელოვნების, მხატვრობის და მრავალ სხვა დარგისა".

ზაფხულში, იქ მცხოვრები, თავს დაჩასა ახიზნავს.
(დაჩა რამ არ გეგონოთ, მხოლოდ სოფელსა ნიშნავს).
მდინარე ნევის პირზე მე მქონდა კარგი ბინა,
ვერთობოდი და ხშირად არც კი ვიყავი შინა.
აროდეს წაიშლება ეს დრო ჩემსა ხსოვნაში,
აგარაკისა გეგმაც მაქვს მაგიდის უჯრაში.
მაგრამ, საუბედუროდ ჩემ გვერდით მეზობელმა,
სახლი მიაქირავა მოხელესა, რომელმა
ძაღლებიც მოიყვანა, მას დაუდგეს თვალები,
ყველამ იცის თუ რაა მეზობლისას ძაღლები.
რამდენჯერ გამოვედი მე ბაღში წიგნებითა,
მსურდა იქ მოსვენება მთვარეზე განცხრომითა,
იმ წამშივე ძაღლები ჩემთანა მოირბენდნენ,
განუწყვეტლივ დახტოდნენ, კუდის ქნევითა ყეფდნენ.
ხშირად კი მეშინოდა, გული მეუბნებოდა,
უბედური შემთხვევა რომ რაღაც მოხდებოდა.
და ოდესაც მე დილით ერთხელ ბარს გამოვედი,
ჩემს თვალწინ გაგლიჯეს ჩემივე საყვარელი —
პაწაწინა ფინია — ჩემთვის დაუვიწყარი,
თავად სუკინისაგან ის იყო ნაჩუქარი.
ეს ფინია მუდმივ მყავს ჩემსა მახსოვრობაში,
იმის სურათიცა მაქვს დღევანდლამდე უჯრაში.

ფინია დავინახე გაგლეჯილი, საწყალი,
მე გული შემიღონდა, დღესაც მაქვს ფანცქალი;
და იქნება იქვე დამელია მე სული,
იღბლად, კირილ გავრილიჩ სტუმრად იყო მოსული,
გვარად კოზოდუსინი – მოხელე სასახლისა;
მიზეზი გამომკითხა გულისა ფანცქალისა,
უბრძანა მოეყვანათ პატრონი ძაღლებისა,
მოჰგვარეს, ძლივსღა იდგა კანკალით მუხლებისა.
კირილემ დაუყვირა: „არისო თავხედობა,
მეფისა ცხეირწინ გიწყია ნადირობა".
საცოდავი მოხელე კირილეს ეუბნება,
რომ უსაფუძვლო არის მათი უთანხმოება;
და ნადირობის აზრი არც კი მოსვლია თავში,
ერთი თვით ჩამოვიდა დაჩას შეებულებაში.
და ძაღლებისა მსხვერპლი ნადირი ნუ ჰგონია,
მხოლოდ, იმათ გაგლიჯეს პაწაწინა ფინია.
კირილემ დაუყვირა: „როგორ ბედავ ამასა"?
მე მასწავლი შენ ეხლა ნადირთ გამოცნობასა?
ეგერმაისტერი ვარ მეფის სასახლისა
და ვიცი განსხვავება მელის, კეერნის ძაღლისა.
ბოქაულს დაუძახეს, ოქმი დააწერინა,
ბოქაულმა მოხელეს, ხელი მოაწერინა.
კოზოდუსინი ამბობს, რომ ნადირთ მცნობელია,
და ძაღლებმა გაგლიჯეს ერთი მაკე მელია.
ბოქაული მოხელეს ურჩევდა მეგობრულად,
კოზოდუსინისათვის მართალი ეთქვა ჩუმად,
რომ იგი ნადირობდა. ამით იგი დალბილდა
და მეფესთან შუამდგომლად დადგომაც კი დაჰპირდა.
საქმე იმით დამთავრდა, რომ ძაღლები დააბეს
და მოხელე ერთი თვით ნაობახშიაც ჩასვეს.
მთელი საღამო ძაღლზე ბაასობს ტელიმენა
და ყველას აცინებდა ამ ამბის მოსმენა.
ვიცი მეო, ამბობდა, მეფესაც უცინია,
და ამითი განითქვა პაწაწინა ფინია.

დიდი სიცილი იყო ამ ორთავე ოთახსა.
ბანქოს ეთამაშება მსაჯული მღვდელს – რობაკსა.
ხარხარით დაქანცული ძლივად სულსა ღაფავენ,
და დრო გამოშვებითა, წითელ ღვინოსა სვამენ.
რობაკმა გადმოაგდო ჯვარისა ორიანი,
მსაჯულმა დააფარა ასეთივე რეიანი,
ხოლო ოდეს სოპლიცამ ჯვრის ქალი წინ დაიდო,

ბერმა ყვავის დედოფლით თავისაკენ გადიდო.
მსაჯულმა გაიცინა, გადახედა სტუმრებსა,
თქვა: „არ მომწონს წესიო როგორიც აქვთ მოსკალებს.
დეე, იდაონ მელაზე, დაიჭირონ ძაღლები,
რომელთაც გადათელეს მეზობლისა ბაღები;
ჩვენა გვაქვს კარგი წესი და ჩვეულება ძველი,
ლიტვაში ყველას ყოფნის სანადიროდ ტყე-ველი.
ჩვენ ვნადირობთ, ჩვენთავე არიან მეზობლები,
სხვებმა თავს იხალონ თავიანთიი ოქმები.
ღვთაებამ ბლომად მოგვცა პური, ყველა თავს ირჩენს,
ძაღლი რას დაგითელავს ოდეს ველს გადაირბენს?!
გლეხთ ველზე ნადირობა არს ჩემგან აკრძალული".

მოურავეი წამოდგა, უნდა ვთქვაო ნახული,
„ბევრ ფულს იხდით ბატონო თქვენ ასეთსა ნადირში,
ოდეს ძაღლი შეირბენს სადმე გლეხის მწვანილში;
მწიფე პურში მწევარი ათს თავთავსა დაბერტყავს.
თქვენ კონებით აუზღავთ, გლეხი ამასა ხედავს.
ამას კიდევ ოქროსა ტალარსა დაუმატებთ,
ამით ყველას მათ გულსა, ხშირადა გაუხარებთ,
ყველა გლეხი ნატრობს და იმის მლოცველი არი,
რომ მის პურში შეიჭრას სოპლიცების მწევარი".
აღარავის არ ესმის სიტყვა მოურავისა,
ირგვლივ ყველა კამათობს და ხმა ისმის დავისა.

დაივიწყა თადეოზი და ტელიმენა ყველამ,
ამითი გაიხარა მეტადრე ტელიმენამ:
მოთხრობამ გააცინა სტუმარ და შინაური,
თადეოზმა მიუძღვნა ქალსა ქათინაური.
ტელიმენა ჩურჩულებს, თადეოზს კი არ ესმის,
თავი თავთან დახარა, თმები ნაწნავსა ესმის;
საერთო მუსაიფში აღარა ერევიან,
ვნებიანი თვალებით ერთმანეთს შესცქერიან.
ტელიმენა დადუმდა, ნესტო გაუფართოვდა,
გაიგო თადეოზმა ქალი ღრმად რად სუნთქავდა

მათ ცხვირთ შორის გაფრინდა დიდი ბუზი შავია,
ვოისკმა დაუქნია მოსაკლავად ტყავია.

ლიტვაში მრავალია შავი ბუზების ჯიში
ერთი კი განსხვავდება მათ ამოდენა რიგში,
ბუზთ თავადს ეძახიან და განირჩევა იმით,
რომ მკერდი აქვს ძლიერი და მუცლისა სიდიდით,

თავს გაბეზრებს ოდესაც დაბზუის და დაფრინავს.
და თუ რომ დაეტაკა, ობობას ქსელს გაგლიჯავს.
ანდა სამს დღესა იბრძვის, ბზუის, არ დანებდება,
ობობასა, სანამ ის მთლად არ დაიქანცება.
ვოისკმა თქვა, რომ იცის თავად ბუზთა ცხოვრება,
და ასეთი წარმოთქვა ყველას წინ დებულება;
რომ იმათ წარმოშვესო ყველა ჯიშის ბუზები,
თვითვე დარწმუნდებიო თუ რომ დაუკვირდები.
ამბობდა: „თუ ამოვყლეტთ ბუზებისა თავადებს,
ვეღარ ნახავთ თქვენ ქვეყნად სხვა რამ ჯიშისა ბუზებს".
თუმც არავის სჯეროდა ვოისკისა მტკიცება,
ამგვარი იყო მისი ბუზთან განწყობილება.
რადგან ტყავით ვოისკმა ბუზები ვერ დააფრთხო,
თავად ბუზმა თავხედად მის ცხვირს ფრთაც კი შეახო,
ბუზს ტყავი დაუქნია ორჯერ და დააცდინა,
მესამედ — ჩაამტვრია ფანჯრის დიდი მინა.
ბუზს თავბრუ დაეხვია ამოდენა დევნითა,
გაქანდა თავს უშველოს ალმაცერა ფრენითა,
თადეოზი პირისპირ ქალთან ახლო მდგომარი,
ბუზს ვერ ცქეროდა და მწერი იყო შეუმჩნევარი;
ბუზის ცქერით არ შეკრთა სრულებით ტელიმენა,
ხოლო ბუზს უკან მოსდევს ტყავიანი მარჯვენა.
როგორც მუხის ფუტურო მეხითა გახლეჩილი,
ორი თავი გაიყო უმალ კი შეჯეხილი.
ისე ანაზდად იყო მათი შეხლა და მალი,
შემდეგ ორთავეს შუბლზე ჩანდა ლურჯი კოპალი.

ვერავინ ვერ შენიშნა მათი უხერხულობა.
რადგან ოთახში იყო სტუმართ არეულობა,
და ისე გაითქვიფა ყველანი ერთმანეთში,
როგორც მონადირენი, მელის მდევარნი ტყეში.
მელას დაივიწყებენ და ისმის ხმა ძახისა,
როს უეცრად ნახავენ ბუნაგსა დიდ ტახისა,
და ყოველი მცენარე ვითომ მათ ეხმარება
და ტყის გამოძახილი ჟრიამულს ემატება.
მუსაიფიც ასეა დასაწყისისა ჟამსა,
წყნარი, ხოლო უეცრად წააწყდებიან ტახსა,
მუსაიფისა ტახი აქ ერთი რამე არი,
ვიცით რომ მიმინოა და უკუდო მწევარი.
ასესორმა და რეენტმა რამოდენიმე წამში,
ერთმანეთი გასვარეს ვითა ღორი ტალახში,
და იქამდე მივიდა იმათი გაჯავრება,

მუშტებით მოინდომა ორთავემ გალაშქრება.

სტუმრებმა გაიწიეს მათკენ ვით ზღვისა ტალღა,
ტელიმენა კარში დგას ვით ტბის ნაპირზე ღალღა,
თადეოზი მასთანვე იყო გვერდით მიკრული,
წალეკეს ორთავენი, არვისგან შემჩნეული.

სანამ გამოერკვივნენ და მათ თმა გაისწორეს,
სიწყნარე ჩამოეარდა ორთავ მოჩხუბარ მხარეს;
აქა-იქ იცინოდნენ და ისმოდა ჩურჩული,
რობაკმა დააწყნარა ეს დავა უკადრული.
ბერი იყო მოხუცი, ხოლო მხარ-ბეჭიანი;
ოდესაც მოჩხუბარნი აწეულ მუჭიანი,
ერთმანეთზე იწევდნენ ვით მებურთე ლელოში,
კალმასმა ხელი სტაცა ორთავეს საყელოში,
და იმათი თავები ერთმანეთს შეახალა,
კრივზე რომ მისულიყვნენ, იმათ როდი აცალა.
ასწია ორთაეენი და გასტყორცნა ორ მხარეს,
ბერის ასეთი ქცევით სტუმრებმა გაიხარეს.
ერთი წუთით შესდგა და შებღვირა იქ მდგომელთა,
„Pax, pax, pax vobiscum! შესძახა, მშვიდობაო ყოველთა!".

გაკვირდნენ, იცინიან ყველანი ვინცა მზირსა,
ხოლო პატივი უნდა სასულიერო პირსა,
მიტომ ვერვინ გაბედა რომ კრინტი ამოეღო
და ამგვარად ამ დავას, აქ დღეს ბოლო მოეღო.
დააწყნარა რობაკმა ეს ლანძღვა და დაობა,
მას სრულებით არ სურდა აქა ფალავანობა,
აღარც ემუქრებოდა ის მოჩხუბართა პირებს,
და არც მწევრების მომხრეთ წაქეზებას აპირებს.

ოთახიდან გავიდა წყნარად დერეფანშია.
(დახეთ ეხლა რა მოხდა ამ პატარა ხანშია).
მოღავეთ შუა იჯდა პოდკომოჟთან მსაჯული,
ვოისკიც მოდის ვითომ ახლად გაღვიძებული,
რაღაც ცუდი ფიქრებით იყო აღელვებული
და თუ კიდევ ესმოდა სადმე ვისმეს ჩურჩული.
მკაცრი თვალით შესცქეროდა და ხელისა აწევით,
აწყნარებდა, ჯავრობდა მათისა ყოფაქცევით.
ხელს ეჭირა ბუზების მოსაკლავი ტყავია,
მერწმუნეთ, სასაცილო იყო სანახავია.

„დაწყნარდით ბატონებო" და „ნუ ყვირით დარბაზში,
პირველ მონადირებად ითვლებით ჩვენს მაზრაში,
თქვენსა უთანხმოებას არ იცით რა მოჰყვება?
ყმაწვილი ამის მცქერი, მერწმუნეთ გაირყვნება.
ჩვენი მომავალი კი მათზე დაყრდნობილია,
და ახალი თაობა მოდით გართობილია.
ნადირობა ისედაც არ მოსწონს, არ დაგიდევს,
მომავალში ამ ადათს ალბათ მთლად დაივიწყებს.
ეს საკითხი იცოდეთ როდი არის მარტივი,
გთხოვთ ჩემს ჭალარისადმი იქონიეთ პატივი.
ვიცნობდი მონადირეთ თქვენზე უკეთესებსა,
და მათ. ვასამართლებდი ვითა მამა შვილებსა
მითხართ ვინ შეედრება ლიტვაში რეიტანსა?
დათვზე ტყეში ხელდახელ იერიშის მიმტანსა?
ბიალოპეტროვიჩისა მეტოქე მაშ ვინ არის?
და ქეგოტას სროლაში აბა ვინ დაედარის?
გაქცეულ კურდღელს ტყვიით დამბაჩითა მოკლავდა,
ტერაევიჩს ვიცნობდი, ტახს დანით გაუმკლავდა.
სანადიროდ შუბის მეტს იარაღს არ ხმარობდა,
ბუდრევიჩი ხელდახელ ყოველ ნადირს ებრძოდა.
ჩვენთვის სანატრელია ეს წარსული დროება,
მაგრამ, მათშიც ხანდახან იყო უთანხმოება.
ჩხუბი მე არ მინახავს, არვინ ილანძღებოდა,
სანაძლეოს მსაჯული წამსვე ინიშნებოდა.
ოგინსკის ტყე ორასი ქცევა დაუჯდა მგელი,
ნესიოლოვსკის კი მაჩვი – სამიოდე სოფელი.
ბატონებო! მიჰყევით თქვენ იმათ მაგალითსა,
სანაძლეოს ნუ დადებთ შეუძლებელს და ძვირსა;
სიტყვით, დავას აროდეს ბოლო არ მოეღება,
და კურდღელზე დაობა, ისევე გაგრძელდება.
მსაჯულნი აირჩიეთ – წესია ვაჟაცური,
და იმათ განაჩენსა დაუკარით დასტური.
სოპლიცას კი მე მოვთხოვ, რომ მან ჩვენ მოგვცეს ნება,
ჯეჯილში მივყვეთ ნადირს, თუმცა გაითელება.
ასეთ საქმეს დალოცავს ხომ თვით ღვთისამშობელი;
დაამთავრა და მსაჯულს, მუხლზე წამოჰკრა ხელი.

„სანაძლეოსა დავდებ ცხენსა უნაგირიანსა
თქვა რეენტმა, და ბეჭედს ბაჯაღლოსა მთლიანსა
მსაჯულს მივცემ. წავაგებ! მე არ ვიტყვი საყვედურს",
ასესორმა თქვა: „დავდებ მე ოქროსა საყელურს,
ხელიკის ტყავის სარჩულით, ბაჯაღლოსა რგოლებით,

სანაძლეოსა დაედებ, მე ვერ შემეტოლებით.
საყელურში ჩასმული პატიოსანი თვალი,
ღამე ისე ანათებს ვითა ქინქლის ალი.
მსურდა რომ გადამეცა მემკვიდრისთვის სახსოვრად,
თუ რომ ცოლი შემერთო, არ დამრჩენოდა ოხრად;
თავად რადზივილისგან იგი მაქვს ნაჩუქარი,
და თავადი სანგუშკოც მოწმედ იყო მდგარი.
ჩემმა მწევარმა ექვსი კურდღელი დაიჭირა,
და ძაღლისა სისწრაფით თავადმა გაიკვირვა;
ეს ნადირობა იყო კუპისკისა ველზედა
თავადი ძირს ჩამოხტა რადგან იჯდა ცხენზედა;
ჩემს მწევარსა კანიას დაადო ხელი შუბლზე
ჯერ მას სამჯერ აკოცა, შემდეგ დაისვა მუხლზე.
და სიყვარულის თვალით მწევარსა შესცქეროდა".
კუპისკის კნეინობაც ჩემს ძუკნა ძაღლს უწოდა.
ასე ნაპოლეონი არიგებს წოდებასა
როს სარდალი აჩვენებს ბრძოლისა მოგებასა.

მოსწყინდა ტელიმენას ეს გრძელი საუბარი,
ეზოში გასვლა სურდა, ხოლო კი მარტო არი,
კალათი დაინახა, აიღო ქალმა ხელში,
თქვენ აქ დარჩით, სოკოზე წავალ ეხლა ტყეში.
შეგიძლიათ გამომყვეთ ყველანი ვინც აქ არი,
და მხარზე გადაიგდო თივთიკის თავსაფარი.
პოდკომოქის ასულსაც ხელი გამოუყარა,
მეორე ხელით კაბა, კოჭამდე აიყარა.
თადეოზი მას მიჰყვა, ჩუმად კი გაიპარა,

მსაჯულმა კი ამითი მეტადრე გაიხარა.
იცოდა რომ ამ გეგმით ეს დავა დამთავრდება,
თქვა: „წადით ყველა ტყეში, ეს არის ჩემი ნება.
საუკეთესო სოკოს ვინც მოიტნს ტყიდანა,
აირჩევს ულამაზეს ასულს ქალებიდანა,
ხოლო სოკოს მპოვნელი თუ რომ იქნება ქალი,
მან ვაჟი აირჩიოს, დიდია აქ ამალი".

# წიგნი მესამე

## კეკლუცობა

### შინაარსი

გრაფის ბაღში წასვლა
ნიმფა. ბატების მწყემსი
სოკოობა წააგავს სეირნობას ელიზეის ჩრდილებში
სოკოს სახეობა
ტელიმენას ფიქრები
რჩევა თადეოზის მომავალზე. გრაფი — მხატვარი
თადეოზის შენიშვნები მხატვრობაზე
გრაფის ფიქრები ხელოვნებაზე
ზარი
ბარათი
დათვი

გრაფი მიდის, მაგრამ ცხენს სადავეს კი უკავებს,
თითქოს ვილაცას ეძებს ან კიდევ უთვალთვალებს;
ოდესაც ოდის ფანჯრებს მან თვალი ააყოლა,
მოეჩვენა რომ კაბამ ვითომ წინ ჩაუქროლა
და მჩატე რამ არსება ბაღშიდა გადმოფრინდა,
ბარდებში მიიმალა თითქოს ძლიერ შეშინდა,
იქედან ანათებდა როგორც სხივები მზისა,
ღრუბლიდან გამომძვრალი მანათობელი ცისა.
ანდა ოდესაც სხივი კაქს გაანათებს ბროლად.
ხოლო თვალი ვერ ხედავს, თუმცა არის მახლობლად.

გრაფი ცხენსა გადმოხტა, შინ გაუშვა მხლებელი,
ჩუმად ბაღისკენ მიდის, არის შეუმჩნეველი.
ბუჩქამდე მიირბინა, გამოტეხილ სარებში,
შეძვრა როგორც რომ მგელი ჩუმად სავსე ფარეხში.
უეცრად გრაფის ფეხქვეშ ხმელი ტოტი გადატყდა,
ქალი შეშინებული როგორც ნუკრი გადახტა,
ბაღის მეორე მხარეს ოდესაც მიირბინა,
ირგვლივ მიმოიხედა, ვერაფერი შენიშნა.
გრაფი გვერდით ეპარვის, დაიმალა ხარდალში,
ბაყაყივით ხტუნაობს, ხან იფლება ტალახში,
ღობესთან რომ მივიდა დაინახა მშვენება
ქალი მზეთუნახავი, ვით სამოთხის ჩვენება.

ბაღის ამა ნაწილში სუნი ალუბალისა
იშრღებიან. აქა-იქ სხვა ხეც არის – ბალისა;
მათში განზრახ ნათესი მთლად არეული არი,
სიმინდი, ქერი, ფეტვი და დაბალი ქონდარი.
შინაურ ფრინველთათვის თავის შესაფარავად,
კარგი დიასახლისი იყო იმათ მთესვარად,
კოკოსნიცკას ეძახდნენ ენდიკოვიცის სახლიდან.
მისი გამოგონება საქვეყნოდ არს ცნობილი
დიასახლისობაში, მას არვინ ჰყავს სადარი,
ეს ბაღი ფრინველთათვის არის ნავთსაყუდარი.
ქორი, ძერა, მიმინო, თავდამცემი რომ არი,
ფრინველი თავს იფარავს დარია თუ ავდარი.
ამ ქალმა ფრინველთათვის შექმნა ასეთი ბაღი,
შემდეგ წაბაძეს სხვებმაც, რადგან აზრია საღი.

ფრინველთათვის მამლაყინწა კარგი ყარაულია,
ხანდახან ცას შეჰყურებს ნისკარტაწეულია,
გვერდით იგდებს ბიბილოს და შემდეგ ფოცოცასა,
ცალი თვალით შესცქერის მტაცებელ ფრინველს ცასა,
და თუ სადმე შენიშნა ფრინველი მტაცებელი,
დაჰყივლებს და ფრთხილდება აქ ყოველი ფრინველი.
ბატი და ფარშევანგიც იმალება მის ხმაზე
მტრედები აღარ სხედან სამტრედოს სახურავზე.

ეხლა ცაში ვერ ხედავს ფრინველს მტაცებელ მტერსა,
და შესცქერის მხურვალე ცაზე ზაფხულის მზესა.
ფრინველნი მიმალულან სიცხისგან ჩრდილებშია,
ხვანხვალებენ საგრილოდ ხის ძირას სილებშია.

ფრინველთ შორის მოჩანდა ორი ბალღისა თავი,
ქერა თმებით ვით ოქრო როგორც სელის თავთავი,
გაღეღილი საკინძით და შიშველი მხრებითა,
მათთან ქალწული იდგა მსხვილი ნაწნავებითა.
ცისარტყელის ფერებით კუდი ფარშევანგისა,
ბუნებრივი სარკეა ამომავალი მზისა;
ამ თვალწარმტაც ბრიალში სხივებიც ბანაობენ,
და ბროლისა ისრები ჰაერში ქანაობენ.
პაწაწინა ბავშები ამწვანებულ წალკოტში,
თითქოს სურათი არის ღიღფეროვან ჩარჩოში.
აქ სიმინდის ტაროებს აუყრიათ ულვაში,
და ლობიოს ბარდები იხლართება შუაში.
ფერებისა სიმღიღრე დაქარგულია ნაზად,
ღვთის ხელითა დაეგო ამ ქვეყნად ფიანდაზად;

ირგვლივ ნოყიერებას გვიჩვენებს ჭირნახული,
ოქრო-ვერცხლის სირმებით ნაქარგი, არნახული.

ჰაერში დაეკიდა ვით ფართე ტალავერი
პეპლების დიდი გუნდი – ფერადი მშვენიერი
ამ პეპლებს ბებო ჰქვიათ (არის ორ წყვილ ფრთიანი)
მოგრეხილი ულვაში, მასთან წელ-წერილიანი
ჰაერში შეჩერდება და თუმცა ნელა ფრინავს,
ფრთა ობობას ქსელს უგავს, გეგონება რომ სძინავს.

ასულს ხელში ეჭირა ფრთა მწერთ მოსაგერებლად,
და აგრეთვე მჯდომარე ბავშვების საგრილებლად,
ბალღების თავთა ზევით ჰაერს არხევდა ნელა,
თითქოს სურდა დაეფრთხო მონავარდე პეპელა.
მეორე ხელში ქალწულს ჰქონდა ბრჭყვიალა ჯამი,
ალბათ ბალღებისათვის სავსე იყო საჭამი.
ხან პირთან მიუტანდა ხან კი მოაცილებდა,
ასეთი გამრჯელობა, ჩანს მას ახალისებდა.

ასული მკრთალი თვალით არემარეს უცქერის,
იფიქრებ რომ საყვარელს პაემანზე მოელის,
და ვერ ხედავს რომ გრაფი ჩუმად მოეპარება
და გველივით შამბებში ხოხავს – მოიკლაკნება.
გაიმართა და დინჯად ანწლებიდან გამოძვრა
ქალწულის ახლოს დადგა, ზრდილად თავი დაუკრა.
ანაზდეულ მომხდურმა გოგონა შეაშინა,
და შინისკენ გაქცევა ქალმა მოიწადინა;
ხოლო ოდეს ნაბიჯის გადადგმა დააპირა,
სტუმრით შემინებულმა ბავშვმა ისე შეჰყვირა,
რომ წამს გამოერკვეია, დაუბრუნდა შეგნება,
ბალღები რომ დასტოვოს უხერხული იქნება,
ხოლო დაბრუნებაც კი ვერ გადაუწყვეტია;
ერთი წუთით შეჩერდა, გეგონება სვეტია,
ხოლო ოდესაც პირმშო დაინახა მტირალი,
მივარდა, დაამშვიდა ეხლა როდია ფრთხალი.
ორთავე ჩაიხუტა, ეფერება, ამშვიდებს,
ხან გრაფისკენ იცქერის, ჩანს რომ არაფრად იგდებს.
დამშვიდნენ ორთავენი, ორთავე დააწყნარა,
როგორც დედის ფრთისა ქვეშ ჩიტის ბარტყი პატარა.
თქვა: „გრცხვენოდეთ ტირილი, სტუმარიც შეშინდება,
ცულისთვის არ მოსულა ხედავთ! ხომ იღიმება,
ბიძა მოკეთეა, არ აქვს თქვენზე ბრაზია,
საშიში აბა რა აქვს? დახეთ რა ლამაზია!".

გრაფიც ღიმილით უცქერის, არ არის უმადური,
გაიგონა საამო ქალის ქათინაური,
ასულმა ეს შენიშნა, შერცხვა, თავი დახარა,
დარცხვენილსა ლოყები ვარდებად აეყარა.
მართლადაც გრაფი იყო კარგი შეხედულების,
ქერა თმა, გრძელი წარბი და სიშავე თვალების
მოსწონდათ. ეხლა იდგა გასვრილი, გაჩეჩილი,
რადგანაც ხოხვით განვლო შამბები და ჯეჯილი;
სასაცილო კი იყო, ხოლო მას არ რცხვენოდა,
მშვენებით მოხიბლული ის ასულს შესცქეროდა.

„მშვენებავ! მითხარ ერთი აბა რა გეწოდება?
ხარ ღვთაება, ან ნიმფა, სული თუ მოჩვენება?
მითხარ შენის ნებითა თუ ქვეყნად ხარ მოსული,
ან ვისი ძალადობით აქ ბრძანდები დახშული?
მგონი მივხვდი; უღირსი თაყვანისამცემელი,
შენი იყო, ან კიდევ მდიდარი ან მფლობელი,
რომლისა სიყვარულიც შენ არ გსურდა აროდეს,
ღირსი ხარ, რომ რაინდი შენთვისა გულოვნობდეს,
რომ ზღაპრული მოთხრობის გმირად ყოფილიყავი,
გთხოვ მომითხრო შენისა არსებისა ამბავი.
შენის თითის ქნევითა გავხდები შენი მხსნელი,
როგორც გული მაქვს შენთვის, იხმარე ჩემი ხელი –
და მკლავი გაუწია – ასულმა კი ღიმილით
შემოხედა, აენთო მთელი სახე სირცხვილით,
მაგრამ ტკბილად ესმოდა გრაფის ყველა სიტყვები
და ვით ჭრელი ფერებით ხალისობენ ბავშვები,
ქალს ისე უხაროდა სმენა სტუმრის თქმულისა,
ვითომც სიმებს შეეხო აძგერებულ გულისა
და ბოლოს დაეკითხა: თქვენ საიდან მობრძანდებით?
ანდა უცხო ბაღებში თქვენ აქ რას დაეძებდით?".

გრაფი გამოერკვია ქალწულისა სიტყვებით,
წამს დუმდა, შემდეგ იწყო ბაასი დადინჯებით:
„ბოდიშს ვიხდი ქალწულო, ვხედავ რომ შეგიშალე
ბავშვებთან თამაშობა, მოსვლა მსურდა მე მალე –
საუზმეზე, ამიტომ გზა აქეთ გავისწორე,
დროზე მივსულიყავი, არ მომევლო ეზოს წრე,
მეგონა რომ გზა ბაღზე, მოკლეა და სწორია".

ქალწულმა კი უჩვენა ბილიკი არ შორია.

„კვალებს ნუ დათელავო (წარმოთქვა გრაფისაკენ)
ჰკითხა: სად წავიდეო? მარჯვნივ თუ მარცხნისაკენ?"
ქალწული სტუმარს უცქერს ძლიერ გაკვირეებული,
ათას ფეხის ნაბიჯზე სახლია წამოდგმული,
ჭადრებში თეთრად მოჩანს. გზისა კითხვა რად უნდა –
მაგრამ მუსაიფისა გრაფს გაგრძელება სურდა.

გამოკითხა სად ცხოვრობს, იქნებ ბაღისა ახლოს?
სახლამდე მოაცილოს სურს, მშვენებას ეახლოს.
დაეკითხა, საიდან არის აქ ჩამოსული,
ან სოპლიცა სახლში რად არა ჰყავს ნახული?"
შემდეგ სახლს მიუთითა და ფანჯარა უჩვენა,
და შეეკითხა, „აქაო თუ არის შენი ბინა?".

გრაფი ფიქრობს, ეს ქალი თუ რომ არ არის გმირი –
რომელიმე რომანის, შესანიშნავი პირი,
მაშინ არის ვით ვარდი ტყეში გაფურჩქვნილია
და იქნებ ქალის გულში მქონდესო ადგილია;
მაშინ საკმარისია ხალხში რომ გამოვიდეს
და ქალისა მშვენებით რომ მნახველი გაკვირდეს.

ცოტა ხნით ჩუმად იყო ბაღში ქალი მდგომარე,
შემოკრიბა ბავშვები არ მტირალნი – მდუმარე,
როგორც მწყემსი, საღამოდ ბატკნებსა რომ შეკრიბავს
და შინისკენ სიმღერით ნელ ნაბიჯით მირეკავს
შემდეგ სტუმარს მიმართა: „იქნება დამეხმაროთ,
დაფანტული ფრინველი ეგებ ბაღში შეყაროთ!".
როგორაო?! ფრინველი მე ბაღში შეგირეკო?
მაკვირეებს რომ ჩემდამი შენ თავხედობა გეყო
ეს უკმეხი სიტყვები ამ ქალს აღარ ესმოდა,
ხეივნისა ჩრდილებში შინისკენ იჩქაროდა.

გრაფი ჩაფიქრებული მარტოკა დარჩა ბაღში,
და სხვადასხვა ფიქრები მას ერეოდა თავში.
მისი სული ვით მიწა მზე რომ ჩადის საღამოს,
სინათლესა დაჰკარგავს და სითბოსა საამოს –
ეგრე იყო, სიფითრეც კი ემჩნეოდა პირზე,
ბრაზიც კი მოერია, არ იცოდა კი ვისზე.
რაღაც მოელოდა – ვერაფერი იპოვა,
მუსაიფი სურდა და ქალწულმა მიატოვა.
ოდეს ჩუმად შამბნარში ფარულად მიძვრებოდა,
ვითომდა ამოცანას თავის გულში ხედებოდა.

მართლაც ნახა ლამაზი და ძლიერ მოეწონა,
ხოლო ეხლა დაიწყო მისი აწონ-დაწონა;
და მივიდა დასკვნამდე რომ ძლიერ ადვილია,
შენიშნოს, გამოიცნოს გლეხის ქალიშვილია.
სულს სძინავს, სიყვარულით გულიც როდი უძგერის,
ამგვარი სიტყვები აბა ვისა შეჰფერის?
„აბა მასზე რას ვფიქრობ? ეს რა ჩემი წესია?
გოგონა გლეხის შვილი ბატების მწყემსია”.

ბუნებისა სიმშვენეც დაეკარგა ერთ წამში,
წინათ ყოველი იყო ოქრო-ვერცხლის კამკამში,
ყოველივე აღმოჩნდა უფასო ვითა ჩალა,
დგას ვითომდა ფეხებქვეშ მიწა გამოეცალა.

შორიდან რომ მოჩანდა ვარდების თაიგული,
თურმე ცოცხი ყოფილა კოინდარით შეკრული
და ის ოქროს ფინჯანი რომ შორიდან ცქეროდა
ეს სტაფილო ყოფილა, თვალისა არ სჯეროდა.
თვით ნახა ბალღი როგორ სტაფილოსა ღოღნიდა
და ყოველი ოცნება მას ცაში გაუფრინდა,

ვით ყმაწვილსა, ოდესაც იპოვის ყვავილს – ფუას,
მოგლეჯავს და ალერსით ეღიმება ბაბუას,
უნდა გადაუსვას ხელი, სურს რომ მას მოეფეროს,
ბუმბული გაეფანტა, უცქერის შიშველ ღეროს,
სიმშვენე სულ გასცვივდა, დაფრიალებს ქარზედა,
და არ იცის იტიროს თუ გაჯავრდეს რაზედა!

ქუდი ჩამოიფხუტა გრაფმა, ცქერაც არ უნდა,
რა გზით მოვიდა აქა, იმავე გზით გაბრუნდა
გადათელა კვალები, ყოველი ბოსტნეული
და როს ღობეს გადახტა გაიმართა სხეული.
მოაგონდა რომ არის საუზმედ მიწვეული,
ვაჰ! თუ ვინმემ შენიშნა ეს შეხვედრა წყეული,
თუ ბაღში დაინახეს, ხომ სასირცხო რამ არი?
და მნახველი იტყვის რომ, სახუმროა ზღაპარი.
სურს რომ დაბრუნდეს უკან, გაძვრეს ღობისა ბოლოს,
მოშორდეს აქაობას, ოღონდაც დაიმალოს,
ბოლოს სრულიად დამშვიდდა და დადგა შარაგზაზე,
რომელ პირდაპირ მიდის სოპლიცასთან ბინაზე.
მიდის ღობისა ძირას ბაღსაც კი არ უცქერის,
ვითა ქურდი, როდესაც შიშით გული უძგერის,

ოდეს უკვე იქურდა ან ქურდობას აპირებს,
ხოლო ცოდვის ჩადენა ღმერთზედა არ აფიქრებს,
გრაფი მიდის მოწყენით და გული არ უმღერის.

იქ ტყე იყო, საცა რომ თავდება ხაზი მზერის,
ვით მწვანე და გაშლილი მაისისა კარავი
ცის კიდეს დაეკიდა ბნელად გულშემზარავი,
ვით ბუქისა ღრუბელი სინათლეს რომ აბნელებს,
სულისთქმას შეგიხუთავს, თვალში გაყრის ფანტელებს.
გრაფი უცქერს ტყის პირას არის რაღაც ჩვენება,
ქვეყნიური როდია – სამოთხისა მშვენება
ვითომც სულნი ცეკვავენ თეთრ კაბებში ჩაცმული
და ვით სავსე მთვარეზე გაუმართავთ ფერხული.
სხვადასხვა ფერებითა ყველა არის მორთული,
და ისე ირხევიან, ვით მოჩვენება – სული.
ზოგს თავზედა ახურავს, ზოგია თავშიშველი,
და ზოგს კი ახვევია ვითომ თეთრი ღრუბელი.
ქარის წინა მიდიან, ამინდი არის ცუდი,
ტანსაცმელი ფრიალებს როგორც კომეტის კუდი
ზოგი წინა იხრება, ზოგი სალამს იძლევა,
ზოგი სწორად მიდის და ვით ჯამბაზი ირხევა.
ოდეს ასეთი ლანდი – ლანდსა უახლოვდება,
უსიტყვოდ სალამს აძლევს და უკანვე ბრუნდება.
ღრმად ჩაფიქრებულან რაღაც თავდაწეულნი
დადიან ვითა ზეცით გადმოხვეწილნი სულნი.
ამა ქვეყნის ვარამით ჩანს არა მიწვდენილნი,
თუმც წყნარად დაბობლავენ, მაგრამ კი დაღვრემილი

ალბათ ყველა მიხვდებით, ეს ჩვენება – ლანდები
ჩვენი ნაცნობებია სტუმარ და მასპინძლები.
როდესაც რომ დარბაზში სმა და ჭამა დამთავრდა,
სოკოს შესაკრებელად ყველა ტყეში გამგზავრდა,
ჯგუფებადა გაიყვნენ და დაიფანტნენ ტყეში,
დარბიან გოგონები მარაგ კალათით ხელში.
მსაჯული მიიჩქარის, სტუმართ წინ მიუძღვება,
და უხარის რომ არვინ არავის ედავება,
ხოლო აქ სამოსელი ყველამ უნდა გადიცვას,
ტოტებისაგან კაბა დაგლეჯისგან დაიცვას.
მათ თავზე დაიხურეს ჩალის ფართე ქუდები,
და თეთრი ტილოს გრძელი ფრიალებენ კუდები.
როგორც მკვდარი – სუდარში, არიან გახვეულნი,
ღვთისა სასამართლოში რომ გაიწმინდონ სული.

მხოლოდ არ გადაუცვამს ერთ ქალსა – ტელიმენას,
უცნაურ წარმოდგენას,
გრაფი უცქერს, არ იცის სოფლისა ჩვეულება,
ტყისკენ გარბის რომ ნახოს ახლოდან ეს ჩვენება.

ყმაწვილნი სოკოს კრეფენ მეტადრე წითელასა,
და ლიტვაში ცნობილსა – ყვითელსა მიქელასა,
რომელიც სიმბოლოა ქალთ უმანკოებისა,
რადგან არ შეეხება მას პირი მატლებისა.
გოგონები კრეფენ სოკოს ბერუასა – შავსა,
ამ სოკოს ეძახიან, სოკოთა ერისთავსა.
ყველას სურს რომ იპოვოს ჭეჭვეტა ან ნიყვია,
თეთრ პერანგში ჩამჯდარი მაღლობზე ვით ციყვია.
ტყეში იშვიათია, მინდორში არის ქამა,
და არყისა უტყემლოდ ხომ არ იქნება ჭამა?
სახელებს ვერ ჩამოვთვლი რაც რომ სოკოა ტყეში,
თუ გსურს ნახო სიმშვენე, უნდა მობრძანდე ჩვენში.
სხვა სოკოებს არავინ აქ არ მიუგდო ყური,
რადგანაც არ იჭმევა ან არის უგემური;
ხოლო როდი არიან სრულებით უსარგებლო,
ასეთ სოკოში ხშირად მწერებს აქვთ სამფლობელო
და ტყესაც ამშვენებენ თვისი კოპწიობითა.
და ატკბობენ კაცის თვალს, მრავალფეროვნებითა.
მრავალნაირი არის ჩვენს ტყეში სოკოები,
ზოგი ვით ღვინით სავსე ძვირი ბროლის ჭიქები,
ბუა ძაბრსა წააგავს სათუთი რამ მინისა,
არყას დააკვირდები, ფინჯანი არის საქსონიისა,
თხელია და პრიალა ვით ძვირი ფაიფური,
გემოთი არ იქების, საცქერად საამური.
მრგვალი და შავი ფიფქით რომ არის გატენილი,
ეს ხომ გუდაფშუტაა გაბლინძულ – გაბერილი,
და სხვა კიდევ მრავალი სანახად სანატრელი,
ხოლო კაცმა იმათ კი როდი მისცა სახელი.
კოხტა და თვალწარმტაცი, ხოლო როდი იჭმება,
და შეცდომით თუ ვინმე სოკოსკენ დაიხრება,
ასეთ სოკოს დაამტვრევს, ან არადა გასრესავს,
ხოლო ასეთი ქცევა უხეშობასა ნიშნავს.

ტელიმენას არა სურს სოკოებისა კრეფა,
შესცქერის ხის კენწეროს, გადაუხრია კეფა;
(ასესორი ქალსა კი ჩიტუნას ადარებდა,
ბუდისთვისო ხეზედა ადგილსო დაეძებდა).

რეენტი დაცინვითა სტუმრებსა უმტკიცებდა,
რომ ქალი ბერმუხაზე სოკოსა დაეძებდა.
ტელიმენას კი უნდა რომ ყველას ჩამოშორდეს,
ჩუმად რომ დაიმალოს, სადმე ჯირკზე წამოჯდეს;
ბოლოს მან დაინახა ბებერ მუხასთან ბორცვი,
საცა მწვანედ ჰყვაოდა სქელი შქერი და მოცვი
და იქვე ნაკადული ცივ – ანკარა წყალითა,
თითქოს ჩრდილსა დაეძებს, იქით მიდის მალვითა.
ნაპირებს უმშვენებენ ტირიფები და ძეწნა,
იქვე რცხილას გველივით სურო ტანზე აეწნა,
ნაკადული არ მოჩანს, ფოთლებს დამალულია,
ხოლო თუ დააკვირდი, მოისმის ჩურჩულია;
ვითა დედა აკვანში პირმშოს როდეს ამშვიდებს,
როდეს ძილში პატარას სიზმარი შეაშინებს.
ტელიმენას მეტადრე მოსწონდა ეს ადგილი,
ის დადის ხოლმე აქა, როს არის მოწყენილი;
ნაკადულთან დაჯდება და ისმენს შაშვის სტვენას
და სრულიად ეძლევა ფიქრებსა და ოცნებას.

ტელიმენა მიადგა მჩქეფარე ნაკადულსა,
კარგად იცნობს ამ ადგილს, არაერთხელ ნახულსა.
ტელიმენა ნაკადულს დასცქერის – წყალსა სინჯავს,
ვით მცურავი აუზში როს აპირებს დაყვინთვას.
დააგდო თავსაფარი სუნნელოვან ბალახზე,
შემდეგ ზანტი რხევითა წამოჯდა თავსაფარზე,
იდაყვი მიწას აყრდნო, ხელი ნიკაპს უბჯინა,
და ფრანგული წიგნაკი გადაიშალა წინა
იქ ყოველი სტრიქონი ვარაყით არს მოცული,
ტელიმენა წიგნს უცქერს თითქოს არს დაქანცული,
წიგნაკს ფურცლავს ხოლო მას წაკითხვა კი არა სურს,
რადგანაც ის ერთ ყმაწვილს ჩუმად უგდებს თვალს და ყურს.
ბალახში მთლად ჩაეფლა, თავი აქვს აწეული,
გრძელ კაბაშია თითქოს მარჯანში გახვეული,
თმისა მსხვილი ნაწნავი თავს შემოუხვევია
და შავი ფეხსაცმლით ფეხი აუწევია.
მწვანე მოლზე მწოლარე ტელიმენა წააგავს –
მუხლუხს, ჭადრის ფოთოლზე როდეს ნელა მიბობღავს.
სურს მიიპყროს ვისიმე ვაჟისა ყურადღება;
(აფსუს, ეს რომ არ ხდება!)
მეტოქეობით არის სოკოებისა კრეფა.
ამაოდ ელოდება ქალის მცოდნეს – მოყვარულს.
ბრაზიც კი მორეეია, საკინძს იგლეჯს მოქარგულს.

თადეოზიც კი ქალსა როდი აშორებს თვალსა,
პირდაპირ როდი მიდის, შორით ლამობს მალვასა,
ვით ისვზე მონადირე როს ჩუმად ეპარება
მეტად გაფრთხილებითა ჭილებს რომ ეფარება.
ანდა ყანჩი ცალფეხზე ყარაულად დამდგარი;
ჩუმად მასთან მიპარვა ხომ ძლიერ ძნელი არი?
ვითომდა რომ ფრინველი არ არის შესამჩნევი,
ხოლო გვერდულ ნაბიჯით ყანჩისკენ მიიწევი,
ამგვარად თადეოზი მიიწევდა იქითა,
სად ტელიმენა იწვა, მსაჯულმა კი ჯიქითა,
ყმაწვილს გზა გადაუჭრა
და ნაკადისკენ სწრაფად სოპლიცა გაეშურა.
მის ტანსაცმლის კალთებს ქარი უფრიალებდა,
თან სპილოსძვლიან ტარით ჯოხსა ატრიალებდა.
ჩალისა ფართე ქუდი თვალებს ჩამოჰფარია,
ქარმა რომ არ მოსტაცოს, მიუბამს ზონარია.
ხელები გაიგრილა ნაკადულის წყალშია,
და შემდეგ ტელიმენას დაჯდა სასთუმალშია.
ზურგი ხეს მიაბჯინა, კარგად მოეკალათა,
სულისთქმა დაიმშვიდა, ცოტა შეეღავათა,
ჯოხი მინდორს დააგდო, ხელნი უბეს ჩაიწყო
და შემდეგ მუსაიფი ასეთი წამოიწყო:

ტელიმენა! მსურს გითხრა ჩემი გულისტკივილი,
მყავს მხოლოდ თადეოზი ღვიძლი ძმის ერთი შვილი,
დღეიდან მის ხელშია სოპლიცოვისა ბედი,
ის არის ერთადერთი სოპლიცების იმედი.
იგი დაემკვიდრება ჩემსა ავლა-დიდებას,
მადლობა უნდა ვუძღვნა ღვთისა ჩვენისა ნებას.
მე განუწყვეტლივ ვფიქრობ იმის ბედ-მომავალზე,
ხშირად ფიქრი ძილს მიფრთხობს, მიტომ დავეცი ჯანზე.
ჩემი ძმა იაცეკი მამა თადეოზისა,
არ ვიცი ცოცხალია, ან რა მხარეში ზისა,
შვილსაც კი არ აცნობებს სად და როგორ დღეშია,
ხოლო წვლილსა კი იღებს ვაჟისა აღზრდაშია.
ლეგიონში გაგზავნა ისურვა შვილის მამამ,
ამ ცნობამ დამალონა ხოლო გასტანა ხანამ,
ეხლა დათანხმებულა ჩემთან დარჩეს მამულში,
რომ ჯვარი დაიწეროს, ამას კი ვფიქრობ გულში.
მისთვის საცოლეცა მყავს თქვა იდუმალებითა,
ვერავინ შეედრება გვარით ან ქონებითა,
პოდკომოჟის ასულსა უფროსს, ლამაზ ანასა,

გასათხოვარი არის, ყველა იტყვის ამასა,
ტელიმენა გაფითრდა ვითომ ფინთიხი ეცა,
წამოჯდა და ფრანგული წიგნაკი დაიკეცა.

მე მგონია ძმაო, რომ შენი ასეთი აზრი
თადეოზის შესახებ უხეში რამე არი,
გსურს იყო როგორც მამა და მისი ხელმძღვანელი,
გინდა ცოლი შეირთოს, მიწისა გახდეს მხვნელი,
გსურს თადეოზის ნიჭი დამარხო სოფლად — ტყეში?
მე ამაზე თანხმობას არ მოგცემ ჩემსა დღეში.
რამდენადაც მოვასწარ თადეოზის გაცნობა,
ვხედავ ნიჭიერია, ბევრი რამის აქვს ცნობა,
მგონი კარგად იზამდი ვარშავას გააგზავნო,
ანდა მე იქ მივდივარ პეტერბურგს გამატანო.
იქ მივალ მე საზამთროდ ალბათ გეცოდინება,
აწონე ჩემი გეგმა, თუ არ გეჩოთირება,
ბევრი მყავს ნაცნობები, იქ მაქეს დიდი გავლენა,
ჯერ დრო გვაქვს, მომავალში, რამეს დავადგენთ ჩვენა.
კარგ ოჯახთ გაეცნობა იქ ჩემითა წყალობით,
ოდეს თავს გამოიჩენს ამგვარი ნაცნობობით,
სამსახურსა მიიღებს, ჩინებსა და ორდენებს,
შემდეგ მოიქცეს ისე, როგორც თვითონ ინებებს.
შეექმნება მას აზრი, ყველაფერს გაეცნობა,
ამით ჩვენ დავამთავროთ დღევანდელი მსჯელობა.

მსაჯულმა თქვა: „მეც ვფიქრობ, რომ კარგი იქნებოდა,
უცხო, საჩინო პირებს აქა-იქ გაცნობოდა,
მეც ვყოფილვარ სხვა მხარეს ჩემს ახალგაზრდობაში,
ვიყავ დუბნოს, პიოტრკოვსა და სხვადასხვა მაზრაში,
და არაერთხელ კიდევ, მე ჩემსა მგზავრობაში,
ვიყავ სატახტო ქალაქს — საყვარელ ვარშავაში.
მე ბევრი ვისარგებლე და მსურს ჩემი ძმისწული,
ხალხში შევიდეს ვითა, მგზავრობის მოყვარული.
მსურს რომ იგი გაეცნოს ქვეყანასა და ხალხსა,
და ცოტა ხნით მოსცილდეს ჩვენს მიდამოს და სახლსა.
არა სამსახურისა და ორდენებისათვის,
მოსკოვის არაფერი ღირს პოლონელებისათვის,
ხერიან გვარისა ვინა ფიქრობს ამაზე?
რომ მოსკოვისა ორდენით სხვას წამოაჯდეს თავზე!
ცოტა კიდევ ნამუსი შერჩენია ჩვენს ხალხსა,
პიროვნებას ვცემთ პატივს და არა მხოლოდ გვარსა.
მოხელე რას მიქვიან თუ არ არჩევნებითა,

ხშირად უბადრუკია, ვინ ზის დახმარებითა".

ტელიმენამ ჩაიხრჩო გულში დიდი ჯავრია,
თქვა: „წავიდეს თადეოზი ვით უბრალო მგზავრია".
მსაჯულმა უპასუხა: „ხოლო საქმე მასშია,
რომ დიდი დაბრკოლება მაქვს ჩემსა გეგმაშია,
იაცეკი თადეოზს თვალყურსა უგდებს რაკი,
ჩემთან მოგზავნილია აქ ამისთვის რობაკი,
ბერნარდინი იაცეკისა არის მეგობარი,
და იმის ყველა გეგმის, ჩემია მაცნობარი.
თადეოზის იღბალი მამას გადუწყვეტია,
სურს მას შერთოს სოფიო, აქ მსჯელობაც მეტია,
შენ მიერ აღზრდილია, შენით ნათვალთვალევი,
მე  იმათ მამულს მივცემ, ძმას მზადა აქვს მზითევი,
ძმის თანხა დიდი არის ჩემთან დატოვებული
და იმისვე წყალობით მაქვს მე ჩემი მამული.
აქვს მას ამის უფლება, დაუკვირდი ამასა,
თადეოზს ჯვარს თუ დავწერთ, გაუხარებთ მამასა,
ერთმანეთსა გავაცნოთ, თუმც ახალგაზრდებია,
აქამდე ხომ არავის ეს არ მოსწადებია?
მგონია რომ დრო არის სოფიო ხალხს ვაჩვენოთ,
ქალწული ხომ იზრდება და დრო გადის უჩვენოთ".

ტელიმენა გაკვირდა, თითქმის რომ შეეშინდა,
სწრაფად წამოიჩოქა, მუხლზე უჩანდა წინდა,
თუმც მსაჯულსა უსმენდა, მაგრამ ალელვებითა,
უარზე იდგა, ცხარობდა ხელებისა ქნევითა,
ვითომ მწერს ერეკება, ცხვირს აზის ბუზარია,
ეს არ მესმის მსაჯული?! ეს ახალი აზრია.
თქვა: „თადეოზს როგორც გსურთ, იმგვარად მოეპყრობით,
ვიცი, რომ იგი გიყვართ მშობლიურისა გრძნობით,
ჩემი საქმე არ არის გახდით მოურავადა,
მონადირედ, მიკიტნად, ან ტყისა დამცავადა,
გთხოვთ თავი დაანებოთ სოფიოს, ნუ ეხებით,
მასზე ამოდენ ზრუნვას ნუ მითელავთ ფეხებით.
ჯერჯერობით ის არის ჩემსა მფარველობაში,
და მე ვადევნებ თვალყურს, რადგან არის ჯერ ბავშვი,
იაცეკმა სოფიოს მისცა კი ჯამაგირი,
წლიურად დიდი თანხა და არა რამე მცირი,
ხოლო არ უყიდია საკუთრად მას ქალწული,
და გეტყვეთ, დიდი ხანი ამ დროდან არს გასული,
მაგრამ ყველას ხომ ახსოვს რომ სოპლიცების გვარი,

ჰორეშკოთ მოვალეა, არ ითქმება აქ უარი?".

(ამ ლაპარაკს მსაჯული ისმენდა გაკვირვებით
სიცილით, ზიზღით შემდეგ დიდითა განცვიფრებით).
თითქო ეთანხმებაო, თავი დაბლა დახარა,
ხელი ჩაუქნია და სიტყვა არ თქვა აღარა.

ტელიმენა ამბობდა: „ვიყავ ქალის მფარველი
მისი ჭირისუფალი და იმას არ მოველი,
სხვა ვინმემ რომ იფიქროს იმის ბედ-იღბალზედა",
სოფიოს მომავალზე და გათხოვებაზედა.
მსაჯული დაეკითხა: „თუ ქალს მოეწონება
ვაჟი როგორც საქმრო და მასზე გათხოვდება?"
უთხრა: „სოფიოს აზრი არა მიღირს დარდადა,
ის ხომ არ არის სოფლის უბრალო აზნაური?
თუმც მდიდარი არ არის, არს ჰორეშკოთ გვარისა,
და ჩემი ვალიც არის მოძებნა მის ქმარისა.
სოფიო ალმეზარდა მე მეტადრე ვცდილობდი,
და ასეთ გათხოვებას სრულიად არ ველოდი".

მსაჯულმა ტელიმენას ყოველი მოუსმინა,
გაიღიმა, ეითომცდა არაფერი უწყინა.
თქვა: „მაშ რა ვქნა თუკი რომ თადეოზი არ მოგწონს?
გავაგზავნი გზირსა რომ იაცეკს შეაგონოს,
ჩემი ბრალი არ არის, ქორწილი არ მოხდება,
ნუ ჩქარობს და ყოველი ვფიქრობ რომ მოგვარდება".
ღმერთი იყოს მოწამე, მინდოდა რომ მომეწყო –
ქორწილი და თადეოზს თვით ცხოვრება დაეწყო,
ვთქვი: „რადგან სურვილია ძმის და მისი ოცნება;
ხოლო შენ გაქვს უფლება გამოთქვა შენი ნება,
ამიტომ პოდკომოეთან გავაკეთებ პირობას,
ასულის ხელსა მოვთხოვ და მოეაწყობ ცოლ-ქმრობას".

ტელიმენა დაწყნარდა, მსაჯულს უთხრა შემდეგი:
„იცოდე, თადეოზის არა ვარ წინააღმდეგი,
ხოლო თვით თქვი, ორთავე ჯერ ბავშვები არიან,
ამიტომ ერთმანეთი ვაცნოთ – გაიხარიან,
დრო გვაქვს იმათ უცქიროთ, ეს ხომ არარას გვაენებს
დეე, მოიქცენ ისე, ვით გული უკარნახებს.
ხოლო ეხლა წინდაწინ კი უნდა გაგაფრთხილო,
საიდუმლო თადეოზს რომ შენ არ გაუმხილო,
ძალაც არ დაატანო, გული როდია მონა,

და ბორკილი გულისა ვერვინ გამოიგონა".

მსაჯული ადგა, მიდის რაღაც ჩაფიქრებული,
თაღეოში აქ მოდის, ხეებს მოფარებული,
ვითომ სოკოს დაეძებს ჩქარის საცა ქალია,
გრაფიც მოდის, ვერ ამჩნევს მის მეტოქეს თეალია.

ოდესაც ტელიმენა მსაჯულთან ბაასობდა,
გრაფი უცქერდა შორით, რითაც ძლიერ ხარობდა,
ქაღალდი და ფანქრები მოჭრილ ხეზე დაიწყო,
ბუჩქებში ჩაიმალა ქალის ხატვა დაიწყო.
მუდამ თან ატარებდა ქაღალდს და ფერად ფანქრებს,
ხშირად გაჩერდებოდა და ხატავდა სურათებს;
ტელიმენა მწვანეში, მსაჯული ჯირკზე მჯდარი,
ალტაცებაში იყო მათი ცქერით მხატვარი.

ხანდახან სურდა გრაფსა რომ მიახლოებოდა,
მაგრამ მისი დანახვით ქალი ხომ დაფრთხებოდა!
და ამიტომ ბოლომდე ბუჩქში დარჩა მჯდომარე,
დურბინდში მოცქირალი პირს ოფლჩამომდინარე.
დაამთავრა სურათი – ქალისკენ მიიჩქარის,
სურს გაეცნოს, ამიტომ გრაფსა გული უხარის.

მსაჯულის სახლში ხშირად ერთმანეთსა ხვდებოდნენ
სტუმართ შორის, აქედგან ერთმანეთსაც იცნობდნენ,
ხოლო რაღაც ისეთი უცნაური რამ მოხდა,
რომ გრაფს ქალის პირბაგე როდი დაამახსოვრდა.
ხოლო ეხლა, ახლოდან ქალი მას ეცნაურა,
დაუწყო მუსაიფი – გაექათინაურა;
ტელიმენას ემჩნევა კიდევ პირზე სიბრაზე.
გრაფს მაინც მოეწონა ქალისა სილამაზე,
მსაჯულთან ბაასის დროს თუმცა ფერი ეცვალა,
ეხლა ესიამოვნა (წყვილად) ვაჟების მოსვლა

„ქალბატონო! თქვა გრაფმა. ასეთი თავხედობა,
გთხოვთ რომ მე მაპატიოთ და მიიღოთ მადლობა,
მაპატიოთ ამას გთხოვთ რადგან გითვალთვალებდით,
და მადლობასაც გიძღვნით დიდისა მოწიწებით,
რომ შევსძელი ამა დროს დამეხატა სურათი,
დამნაშავე ვარ რადგან ვიხმარე მუხანათი,
თქვენ წინაშე გახლავართ, შეგიძლიათ დამტუქსოთ
მხატვარი ვარ და ქცევა არ იყო უსაბუთოთ
გთხოვთ იხმაროთ სასჯელად კანონი თუ ადათი,

ახლოს მისდგა, გადასცა დახატული სურათი

ტელიმენა უცქერს ვით ხელოვნების მსაჯული,
გრაფს უჭერეტს ფარულად ვითომ არის გართული,
თუმც ძლიერ აქეზებდა, ხოლო აქებდა ჭიჭოდ,
უთხრა: „ყოჩაღ! ვხედავ რომ თქვენ როდი ხართ უნიჭოდ.
ხოლო ნუ მიატოვებთ მხატვრობის ვარჯიშობას,
კარგი ბუნება უნდა სურათის წარმოშობას,
თქვენთვის კარგი იქნება კეისართა ბაღები,
იტალიის ცისა ქვეშ ტიბერისა ტალღები.
ნიჭი კარგი რამეა, კაცს სჭრის ვარჯიშობა,
ჩვენში არავის ესმის ასეთი ხელოვნობა,
ეს სურათი უცხოთა დაუვარდება რაში?
შევადაროთ! ბევრი მაქვს მაგიდისა უჯრაში.
სოპლიცოვს ჩაიხრჩობა ყოველგვარი მუზა,
დაკანგდება ვით ზღვაში დაღუპულ გემის ღუზა".

მუსაიფი გააბეს ბუნებისა ქებითა,
აღტაცებულ არიან ზღვის მშვენიერებითა,
ჩახლართულ მუსაიფით მგზავრთა ჩვეულებითა,
თვის სამშობლოს ბუნების ლანძღვა და გინებითა.

თუმც გაშლილა მათ წინ სიმშვენე ლიტვის ტყისა,
რომლისა ასაწერად გჭირის ძებნა სიტყვისა,
საცა ყოველი ხეა საკუთარი ფერითა,
რამდენიც გინდ უცქირო, ვერ დატკბები ცქერითა.
ფართედ გაშლილა შქერი — მსუქანი ფურცლიანი,
საზრდო არ დააკლდება, მუდამ არის ცვრიანი,
მას მოცვი მოხვევია გიშრის კაკილებითა,
ელი ორთავეს უცქერის თითქოს გაკვირვებითა.
ტყის თხილი დინჯადა დგას, ვითომ კვერთხი უჭირავს,
და თვისი სიყვარული მუხისთვის შეუწირავს.
ხე და ბუჩქი ვითომდა ფერხულშია გაბმული,
ფიქრობ, რომ ყველა ცეკვავს თუმც დგანან განაბული.
ეკალა გვერდით მაყვალს ყელში ჩაჰკონებია,
ვნებიან ალერსით მთვრალს, თავს წამოსთენებია.
აქვე დგანან პატივით ვით ხნოვანი ცოლ-ქმარი,
რცხილა და მის ტოტებში ჩახლართული ჭადარი.
ტყუპ ძმებივით მღგომარე კოპიტი და წიფელა,
ვითომდა დასცინიან ნოყოში რომ დგას თხმელა;
მუხას საუკუნეთა ტვირთი ალბათ ამძიმებს,
ვით მოხუცს, საიქიოს და სიკვდილზე აფიქრებს.

აქ იდგა თადეოში უსიტყვოდ და მოწყენით,
მობაასეთ უცქერდა, შეპყრობილ იყო სმენით,
ოდეს ქება დაიწყეს უცხო მხარეთ მცენარის,
და ჩამოთვლა იმათი ყოველ დადებით მხარის,
გუნდის ხე, ფორთოხალი, ნუში და ზეთისხილი,
ლელეი, ხურმა, წაბლი და აფრიკის თეთრი თხილი,
ყოველი აქეს მათი ნაყოფი და ყვავილი,
სუნი, გემო, ყაიდა, არსება მათი ჩვილი,
ეს ქება თადეოზმა ყოველი მოისმინა,
გული ეტკინა ყმაწვილს, მეტი ვერ მოითმინა.

თადეოზი კი იყო მოყვარული ბუნების,
მობეზრდა სმენა მათი სიტყვანი მრავალ ქების,
თქვა: „მინახავს ბაღებში ნაქებარი მცენარე,
რომლით დამშეენებულა თქვენგნით ქებული მხარე,
მე ყოველი მცენარე იტალიის მინახავს,
ხოლო თუ ვინმე აქებს, მე გეტყვით, რომ მიჩმახავს.
აბა რა შეედრება ჩვენებურ ფართე ცაცხვსა?
მრავალსაუკუნოვან მუხასა ანდა ნაძვსა?
ლიმონის შედარება მათთან გაგონილია?
ჯოჯო ბუჩქის ფოთოლი ვითომ გაქონილია.
დააკვირდი და მაშინ დაარწმუნებ შენს თვალსა,
რომ ლიმონი ჰგავს მახინჯს, ხოლო მდიდარსა ქალსა.
რომელ ხეს შეედრება მაღალი კიპაროსი?
ჩვენსა ხეებს ახარებს ზაფხულისა ტაროსი,
ის მუდამ დაღვრემილი და მუდამ მტირალია,
მკვდრების ხეს უწოდებენ — მკვდრისა ყარაულია.
ვით სასახლის დარაჯი არის გაშეშებული,
შიშობს არ დაარღვიოს წესრიგი მიღებული".

როგორც სოფლელი ქალი მოტირალი საფლავზე,
მწუხარით დაყრდნობილი უბრალო ხისა ჯვარზე,
მიცვალებულ შვილს რომ სტირს გულში ჩაკლულ სევდით.
თმები ჩამოუშვეია გრძელი ნაწნავებითა,
ტირიფი ანდა ძეწნა ასეთ ქალს მოგაგონებს,
ხე, მიდამოს მშვენება თუმცა ცქერა გაღონებს.
თქვენ მხატვარი ყოფილხართ, დიდი მოსაწონია,
ჩვენი ტყე თუ არ მოგწონთ, სასაცილო მგონია.
მაკვირვებს რომ არ მოგწონთ ჩვენი ლიტვის ტყე-ველი,
უცხო კლდეთა მქებელო! იმათი ხარ მხატველი?
გრაფმა თქვა: „მეგობარო! კაცის ნიჭიერობა,

არ კმარის, ხელოვნობას როდი უნდა გმირობა,
და ჩვენსა წარმოდგენას თუ რომ ფერი არ ახლავს,
სასაცილო გაეხდებით, ეს უნიჭობასა ჰგავს.
არ კმარის მხოლოდ ნიჭი და მასთან აღტაცება,
ხელოვნების მოყვარეს, უნდა ჰქონდეს ოცნება,
ყოველი სილამაზის დახატვა კი ძნელია,
წიგნებში წაიკითხავ? ბუნდოვანი – ბნელია.
რაც მხატვრობას ეხება, უეჭველად სჭირდება,
ცა ფირუზი, საგანიც რაზედ თვალი ჩერდება;
იტალიის ფირუზი, აკვანი ხელოვნების,
სხვაგვარია და მიტომ სამშობლოა მხატვრების.
იყო ერთი რიუსდალი, მეორე ბრეიგელი,
ჩრდილოელი მხატვარნი, ბუნების დამხატველი.
იტალიის ლაჟვარდი თუ ვისმეს არ უნახავს,
ხეირიან ბუნებას იცოდე ვერ დახატავს".
ტელიმენამ თქვა: „ვიცნობ ორლოვსკის მხატვრობითა,
პოლონელია, ხოლო სოფლურ გემოვნებითა.
(სოპლიცოვის მცხოვრებთ კი, ყველას ახასიათებს,
რომ სოპლიცოვის გარდა, არაფერს მოგიწონებს).
ყოველგან ცნობილია ორლოვსკი მხატვრობაში,
მისი სურათებიც მაქვს ჩემს მაგიდის უჯრაში,
პეტერბურგში ცხოვრობდა მეფისა სასახლეში,
ისე როგორც საამო ქვეყნიურ სამოთხეში,
მუდამ კი დასტიროდა თავის გაჩენის დღესა,
სამშობლო პოლონეთის მიწას, ცასა და ტყესა..."

თადეოზმა თქვა: „მესმა ქება იტალიისა,
იქაური ცისფერის, ვით გაყინული ტბისა,
უღრუბლო ცის, მითხარით საქებარი რა არი?
ნუთუ მას არ სჯობია ჩვენებური ავდარი?
კმარის თავი ასწიო, ქარი ღრუბელს მირეკავს,
გეგონება ტალღები, ყოველივეს მილეკავს,
რამდენ რამესა ნახავ სქელ ღრუბელთა ტალღებში,
ცა ფერად მოქარგულა სხვადასხვაგვარ ჭალებში.
ხან მიბობღავს როგორც კუ – საწვიმარო ღრუბელი,
შიგ ელვა გაანათებს, უცქერ ჭექას მოელი;
შემოდგომის ღრუბელი – სხვა ყაიდის ბნელია,
სათოვლო ღრუბლისაგან გარჩევა – არ ძნელია,
სეტყვა არის სხვაგვარი, თეთრი ბამბის პანთელა,
უცქერ, სწრაფად იშლება, ცა ქარმა გადათელა.
აი! ეხლაც შეხედეთ! ვით ზღვის ტალღათ ზვავია,
და ზვავის კენწეროზე, იალქანით ნავია;
ერთმანეთს დაეჯახნენ თეთრი საბნით ნაფარი,

აგერ! როგორც ცხენებსა გაუშლიათ ფაფარი,
გაშვერილი ფეხები აპირებენ ჭენებას,
მხედარს უჭერს სადავე, არ აძლევს ამის ნებას.
ყველა ვერცხლივით თეთრი, ერთმანეთს აერია,
ეხლა ქარმა დაჰბერა, — მარცხნივ არაფერია,
ცხენთა ჯოგი გარდიქმნა — ზღვაზე მომცურავ გემად,
ეს ღრუბლები არის მხოლოდ ჩემთვის საქებრად".

გრაფი და ტელიმენა დაკვირევებიან ცასა,
თადეოში უთითებს ღრუბელსა ვითა მთასა,
გაკვირვებით უმზერენ, ღრუბლებსა რეკავს ქარი,
გრაფმა მოიმარაგა ქაღალდი და ფანქარი.
მაგრამ ამ დროს მოისმა ოდიდან ხმა ზარისა,
რომელი ნიშანია მოსაწვევად სტუმრისა,
ტყეში ყველას მოესმა ოდიდან ზარის რეკა,
რამაც სოკოს მძებნელნი ტყის პირას გამორეკა.

გრაფმა თავი დახარა და ჩაფიქრდა წამითა,
თქვა: „სიცოცხლე თავდება ზეციური ზარითა,
ნიჭი და აზროვნება ჩაგვიქრება ყოველი,
ოდესაც დაგვიძახებს ცის და ქვეყნის მფლობელი".
გულისთქმა და ფიქრები ყოველი იკარგება,
საიქიოს სუდარა ოდეს დაგვეფარება,
შემდეგ საიდუმლოა — არვინ იცის რა ხდება,
ტელიმენამ თქვა: „ხსოვნა ამისი ხომ დარჩება?
გრაფის გახალისება ტელიმენას უნდოდა,
ტყის ზამბახი მოგლიჯა, ღიმილით მიაწოდა,
გრაფმა ყვავილს აკოცა, ქალს თვალებში უცქერდა,
თადეოზმა შენიშნა — მეორე ხელს უშვერდა
ტელიმენა შეკუმშულს და რაღაც მიაწოდა,
თადეოზმა საგანი ჩამოართვა უხმოდა;
ქალმა თადეოზს მისცა ოთახის გასაღები,
წერილში შეხვეული იდუმლად განაღები.
ფიქრობდა, გასაღები რისთვის მისცა, რას ნიშნავს?
მას წერილი აუხსნის, ოდესაც წაიკითხავს.
მსწრაფლ ჯიბეში დამალა, არვის შეუმჩნევია,
შინისაკენ მიდიან — ჩაიარეს ხევია".

ზარი რეკს განუწყვეტლივ, სტუმართ ეპატიჟება,
ტყიდან გამოძახილი ზარის ხმას ეცილება,
ერთმანეთს ეძახიან ტყისპირს მოხდეს ყრილობა,
ერთად შინ რომ წავიდნენ, — იწყება სადილობა.

ეკლესიის ზარს არ ჰგავს, რეკა მხიარულია
სოპლიცოვის მცხოვრები ამას მიჩვეულია,
შინისკენ რომ წავიდნენ, დროს უჩვენებს ჭამისას,
საუზმეზე, სადილად და ვახშმობის ჟამისას.
ასეთი ჩვეულება იყო ყოველ მამულში,
ყველას ზარი იწვევდა ძველად — დროსა გასულში,
მსაჯულის სახლში დარჩა აზნაურთა ადათი;
ზარის ხმაზე ყოველმა თვის კალათი, —
სოკოებით აღვსილი ტყის პირს იკრიბებიან,
უცქერენ ერთმანეთსა, თითქოს ეჯიბრებიან.
ვოისკი ტყიდან მოდის მხოლოდ ერთი ჭეჭყეტით,
ჩანს რომ კმაყოფილია თავის სოკოსა ჭვრეტით.
ტელიმენა, თადეოში და გრაფი გამოდიან
ერთად, უსოკოდ, რადგან, ეხლა ძებნაა გვიან.

სტუმრები შემოვიდნენ დარბაისლური წყობით,
პირველი — პოდკომოჟი თვისი თანამდებობით,
წოდებით, ხნოვანობითა, ეკუთვნის პირველობა,
ყველას აძლევს ერთგვარად სალამს, აქვს აღზრდილობა.
რიგით, წყობით მოდიან სუფრისაკენ ისინი,
ლათინურად ლოცულობს კალმასი ბერნარდინი,
არაყი როს დაასხეს, შემდეგ სტუმარნი დასხდნენ,
ლიტვურ წვნიანსა ყველანი მადიანადა ჭამდნენ.

დღეს სუფრაზე ჭამის დროს არვინ არ კამათობს,
თუმც მსაჯული აქეზებს და სუფრასა თამადობს;
ღრმა ფიქრი გაგვიტაცებს და ენას დაგვეიდუმებს,
ხვალისა სანაძლეო, დაფიქრდნენ, აიძულებს;
თადეოშს ტელიმენა მუსაიფით ართობდა,
ხან კი გრაფსა უცქერდა, მასაც სიტყვას ურთობდა,
ხან უჭერეტდა ასესორს და თვალსაც ჩაუქნევდა,
და საბრალო მცქერალს კი, ხშირად აზრსა უბნევდა.
გრაფი და თადეოში, ორთავ ბედნიერია,
საერთო მუსაიფში არც ერთი არ ერია,
ორთავეს კი გულში აქვს ჩუმი დაიმედება,
ტელიმენა იმისი ულუფა რომ გახდება.
გრაფი ყვავილს დასცქერის გულზე რომ აქვს მიკრული,
თადეოშს ჯერ წერილი არ ჰქონდა წაკითხული,
ჯიბეს სინჯავს, გასაღებს, ხომ არ დაუკარგავს,
იცის რომ ტელიმენას ოთახის კარს არგია.
ტელიმენა ღიმილით ორთავეს თავს აწონებს,
პოდკომოჟს კი მსაჯული ბლომად ღვინოს აწოდებს,

მუსაიფისა ძაფი სოპლიცამ ვერ გააბა,
რაღაც ფიქრი აწუხებს, ამიტომ გაინაბა.

სადილი წყნარად მიდის, არავინ ლაპარაკობს,
რეენტი მადითა ჭამს, ძაღლზე სიტყვას არ ამბობს;
ოთახში შემოიჭრა ანაზდად ტყისა მცველი,
დაიყვირა ხმამაღლა, ნების არა მკითხველი,
მსაჯულთან მიირბინა თამადობდა რომელი,
ჩანს რომ არის ახლოსა ამბის მახარობელი.
„ბატონო! ჩვენს ტყის პირას, მე ვნახე დათვი დიდი,
შინისკენ გამოვიქეც, რადგან ძლიერ შევშინდი,
ჩანს რომ დათვმა დატოვა დედული, თვის ბუნაგი,
და ნემანის გაღმა ტყეს იპარება მსუნაგი".
ჩვენ გზა უნდა გადუჭრათ მდინარეს გასავალი,
იოლად გაღმა გავა, დიდი როდია წყალი.
ყველამ იცის თუ დათვზე ვინ უნდა გაემგზავროს,
რა თოფი და რა ტყვია უნდა მოიმარაგოს,
მსახურთადმი ყოველი ბრძანებას გაიძახის,
და დიდი თუ პატარა ერთ მიზანს მიისწრაფის.
მსაჯულმა მსწრაფლ აფრინა შიკრიკი ცხენოსანი,
ვინ გამოვა სოფლიდან ვაჟი ჯირითოსანი —
დათვზედა სანადიროდ, მას შეიდს მისცემს დღიურსა,
ერთ მოზვერს, ერთსა ძროხას და ათ ფოხალსა პურსა.
პოდკომოჟმა შესძახა: „ლურჯა შემიკაზმეთო,
მარდი ცხენით შიკრიკიც აქვე მომგვარეთო,
ორი წურბელა ძაღლიც, რომელიც ცნობილია
მთელ მაზრაში, დათვზედა, მათ უყარონ წილია,
ძაღლს ჰქვია ისპრავნიკი და ძუკნასა სტრაპნიჩა,
ბევრჯერ ნადირობაში თავი გამოიჩინა,
ხავსით პირი შეუკარი, რომ არ დაიწკმუტუნოს,
ჩემს მწევარს ნადირობა არავინ დაუწუნოს.
„ვანკაო", ასესორმა დაიძახა რუსულად,
დიდი დანა მომგვარე რომ მივიღე საჩუქრად —
თავად სანგუშკოსაგან — გასინჯე თუ მჭრელია,
ჩანთას ტყვია ჩააწყვე, თოფს უსინჯე ფალია.
სუყველამ იქონიეთ თოფები მარაგადა,
და ჩანთებში ჩააწყვეთ ბლომად ტყვია ბარგადა,
მღვდელსა შეატყობინეთ რომ დილაზე საყდარში,
ჰუბერტს ლოცვა მიუძღვნას და აკურთხოს ზედაში".

სანადირო ბრძანებას არ სჭირს დიდი ხანია,
მაგრამ ეხლა იწყება სეფეს არჩევანია;

ყველას კი პატივი აქვს ვოისკის ჭაღარისა,
ხელმძღვანელი იქნება ხვალის ნადირობისა.
ვოისკის შესცქერიან ჩუმად მოწიწებითა,
იგიც კი მალე მიხედა თვის გამოცდილებითა,
მას ყოველი მოუსმენს, იცის ღირსეულია,
დაარღვია სიჩუმე გრძელი — უხერხულია.
უბეს ხელი ჩაიდო — ამოიღო საათი,
ამცნო; „ტყისა საყდარში, ხუთის ნახევარზე,
დილით ლოცვას გადიხდის რობაკი ბერნარდინი,
და გთხოვთ ყველა დაესწროთ, ძმები მსროლელები
და ნადირთ მარეკები".
გამობრძანდა ვოისკი, ახლავს ტყისა მცველია,
ნადირობის, ორთავე პასუხისმგებელია.

ვით სარდლები, ოდესაც ბრძოლად ემზადებიან,
ჯარი წმენდს იარაღსა, აქა-იქ ნაყრდებიან,
ანდა სძინავთ ნაბადზე, უნაგირს თავდებული,
სარდლები წყნარად სხედან კარავს ჩაფიქრებული.

შეწყდა ჭამა. მჭედლები ბედაურებს ჭედავენ,
ძაღლებს მისცეს საჭმელი, და თოფებსა წმენდავენ,
საღამოდ არვინ მიდის, არც სცალია, არც უნდა,
რეენტსა და ასესორს არ ახსოვთ ძაღლი კუდა.
დავა ძაღლზე ივიწყეს, ტკბილად მასლაათობენ,
წამალი მოამზადეს, ეხლა ტყვიას აღნობენ.
სხვანი უკვე წავიდნენ საწოლს, რომ დაიძინონ,
ადრიანად რომ ადგნენ დილით და ინადირონ.

# წიგნი მეოთხე

## დიპლომატია და ნადირობა

შინაარსი

ქალის მოჩვენება აღვიძებს თადეოშს
შეცდომების გვიან გამორკვევა
სამიკიტნო
შუამავალი
ხელოვნურად ხმარება საბურნუთესი
კამათი მიდის ნორმალურად
დათვი
თადეოშის და გრაფის ხიფათი
სამი ნასროლი
დავა საგალასოვკის და სანგუშკოს თოფზე
ჰორეშკოს თოფი
ბიგოსი
ვოისკის თხრობა დოვეიკოსა და დომეიკოს შესახებ
თხრობის შეწყვეტა, რადგან
კურდღელი გამოჩნდა
თხრობის დამთავრება დოვეიკოსა და დომეიკოზე

სად არს ლიტვის ტყეების თავადებისა სწორი,
ბიალოვეჟა, სვიტეზი, კუშელევი ან პონორი?
რომელთ ხეთა ჩრდილებში თავი გვირგვინოვანი,
ისვენებდა ვიტენეზ, მენდოგ სახელოვანი,
და გედიმინ, რომელიც პონორისა დიდ მთაზე,
მონადირის კოცონთან, თბილსა დათვისა ტყავზე,
იწვა და მოესმოდა მღერა ლიზდეიკისა,
ვილიისა დუდუნი, ქარი ვილეიკისა.
გედიმინ ოცნებობდა თვლემით რკინისა მგელზე,
გაიღვიძა და ღმერთებს თაყვანი უძღვნა ველზე,
იქ ვილნო აღაშენა რომელიც რომ ტყეშია,
როგორც მგელი შუაში ზის სხვა ჯიშის მხეცებშია.
და სწორედ რომ ვილნოდან ვით რომისა ძუ მგლიდან,
კეისტუტ და ოლგერდი არიან ამ ქალაქიდან.
მონადირე უებრო, რაინდნი ჩინებულნი,
ნადირს სდევენ ან კიდევ მტერსა გაჭენებულნი,
დაგვიმტკიცეს მათ ძველი თავიანთ დებულება,
ლიტვას სჭირდება მუდმივ, ტყე და რკინეულობა.

ტყენო! უკანასკნელი მანდ იყო მონადირე,
მეფე ჩაფხუტიანი, ვიტოლდისა მემკვიდრე,

იაგელონთა გვარის — მებრძოლი იღბლიანი,
უკანასკნელი იყო ლიტვის მეფე სვიანი.
ხენო სამშობლოსანო! ალბათ ღმერთი მაღირსებს,
დაბრუნებას და ნახვას ჩემი ტყის ხეთა გმირებს;
არ ვიცი ცოცხალი ხართ? არ ვიცი თუ ხართ კიდევ,
თქვენს ძირში მე დავრბოდი, ხშირად ტოტზე ვეკიდე.
არ ვიცი კიდევ დგას თქვენ შორის ბაუბლისი,
რომელიც ფუტუროში ხშირად იყო მეჯლისი,
თორმეტი წყვილი იყო სუფრაზე მოქიფე,
ერთიც დიდი, მსუქანი მეღვინე — მერიქიფე.
ანდა თქვენს მიდამოში როგორია ტაროსი?
ჰოლოვინსკის ოდის წინ სად მდინარეა როსი,
იმის ნაპირზე ცაცხვი, რომლის ფართე ჩრდილშია,
ასი წყვილი ქალ-ვაჟის ცეკვა და თამაშია.

ძეგლები ხართ თქვენ ლიტვის უკვე გადასულ დღისა,
დღეს კი მსხვერპლად ქცეული მოსკოვურ ნაჯახისა,
თავშესაფარს არ ტოვებს ტყისა მგალობლისათვის,
არამც თუ პოეტისთვის, ხეც არ არის ჩიტთათვის.
შავ ტყის ცაცხვსა ესმოდა იანის ტკბილი ნანინა,
ბებერ მუხამ რამდენი მას ცრემლები ადინა!
ამდენი სასწაულის თქვენა ხართ მომღერალი,
და მე აქამდე თქვენი გადუხდელი მაქვს ვალი.

ტოლები დამცინოდნენ, ნადირი ვერ მოვკალი,
და დავჯექი თქვენს ჩრდილში, მარტო ვიყავ —კაკალი,
მაშინ მოვინადირე მშვენიერი ფიქრები,
რომელთა მოგონებით მე დღევანდლამდე ვტკბები.
დასაჯდომი ვიპოვე რცხილა დიდ ჯირკიანი,
გვერდით ბებერი ხავსი მცქერდა ჭაღარიანი;
სილურჯე ერეოდა გასრესილი მოცვისა,
თვალწარმტაცი სურათი — იქვე ახლო ბორცვისა,
შეკაზმული გიშრისა და მარჯანის კაკილით,
სიჩუმეს არ არღვევდა კაცი არა, ძახილით.
ირგვლივ იყო სიბნელე და ტოტები ზევიდან,
ისე ჩამოეკიდნენ, ვით ღრუბლები ზეციდან.
ურხევ კონქისა ზევით ამოვარდა გრიგალი;
ვიჯექ, ვცქერდი ნათობდა ხანდახან ელვის ალი,
გასაოცი შხუილი ზღვის ღელვას წააგავდა,
წინამორბედ გრძნობითა სამშობლოზე ბოდავდა.

ქვევით ვხედავ და მოჩანს ქალაქი დანგრეული,
მუხები წაწოლილან სიბერით წაქცეული,

ჯირკები და ტოტები ერთმენთს ჩახვევიან,
საუკუნო ხსენების სუდარში გახვევიან,
მის სიღრმეში ცქერითა, თავზარი დაგეცემა,
შიგ ვერავინ შესულა თუმცა ბევრმა იჩემა.
ალაყაფის კართანა ხორაც არის ძვლებისა,
ალბათ ეს ნაშთი არის თავხედ რამ სტუმრებისა.
ტახი, დათვი და მგელი შიგ არიან მცხოვრები,
ხან ირემიც გადირბენს ტოტად უყრია რქები,
მოყვითალო ფოცხვერი ხან ხიდან გადმოხტება,
ხშირად თვალსაც ვერ მოჰკრავ ისე გაიპარება.
ტყის სიჩუმე ნისკარტით კოდალამ დაარღვია,
ხის ქერქს დაუკაკუნა, ნახა მსუქანი ჭია,
ფრინველი დაიმალა, ისმის კი რაკუნია,
ბურდღუნით გადაეშვა უღრან ტყეს დათუნია,
თრითინა წამოსკუპდა უპოენია თხილია,
მისი მასაზრდოები — გემრიელი ხილია.
ფოჩოჩიანი ქუდი თავზე გადმოიფარა,
ფეთიანად იცქერის, ვითომდა მოიპარა.
თუ ვინმეს დაინახავს ეს ტყისა მოცეკვავე,
ხიდან ხეზე გადახტის ფიქრზე სწრაფი — უმალვე;
ბოლოს ხის ფუტუროში სადღაც დაიკარგება,
ოდეს თვალი ვერ უცქრეს, დაკარგვა გენანება.
სიჩუმეა. უეცრად თხილის ტოტი დაირხა,
ფურცელთ მწვანე ნაბადი ატლასივით გაიხა,
და ბუჩქებში გამოჩნდა მშვენიერი გოგონა,
დავინახე, — ციური ანგელოზი მეგონა.
ხელთ კალათი ეჭირა სავსე მაყვლით და თხილით,
ქალთან ვაჟიც გამოჩნდა — შესცქეროდა ღიმილით,
მომხიბლავი ბუნება წამალია გულისა,
ასეთ ტყეში იქნება განცდა სიყვარულისა.

გაიგონეს ბუკის ხმა, ახლო ყეფა ძაღლების
და ქაქანი — ჯოხთ ცემა მონადირეთ მხლებლების.
გზა შეცვალეს. შეშინდნენ ხმით ძაღლის თუ კაცისა
ფოთლებში ისე გაქრნენ, როგორც ღმერთები ტყისა.
სოპლიცოვში დილიდან არის აურზაური,
ძაღლები აღარ ყეფენ, არსად ჩანს ბედაური,
საყვირის ხმაც არ ისმის სანადიროდ კრებისა,
ფუსფუსია მსახურთ და მზადება სტუმრებისა.
თადეოზი წუხელი დაბრუნდა დაქანცული,
ზედ საბანზე დაეგდო გაუხდელი, — ჩაცმული,
როგორც მუდუს, სოროში ისე ჩასძინებოდა
და მისი გაღვიძება ყველას დავიწყებოდა.

ხვრინავდა, მაგრამ ოდეს მზის სხივი შეიპარა
ფანჯრისა დარაბაში, მძინარს პირს დაეფარა,
გაიღვიძა და სურდა კიდევ წასძინებოდა,
გვერდი გამოიცვალა, მზის შუქს ემალებოდა;
იტრიალა ლოგინში, მაგრამ ვერ დაიძინა,
რაკუნი შემოესმა, ფანჯარას მიირბინა.
ფხიზლად თავსა კი გრძნობდა, მერცხალივით დაქროდა,
და მხიარულ სახეზე ღიმილი გადაკროდა.
მოაგონდა თადეოზს შემთხვევა გუშინდელი,
დაბრუნდა კმაყოფილი, ხოლო გვიან წუხელი,
ჭუჭრუტანას მიადგა, გაკვირვებით შეჩერდა,
ბაღის მხრიდან, დარაბას ვიღაც ქალი შესცქეროდა,
წყვილი თვალი უმზირდა ფართედ უპე გახსნილი,
და უჭერეტდნენ შიგ ოთახში სად არს ეაჯის საძილი,
მზე აწუხებს, ამიტომ თვალი დაუფარია,
ვაჟი ცქერს და არ იცის ვინ არს ბაღში მდგარია,
ჯიშიანი ხელები, წვრილი, გრძელი თითებით,
ვარდისფერის წამკრავი მარმარილოს ფრჩხილებით;
გახლეჩილ ტუჩებიდან ჩანან კბილნი წყობილი,
უკეთესს ვერ იხილავს კაცი ქვეყნად შობილი.
პირ-ბაგე ეთერისა ვით სამოთხის მშვენება,
ნუთუ არის შობილი ვის არ მოეწონება?

დახშულ ოთახს ფანჯარასთან იწვა თადეოზი,
გულაღმით წოლილს ეფარა საგრილოდ გაროზი,
მას, დარაბასთან ახლო კი ბაგე ეჩვენება,
და არ იცის ცხადშია ან თუ არს მოჩვენება.
ბავშვური, გულუბრყვილო და უმანკო ღიმილი,
არაერთხელ გვაქვს ხოლმე ჩვენ ნატვრით მოგონილი,
თადეოზმაც ასეთი შეამჩნია ღიმილი
და მას სურდა მიეღო ამ სიხარულში წილი.
უეცრად მოაგონდა ნახული ნაწნავები
ოდეს ოთახში ნახა და იცნო ეს კავები,
მღელვარე თმა ხვეული ირგვლივ საფეთქლებზედა
შარავანდედად ჩანდა ვით წმინდა ხატებზედა.

წამოიჭრა და სწრაფად ფანჯარას მიირბინა,
ვერავინ დაინახა, მოჩვენებამ იფრინა,
ხოლო ძახილი ესმის: „გრძელი ძილი კმარაო,
წადი ნადირობაზე და ადექი ჩქარაო."
თადეოზმა საჩქაროდ გააღო დარაბები,

ეზოს მიმოიხედა, დაიფშვნიტა თვალები,
ვერავინ დაინახა და ცოტად აირია,
ფიქრობდა: „ეს მოქცევა აბა რანაირია?
ფანჯრის ახლო ღობეზე შამბია ეკლიანი,
და მის ძირში ფერადი ბუჩქები მაყვლიანი,
გასასვლელი ამ მხარით ჩირგვებში არსად არი
და ბილიკიც არსად ჩანს, მწვანეა კოინდარი.
მაგრამ ჩანდა — ღობეზე ვიღაც გადამხტარიყო,
შერყეული ფოთლები ჯერაც არ დამდგარიყო.
ღობეს მისდგა რომელი მოცულია მწვანითა,
ტუჩებს თითი დაიდო და ჩაქინდრულ თავითა,
ფიქრობს თუ ეს ვინ იყო, რა სტუმარი ეწვია?
სხვადასხვა არსებაზე ეპარება ეჭვია.
ასეთ ფიქრით ეკალზე, თითი კაწრით გახია
და თავისთავს დასძახა, რომ ეს მასზე ახია.
დილით ეზოს რომ იყო ალიაქოთი დიდი,
ეხლა კაცი არ ჩანდა, ველარვის იპოვიდი.
თადეოზი შეჩერდა, ტყეს მიუბრუნა პირი,
და მოესმა შორიდან რომ იძახდა საყვირი;
მონადირეთ ყიჟინი, და მსახურთა ძახილი,
ნიავმა მოიტანა მთელი გამოძახილი".

თადეოზის ცხენია თავლაში შეკაზმული,
კაჩხას ხელი დაავლო, კეხს აუკრა სამბული,
ცხენს მოახტა, გაქანდა ტყის პატარა საყდრისკენ,
საცა მონადირენი უნდა შეკრებილიყვნენ.

ორია სამიკიტნო გზისა ორსა მხარესა,
ერთმანეთს შესცქერიან ვით მტრის ბანაკ — არესა,
მარჯვენაა ჰორეშკოთ კოშკისა საკუთრება,
მარცხენა სოპლიცისა, ვითომ მას ემუქრება.
მარჯვენაში ბატონობს ვით თვის სახლში გერვაზი,
მარცხენას კი განაგებს სოპლიცისა პროტაზი.

ახალი სამიკიტნო თვალწარმტაცი არ იყო,
ძველსა სამიკიტნოდან შარაგზითა გაიყო,
ძველსა შენობას ჰქონდა ძველებური ყაიდა,
ასეთი მშენებლობა ჩვენში როდი გავიდა.
ებრაელ მიკიტნებსა თურმე დაურღვევიათ,
ხოლო ფიცარ-ყავარი გლეხებს გაუთრევიათ.

ძველისა წინარეხი ნოესა ჰგავს კიდობანს,

ახალი სამიკიტნო სამლოცველოს წააგავს.
ოდეს დააცქერდები, საბძელსა მოგაგონებს,
და სხვადასხვა პირუტყვიც შენობაში ბინადრობს.
ცხენი, ძროხა, ხარი, თხა და ვაცი წვერიანი,
სახედარიც დაგხვდებათ ტვირთით — ჩალანდრიანი.
ზენაწილში ფრინველნი სხედან თვისსა საბუდართ,
და მრავალგვარ მწერებსაც იქ ჩასახლება უყვართ.
ხელოვნებითა არის ებრაული შენობა,
სინაგოგის ყაიდის აქვს მას მოყვანილობა.
სიონის დურგლებს ბაძავენ სკოლისა შენობაში,
განსხვავებას იჩენენ ახალსა დურგლობაში.
სახურავად ყავარი, ან ჩალა, ან ისლია,
უშნოდა მოგრეხილი, ხშირად დაგლეჯილია,
კოჭებისა თავები ბოძებზე დაბჯენილი,
და შიშველი ტკეჩები უშნოდ გამოშვერილი.
ბოძებისა დგმულება დამახინჯებულია,
და ვით პიზისა კოშკი ყველა გამრუდულია.
არც ბალავერი უდევს, არც ამთავრებს კოზმიდი,
შორიდან ჩანს საბრალოდ, საზიზღარი თუ მიდი.
სვეტთა შუა, ვითომდა ჩარჩო-წრე ნახევარი,
ვითომ ხელოვნებისა გოტურის ნაბაძვარი.
ხე ერთგვარად დაჭრილი მუხაა თუ წიფელა,
არავის უხმარია არც ეჩო, არც პირთხელა.
ყველა გამრუდულია ვით შაბაშის შანდალი,
და ტკეჩებზე მიუკრავთ ხელოვნური კოპალი,
ისეთი შუბლზე რომ აქვთ ლოცვის დროს ებრაელებსა,
ებრაულად ეძახიან, ციცულა კიკინებასა.
ვით მლოცველი ებრაელი სამიკიტნო ქიანებს,
არ ინგრევა, თუმცა კი განუწყვეტლივ ჭრიალებს.
ისლი გაჩეჩილია ვით ებრაელის წვერები,
შავად გარუჯულია ჭვარტლისაგან კედლები.
წინარეხის კოზმიდზე კოპალია მიკრული
ასეთი ხელოვნება სოდომს თუა ნახული!

ძველი მოაჯირიც კი ცოტად არის დამპალი,
ვილაცას იქ მიუკრავს ვირისა ძველი ნალი.
შიგნით კი სამიკიტნო გაუყვიათ ნაწილად,
ოთახები ნაშენი — მოკრძოებად და წვრილად;
ოთახებია მხოლოდ მანდილოსნებისათვის,
და ან ვინმე უცხოთა მოსულ სტუმრებისათვის;
ვიწრო, ხის მაგიდები კედლებზეა მიკრული
და პატარა სკამები რიგში ჩამწკრივებული.

რიგებში სხედან გლეხნი და წვრილი აზნაურნი,
მოურავი ზის ცალკე, სხვათ მიუქცია ყურნი
კვირაა. წირვის შემდეგ აქ ისურვეს შეკრება —
სოფლელებმა და არყით ცოტად დროს გატარება.
მიკიტნად ებრაელია — მოხუცი იანკელი.
იგი სულყველას იცნობს და მას იცნობს ყოველი.
სტუმრებს ჭიქები უდგათ უკვე არაყ დასხმული,
და მათ უმასპინძლდება — იანკელის ასული
იანკელი პატიეებს გრძელ ხალათში ჩაცმული,
ძვირფასი დარაიით წელი აქვს შემორტყმული.
ცალ ხელს ისვამს წვერებზე, მეორე აქვს ქამარში,
ყველაზე აქვს თვალყური და ვერ უძრახ ამაში.
წაკიდებულთ, ერთ წამში ხოლმე შეარიგებდა,
სტუმართ ტკბილი სიტყვით და ზრდილიანად იღებდა,
თუმცა მიკიტანია, აქვთ მისდამი პატივი,
ამის დამსახურება, როდი არის მარტივი.
მასთან ყოველს იშოვნი რაგინდ რა სასმელია,
ძვირად არ ანგარიშობს, წაგება კი ძნელია,
მას არავინ უჩივის, ის აფასებს თანხმობას,
სმას არავის არ უშლის, არ აქეზებს ლოთობას;
ხშირად კი არის ხოლმე აქ ნათვლა ან ქორწილი,
თვითონ მოქეიფეა, ამასთანაც გულჩვილი;
კვირაობით აქ უკრავს ზურნა ან ჭიანური,
ღამით გვიან თავდება ქეიფი და დავლური.

ებრაელი ჭიანურზე დამკვრელი ცნობილია,
თუმც უკრავს იშვიათად, არვინ გაუწბილია;
ოდესღაც ჭიანურით კარდაკარ დადიოდა,
და მომხიბლავი ხმითა ერის ბედზე სჩიოდა.
თუმც ებრაელია, გამოთქმა კარგი აქვს პოლონური,
და მას მოსწონდა ძლიერ სიმღერები ხალხური.
ჰალიჩიდან მოჰქონდა სოფლური სიმღერები,
ვარშავაში შეკრიბა ეროვნული ლექსები.
მართალია თუ არა, იანკელს მიეწერა,
პირველს მოუტანია დღეს ცნობილი სიმღერა,
რომელიც იანკელმა გაავრცელა მაზრაში,
ჩვენმა ლეგიონებმა შეთხზეს ტრევიზოს ბარში.
ლიტვაში მომღერლობა ძლიერ ხელსაყრელია,
და ეს ძველი ხელობა მან იწყო პირველია;
ოდესაც ის სიმღერით ცოტაოდენ გამდიდრდა,
შემდეგ თავისი სიმები კედელზე ჩამოჰკიდა,

სამიკიტნო აიღო, იქ ოჯახით ჩასახლდა,
და არაყით ვაჭრობა ხელსაყრელი გაჩაღდა.
ყველასათვის ხელგაშლილი და მასთანაც ალალი,
და მეზობელ ქალაქშიც მრჯელობდა ვით დალალი,
და ხორბლის ხარისხებიც რადგან კარგად ესმოდა,
მოგება აქაც ჰქონდა და ხორბლითაც ვაჭრობდა.
აქ მცხოვრებთათვის იყო საქმეებში მრჩეველი,
ყოველგან მიღებული, ვით კარგი პოლონელი.

მან ბევრჯერ მოაგვარა კინკლაობა და დავა,
ორთავე სამიკიტნოც იმიტომ იქირავა.
მას ყველა პატივსცემდა ყმაწვილი და ბერიცა,
ჰორეშკოს მოყვრები და თვით პირადად სოპლიცა.
იგი შუამავლად იყო მოდავეებთა შორის,
მთელმა სოფელმა იცოდა უთანხმოება ორის,
ერთი მკაცრი მუშტითა — რომელ იყო გერვაზი,
მეორე მკვეთრი ენით, — მსაჯულისა პროტაზი.

გრაფი ახალგაზრდაა და გამოუცდელია,
გერვაზიც მიტომ გაჰყვა ვით მისი მხლებელია,
და რადგან ფათერაკიც ვიცით რომ ადვილია,
ამიტომ გრაფის გვერდით გერვაზის ადგილია.
იანკელთან გერვაზის მუდმივი აქვს ადგილი,
ვახშმობისას არის თუ შუადღისას სადილი.
იანკელმა რობაკი იქ მოათავსა ეხლა,
საპატიო ადგილს რომ, სტუმართ არ მოხდეს შეხლა
ოდეს რობაკის ჭიქა იყო ხოლმე ნაკლული,
იანკელისა ხელით წამსვე იყო დასხმული;
ბავშვობიდან, ებრაელი მღვდლის არის მეგობარი,
და ამას ჩვენ გვიმტკიცებს იმათი საუბარი.
რობაკი შორს მხარეში ხშირად მოგზაურობდა,
ოდეს დაბრუნდებოდა, იანკელსა სტუმრობდა.
ხმებია, რომ იმისთვის მღვდელს მოაქვს საქონელი,
ხოლო ეს ჭორებია და სასიცხო სათქმელი.

რობაკი ლაპარაკობს, სხვანი სმენად ქცეულნი,
თავდახრილი უცქერენ — ირგვლივ შემოხვეულნი,
ბურნუთს ეწოდებიან ვით ქერსა ცხენი ბაჩა,
და ცხვირს აცემინებენ როგორც კაჩხა დამბაჩა
„Reverendissime"-ო, კოჩუბა ეუბნება,
ვისარგებლო ბურნუთით მომეცით ამის ნება,
რაც მე ცხვირსა ვატარებ, (გრძელ ცხვირს გადუსვა ხელი)

მე ასეთი ბურნუთის, დღემდე არ ვარ მყნოსველი,
ვფიქრობ კოვნოდან არის ალბათ ჩამოტანილი,
თაფლითა და ბურნუთით კოვნო არის ცნობილი.
რობაკმა მიაწოდა ბურნუთი საყნოსარი,
და თქვა: „მართალი გითხრათ კოვნოდან როდი არი,
მე ეს ჩამოვიტანე შორეული მხარიდან,
საცა მონასტერია ჩვენი — ჩენსტოხოვიდან,
ბურნუთსა ამზადებენ იქაური ბერები,
და საჩუქრად მიიღებ თუ რომ მათ ესტუმრები.
ყველამ იცით, იქ არის ჩვენი ღვთისამშობელი,
ჩვენს გვირგვინის დედოფლად ცნობილია რომელი
თუმც ლიტვის დედოფლადაც ის არის წოდებული,
ყველა ლიტველისაგან როდია მიღებული.
რადგან მოსკალებსა უნდათ ლიტვისა დამონება,
ამიტომ ლიტვაშია დიდი მოთქმა — გოდება".
ვილბიკმა თქვა: „ჩენსტოხოვს ვიყავ და ვეზიარე,
ოცდაათი წლის წინათ დიდი გზაც გავიარე,
გავიგე, ეს ქალაქი ფრანგებმა დაიკავეს,
ტაძრის ძვირი საჭურჭლეც თურმე მთლად გაიტანეს.
გაზეთმა აგვიწერა იქ ფრანგების ფარფაში,
ჯარი როგორც თავლაში, ისე შედის ტაძარში".
რობაკმა თქვა: „ნუ კადრობთ თქმას სიცრუისა მტკნარის
ვიცით, ნაპოლეონი რომ კათოლიკე არის,
რომის პაპს იმასთან დაუდვია თანხმობა
გაამტკიცოს ფრანგებში უნდა ქრისტიანობა".
ეხლა ცოტად დაეცა ამ ერში ქრისტეს რწმენა,
მაგრამ ნაპოლეონის ერსა აქვს დიდი სმენა.
მართალია ტაძრიდან საჭურჭლისა გაღება,
ხოლო ჩვენი ჯარისთვის ეს არის ღვთისა ნება.
სამშობლოსათვის არის წმინდა საკურთხეველი,
ასიათასი ჯარი ჯერ გვყავს ხელუხლებელი,
ეხლა მეტსაც შევადგენთ და ჯარს ვინ შეინახავს?
ლიტვა ფულს მოსკოვს აძლევს, რითაც ძლიერ მიჩმახავს;
ვილბიკმა თქვა: „გვყვლეფავენ, არა ნებიერობით",
ვილაც გლეხმა დასძახა არა კადნიერობით,
აზნაურს ხომ ამითი ბეერი არ დააკლდება?
ხოლო ჩვენი გლეხობა სრულიად გაკოტრდება.
„უხეშო! თქვა სკოლუბამ, გლეხი მიჩვეულია,
დოშივით ტყავი აძრო, ეს არ უხერხულია,
ხოლო ჩვენ, აზნაურნი, თვითნებობას ჩვეული,
ამით შეგვავიწროვეს, იყოს მოსკალი წყეული;
ოდესაც აზნაური თვის ეზოს არს ჯდომილი,

ერისთავის სწორია, თუნდ იყოს დავრდომილი".
დღეს წოდებას გვართმევენ და მას გვეკითხებიან,
აზნაურთ ღირსებანი რა დროიდან მოდიან!
იურახამ შესძახა: „თავადის მაქეს ღირსება,
ჩემი გვარის შელახვა მოსკალს არ ეღირსება,
მოსკალი ტყეში წავიდეს, მუხას ჰკითხოს რად მეფობს,
მათი მეფეც სხვა ბატონს თვის მხარეში არ ნებობს.
თავადო! თქვა ქაგელმა: „გვარები გვყავს ცნობილი,
რომელთ ღირსებაც არის გვირგვინით შემკობილი,
ხოლო გვარის ტვიფარში ვისაც ჯვარი უსახავთ,
თუ წინაპრებს გავარჩევთ, ებრაელს მოუნახავთ".
ბირბაშმა დაიძახა: „სიცრუე არის მტკნარი,
მე თათრების გრაფი ვარ, ტვიფარში მაქვს კი ჯვარი".
მიცკევიჩი გაჩუმდა თავადთ გვირგვინოსანი,
ამ გვარს წიგნებში აქებს სტრიიკოვსკი მგოსანი.

რობაკს სურდა ეს დავა დაეშოშმინებინა,
ჯერ უყნოსა ბურთუნს და ცხვირი დააცემინა,
და შემდეგ მიაწოდა სათითაოდ საყნოსად,
რადგანაც კარგი არის თავისა გასართობად;
და დაიწყო ჩამოთვლა მან ცნობილ გვარებისა,
ვის მოსწონს ჩენსტოხოვის ბურნუთი ბერებისა;
დამიჯერეთ, არ გეტყვით საქმეს სახუმაროსა,
რამდენჯერმე დომბროვსკიმ ჩემს ბურნუთსა უყნოსა.
დომბროვსკიო! შესძახეს, „დიახ! თვით გენერალმა
გდანსკში მასთან ვიყავი. გააგრძელა რობაკმა.
გერმანელნი გარეკა და ის იქ ბატონობდა,
წერა სურდა, უყნოსა რომ არ ჩასძინებოდა.
ორჯერ ცხვირი რომ დასცა, მხარზე ხელი დამადო,
გამამხნევა, ლიტვაში უნდა იყოთ მაგრადო.
ჩვენ იქ მალე შევხვდებით, ეს იცოდე მამაო!
ბურნუთზე გესტუმრები, სანამ წელი გავაო".

ბერ რობაკის ამბავმა ყველანი გაახარა,
და სტუმრები ჯგუფ-ჯგუფად აქა-იქ შეიყარა,
ჯერ გამეფდა სიჩუმე პირველი გაკვირვებით,
შემდეგ კი წამოიწყეს აღტაცების სიტყვებით;
და ირგვლივ გაისმოდა, დომბროვსკი,
პოლონეთი, ჩენსტოხოვ — იტალია და
ბოლოს გეგონებოდა, რომ ნიშან მიცემული,
დომბროვსკიზე ამღერდნენ, სად ის არის ქებული.
გლეხი გადაეხვია ბირბაშს — თათრების გრაფსა,

სკოლუბა — ვილბიკს, აგერ ებრაელი კი თავადსა,
ყველანი გაიძახდნენ: „მოიტა მიკიტანო!
ჩამოასხი დავლიოთ, ღვინო დიდ ტიკიდანო".

ბერმა დიდხანს ისმინა საყვარელი სიმღერა,
ცხვირი დასცა და ამით ყველანი შეაჩერა,
საბურნუთო კოლოფი აიღო ორთავ ხელში,
გახსნა და თვით კი დადგა სტუმართა შუა წრეში.
თქვა: „ბურნუთსა აქებთ და ჩაიხედეთ შიგნია,
ეს ჩვენი ისტორიის სამახსოვრო წიგნია";
კოლოფზე ამოჭრილი რაინდი ცხენოსანი,
არ იციან ვინ არის თუმც კია ჯაროსანი.
ვითა ხოჭოს ბუზები ჯარი ისე ესია,
და მათ წინ მიუძღვება ვითა სარდალთ წესია.
ცხენი შემდგარა ყალყზე, ტორები ჰაერშია,
ბედაურის სადავე მოკლედ უჭერს ხელშია.
დახეთ! უთხრა რობაკმა სარდლის მკაცრად ცქერასა,
აბა! ვინ გამოიცნობთ? გეკითხებით ყველასა
ალბათ ეს მეფეაო, ხოლო არა მოსკალისა.
მოსკალის მეფემ არ იცის სუნიო ბურნუთისა.
ვხედავ დიდი კაცია სოფლურადა ჩაცმული,
იდზიკმა თქვა: დიდკაცი, ოქროშია ჩასმული.
მოსკალის გენერლები, ოქროსა და ვერცხლშია,
ბრწყინავენ როგორც დოში ყვითელ საწებელშია.
რიმშამ თქვა: „ჯეელი ვიყავ როს ვნახე ეგ სარდალი,
ვიცანი, კოსტიუშკოა ეს სურათი მართალი,
დიდი კაცი კი არის, ჩაცმულია ჩამარში
ეს სუკმანი არისო, მერწმუნეთო ამაში.
ვილბიკი ამტკიცებდა, რომ ეს სხვა საცმელია,
და ყვირილით ამბობდნენ, რაც წყნარად სათქმელია.
დიდი იყო დაობა სხვადასხვა სამოსელზე
ვის რომელი საცმელი მოსწონს მეტად რომელზე".

რობაკმა დაინახა, დაობა არ შეწყდება,
თავის ირგვლივ ისურვა სტუმრების შემოკრება,
ბურნუთისა კოლოფი ჯერ ირგვლივ მიაწოდა,
და შეწყვეტილსა ამბავს ხელახლად განაგრძობდა.
ოდეს ნაპოლეონის ცხვირი არის ბურნუთში,
ეს ცხადი ნიშანია, ბრძოლას მოიგებს წუთში.
მაგალითად, ოდესაც აუსტერლიცთან იბრძოდა,
და მოსკალთ ცხენოსანთ ჯარი საერიშოდ იძროდა,
ფიცხლავ ჯერ ფრანგის ჯარმა ყუმბარა დაუშინა,

და გაქლეტილმა მტერმა ირგვლივ ველი მოჰფინა.
მეფე ყურს არც უგდებდა ბრძოლის ალიაქოთსა,
ამბობენ, განუწყვეტლივ ყნოსავდაო ბურნუთსა.
რუსთ მეფე ალექსანდრე ბრძოლიდან გაქცეულა
მისი ძმა კონსტანტინე – შიშისგან წაქცეულა,
და მათი მოკავშირე, გერმანელთ მეფე – ფრანცი,
სირცხვილით გაპარულა, არც ის იყო მამაცი;
ბონაპარტემ ეს ნახა და არ დაკარგა წუთი,
გაიღიმა და შემდეგ შეყნოსაო ბურნუთი.

სკოლუბამ თქვა: „მამაო! ეს რამდენი ხანია,
ნაპოლეონის მოსვლა – ოცნების საგანია,
ყოველ დიდ უქმის პირზე მის მოსვლას გვპირდებიან".
მოსკალი როგორც გვტანჯავდა, იმავ გვარადვე გვტანჯავს,
და სანამ მზე ამოვა, ცვარი თვალებს ამოგვჭამს.

რობაკმა თქვა: „ყვედრება საქმეა დედაბრული,
ლოდინი თუ რა ხდება, ეს კია ებრაული,
პური უსაფუაროდ არავის აუფუვდა,
და ბედსა კი ყოველთვის ხომ დახმარებაც უნდა?
ბონაპარტემ პრუსია ხომ უკვე დაამარცხა!
ინგლისი ზღვას გარეკა, მტერი ძირს დაანარცხა,
ალბათ მისგან მოსკალსაც ეგრევ მოელის ძლევა,
ხოლო ჩვენ დავაკვირდეთ, თუ ამით რა გვეძლევა?
მაშინ ლიტვის მცხოვრებნი ცხენებსა მოვახტებით,
მძლეველსა ბონაპარტეს ჩვენ გამოვეცხადებით;
ბონაპარტე შეგვეკითხავს: „თქვენ ვინა ბრძანდებითო?
ლიტველები? გმადლობთ კი, ხოლო არ მჭირდებითო".
სტუმრის დაპატიჟება არ არის საკმარისი,
სტუმარს უნდა გართობა, ქეიფი და ხალისი;
სახლიც უნდა დაგვო, სუფრაც უნდა გაშალო.
შინით უწესრიგობით წესი რომ არ დაშალო".

სიჩუმე ჩამოვარდა, შემდეგ მისცეს კითხვები,
„მამაო, არ გვესმისო არაკული სიტყვები,
ჩვენ ყველანი მზადა ვართ, გულახდილად გვითხარი,
რას ნიშნავს თქვენი სიტყვა?! ვის დავუჭიროთ მხარი?!

ამის ახსნის ცხადად დღეს თქვენთვის დრო მე არა მაქვს,
ყოველდღე მრევლის საქმე, ეპისკოპოსთან დამაქვს,
ხვალ დილით, წირვის შემდეგ მე აქა დავბრუნდები,
ყოველივეს გარკვევით აგიხსნით ვინც დამხვდები.
დღეს საჩქაროდ ქალაქში მე უნდა გავემგზავრო,

ეკლესიის და მრევლის საქმენი მოვაგვარო".

ვფიქრობ, ღამის სათევად ჩვენთანა მობრძანდებით,
ნეხრინოვს სიხარულით და მასპინძლად დაგხვდებით;
მოურავმა პატივით მოიწვია ხუცესი,
ვით კარგი მასპინძლისა, ძველებურია წესი.
ზუბკოვსკიმ დაუმატა: ჩვენთან შემოუხვიეთ,
ქვრივ-ობოლთათვის მოგცემთ, ფუთები შევახვიეთ,
იქაც ნახავთ ვერძებსა - და არის უშობელი,
მიუტანთ ღარიბ ბავშვებს, გაიხარებს მშობელი,
სკოლუბამ თქვა: „ჩვენთანო! ხოლო ტარაევიჩი,
იძახის: უნდა ნახოთ სოფელი პუცევიჩი.
ყოველი აზნაური რობაკს ეპატიჟება,
მღვდელი ადგა, გავიდა, არავის ერიდება.
რობაკი ცქერს ცხენოსანს, არა სცდება უთუოდ.
ეს არის თადეოში, მაგრამ რად არს უქუდოდ?
ძლიერ მოწყენილია, პირზედაც აკრავს ფითრი,
ცხენს განუწყვეტ მათრახს სცემს, ალბათ აწუხებს ფიქრი.
თადეოშის დანახვამ რობაკი გააკვირა,
ბილიკით გზის გადაჭრა თადეოშს დაუპირა.
ტყისაკენ გაეშურა, სწრაფად იცვალა მხარი,
და ისე მიიჩქარის, თითქოს იყოს მდევარი".

ვის გამოუკვლევია უღრანი ტყე ლიტვისა?
ვინ შესულა ღრმად შიგნით, ძალუძს თქმისა სიტყვისა?
მონადირეც ვერ შედის, შიგ არ იცის რა ხდება,
ვით მეთევზე ზღვის ძირზე ნაპირზე თუ დადგება.
ტყისა ამბავს ლეგენდა ან ზღაპარი თუ თხრობს,
მხოლოდ განგებამ იცის იქ რა მხეცი ბინადრობს.
მრავალი აქვს შავსა ტყეს თვისი იდუმალება,
და კაცის თვალს ყოველი შურვილით ემალება.
შიგ ვერ შეხვალ, გაბრკოლებს წაქცეული ჯირკები,
უამრავი რუ – ღელე და ნოყოზე გვიმრები,
ხე – ხეს გადახვევია, მაგრად შეუკრავთ ზღუდე,
ვით ნეძვი, ჭიანჭველებს შიგ აუგიათ ბუდე.
გველი, სკა და ფუტკარიც მრავალი არის ტყეში,
ირგვლივ უცქერ, გგონია ხარ ჯოჯოხეთის ბნელში,
ნუ ფიქრობ გადალახო შენ დაბრკოლება მათი,
და რომ კაცს არ მოელის იქ რაიმე ხიფათი.
ყოველ ნაბიჯზე არის მგლის სორო და ხვრელები,
აქა-იქ მწვანე ხავსით დაფარულია ტბები;
ამბობენ, შიგ ცხოვრობენ ჭინკა, დევი, ქაჯები,

მგონია სიმართლეა ეს ზღაპრული ამბები.
ირგვლივ უცქერ, წითლადა დაჟანგებულა წყალი,
საზიზღარი, მხუთავი მას ასდის ორთქლი მყრალი.
სიმყრალით კარგავს ხოლმე ხე ფოთოლსა და კანსა,
ნადირსაც თურმე წამლავს და გაუტეხავს ჯანსა.
კუზიანი დიდი ხე დაფარულა აბედით,
ტბას როს უცქერ გგონია სავსეა ჯადოსნებით.
უხეში, კორძიანი, ხავსიანი ხეები,
ვითომ ხელებს ითბობენ კერიასთან დევები;
ტბას რომ შემოუხვიო აფსუსია ოცნება,
ტყეში არის სიბნელე, თვალს არაფრის აქვს ცნება;
ამბობენ, რომ ტყის გულში სამოთხეა მცენარის,
და ყოველგვარ ნადირთა სრული სამეფო არის.
ყოველგვარ მცენარისა თესლი აქ ინახება,
სიდან მთელს ქვეყანაზე შემდეგ თურმე ვრცელდება,
ამ უღრან ტყის გულში კი ნადირთ აქვთ საბუდარი,
და ესენი ყოფილან დღევანდელთ წინაპარი;
ვით ნოეს კიდობანში, ტყეში წესი ყოფილა,
რომ ნადირთა ჯიშები წყვილ-წყვილად დაყოფილა.
თქმულებაა, ცხოვრობენ ტყეში ოჯახურადა,
ყველანი თავის ჯგუფში, არვინ არის ყმურადა,
მათ აქვთ თავისუფლება და ცხოვრების წესრიგი,
დავა არაფერზე აქვთ და ყველამ იცის რიგი.
შიგ ცხოვრობს თურმე დათვი, ფოცხვერი, ტახი, შველი,
ირემი, ტურა, მელა, კანჯარი, მაჩვი, მგელი,
მოცეკვავე თრითინა, კურდღელი, ბუძგი, ჯიხვი,
აქ რიყრაყზე აღვიძებს ტბას, გარეგანი იხვი.
ფრინველნიც კი ბუდობენ, არწივი, ქორი, სვავი,
ორბი, ძერა, მიმინო, ყორანი, შავი ყვავი.
ნადირთა ნაშიერი ტყის პირას მიდის საცხოვრად,
მშობლები ღრმა ტყეშია სიბერის დასატკბობად.
იქ ნადირი არ კვდება არც დანით, არც ტყვიითა,
იხოცებიან მხოლოდ ძალით ბუნებრივითა,
ნადირთ ჰქონიათ წესი იქ პატრიარქალური,
ასეთია თქმულება, რასაც მოვკარი ყური.
ოდეს დათვსა სიბერით კბილები აღარა აქვს,
და ფურ-ირემს ფეხები ძლივძლივობითა დააქვს,
და გახუნებულ კურდღელს სიბერე მოერია,
ყორანსა გიშრის ფრთაში ჭაღარა გაერია,
არწივს მსხვილი ნისკარტი ისე ჩამოეკუნძა,
რომ საბრალოს სიბერით ჭამაც კი აღარ უნდა;
სიკვდილის წინ უღრან ტყეს ყველა თავსა აფარებს,

და მშობლიურ საფლავსა თავის ძვლებს მიაბარებს.
მიტომაც საცა ტყეში კაცის ფეხი დადგმულა,
მკვდარი ნადირის ძვლები აროდეს არ ნახულა;
ამბობენ, მხეცთა შორის კარგიაო ცხოვრება,
აქვთ თვისი მმართველობა, დიდი თავისუფლება,
არ იციან რა არის კერძო პირთ საკუთრება,
რომელზედაც ჩვენა გვაქვს დიდი უთანხმოება.
სტრატეგია არ ესმით და არავინ არ ომობს,
და როგორც წინაპარი, იქ ნაშიერიც ცხოვრობს;
იმათ შორის ყოფილა დიდი ომობა-გატანა,
რა არსებაც რომ იყოს, თუ გინდ იყოს სატანა.
მათთან კაციც მივიდეს უთოფო-უიარაღოდ,
უვნებლად დაბრუნდება მთელი, სარი, უდაღოდ,
ალბათ გაუკვირდებათ, კაცს ჩაუვლიან წინა,
ისე როგორც პირველად ღმერთმა ის გააჩინა,
ადამთანა ცხოვრობდნენ, არვის რამე კლებია,
მაგრამ, თურმე ადამი პირველ წაჰკიდებია.
საბედლოდ, მათთან კაცი ვერ მივა ვერასოდეს,
ჯაფა, შიში, სიკვდილი ამაგრებს ნადირთ ზღუდეს.

არაერთხელ მომხდარა, რომ ნადირის მდევარი,
უღრან ტყეში შესულა მეძებარი, მწევარი,
მაგრამ ფიცხლავ უკანვე კუდამოძუებული,
ის პატრონთან მოსულა დამფრთხალ-შეშინებული.
დაშინებულსა ძაღლს კი დიდხანს უნდა შოშმანი,
თავს პატრონს მიახუტებს ნადირის არ მყნოსანი.
მონადირემ არ იცის ლიტეის ტყის იდუმალი,
ამბობენ: „ვერ ნახავსო ადამიანის თვალი.

დათვო! ხეპრე! რეგვენო! რად დატოვე ბუნაგი?
არ იცი რომ ნადირის ვოისკია მსუნაგი?!
იქნებ მუხაში თაფლმა გაგიტყუა ტყის პირზე,
სუნს მიჰყევ, ტკბილი გიყვარს, არც ფიქრობდი სიკვდილზე
გამოხვედი იქ საცა ტყე არ არის ხშირია,
ტყის მცველმა დაგინახა, სოფლისკენ ჰკრა პირია,
სოპლიცოვში სტუმრებსა ყველას შეატყობინა,
რომ შენ გნახა და იცის სად არის შენი ბინა.
ეხლა მოდის ვოისკი შენზე სანადიროდა,
უკან გზა გადაგიჭრა, შენს ბედს არ დასტიროდა".

თადეოზი არ ჩქარის, რადგანაც არის გვიან,
ძაღლები შუა ტყეში ნადირსა უყეფიან.

კრინტს არავინ არა ძრავს, ყველა სმენად ქცეული,
ცქერის იქნებ გამოჩნდეს დათვი გამოქცეული;
და ყოველი მზად არის ნადირს მედგრად რომ დახვდეს,
მხოლოდ ტყისა შხუილი ცოტად სიჩუმეს არღვევს.
ძაღლები ტყეს მისცვივდნენ დიდი ალიაქოთით,
მონადირე ჩასაფრდა ორლულიანი თოფით,
ვოისკიმ ყური მიწას დაადო, იქცა სმენად,
როგორც მკურნალი უსმენს სნეულს თუ რა აქვს სენად.
სენი სასიკვდილოა, თუ არის მოსარჩენი,
სურს მოყვარემ გაიგოს მკურნალის განაჩენი.
ყველა ვოისკის უცქერს, ის კი გამოცდილია,
მოდისო დაიძახა და გაიხსნა ღილია.
ძაღლების ყეფა ისმის ჩანს მოძებნეს კვალია,
მსროლელებმა თოფებს კი გაუსინჯეს ფალია;
შეკრებილან ძაღლები, ყეფა ისმის ერთმხრიდან,
გაფაციცებით ცქერენ, ნადირი არ ჩანს ტყიდან.
მეძებრები შეცვლილი ხმითა ისე ყეფიან,
ყნოსვით არა, თვალდათვალ მზერით ნადირს სწვდებიან.
წკმუტუნი გამოისმა, ძაღლი მოკლა ნადირმა,
მოქანცა მონადირე დათვის ნახვის წადილმა.
ალბათ დათვს სურს გაგლეჯა მეძებრების ალყისა,
რადგან ისმის აშკარად ხმა მომაკვდავ ძაღლისა.
იქნებ კვალი დაკარგა და ღრმა ტყეში წავიდა?
ან ნადირი ძაღლებზე შეტევაზე გადვიდა!

მონადირეთ თვალყური ტყისკენ აქვთ მიქცეული,
ქინჩნი მოუგრეხიათ, ვით მშვილდი მოწეული.

ერთს ადგილზე დგომა კი ვერვის აუტანია,
ნადირის მოლოდინში უტოკავეთ მათ ტანია,
ყველა ტყისკენ გაიწევს, ყველას სურს პირველობა,
ალბათ ეხლა იქნება მონადირეთ ცილობა.
ვოისკი ცხენზედა ზის, მონადირეთ აფრთხილებს,
არვინ იმეტიჩროს სროლით; თუ დააცილებს,
ნადირსა დააშინებს მუქთი აურზაური,
და დავსჯიო, იქნება გლეხი თუ აზნაური.
ყველას უკვე აევსო მოთმინების ფიალა,
უეცრად სამმა თოფმა ერთხმად დაიგრიალა,
და მთელ ტყეში გაისმა ნადირისა ღრიალი,
ალბათ მოხვდა საბრალოს ცხელი ტყვია – ტიალი.
თან გაისმის აფთარი ყეფა მეძებრებისა,
და ტყეში დახუთული ხმები საყვირებისა.

გარბიან რომ გაიგონ დათვი ვისი ხვედრია,
ვოისკი ყვირის: დათვსო ტყვია არ მოხვედრია;
აგერ მონადირენი ერთს მხარეზე არიან,
ფიქრობენ რომ აქედან დათვს გზას გადაუჭრიან.
დათვმა იგრძნო უკან გზა რომ აქვს თავისუფალი,
ტყისკენ პირი იბრუნა და აურია კვალი,
ხოლო ამ მხარეს დგანან გრაფი და თადეოზი,
ვოისკი მხლებელით და ჰორეშკოთა გერვაზი".

საით დათვი გაბრუნდა, ტყე როდი იყო ხშირი,
ნადირისა თათის ქვეშ ისმის იმტვრევა ჩხირი,
მიძუნძულებს, გადახტის წაქცეულ ხეთ ხორებზე,
მეძებრები მისდევენ დათვი შესდგა ტორებზე;
შემდეგ ხეს დაეჯახა და თითქოს ის მოსჩეხა,
მოგლიჯა და ტოტებით მეძებრებს მიაჯახა.
ქვა იყო თუ მცენარე იგი აღარ ირჩევდა,
ძაღლებისკენ ტყორცნიდა და ღრმა ტყისკენ იხევდა.
თადეოზი და გრაფი იდგნენ ამა გზაზედა,
უეცრად დაინახეს, დათვი აღგას თავზედა.
ნადირს ყალყზე შემდგარსა, მაღლა ჰქონდა თათები,
ამ დროს, ორთავემ ერთად, თოფს დასცეს ჩახმახები,
(გამოუცდელნი იყვნენ), ორთავემ დააცილა,
დათვმა გვერდი იცვალა, ხიფათი აიცილა.
ერთად შემოტრიალდნენ, ხელი სტაცეს ჯირითსა,
თვისკენ ეზიდებიან და არც უშვებენ თითსა,
ნადირი ყალყზე მდგარი, თვალში ცეცხლანთებული,
ორთავეს თავს დაადგა ბრაზით გააფრთებული,
გაიქცნენ ორთავენი, შიშით ვერ ცქერენ ვერასა,
გრაფის თავზე თათია, გაუხლეჩს თავს ქერასა.
ხოლო საბედნიეროდ, გრაფმა ეს აიცილა,
(თადეოზი გაიქცა, დატოვა თავის კბილა).
ნადირისა კლანჭები გრაფსა რომ მოხვედროდა,
ქალა ვით ფაფანაკი ტვინსა გადასძვრებოდა.
ანაზდეულ, რეენტით ასესორი გამოჩნდა,
გერვაზიც აქეთ მორბის, მასაც ხომ თოფი ჰქონდა!
მას კი გვერდით მოსდევდა ჩვენი ბერი – ხუცესი,
თუმცა იყო უთოფოდ, მიშველებაა წესი.
ეითომ ერთი ბრძანებით სამი თოფი გავარდა,
სასიკვდილოდ დაჭრილი ნადირი ძირს დავარდა.
ჯერ კიდევ გული უძგერს, ამიტომ მამაცია,
კიდევ შემოტრიალდა და გრაფი წააქცია.
უნდა რომ ყალყზე ადგეს, სისხლით კბილი აჩინა,

ამ დროს ზურგზე მოაჯდა სპრავნიკი და სტრაპჩინა

ვოისკიმ ჩამოიხსნა კამეჩის რქის საყვირი,
ორთავ ხელით აიღო და ჯერ მოარგო პირი,
ჰაერი ჩაისუნთქა, ლოყები გამობერა,
ასეთ მახარობელის გასიამოვნებს ცქერა.
ჯერ მუცელი შეკუმშა და თვალები დახუჭა,
როს ფილტვები აღივსო რქას მოახვია მუჭა,
ვით დილის ზარს მეზურნემ საყვირს ისე ჩაჰბერა,
ტყეში ასეთ ბუკის ხმის ძნელი არის აღწერა.
დაჰკრა საყვირს, ტკბილი ხმით აღავსო ტყე და ველი,
მოხიბლა მონადირე და მსმენელი ყოველი.
ვოისკი ცნობილ იყო ბუკით და ნადირობით,
ცხენოსნობით, სროლითა, ჯანით და მუხლმარდობით.
ეხლა აიღო ბუკი, ოსტატურად ჩაჰბერა,
მისმა ხმამ მონადირეს გული კი აუძგერა.
ხან ვით ძაღლი დაჰყეფს და ხან მგელივით ყმუის,
ხან ვით დაჭრილი დათვი საყვირი ისე ღმუის.
ხან კრიალა ხმით კივის, ეს დილისა სარია,
ხან ვით თოფი გრიალებს, დაგეცემა ზარია.

შეწყვიტა და საყვირი ალმართა ვით მახვილი,
ხმა მოისმის, ხოლო ეს ტყის არს გამოძახილი.
ჩაჰბერა! გეგონება, რქა ყაიდას იცვლისა,
გაგიტაცებს მისი ხმა, ხან ბოხის, ხან წვრილისა,
ვოისკი სხვადასხვა ხმით ბაძავს ყოველ ნადირსა,
სანადიროდ როს მიდის, არ ივიწყებს საყვირსა;
კიდევ ჩაჰბერა, წაბაძა და თვის ღრიალს,
ისეთი შემზარავი, გული დაგიწყებს ფრიალს.

შეწყვიტა, ხოლო ისმის კიდევ ხმა საყვირისა,
ეს კი არის მხიბლავი გამოძახილი ტყისა.
მუხამ მუხას გასძახა, ბებერ რთხმელამ რთხმელასა,
რცხილამ ხმა მისცა რცხილას, ურთხმელამ ურთხმელასა.

კიდევ უკრავს. ხმით ტკბება ტყე-ღრე, მთა და ბარია,
მწუხრის და მოლხენის ხმა ერთმანეთში არია,
დამკვრელის ოსტატობა ვოისკიმ ბუკს ჩასახა,
გამარჯვების სიმღერა ცისა ღრუბლებს აჯახა.

შეწყვიტა, ხოლო ისმის კიდევ ხმა საყვირისა,
ეს კი არის მხიბლავი გამოძახილი ტყისა.

ტყეში რამდენი ხეა, იმდენი ხმა ისმოდა,
და საყვირის ტკბილი ხმა, ხეს ხისაკენ მიჰქონდა.
ხმა ტყეს ირგვლივ მოედო და ველებს მოეფინა,
სადღაც შორს გადიკარგა, ცის კიდეს დაებჯინა.
დაამთავრა ვოისკიმ ნადირობის წესია.
ბუკი მოიგდო გვერზე, ცხენს შემოჰკრა დეზია,
სახე კი გამოსთქვამდა უაღრესსა სიხარულს,
სიტყვით არაეის უმხელს აღტაცებას დაფარულს.
თვალნი ალაპყრო ზეცას, მადლობა განგებასა,
და ტყის გამოძახილით ატკბობდა თვის სმენასა.
ირგვლივ შემოიკრიბნენ და დაუკრეს ტაშია,
ულოცავდნენ ყიჟინით, იფიქრებ განგაშია.

ეხლა მონადირენი შეიკრიბნენ ტყეშია,
კრებულად გაეშურნენ საცა დათვის ლეშია;
დასისხლიანებული, გაგლეჯილი ტყვიითა,
მიწასა დაბჯენია სისხლიანი პირითა.
თვალს თალხი გადაეკრა მომაკვდავის წესითა,
სუნთქვას მოაქვს ნესტოდან სისხლი ქაფი ჩქეფითა.
თავსა თუმც ვერა არყევს, თვალსა კი ახამხამებს,
დახეთ დაჭრილ დათვზედა პოდკომოჟისა ძაღლებს!
მარცხნიდან სპრაენიკია – და მარჯვნივ სტრაპჩინა
სისხლი რომ არ შეთხვლიფონ არც ერთმა შეარჩინა.

სანამ ვოისკიმ ბრძანა მოშორება ძაღლების,
და მომაკვდავ და თვისა ნება მისცა წაღების,
ნიშანი მისცა ვაჟებს თოფთა დალაგებისა,
და სამჯერ დაიძახეს „ვაშა" გამარჯვებისა.

ასესორი თავის თოფს ატრიალებს კაჩხასა,
იძახის გაუმარჯოს თოფსა ამისთანასა.
ასეთ სროლას ეს თოფი ხშირად არის ჩვეული,
და ვარაყიც ლულაზე არის არაჩვეული.
მუქთად არ დამიკარგავს განასროლსა ტყვიასა,
ეს სანგუშკომ მაჩუქა ვენაცვა მის ყიასა.
განუწყვეტლივ აქებდა ლითონისა ღირსებას,
და ღიმილითა თვლიდა თოფის კარგსა თვისებას.
რეენტმა თქვა: „მივდევდი დათვს ფეხდაფეხ კვალშია.
ვოისკიმ  შემაჩერა მკაცრად მცქერდა თვალშია.
მე რა გამაჩერებდა? დათეი ტყეში გარბოდა,
მეგონა დავეწევი და გულში მიხაროდა".
მივრბოდი, დავიქანცე და სულიც შემეხუთა,

ხნიერი ვარ, ამიტომ გავიბერე ეით ფუთა,
მაგრამ რომ დავუმიზნე და მყავდა ნიშანშია,
ვესროლე საბრალოს და, ტყვია მოხვდა თავშია.
ზორბა თოფი კი არის ჩემი საგალასოვკა,
ბეჭედი აქვს „ლონდონი" და კიდევ „ბალაბონოვკა".
(იქ ცხოვრობდა ცნობილი პოლონელი ოსტატი,
მის თოფს იცნობ, მას ამკობს ინგლისური ნახატი).

„როგორაო? – შესძახა ასესორმა ბრაზითა,
ვითომდა შენ მოკალი და ტრაბახობ ამითა?"
რეენტმა თქვა: „დარობა უსაფუძელოა ჩვენი,
მონადირეთა იყოს ამაზე განაჩენი

დავა გაჭიანურდა და მის ბოლოც არ იყო,
მომხრე (მონადირენი) ორ ნაწილად გაიყო,
გერვაზი ვერ შენიშნეს გვერზე იდგა წყნარადა,
არვის ებაასება, არვის აგდებს არადა.
ვოისკიმ თქვა: „ეს დავა ცხადი გასაგებია,
დათვის ეგრე დათმობა არავის უნებია,
ეს კურდღელი არ არის, ღირსი არის დავისა,
ღირს ტყვიას რომ დაუდგე, ღირს შეწირვა თავისა".
აიღეთ ძველებურად დამბაჩა ან ხმალია,
გაუსწორდით ერთმანეთს, ვნახოთ ვინ მართალია.
ამაზე ნებას მოგცემთ, ეს აზნაურულია,
ოც წყდას გადაგიზომავთ, უარი უხერხულია.
მომაგონდა ამბავი თუმც ძლიერ ძველია,
გიამბობთ, წაიკიდია ორი მეზობელია;
ვილეიკის ნაპირზე ცხოვრობდა დომეიკო,
და მეორე მხარეზე, მეზობლად დოვეიკო.
სანადიროდ იყვნენ და ერთად დათესა ესროლეს,
ღმერთმა იცის ვინ მოკლა, დავა ვერ მოასწრეს,
დამბაჩები ითხოვეს ერთმანეთის სასროლად,
მე მათ მოწმედ ვიყავი მანძილის გასაზომად.
დაიფიცეს, ვესვრითო დათვის ტყავის მანძილზე,
თითქმის ლულა ლულაში; ორთავე იდგა ჯინზე.
რადგან ეს კარგად მახსოვს ჩემს ახალგაზრდობიდან,
ყოველივეს მოგიითხრობთ დაწვრილებით – თავიდან.
სანამ ვოისკმა იწყო თხრობა ამბავისა,
გერვაზს სურდა გასინჯვა მკვდარი დათვის თავისა,
ჯერ მოძებნა ჭრილობა სად ტყვია მოხვედრია,
ალბათ ის გამოარკვევს დათვი ვისი ხვედრია.
გააპო დათვის ქალა, ტვინში ტყვია მონახა,

ზრდილიანად; პატივი არავისი შელახა,
ჯერ გაწმინდა და შემდეგ ლულებსა მოაზმანა,
ეს ჰორეშკოს თოფია, ასე დასძინა მანა
(თოფი მაღლა ასწია რომ ყველას დაანახოს.)
ხოლო მე არ მისერია, ეს არაეის ეგონოს,
აეცახცახდი, გამიქრა სრულად გამბედაობა,
დათვი გრაფს დაედევნა, ეს როდია ხუმრობა.
თადეოზი და გრაფი ჩემკენ გამოქცეული
დავინახე, მოსდევდა დათვი თათაწეული,
ოდეს ეს დავინახე დამიბნელდა სინათლე,
და უფალს შევევედრე მოგახსენოთ სიმართლე.
ღმერთმა კი მოავლინა მღვდელი იმათ სახსნელად,
ეს არის ჩემი სიტყვა თქვენდა მოსახსენებლად;
თოფიც მან გამომგლიჯა, დათვიც მან დააწვინა,
და ყველანი აქ მყოფი რობაკმა შეარცხვინა.
მე შევშინდი, ჩახმახიც კი ვერ დავაცემინე,
იქნებ ამის მოწამე არის კიდევ სხვა ვინმე?
ორ თავს შუა მიზანში მან დათვი ამოიღო,
როგორც ხედავთ, დათვმა კი თქვენი ჭირი წაიღო.
მაგრამ, მახსოვს კი ერთი ასეთივე მსროლელი,
სროლით, ფარიკაობით ცნობილი იყო რომელი,
ტყვიით ქალის ფეხსაცმელს მოაგლეჯდა ქუსლებსა,
არამზადა! ვიგონებ ეხლაც მის ულვაშებსა,
სახელად იაცეკი, გვარი არ მაგონდება,
ალბათ ჯოჯოხეთშია და ქვაბში იხრაკება.
ყოჩაღ მღვდელო! მან ორი სიკვდილს გადაარჩინა,
და მე მოხუც გერვაზსაც სიცოცხლე შემარჩინა.
ტრაბახით არ ვიტყვი და დათვს რომ გრაფი მოეკლა,
მეც ვეღარ ვიცოცხლებდი, მკვდარ ვიქნებოდი ეხლა,
და ჩემს ძვლებსაც შეჭამდა ეს ნადირი წყეული,
მღვდელმა გადაგვარჩინა, იყოს ის კურთხეული.
რობაკის სადღეგრძელო სურდათ რომ დაელიათ,
დარბოდნენ, ძებნაში ძალაც გამოელიათ,
არსად ჩანდა, რადგანაც ნახა დათვი მკვდარია,
გრაფი და თადეოზიც რომ უვნებელ არიან,
ზეცას თვალი აღაპყრო, გადისახა პირჯვარი,
შმაგივით შემობრუნდა და გაქრა როგორც ქარი.

ვოისკის ბრძანებითა შეკრიბეს ხის ტოტები,
ხორა დადგეს და ძირში აუნთეს ნაფოტები,
ალი ზეცას აეკრა ეით ალვისა კენწერო,
სიტყეის ნახვაც ძნელია ღირსეულად აღვწერო.

სხვადასხვა შეჭამანდი მსხვილ მუცლიან ქვაბებში,
ცეცხლს ირგვლივ შემოუდგეს, რომ ისაუზმონ ტყეში,
სავსე ურმიდან მოაქვთ მწვანილი და ლავაში,
ძნელია შეედარო პოლონელებს ჭამაში.

მსაჯულს სკივრი მოართვეს შეჭედილი სალტითა,
შიგ ბოთლები აწყვია გდანსკის ოქროს არყითა
(აიღო ბროლის ჭიქა რობაკის ნაჩუქარი,
ძნელია ნახო ბროლი იმისი შესადარი).
ჭიქა აივსო არაყით, გაუმარჯოს გდანსკსაო
შესძახა: „ყველანი ვსვამთ ამ სადღეგრძელოსაო
პოლონეთის ქალაქი — დიდი ნავთსაყუდარი,
ოდესღაც ჩვენი ქება — დღეს წართმეული არი,
უკან კი დავიბრუნებთ — ცხადზედ უცხადესია,
და შესთავაზა სტუმრებს, ვით მასპინძლის წესია.
ქვაბში თბება ბიგოსი, სათქმელად კი ძნელია,
თუ რა კარგი სუნი აქვს და რა გემრიელია;
ლექსად გითხრა? გექნება სიტყვა მისი ქებისა,
არ იქნები განმცდელი მისი გემოვნებისა".
თუ რომ მოგწონს ბიგოსი და ტყეში ქეიფობა,
უნდა სოფლად იცხოვრო და იწყო ნადირობა.
კომბოსტო დასჭერ წვრილად და როს უკვე ქვაბშია,
სხვადასხვა რამ სუნელი შეკრიბე ბოსტანშია,
ღორის ხორცი დასჭერი, ჩაყარე კომბოსტოში,
სუნელი დაუმატე და მოიხრაკოს ორთქლში.
(ქვაბი დიდ ცეცხლზედა დგას, თანაც დახურულია,
დაიცადე. იხრაკოს, ნუ წაგივა სულია).
როს ბიგოსი მზად არის, სუნს გამოსცემს მადიანს,
მეუეს გაუმასპინძლდეს, არ შეარცხვენს არავის.
ბიგოსით სავსე ქვაბსა ყველა შემოესია.
გაუმარჯოს, შესძახეს — მონადირეთ წესია,
ჯამით, კოვზით და ჭიქით ჭამად ყველა მზად არი,
(ქვაბი ცეცხლზე როდი დგას — გაუქექეს ნაცარი)
ქვაბი დაცარიელდა, ირგვლივ დარჩა სუნია,
დალიეს და დახემსდნენ, არვის დაუწუნია.
დანაყრდნენ და ნადირი როს დაღვეს ურემზედა,
მონადირენი შესხდნენ თავიანთ ცხენებზედა,
მათ პირთ ღიმილი აკრავთ, მასთანაც ბაასობენ,
რეენტი ასესორთან ყვირიან და დაობენ.
ყოველ თოფს ამჯობინებს თავის თოფს ასესორი,
რეენტს გაცვლა არა სურს თუნდ მისცეს თოფი ორი,
გრაფი და თადეოზი მიდიან დარცხვენილნი,

რადგან ორთავეს ტყვია დღეს იყო დაცდენილი.
ლიტვაში თუ რომ ერთხელ ნადირსა დააცდინე,
სახელს ველარ მოიხვეჭ რაგინდ იმეცადინო.
გრაფი ამბობს: „პირველმა ავიღეო ჯირითი,
დათვის მოკვლა მინდოდა იარაღით ამითი,
თადეოშმაც წაავლო ხელი და დამაბრკოლა,
ჯირითი დამიჭირა მე რაღათი მებრძოლა?'
თადეოში კი ამბობს: „მე ვარო ღონიერი,
თვით მე შევებრძოლებოდი – აზრია გონიერი.
შუაში ვოისკი მიდის, მოხუცსა აქვს პატივი,
მხიარული, აღზრდილი და ყველასთვის მარტივი,
მოისურვა ეს დავა მას მოეგვარებინა,
და დაწყებული თხრობა მას დაემთავრებინა".

ასესორი! თუ მსურდა შენსა და რეენტს შორის,
მორიგება ტყვიითა, წაკიდებულთა ორის,
მსურდა რომ სასაცილო თქეენთვის საქმე მომეწყო,
თქვენი სასისხლო დავა საოხუნჯოდ ამეწყო.
ძველი არის, ამიტომ არ გახსოვთ ეს ამბავი,
მე ვაჩვენე ჩვენს სოფელს კარგი რამ სანახავი,
რომელიც ცნობილია ირგვლივ ჩვენსა მხარეში,
არაჩვეული არის – გეგონება ნარეში.
უთანხმოება იყო, რადგან ორთავეს გვარი,
თითქმის ერთნაირია – მასთან გაუგებარი,
ხშირად ბუნდოვანია მობაასეთა შორის,
ამ გვარების გარჩევა ერთი მეორისგან ორის.
ერთ კრებაზე იყო რომ ირჩევდნენ დომეიკოს,
მის მომხრეთ შეეშალათ, ხმა მისცეს დოვეიკოს,
შემდეგ თამამად იყო ცნობილი რუპეიკო,
რომელმაც ადღეგრძელა სუფრაზე დოვეიკო".

ზოგს ესმა დოვეიკო, ზოგს კი დომეიკო,
ასეთ გაუგებრობით შეგვირცხვა რუპეიკო.
ვილნოს მოხდა ამბავი უჩმახი, უცნაური,
დომეიკომ იქ დაჭრა ხმლით მთვრალი აზნაური,
მთვრალი, დაჭრილი შემდეგ შინისკენ მიდიოდა,
მისი გზა ვილეიკას ბორანით გადიოდა;
იქ იყო დოვეიკო შემთხვევით მიმავალი,
ვინაობას იკვლევდა ის აზნაური მთვრალი,
ვიღაცა მგზავრმა უთხრა, არისო დოვეიკო,
მთვრალს მოესმა, ვითომდა არისო დომეიკო,
ხმალზე ხელი გაიკრა, სიტყვის თქმაც არ აცალა,

საბრალო დოვეიკოს ულვაში მოაცალა.
ამას უბედურება თან კიდევ დაემატა,
გამართეს ნადირობა და წილი ყარეს თანა
და ღვთის განგებით, რაღაც, შემთხვევით თურმე მოხდა,
დოვეიკო, დომეიკოს მეზობლად ტყეში მოხვდა.
ოდესაც მომავალი მათ დათვი დაინახეს,
ერთად თითი გამოჰკრეს მათ თავიანთ ჩახმახებს,
ვნახეთ და ათი ტყვია დათვსა ჰქონდა მუცელში
ერთი ყალიბის თოფი მრავალი ჰქონდათ ტყეში.

ერთმანეთსა შესძახეს: „ვაიო ჩემო თავო,
ესე უბედურება მე უნდა დავამთავრო,
მაგაზე გადამაბა მე ეშმაკმა თუ ღმერთმა,
დღეიდან იცოცხლოსო ჩვენთაგანმაო ერთმა.
ჯერ ბრძოლა მოისურვეს ხმლებით, – ფარიკაობა,
შემდეგ კი დამბაჩებით, ხმალიაო ფრთხალობა,
ვესროლოთ ერთმანეთსა დავდგეთ დათვის ტყავზედა,
ერთი დადგება კუდზე და მეორე თავზედა.
იფიცეს ტყავზე სროლა თითქმის ლულა ლულაში,
უკან როდი იხევენ, არ შეურცხვეს ულვაში,
დამბაჩით ბრძოლა უნდათ, არა სურთ ხმლითა ჩეხა,
მოსამართლედ მე ვიყავ, მიმიწვიეს ჰრეჩეხა.
მე დავთანხმდი, პირობით, თუ რომ აზნაურულად,–
იბრძოლებენ, და არა ჯალათურად – ყასპურად;
ვეუბნები: ადგილის შემოკლება კი კმარა,
ლულა ჭიპს მიუბჯინო, ეს არ იქნება – არა,
თანახმა ვარ პირველსა დადებულ პირობაზე,
ორთავენი რომ დადგეთ გმირულად დათვის ტყავზე.
ვით მსაჯული, დათვის ტყავს მე გავშლი მიწაზედა,
ვფიქრობ, ორთავ ყაბული ხართ ჩემს პირობაზედა.
ერთ თქვენგანს დავაყენებ დათვის ტყავის კუდზედა,
და მოწინაალმდეგეს კი, იმავ ტყავის თავზედა.
სამიკიტნოსთან დილით დავთქვით დრო შესახვედრად,
ამგვარი მსაჯულობა ვისა ჰქონია ხვედრად?!"

ყვირილმა შეუწყვიტა ვოისკის ეს თხრობა,
მინდორსა უცქეროდნენ, იყო სანახაობა;
მწევრები როდი იყვნენ ერთმანეთს გადაბმული,
საყელულ მოხსნილები დარბოდნენ აშვებული.
მათ კურდღელს თვალი მოჰკრეს, რბოდა ვით შურდულია,
მიმინო და კუდა რბის ოთხამოლებულია,
რეენტსა და ასესორს სურდათ კი დაღევნება,

ვოისკიმ შეაჩერა, არ მისცა ამის ნება,
არვის ნებას არ ვაძლევ ფეხი მოიცვალოსო,
ყველა აქ უნდა დადგეს, მწევრებს უთვალთვალოსო;
კურდღელი გარბის მარდად, გაიცქვიტა ყურები,
შორიდან კი იფიქრებ, რომ არჩვის არის რქები.
გაიჭიმა საბრალო, ასდის კორიანტელი,
უკან ორი მწევარი, ვით ერთი ტანი – მთელი,
ერთად რბიან, იფიქრებ შეაბეს უღელშია,
რეენტიც, ასესორიც, გაიმართა წელშია.
მიმინო სჯობს თუ კუდა ვნახოთ ჩვენი თვალითა,
იქნებ ეხლა გათავდეს მათი დავა ზავითა.
ორთავე გაიძახის, ჩემი სჯობსო მწევარი,
ორთავენი გააფრდნენ ვით ჩხუბში სატევარი.

თუმც სირცხვილი კი არის, ვთქვა უნდა მართალია,
ორთავენი კი დადგნენ ველზე ხახა მშრალია.
კურდღელმა შეიცვალა მხარი, ტყისკენ გაშურა,
მწევრებს კორიანტელის საფარი მოეხურა,
და კურდღელმა მწევრები უკან ჩამოირჩინა,
ფიცხლავ ტყეში შეიჭრა თავი გადაირჩინა.
თავჩაქინდრული დგანან, დარცხვენილი ორთავე,
ცხენები შეაჩერეს და დაყარეს სადავე.
საბრალო მწევრები კი ტყის ნაპირას დარბიან,
გეგონება, ერთმანეთს ესაყვედურებიან,
ბოლოს უკან დაბრუნდნენ, ველზე იწყეს ცუნცული,
ყურებჩამოშვებული, კუდამოძუებული.
პატრონთან მისვლა ძაღლმა ვერც ერთმა ვერ გაბედა,
ასესორსა და რეენტს ორთავეს ეცა ელდა.

ორთავემ კი დაიწყო თვის მწევრის გამართლება,
არ იქნებაო მწევრის უსამბულოდ გაშვება,
ამის გარდა, კურდღელიც იყო მოულოდნელი,
და მწევრებსაც არ ჰყავდათ მიმტევი ხელმძღვანელი.
ამასაც დაემატა, ველზე ბევრი ქვებია,
მწევრებს უნდა ჩავაცვათ ჩვენ ფეხსაცმლებია,
თორემ დაიმტვრევიან ამ დაწყევლილ ქვებზედა,
ირგვლივ ხარხარი ატყდა, ძლივს სხედან ცხენებზედა.

არავის აღარ სურდა ამ ხუმრობისა სმენა,
სასაცილოდ აიგდეს და მათ დაუწყეს სტვენა.
განაგრძეს მუსაიფი წეღან მოკლულ დათვზედა,
მღვდლის გამბედაობაზე, და მის კარგ სროლაზედა.

სასაცილო ამბავი ვოისკიმ დაინახა;
სად შევწყვიტე თხრობა? ღიმილით დაიძახა,
აჰა! საცა ორთავეს სროლა სურდათ ტყავზედა,
ორთავე დავიჭირე მოცემულ სიტყვაზედა.
ერთი დათვის კუდს დგება, მეორე კი თავზედა,
დავთანხმდი, სხვა თანხმობას არ აძლევს ამაზედა.
გულში კი მეცინება, ვირგილი მაგონდება,
ვიცი, ნადირის ტყავი აროდეს იზომება,
მახსოვს, რომ დედოფალი დიდო ლივას მიცურდა,
ხარის ტყავისოდენა მიწისა ყიდვა სურდა,
ლიბები დაითანხმა, და რომ მიიღეს ფული,
მიწის დაიწყეს ზომა ტყავითა დაფარული;
შემდეგ ვიცით, რომ აქა კართაგინა აშენდა,
ამის შემდეგ ტყავს სროლა მე რაღად შემაშენდა?
დილით, დავინახე რომ ეტლში ზის დომეიკო,
და მეორე მხარით კი ცხენზეა დოვეიკო,
უცქერიან მდინარეს – მთელ ხიდს ფარავს ტყავია,
ერთ მხარეზედ კუდი სდევს, მეორეზედ თავია.
პირობისდა მიხედვით, კუდზე დგას დომეიკო,
და მეორე მხარეზე – თავზედა დომეიკო.
უთხარ: ,,რაც გსურთ ის ქენით თქვენი დამბაჩებითა,
ხოლო თქვენ არ გაგიშვებთ, თუ არ შერიგებითა.
ჩემზე, ძლიერ გაცხარდნენ, გულმოსულნი მყვირიან,
დამსწრეთ ჩემი ოინი მოსწონთ და იცინიან,
რადგან გამოსავალი არც ერთს აღარა ჰქონდა,
დომეიკო, დოვეიკოს უნდა შერიგებოდა.
მათი აქამდე მტრობა შეიცვალა მოყვრობად,
დომეიკომ, დოვეიკოს და მოიყვანა ცოლად,
დოვეიკომ დომეიკოს შეირთო დის მული,
ორ ნაწილად გაიყვეს სიმდიდრე და მამული,
ხოლო რაც მოისმინეთ, სად ეს ამბავი მოხდა,
სამიკიტნო ააგეს, რასაც დათვი ეწოდა".

# წიგნი მეხუთე

## წაკიდება

### შინაარსი


ტელიმენას სანადირო გეგმა
ქალი მებაღე ისმენს ტელიმენას რჩევას
მონადირეთა დაბრუნება
თადეოზის გაკვირვება
ხელმეორედ შეხვედრა ოცნების
ადგილზე და შეთანხმება ჭიანჭველების საშუალებით
ნადირობაზე ბაასი
ვოისკის თხრობა რეიტანზე, რომელიც შეუწყვიტეს
შერიგების ცდაც შეწყდა
გასაღები
წაკიდება
გრაფი და გერვაზი ბრძოლაზე ბჭობენ


ვოისკიმ დაამთავრა ქებ·ული ნადირობა;
ყველასთვის სოპლიცოვეში დღეს იქნება ლხინობა.
დარბაზში ტელიმენა მარტო ზის სავარძელში,
ეხლა ფიქრობს იმაზე თუ ვინ ჩაიგდოს ხელში.
მკლავები გულს დაიჭდო, დაღვრემილი აქვს პირი,
გეგმას ადგენს, რომ ორი დაიჭიროს ნადირი
პირველი თადეოზი და მეორე გრაფია,
უკვე აიღო გეგმა მოქმედების სწრაფია.
გრაფია ახალგაზრდა და გვარითა ქებ·ული,
მდიდარია და ჩემშიც ცოტად შეყვარებული,
მითხრა ხოლო ნამდვილად ჯერ სრულად არა მჯერა,
რომ საცოლედ მე ვსურდე, თუმც წერილიც მომწერა.
ამის ნებას არ მისცემს მოყვარე ამ მშობელი,
მასზე უფროსიცა ვარ და რას იტყვის სოფელი?
ამ ფიქრებით წამოდგა, ზარმაცად გაიზმორა,
სარკისაკენ გასწია და კაბა გაისწორა.
მიდის, ვითომ პასუხი იმისთვის სარკეშია,
დაბრუნდა, დაიხვენეშა, ჩაჯდა სავარძელშია.

გრაფი ცვალებადია თავის გემოვნებაში,
ქერაც არის, ქერანი ხომ ზანტია ვნებაში?
თადეოზი ალალი და უბრალო ბიჭია,
ჯერ ბალღია და არა აქვს სიყვარ·ულის ნიჭია.
ხასიათშიც როდი აქვს თავის აშეებულობა,

ტელიმენასადმი კი, აქვს მას მოვალეობა.
ყმაწვილი საყვარელი თუმცა ცვალებადია,
ბეჯითია, ხნიერს სჯობს, ეს ხომ ცხადზე ცხადია,
ყმაწვილის გულში ღვივის პირველი სიყვარული,
თუ ვნება გაუღვიძე — არის აღტყინებული,
განცხრომა მისთვის არის განცდა სიამოვნების,
ვითა დროს გატარება, ვით ნახვა მეგობრების,
ოდესაც ხნიერ ლოთსა ჩაეხლიჩება ყია,
მას ღვინო ეზიზღება, არ მოსწონს არაყია;
ტელიმენას ყოველი ძლიერ კარგად ესმოდა,
რადგან ჭკუა არ აკლდა, გამოცდილებაც ჰქონდა.

ხოლო ხალხი რას იტყვის? იმათ სად დავემალო?
იქნებ სჯობს, რომ მე ბინა სადმე გამოვიცვალო?
ანდა არ ვეჩვენები მე არავის სოფლადა
და სატახტო ქალაქში წავალ საცხოვრებლადა.
ყმაწვილს ჯერ გამოვიყვან საზოგადოებაში,
მისი მრჩეველი ვიქნები ცხოვრების საკითხავში,
გულს გავუწვრთვნი, ვიქნები ხელმძღვანელი ფარული,
ბოლოს, სანამ დავბერდი, მეცა მსურს სიყვარული.

ამ ფიქრებით ოთახი ირგვლივ შემოიარა,
მოღუშულმა, (იფიქრებ რომ გულში აქვს იარა),
სოფიოზე გადვიდა ფიქრით ერთი წამითა,
იქნებ გრაფს მიათხოვოს, ისარგებლოს ამითა;
თუმცა არის უმზითვოდ, არის კარგი გვარისა,
სილამაზით საჩინო და შთამომავლობისა.
ამ გეგმაზე თუ კი რომ ორთავეს დაითანხმებს,
იცოდეთ! ტელიმენას ბედს ძაღლი აღარ დაჰყეფს;
სოფიოს ნათესავი და გრაფის მაჭანკალი,
იცხოვრებს იმათ სახლში, მათზე ექნება თვალი.

ამ გეგმის სისრულეში მოყვანა დაადგინა,
სოფიოს დაუძახა, რომ მისთვის ეცნობინა,

სოფიო თეთრ კაბაში, ხელში დიდი საცერით,
სავსე მარცვლით, ხორბლით, ფეტვით, შერიით და ქერით,
ფრინველთ შორის ტრიალებს, უხვადა ყრის საკვებსა,
საკენკს არვის უზოგავს, არც იხვს, არცა ქათმებსა.
მის ირგვლივ ფუსფუსებენ ჯგუფ-ჯგუფად ფრინველები,
გაბღინძულ ინდაურებს ჩამოუშვიათ ფრთები,
ყრანტალით და ფრუტუნით მარცვალს ეტანებიან,

დადიან დიდკაცურად, არვის ერიდებიან.
მამლაყინწას ფოცოცი, მუზარადად ადგია
თუმც რაინდი როდია — დეზები კი არგია,
ეზოს დასამშვენებლად აქ ფარშევანგიც არის,
გაკვირვებს ფრინველთ შორის მალხაზობა ციცარის,
ერთიც მამლაყინწას ჰგავს ყარაჩოღულ ქცევითა,
ფერით და სილამაზით და რაინდულ დეზითა,
ხოლო ძლიერ გამხდარი, ვით ხარდანი მაღალი,
ეს მხოლოდ ყვერულია - არ გეგონოს მამალი.
იხვები ბაჯბაჯებენ გიშრის ნისკარტიანი,
აგერ ბატი ყიყინებს გულშემზარავ ხმიანი,
არც მტრედები აკლია ამ ფრინველთა კრებულსა,
ეხვევიან ყველანი ქალწულს გაღიმებულსა.
ვარიკა ქალს უცქერის და თვალი უბრჭყვიალებს,
ფრინველთ შორის სოფიო საცერითა ტრიალებს.
ყველა მისკენ მიიწევს, ყველა ეალერსება,
ვინ სჯობია სოფიოს ფრინველთათვის არსება?
როგორც თოვლის ფანტელა გოგონა მსუბუქია,
მარცვალს უხვადა უყრის ვით იანერის ბუქია.
სოფიოა მაკვები ყველა ფრინველებისა,
(ჭამა ხომ შვება არის ქათმის საწებელისა?)
ხულიდან თავის ნებით მას გამოაქვს მარცვალი,
და სოპლიცოვს ამითი დიდი რამ ქნა ზარალი.

სოფიოს რომ მოესმა ტელიმენას ძახილი,
ჯერ საკინძი შეიკრა რადგან ჰქონდა გახსნილი,
შემდეგ მთელი საკენკი ერთბაშად გადაყარა,
და ოღესაც საცერში არა ჰქონდა აღარა,
ვითომ იყოს დაირა ისე შეატრიალა,
იფიქრებდი ცეკვავსო ეს ეთერი ციალა.
ისე რბის, გეგონება მიწას ფეხს არ აკარებს,
ვინც გინდა დაინახოს, დიანას შეადარებს.
დასტოვა კრუხ-წიწილა და მრავალი ფრინველი,
ტელიმენას ძახილმა დაავიწყა ყოველი.

გარბის. კარში არ შედის, შემოხტა ფანჯარაში.
ტელიმენას მივარდა და ჩაუჯდა კალთაში.
მან სოფიოს აკოცა, გადუსვა ხელი თავზე,
უცქეროდა უსიტყვოდ. (მოსწონს მის სილამაზე).
ჯერ გაიშუქა პირი, შემდეგ წარბი შეიკრა,
წამოდგა და სოფიო მაგრად გულში ჩაიკრა,
ვით დედა მოეფერა სოფიოს ტელიმენა,

ტუჩზე დაადო თითი რითა ანიშნა სმენა.

წამოიწყო: „სოფიო! დარდით გული მიკვდება,
რომ შენ თოთხმეტი წელი ხვალე შეგისრულდება,
და მგონია რომ კმარა ბავშვების ძიძაობა
ხომ საჭიროც არ არის ამაზე რომ დაობა?
კმარა ინდაურებში ამოდენი ტრიალი,
აბა სად გაგონილა რომ შენი გვარის ქალი,
გლეხის ბავშვებს ართობდეს დილიდან საღამომდე?
იმათთან ერთად ბაღში ქათმებით ერთობოდე?
მზისაგან დამწვარი ხარ, გაშავდი როგორც ზანგი,
აფსუს, მზეს რომ დაუწვავს შენი პირისა მანგი,
ეს ხუმრობა როდია და შენ არ გაიცინო,
სადარბაზოდ გაგიყვან და მე არ შემარცხვინო".

სოფიოს გაეხარდა, ახტა და დაჰკრა ტაში,
მოეხვია ბიცოლას, ჯერ აკოცა ლოყაში,
შემდეგ სიხარულისა თვალსა მოედო ცვარი
უთხრა: „ამდენი ხანი არ მინახავს სტუმარი,
გარდა ერთი გერიტისა, რომელიც აქ მოფრინდა,
მომწყინდა, აქა ყოფნა მე მეტი აღარ მინდა,
მსაჯულმაც თქვა რომ ჩემი ასე ჯდომა არ ვარგა,
და ამბობს, რომ ხალისიც სრულებით დამეკარგა".

მსაჯული მეც ყოველდღე იმასა მეუბნება,
რომ სოფიოს დრო არის ხალხისაო ჩვენება,
ამბობს რომ შენ მომწიფდი და ხარ გასათხოვარი,
ვიფიქროთო ამაზე  მოუძებნოთო ქმარი,
ეს საკითხი მე უკეთ მესმის და გამეგება,
შენსა გათხოვებასა თუ რაც რომ შეეხება.
გახსოვდეს, თუ რომ ხალხის თვალის წინა იზრდები,
მშვენიერნახავიც იყო, მაინც გაიაფდები,
რადგან ყველას ახსოვხარ გოგიცუნა პატარა,
მიტომაც იმათ თვალში, ფასი არ გაქვს აღარა.
ხოლო ოდეს ალზრდილი და მწიფე ქალიშვილი,
უეცრად გამოჩნდება როგორც ვარდი გაშლილი,
ანაზდად შევა დიდსა საზოგადოებაში,
იმ წამს არის ყოველგან მიღებული მოდაში
სულყველა მასა ჰბაძავს და საიდუმლოდ ვიტყვი,
ყველა მასზე ბაასობს, რაგინდ რომ იყოს ბრიყვი.
მე შენ ხომ გამოგზარდე როგორც რომ ღვიძლი შვილი,
ვინც გინდა რომ გაგიცნოს, არ მექნება სირცხვილი.

წადი შენ ჩემს ოთახში, კაბა გამოიცვალე,
კოხტად თმაც დაივარცხნე, აბა შენ გენაცვალე!
ნუ გვიანობ; საცვლებიც ამოიღე უჯრიდან,
შენთვის ჩამოვიტანე წინათ პეტერბურგიდან.
(ნადირობაც დამთავრდა და ბრუნდებიან ტყიდან)

დაუძახეს მოახლეს, წამში შემოირბინა,
ტელიმენამ ხათუნ ქალს წყალი მოატანინა,
ვერცხლის ტაშტი დაუდგეს და აუვსეს წყლითა,
სოფიო გულმკერდს იბანს, ბლვის ყვითელი ჩალითა,
და იმ გვარად ხვანხვალებს ცივ-ანკარა წყალშია,
ეით ბეღურა გვალვიან შუადღეს, სილაშია.
დაიბანა სოფიომ მკლავ – ხელ-პირი, კისერი,
აუწითლდა ლოყები და ღაწვი მშვენიერი,
ტელიმენამ აპკურა თმაზე ნელსაცხებელი,
პეტერბურგიდან ჰქონდა მოტანილი რომელი.
თალხი წინდა ჩააცვეს, ვარშავის ფეხსაცმელი,
მორთეს ქალი კეკლუცად, ვერც კი იცნობს მშობელი,
ეხლა თმას უვარცხნიან, უწყობენ ნაწნავებსა,
საფეთქლებზე უგრეხენ მოკლე თმისგან კავებსა.
ყვავილებიც მოართვეს სხვადასხვა ფეროვანი,
ტელიმენამ ირჩია მხოლოდ სუნნელოვანი;
ზამბახი თვით ჩაუკრა, დაუმშვენა თმებია,
შემდეგ სკივრსა მიადგა, საცა რომ კაბებია.
ჩინური აბრეშუმის – თეთრი კაბა ნაქარგი
ჩააცვეს. ტელიმენამ იცის რა არის მარგი
ამ ხნის ქალწულისათვის და რა არს შესაფერი,
კოპწიობა დაიცვას და რომ მისცეს ელფერი.
ქალწულს ვერ შეედრება ვარდი, ვერცა სოსანი,
მშვენება რომ აღწერო, უნდა იყო მგოსანი.

ოდეს გოგონა მორთეს სრულად სადარბაზოდა,
ტელიმენამ დაიწყო სოფიოსა გამოცდა;
ტელიმენა, უნდა ვთქვათ, კარგად გამოცდილია,
ესეც რომ არა იყოს, კარგ ოჯახის შვილია;
იცის თუ როგორ უნდა მიხვრა-მოხვრა ქალისა,
რა დროს და როგორ მხარეს, როგორ ქნევა თვალისა,
და ოდესაც ბიცოლამ კარგად აწონ-დაწონა
სოფიოს აღზრდილობა, მას როდი მოეწონა.
დატუქსა და შეჰყვირა: „ეს რა ქცევა არისო,
სალამი შენ არ იცი და დაჭერა მხარისო.
უცხო მე არ მინახავს, მე რა უნდა ვიცოდე?

უსაქმობით, ფრინველნი და ბალღნი შევიცოდე
და ამით თავს ვიქცევდი ჩემსა მარტოობაში,
ყოველივეს ვისწავლი ხშირსა დარბაზობაში".

ბიცოლამ თქვა: „სჯობია გართობა ფრინველებში,
ვინმემ დრო გაატაროს ჩვენს სოფლის მცხოვრებლებში,
აღზრდა არავისა აქვს ამას ვხედავთ ხალხშია,
კარგი გვარი იმათ ხომ არც მიიღებს სახლშია,
მათთან რომ იქონიო ხშირი ურთიერთობა,
სრულებით დაივიწყებ, რა არის აღზრდილობა.
ეხლა კი შეგიძლია შენ სტუმრებს რომ ეჩვენო,
კარგი გვარის სტუმრები გვეწვევინენ ეხლა ჩვენო.
ახალგაზრდა გრაფია აქ, თუმცა შინაური,
გთხოვ რომ განსაკუთრებით მიაქციო თვალყური,
ალბათ მალე შინ მოვლენ სასადილოდ ისინი,
ხედავ! ეზოს მოადგნენ, ისმის ცხენის ჭიხვინი.
ტელიმენამ სოფიოს ხელი ხელში ჩაჰკიდა,
წვეულთა მისაღებად დიდ დარბაზში გავიდა".

რომ სუფთა ტანსაცმელი გადაეცვათ სტუმრებსა,
ცალ-ცალკე მიაშურეს თავიანთ ოთახებსა,
თადეოზი და გრაფი საჩქაროდ გადაცმული,
პირველი შემოვიდნენ — დაინახეს ქალწული.

აქ ტელიმენა არის ვითა დიასახლისი,
ყველას სკამსა უჩვენებს, სად ადგილია ვისი;
თადეოზსა გააცნო სოფიო ტელიმენამ,
როგორც რომ ნათესავსა და როგორც შვილი დედამ.
ოდეს სოფიოსადმი ყმაწვილს სიტყვის თქმა სურდა,
ნერწყვი პირში გაუშრა და მუნჯივით დადუმდა.
საბრალო თადეოზი ჭარხალივით გაწითლდა,
შემდეგ ფერი დაკარგა, ვით ბაია გაყვითლდა.
ვაჟმა იცნო სოფიო, იცნო თმა, ნაწნავები,
მისი სახის მშვენება და ქუქუნა თვალები,
ბოლოს, ამ ხმამ ხომ დილით იგი გამოაღვიძა?
და უკვირს, ტელიმენა რად არის ქალის ძიძა?

ვოისკი შემოვიდა, ცქერს რომ ვაჟი ფითრია,
ალბათ დაიქანცაო, სხვა რამ არ უფიქრია,
უთხრა, დაისვენეო, ცოტად გამოიძინე,
შემდეგ მოდი, სუფრაზე ჩვენთან ერთად ილხინე.
მაგრამ ვოისკის სიტყვა თადეოზს არ ესმოდა,

გაბრუნდა და სვეტივით ბუხარსა აეყუდა.
ხან სოფიოს შესცქერის და ხან ტელიმენასა,
ძლიერ დაღვრემილია, არ აპირებს ლხენასა,
გამოცდილი თვალით კი, ტელიმენამ შენიშნა,
რომ სოფიომ ვაჟზედა გავლენა მოახდინა,
და მათ თვალს არ აცილებს, თადეოზზედა დარდობს,
ხოლო ყალბი ხალისით, ყველა სტუმრებსა ართობს.
წუთით დრო რომ იხელთა, მიირბინა ვაჟთანა,
ავად ხომ არა ხარო და გაუღიმა თანა,
მითხარ რა გაწუხებსო, მსურს მიზეზი ვიცოდე,
სოფიოზედაც უთხრა მას სიტყვა ორიოდე.
თადეოზი ურყევად კოზმიდზე დაყრდნობილი,
პასუხს არ სცემს, რადგანაც არ არის კმაყოფილი,
და რადგან თადეოზმა მას არ მიუგდო ყური,
ნაწყენმა ტელიმენამ, ვაჟს უთხრა საყვედური.
თადეოზი ამით კი უფრო მეტად გაჯავრდა,
თითქოს ბზიკმა უკბინა, ფიცხლავ გარეთ გავარდა,
აივანზე გავიდა და კიბეს მიაშურა,
გაუზრდელი ბრახუნით კარები მიიხურა.
ტელიმენა გაკვირდა, რაც ნახა არ სჯეროდა,
კარგია რომ იმათკენ არავინ იცქეროდა.
მანდილოსანი იყო ზრდილობას მიჩვეული,
მისდამი უზრდელობა არ იყო შემჩნეული,
მაგრამ ძლიერ ეწყინა, თვალს ცრემლი მოერია,
ოდეს ცოტად დამშვიდდა სტუმრებში გაერია.
თადეოზი ტყისკენ გარბის, ჯერ გავიდა ველზედა,
ტყეს უცქერის, ქუშად დგას მინდორის კიდეზედა,
სურს რომ ფიქრებს მოშორდეს, მოწყდეს და დაემალოს,
თუმცა გარბის, გულზედ მას ბოღმა აწევს საბრალოს.
ტყეში შედგა — იქ საცა ხელი გამოშვერილი,
იწვეედა და გადმოსცა ვნებიანი წერილი.

რა მხარეს მიიხედა, ტელიმენას უცქერის,
ის აქ გუშინ ხარობდა, დღეს გული არ უმღერის;
ყველგან ის ეჩვენება, ყველგან ქალის ლანდია,
ქვითინი შემოესმა, ვინ არის? რა სწადია?
ხმა არავისი ისმის, ესმის რომ ქვითინია,
ეს ტელიმენა ტირის. აერია ტვინია.

ამაოდ თადეოზი თავის გულსა ებრძოდა,
ეხლა ცოტად ჩაფიქრდა, უხერხულობას გრძნობდა.
არ მოსწონს თავისთავი, რადა ქნა უზრდელობა?

ეხლა აწონ-დაწონა ფიქრში იწყო მსჯელობა.
გიჟი ვარ თუ რა ვქენი? აბა ვისი ბრალია?
მე თვითონ ამერია თავში ორი ქალია.
ხეს ამოეფარა და სურს ქალი დაინახოს,
პატიებასა მოსთხოვს, იქნება დაუძახოს!
ცქერის, ვერ გაერკვია და არ იცის რა მოხდა,
ტელიმენა გიჟივით მარდად ფეხზე წამოსტა,
გარბის, რუს გადაასტა, ჩირგვებს, ჯირკსა და ტბასა,
ხელი პირს მოუფარავს და როდი იღებს ხმასა.
თადეოში უცქერის – ტელიმენა წაიქცა,
დაიკვნესა, წამოდგა და ისევე გაიქცა.
ქალს ფერიც კი შეცვლია – ყვითელია ვით ჩალა,
ვაჟი ფიქრობს, რომ ქალი ჭკუიდან შეიშალა.

მოგახსენებთ, და ალბათ დამეთანხმებით ყველა,
რომ ძლიერ მუშაკია პატარა ჭიანჭველა.
ვის არ უნახავს მისი სილის კოპწია ბუდე?
ვით ძველ კოშკსა არტყია სანათურითა ზღუდე.
სწორედ ასეთი ბუდე იყო ულრან ტყეშია,
სად ტელიმენა დადის, იმ ჭადრის ძირებშია.
ბუდიდან ღელის პირზე გაუტკეციათ გზები,
განზრახ თუ უნებლიეთ, ამას კი ვერ მიხვდები.
ტელიმენა აქ დაჯდა – (ჩვეულების წესია),
უეცრად ჭიანჭველა ტანთ შეესია.
შემდეგ კბენა დაუწყეს – ქალსა კანი ეწოდა,
ვაჟი დახმარების უარს ხომ ვერ ეტყოდა?!
კაბა რომ დაეფერთხა, ძებნა უნდა დაეწყო
ჭიანჭველა სად არის, ხელიც უნდა შეეყო
კაბის ქვეშა ქალისთვის, ჭიანჭველა ენახა,
ბრძანებით არ გამოელენ, თუ გინდ რომ დაეძახა.
აქ კი უნდა შევსწყვეტო, სიჩუმე ქებულია,
გეტყვით მხოლოდ – ქალ-ვაჟი რომ ჩაკონებულია.

სოპლიცოვში გაისმის ზარის რეკა, ხმაური,
სავახშმოდ ემზადება უცხო და შინაური.
შინისკენ დაბრუნება ერთად უხერხულია,
ტელიმენა წავიდა ტყის პირს – დაფარულია.
თადეოში გავიდა მარცხნივ შარაგზაზედა,
რომ ეჭვი არ აიღონ მის ყოფაქცევაზედა,
ტელიმენას ჩირგვებში ვიღაცა მოელანდა,
ნამდვილად კი არ იცის, თუმცა რობაკსა ჰგავდა,
თადეოშმაც ვიღაცას ორჯერ მოჰკრა თვალია,

შამბებში მიიმალა კაცი მიმავალია,
შორიდან კი ვერ იცნო, მაგრამ გრძნობდა გულშია,
უეჭვოდ გრაფი იყო ინგლისურ სურტუკშია.
სოპლიცოვს გაიმართა ვახშამი დიდებული,
პროტაზი ჯიუტი იყო - ის მამაცხონებული,
თავის ნებით მას სუფრა ძველ კოშკში გაუმართავს,
თუმცა მსაჯულსა ამაზე ნება კი არ დაურთავს.
სტუმრები შემოვიდნენ დარბაისლურ წყობითა,
პირველი პოდკომოჟი. თვის თანამდებობითა,
წოდებით, ხნოვანებით, ეკუთვნის პირველობა.
ყველას აძლევს ერთგვარად სალამს, აქვს აღზრდილობა.
ყველა ერთად მიდიან სუფრისაკენ ისინი,
სტუმართ შორის არ არის რობაკი — ბერნარდინი,
მსაჯულმა წაიკითხა დღეს ლოცვა ლათინურად,
ჭამად მოიპატიჟა სტუმარნი მასპინძლურად.
როს არაყი დაასხეს ნიშანია რომ დასხდნენ,
ლიტვურ გემრიელ წვნიანს მადიანადა ჭამდნენ.

წვნიანის შემდეგ მოართვეს კიბო და წიწილები,
თეთრი ღვინით აივსო ირგვლივ ბროლის ჭიქები,
სუფრაზე სიჩუმეა, სიტყვას არავინ ამბობს,
თუმცა წვეულებაა, არავინ არა ხარობს.
იმ დღიდან რაც ამ კოშკის ბალავერი ჩადგმულა,
ბალავერზე ეს მძლავრი კედლებიც აგებულა,
არვის ახსოვს ამ კოშკში ასეთი წვეულება,
ეს არ არის არც ლხინი, არც ძველი ჩვეულება.
ეს ქეიფი როდია, ქელეხი გეგონება,
აქ ცხადად ჩანს ბოროტი სულის გაბატონება.

მრავალია მიზეზი ასეთ დადუმებისა,
არვის სიტყვა არა აქვს ნადირობის ქებისა,
თუმცა დათვი კი მოკლეს, მხიარული დაბრუნდნენ,
ეხლა ყველა ჩაფიქრდა, შერცხვნენ და მიტომ სდუმდნენ.
ღმერთმა იცის საიდან და როგორ გამომხტარა,
ბერნარდინი, რობაკი, ეს ბერი — მეტიჩარა,
ერთი ტყვია ესროლა და დათვი დააწვინა,
რა თქმა უნდა ამითი ყველანი შეარცხვინა.
რას იტყვიან ამაზე ოშმიანი და ლიდა?
სროლაში პირველობა, მათ მაზრაში გადვიდა.
რეენტსა და ასესორს გარდა ამ სირცხვილისა,
პირადადაც აქვთ ჯავრი უბედობის წილისა.
იმათ თვალწინ უდგიათ კურდღელი გაქცეული,

ფიქრობენ: რად გათენდა მათთვის ეს დღე წყეული?
ორთავე თავის ჯამში ჩასცქერის დარცხვენილი,
ხან ერთმანეთს უცქერენ ვით ძაღლი აღრენილი;
ასესორს კიდევ სხვა აქვს სადარდო — სავალალო,
შესცქერის ტელიმენას და მეტოქეთ, საბრალო.
ტელიმენა ვერ ბედავს თადეოშის ცქერასა,
ხოლო სურს რომ დასძლიოს თავის გულისძგერასა,
მოისურვა გართობა გრაფის მუსაიფითა,
ჯერ ხელი გაუწია ღვინით სავსე ჭიქითა;
აღრენილია გრაფი რაც რომ ტყიდან დაბრუნდა,
ტყეში სეირნობითა ხასიათი წაუხდა.
თადეოში ფიქრობს რომ, გრაფი ტყეში წასული,
სათვალთვალოდ მათ გაჰყვა შორე — ახლოდ მალული.
ტელიმენას სუფრაზე გრაფის მოხმობა სურდა,
გრაფმა თვალი არიდა, სოფიოს მიუბრუნდა,
ხან ჭიქას გამოუცვლის, ხან კი ღვინოს დაუსხამს,
ხანაც ეალერსება და ხან მიაწოდებს ჯამს.
ხოლო იმისი ქცევა, (ჩანდა ეს კი აშკარად),
ტელიმენასთვის იყო და მის გულმოსაკლავად.
ხან გრაფი უნებლიეთ ვითომ ქალს გადახედავს
ტელიმენას არ ესმის უზრდელობას რად ბედავს?
ტელიმენა ვერ მიხვდა რა აქვს დანაშაული,
იქნებ ჭორი რამ უთხრეს ჩემზედო მოჩმახული!
უხარის არშიყობა გრაფისა რომ გაგრძელდა —
სოფიოსთან. ფიქრობს რომ გეგმა განხორციელდა
და ეხლა მიუბრუნდა თადეოშსა ტიკტიკით,
თადეოში კი ბრაზით გაიბერა ტიკივით.
ცდილობს, ხოლო ვერასგზით გული ვერ დაიწყნარა,
ტელიმენას კითხვებზე ზარმაცად დაამთქნარა;
შეეზიზღა თავხედად რომ იქცევა ეს ქალი,
უსირცხვილოდ შიშველიც მისი გულის ფიქალი,
მხოლოდ ეხლა შენიშნა პირზე ფერ-უმარული,
და ნაოჭი უპესთან ხელოვნურად ფარული.
ზიზღითა დააცქერდა ამ შეთხუპნილ სახესა,
მიხვდა თუ როგორ უგებს ქალი ვაჟსა მახესა;
ცქერს, რომ შეუღებია წარბი, ლოყა, ნიკაპი,
ვით მასხარას, ფერადი პირსა ფარავს ნიღაბი.
გულმოდგინედ დასცქერის ტელიმენას პირბაგეს,
ვერ ხედავს ვერავითარ წინათ ნახულს სიმანგეს.
იქნებ კიდევ აქ რამე თადეოშის ბრალია?!
როს აკოცა, მოხოცა ფერი — უმარულია!
ანდა კიდევ, ოდესაც შინ დაბრუნდა ჩქარობდა,

ოფლმა ჩამოურეცხა უმარული ცვარადა!
და დროც აღარა ჰქონდა რომ პირი შეეღება,
სწრაფად დარბაზს გავიდა და სტუმართ მიეგება!
ტუჩებთანაც გამოჩნდა უშნო, პატარა ჭორფლი,
და ვით ცვარი, ნესტოსთან ეკონება მას ოფლი.
თადეოზმა რა ნახა ამოდენი ნაკლული.
ფიქრობს, რომ ქალს მეტი აქვს საიდუმლოდ მალული,
ორი კბილიც აკლია, ღაწვს — ნაოჭი მრავალი,
გვიჩვენებს, ტელიმენა ხანს არს გარდამავალი.
ცუდია ოდეს იწყებ საყვარლისა განხილვას,
რაღაც მიზეზებს ეძებ, ცდილობ გულთა გათიშვას,
ჩუმად ჯაშუშად ხდები შენდა უნებურადა,
სინდისის წინ გული კი, გეხატება ქურდადა.
სიყვარული როგორღაც გაქრა და გაიპარა,
შემაერთი ბაგირი გულთ შორის აიყარა,
და ცდილობ რომ შეცვალო სიყვარული სინდისით,
გინდა გაითბო სული გაციებული სხივით.
იცი რომ მუქი მთვარე მხიბლავი-მნათობელი,
მხოლოდ საოცნებოა და არა გამთბობელი,

ასე ფიქრობს თადეოზი და ქენჯნა აქვს სინდისის,
რცხვენის ტელიმენასი და დადუმებითა ზის.

რაღაც ბოროტი სული თადეოზს შემოუჩნდა,
საუბრის მოსასმენად ახლოს გრაფსა მოუჯდა.
გრაფმა აღზრდილობითა სოფიო მთლად მოხიბლა,
თუმცა პირველ სიტყვებმა, ლოყები აუწითლა,
ხოლო ოდეს იმათი მუსაიფი გაგრძელდა,
სოფიო გათამამდა, გაიღიმა, გამხნევდა.
მხიარულად ერთმანეთს ართობენ, იცინიან,
ყურს არავის უგდებენ, არარას დაგიდიან.
თადეოზს ესმის სიტყვა იმათი შეხვედრისა,
დაიწყო თავის წყევლა და დღევანდელ ხვედრისა.
გველი გვერგვად გრეხილი გზის პირს ჩაესაფრება,
ვინმე გამვლელს შხამითა უკბინოს ელოდება,
ამგვარად მოიგრიხა თადეოზის სხეული,
შხამი ვერ მოინელა და ზის გააფრთებული.

რაგინდ ხალისი იყოს საზოგადოებაში;
თუ ვინმემ მოიწყინა, შეამჩნევენ იმ წამში.
ოდეს თადეოზს ბრაზით ჩამოუგრძელდა ცხვირი
რომ ეს წამსვე შენიშნეს, არ არის გასაკვირი.

პოდკომოჟიც დაღრეჯით, არავისთან ბაასობს,
ცქერის თავის ორ ასულს, ნაწყენია და დარდობს.
მზითევი არ აკლიათ და კარგი ოჯახისა,
საჩინო თვალტანადი, საქები ასაკისა,
ყმაწვილთა შორის სხედან, არავინ მასლაათობს,
თითქოს მუნჯნი არიან, ყველა აქ ყოფნას ნანობს.
თვით ვოისკიც დადუმდა, სიტყვა არ უთქვამს ორი,
თუმცა მობაასეა, ვით რომის სენატორი.

ჰრეჩეხას სმენა არის სიჩუმეზე — სათუთი,
ის მუდმივ ლაპარაკობს, რომ არ დაკარგოს წუთი,
და ნუ გიკვირთ ცხოვრება თვისი რომ გაატარა,
მუდმივი ლაპარაკით, ბაასით წარამარა.
ჭირში არის თუ ლხინში ანდა ნადირობაზე,
ის მუდამ ლაპარაკობს, პირველია კრებაზე.
ყველგან და განუწყვეტლივ უნდა ლაპარაკობდეს,
თუგინდ ტყავით კედელზე ამ დროს ბუზებსა კლავდეს.
თუ ვოისკის არ ჰქონდა სათქმელი არაფერი,
ლოცვებსა ჩურჩულებდა ღმერთისა მადლიერი;
ყალიონისა იყო მტერი დაუნდობელი,
ამბობდა: „პირისა და ენის არს დამბმელი,
და როგორც მეწისქვილე ოდესაც დაიძინებს,
თუ წისქვილი გაჩერდა წამსვე გამოიღვიძებს,
ვოისკიც ეგრე იყო. სიჩუმე ძილს უფრთხობდა,
და ამიტომ ჰრეჩეხა ძილშიც ლაპარაკობდა".
ვოისკიმ სცა სალამი მსაჯულსა და პოდკომოჟს,
სიტყვის თქმა სურს და ნების მიღებას ამითა სთხოვს.
იმათ თავი დახარეს ნიშნად რომ მისცეს ნება,
ჯერ ჩაახველა, შემდეგ დაიწყო მოხსენება:
„ყმაწვილებო! თქვენდამი მაქვს მე რამ სათხოვნელი,
ეხედავ გემრიელია სოპლიცოვში საჭმელი,
ხოლო ეს სირცხვილია ღეჭოთ ვით ნაცოხარი
და უსიტყვოდ რომ იჯდეთ ვით კამეჩი ან ხარი;
ეს არის სამწუხარო. გრცხვენოდეთ თქვენ ვაჟებსა,
იმ მონადირეს გავხართ, რომ აყანგებს ვაზნებსა.
ღმერთმა სულნი აცხონოს ჩვენი წინაპრებისა,
და იცოდეთ, შნოც არ გაქვთ მათთან შედარებისა.
ოდესაც ნადირობა ტყეში დამთავრდებოდა,
ეახშმობასთან, იმათი კამათიც იწყებოდა,
აქებდნენ ძაღლს ან ნადირს, სცინოდნენ ცუდ მსროლელსა,
გულახდილად იტყოდნენ გულზე ღებულს ყოველსა.
სანაძლეოსაც დებდნენ ვინ უკეთ მსროლელია,

ყველა მხიარულობდა, სტუმარ-მასპინძელია,
ვიცი გულზე რომ გაწევთ ჩვენი - რობაკი მღვდელი
და უსიტყვოდ შეჭამეთ სულყველამ საწებელი.
ვიცნობ თქვენზე უკეთესს მონადირეს და მსროლელს,
რომელთა შესადარიც არა ჰყავს არა სოფელს,
და ყოფილა შემთხვევა რომ დაუცილებიათ,
და მეორე ტყვიითა გამოუსწორებიათ.
ერთხელ თვით რეიტანმა ენახე რომ დააცილა,
ტოლიშჩიკის ნასროლმაც ხომ ხალხი გააცინა?
მოხვედრა, დაცილება, ეს მხოლოდ იღბალია,
მეც ბევრჯერ დავაცილე და დავწყევლე ფალია,
ჩვენს ორ ყმაწვილთ ხომ დღესაც ცუდი რამ მოუვიდათ!
ტყვია ჰქონდათ ლულაში, ორთავეს შეეშინდათ;
ეს დიდი ფრთხალობაა — გაგამართლოთ მე რითი?
თუ სროლა დაგავიწყდათ, ხელში გქონდათ ჯირითი.
იცოდეთ! შორით სროლა, ეს დაუშვებელია,
ახლოს ნადირს მიუშეებ — ეს არს საქებელია,
ახლოდან დააცდინე? — დაიხიე — ნუ გრცხვენის,
ჯირითით ხელში ბრძოლა, ეს ხომ ვაჟკაცსა შვენის?
ნადირს რომ შეუტიო, არ არს იძულებითი
და თუნდაც რომ გაექცე, არ შერცხვები ამითი.
ეს ნადირობის წესი ძველითაგან ძველია,
და თქვენი გამოქცევაც არ არს სარცხვენელია.
ეხლა გეტყვით ყმაწვილნო მონადირის ანდერძსა,
ნადირსა სროლაში თქვენ აცადეთ ერთმანეთსა,
და თუ ნასროლმა ტყვიამ ნადირს ვერა დააკლო,
მეორემ დაეხმაროს — თოფს ხელი უნდა ავლო".

ვოისკიმ თქვა: „მსროლელსა უნდა კარგი თვალიო,
ხოლო სტუმრებს მოესმათ სიტყვა ცვლილად ქალიო
„ვაშაო" დაიძახეს და ატყდა ჟრიამული,
ყველა ალაპარაკდა — შეიქმნა მხიარული".
ერთი გაიძახოდა: „ვოისკიმ თქვა თვალიო,"
მეორე კი სიცილით: „მას სურს კარგი ქალიო".
ყველანი ტელიმენას განუწყვეტლივ ცქერიან,
რეენტი, ასესორი ერთმანეთს უბღვერიან,
ვოისკი როდი ფიქრობს იმათ დაწყნარებასა,
იღიმება როს უსმენს სიცილს — გახუმრებასა,
უხარია ვოისკის ყველამ რომ გაიცინა,
რადგან გრძელ სიჩუმეში კინაღამ ჩაეძინა.
ლხინი მხიარულია ვოისკი უცქერს რაკი,
მას სურს რომ დაინახოს ბერნარდინი რობაკი,

კარგი რამე ამბავი უთხრას, მას უნდა მღვდელსა,
მსგავსი იმ ამბავისა მათ რომ შეემთხვათ დღესა.
გერვაზმა თქვა: ,,იყო კი ასეთი მსროლელიო,
როგორიც დავინახე დღეს რობაკი მღვდელიო.
ხოლო მე კი სხვაც ვიცი უებრო მონადირე,
დიდებული მსროლელი რობაკზე არა მცირე,
ჩემი თვალითა ვნახე, ტყეს იდგა ჩემზე წინა,
ორი კაცი სიკვდილსა ოდეს გადაარჩინა.
დაწვრილებით ამ ამბავს მე შემდეგ მოგიყვებით,
გავამჟღავნებ მათ გვარსა, მართლად გამოგიტყდებით,
ეს იყო რეიტანი მონადირე ქებული
და დენასის თავადი მის მიერ მოწვეული.
ძველად იმას იცნობდნენ ვით პირველი მსროლელი,
მათ შეემთხვათ ხიფათი, დღევანდელს ჰგავს რომელი.
ეს არ იყო იმათთვის სასირცხვილო ამბავი,
მსროლელმა კი მიიღო მოკლულ ნადირის ტყავი".
მსაჯულმა უნგრული ღვინით აივსო თვის ბადია,
თქვა: ,,მდიდარი არა ვარ, ბევრი არ მაბადია,
ხოლო მღვდელს უნდა მივცეთ რაც რომ ჩვენი ვალია,
და აუნაზღაუროთ მას თოფის წამალია".
ალავერდი ვოისკი! რობაკის სადღეგრძელო,
ყველას დაალევინე სიტყვა არ გააგრძელო,
შემდეგ კალმასისათვის შეეკრიბოთ საჩუქრები,
რომ ამით გაახაროს მან ქვრივი და ობლები.
ბერებს არ დასჭირდებათ ხორცის ყიდვა ერთ წელში,
დათვი კმარის საჭმელად წელიწადს მონასტერში,
რობაკმა ეს წაიღოს, ხოლო ტყავი ჩვენია,
კანონით ჩვენ გვეკუთვნის, როდი არის ძღვენია.
ბატონო პოდკომოჟო! ტყავი თქვენ მას მიეცით,
ვინც რომ დაიმსახურა, ჩვენზე უკეთ თქვენ იცით.
პოდკომოჟი იღიმის, მოიღუშა წარბები,
ყველა ალაპარაკდა ნადირობის დამსწრები,
აქ ერთი გაიძახის, რომ მან ნახა ნადირი,
მეორეს მოსმენია უმალ ტყეში საყვირი,
ასესორი ვერ მორჩა ლაპარაკს და დაობას,
რომ იმის თოფის ლულა, რეენტის ლულასა სჯობს.
პოდკომოჟი ადგა და მოახსენა მსაჯულსა:
პირველი ჯილდო უნდა მივცეთ ღვთისა მსახურსა,
ხოლო მეორე ჯილდო არ ვიცი ვის ეკუთვნის,
რადგან ყველას ერთგვარად გამსრჯელობა მიუძღვის
დღეს ორი ვაჟი იყო დიდსა ფათერაკშია,
ალბათ დამეთანხმებით ყველანი ამაშია,

გრაფმა და თადეოზმა გადაირჩინეს თავი,
მიტომ, ვფიქრობ, ეკუთვნით იმათ ნადირის ტყავი
თადეოზი დაუთმობს, (ვარ მე დარწმუნებული)
რადგან მასპინძელთან არს დანათესავებული.
გრაფო! მიიღე ტყავი ჩვენდა დასახსოვნელად,
და დაიგეთ ოთახში მისსა დასამშვენებლად,
დეე იყოს მამულის შენის შესაყვარებლად,
შემდეგ ნადირობაში თქვენდა წასაქეზებლად.

დაამთავრა. ფიქრობდა რომ გრაფი გაახარა,
არ იცოდა რომ ამით დანა გულს გაუყარა,
გრაფი კედლებს შესცქერის თვალში ცრემლმორეული,
კედლები ირმის რქებით ჭერამდეა შემკული.
მის წინაპართ შეილთათვის აქ დაუტოვებიათ,
ნადირობის ადათი არ დაევიწყებინათ,
და ჭერზედა, იქ საცა კონქია შეუდარი,
ნახევარი ვაცია – ჰორეშკოთა ტვიფარი.
ძველი დროის ამბებსა ვითომდა უყვებიან,
წინაპართ სურათებს თავადებიც უცქერიან,
მოაგონდა რომ არის სტუმრად სოპლიცებისა,
იგი, – გრაფი, – ჰორეშკო, ძველ მოსისხლე მტრებისა.
ვიცით, თადეოზისა გრაფს ჰქონდა დიდი შური,
და სოპლიცების მტრობის შეუჩნდა მას უკმური.
გრაფმა უთხრა: „ამისთვის ჯერ უნდა მოვითმინო,
მე ადგილიც არა მაქვს ტყავი სად დავაფინო,
და ოდესაც ჩემს კოშკსა სოპლიცა დამიბრუნებს,
ეს ტყავი მხოლოდ მაშინ იატაკს დამიმშვენებს.
პოდკომოჟი მიხვდა თუ რა სურდა ეთქვა გრაფსა,
საბურნუთოს კაკუნით ითხოვდა სიტყვას სწრაფსა.
გრაფო და მეზობელო! დიდად საქებარია,
რომ ვახშმის დროსაც გახსოვს შენი დიდი გვარია,
არა ისე როგორც დღეს ჩვენსა ახალგაზრდებსა,
რომ პატივს აღარ სცემენ წინაპართ ადათებსა.
იქნებ ზავით დამთავრდეს თქვენი უთანხმოება?
მორიგებას კარნახობს დღესა გარემოება".
მიწის გაცვლა-გამოცვლით ალბათ თქვენ მორიგდებით,
და ერთ გოჯა მიწაზე ხომ არ წაიკიდებით?
პოდკომოჟმა დაიწყო თვის გეგმის განმარტება,
რომელ მიწის ნაჭერი, სად ვის მიემატება,
ამ დროს კარი გაიღო (ვიღაცამ ითავხედა)
ლაპარაკი შეწყდა და ყველამ იქ მიიხედა
კედლისა ყურისაკენ. სად სურათი ჰკიდია,

სტოლნიკის ჰორეშკოსი, იქ საცა კოზმიდია,
ყურეში იყო კარი — საკეტითა — ურდულით,
გაიღო, შემოვიდა ვილაც ქცევით ქურდულით,
მიაცქერდნენ ბნელ კუთხეს და იცნეს — გერვაზია,
მოღუშული სახით დგას როგორც ტარტაროზია.
ყვითელ ლიბერიაზე; მოქარგული ტვიფარი
იცნეს. ეხლა დაიძრა გამართული ვით სარი,
ქუდი არ მოიხადა და თავიც არ დახარა,
გასაღებების კონით მოაბიჯებს არ ჩქარა.
მას კონა ხელთ ეჭირა სირმის ფოჩით შეკრული,
კედელს მისდგა, გააღო ორი კარი დახშული.
ორი ხისა საათი სვეტზე დაკიდებული
იდგნენ. დიდი ხნიდან კი იყვნენ დავიწყებულნი,
თუმც იმათი ისრები არ იყენენ დაჟანგული,
მზეს არ ეთანხმებოდნენ, იყვნენ წაკიდებული.
ისარი საღამოს ჟამს შუადღეს გეიჩვენებდა,
გერვაზი გასაღებით მუდამ უჩხიკინებდა.
იმისთვის ერთი იყო ხსნილი იყო თუ მარხვა,
ეხლაც მან მოინდომა საათების მომართვა.
ჯერ გასაღები შესდო და მოისმინა წკარუნი,
შემდეგ დაჟანგულ ჯაჭვმა წამოიწყო ჩხარუნი.
სიჩუმე დაარღვია ძველ საათის ხრიალმა,
ყველანი გააჯავრა გერვაზის აქ ტრიალმა.
პოდკომოჟმა შესწყვიტა სიტყვა წამოწყებული,
გერვაზის მიუბრუნდა ცოტა გაცხარებული.
უთხრა: ძმაო! შენ შემდეგ მომართე ეგ საათი,
შეაჩერე ხრიალი, მოგვეეცი შეღავათი.
გერვაზმა ჩამოსწია ჯაჭვი უფრო მეტადა,
დაჟანგული რგოლები ახმაურდნენ მეტადა
საათის ფანჯარიდან გამოვიდა ფრინველი,
ძველად, იყო ის ალბათ საამოდ მგალობელი,
ეხლა ის სამწუხაროდ, არის გაფუჭებული
და გალობის მაგივრად, ჩხავის — ახირებული.
(პოდკომოჟს მთლად აევსო მოთმინების ფიალა,
გამეცაო აქედგან, გერვაზს დაუღრიალა).
არაფრად არ ჩააგდო გერვაზმა ეს მუქარა,
მობრუნდა და დოინჯად ხელები შეიყარა,
თვით შეჰყვირა პოდკომოჟს: „ეს თავხედობა არის,
რომ ასეთი ყვირილი აქ გაისმის სტუმრის.
მე აქა ვარ ჭერის ქვეშ, ჰორეშკოს — ბატონისა
და ვარ მისი მოლარე. შენ კი აქ პატრონისა
უნებურად მოსული. რას ამბობ?! რას მიჰქარავ?!

სტუმრისა უფლებით, აქ თავს ვერ დაიფარავ.
გაეთრიე აქედან! პოდკომოქმა შესძახა".
(ასეთი თავხედობა აქ მყოფს როდი ენახა).
საათები მომართა და მობრუნდა გერვაზი.
გრაფს მიმართა სიტყვებით: (სულს უხუთავდა ბრაზი).
„ხედავ გრაფო რა ხდება ჰორეშკოთა დარბაზში?
შენს სახლში სტუმრადა ხარ, წილს იღებს შენს ლანძღვაში,
სოპლიცებთანა ზიხარ, ვინ ჰორეშკოთ მტერია,
და ვინც ღირსიც არ არის ფეხთ გიბერტყონ მტვერია.
გაგილანძღეს გერვაზი — მოხელე შენს გვარისა,
ნუთუ ასეთი ლანძღვა მოსათმენი არისა?"
პროტაზმა დაიყვირა: „სიჩუმეს გთხოვთ ყველასა,
ბეეხალსკი — ბალთაზარი გევედრებით სმენასა,
პროტაზს მეძახიან — ტრიბუნალის მსახურსა,
ორი სახელი მქვია, წოდებით აზნაურსა".
„პატივცემულნო პირნო! მოგიწოდებთ ვით ძველად,
პირები ავირჩიოთ ბრალმდებლად და მცველად.
გთხოვთ რომ სოპლიცის საქმე საჩქაროდ გაარჩიოთ,
და სადაო საკითხში არვინ გამოარჩიოთ.
მსაჯული ამ კოშკისა თითქმის რომ მფლობელია,
აქ სტუმრების მოწვევაც ამის მტკიცებელია.
ჩაჩუმდიო! გერვაზმა დაუყვირა პროტაზს,
თორემ ველარ იხილო სხივი მნათობისა მზის,
და სირმითა შეკრული გასაღებების კონა,
ვით შურდული მთელ ძალით გერვაზმა მას ესროლა.
პროტაზი თუმც გამბედავი, სიტყვით როდი ეურჩა,
ფიცხლავ თავი დახარა და სიკვდილს გადაურჩა".
ყველანი წამოცვივდნენ. სიჩუმეა წუთითა,
მსაჯულმა თქვა: „გერვაზი შეჰკარით მარწუხითა,
ეგ თავხედი, ტუტუცი, ჰკა მაგასო მედგრადა,
გრაფმა სკამს ხელი სტაცა, წინ გადუდგა ხერგადა,
კედელს და სუფრის შუა ყველანი შეაჩერა
და დასჭყივლა: ეს არის ჩემი ჭერი და კერა,
არვის ნებას არ მივცემ მსახური გამილახოთ,
კანონიერი გზა კი, შეგიძლიათ მონახოთ.
თვითნებობა დასჯაში გთხოვ არ გამოიჩინოთ
და ყველამ თქვენი აზრი რომ მე წარმომიდგინოთ".
პოდკომოქმა გადახედა ალმაცერადა გრაფსა,
უთხრა: „ჩვენ უთქვენოდაც მოვძებნით სამართალსა,
და კოშკს რაც შეეხება, გთხოვთ რომ აიღოთ ხელი,
რადგან სტუმრებმა ვიცით ვინ არის მასპინძელი.
გირჩევ რომ ჩუმად იჯდე, ისე როგორც იჯექი,

განაჩენს თავის დროზედ დაესმება ბეჭედი,
ხოლო თუ მთლად დაკარგე პატივი ჭაღარისა,
პატივი იქონიე სასამართლოს მაზრისა".
გრაფმა უთხრა: „მომბეზრდა თავი ლაპარაკითა,
ამოდენა ლოთობით, მუდმივ ჭამით და სმითა,
მე გავბრიყვდი იმითი, რომ თავი გაგიცვალეთ,
თქვენ უზრდელნი ყოფილხართ, ღირსება შემილახეთ,
მე თქვენ გაგისწორდებით. გაიარა დარბაზი,
ნახვამდის ბატონებო! მაშ, გამომყევ გერეაზ!
გრაფი ცნობილი იყო კარგი აღზრდილობითა,
პოდკომოჟი გაკვირდა მისი თავხედობითა,
გრაფის ასეთ პასუხმა მეხივით იმოქმედა,
გაბრაზებულ პოდკომოჟს მთლად მოერია ბნედა."
პოდკომოჟს სავსე ჭიქა ღვინით ხელში ეჭირა,
და თავდაეიწყებულმა, მან ხელი მოუჭირა,
ჭიქა გასკდა და ღვინო თვალებში შეეჩქეფა,
ცხვირი ჩამოურეცხა და დაუსველა კეფა.
იფიქრებდი რომ ღვინო სულში ცეცხლად ჩაექცა,
პირზე სისხლი მოასკდა, გული ქვად გადაექცა,
შმაგივით წამოვარდა, ისევ სკამზე დაეცა,
სურდა რომ რაღაც ეთქვა, თქვა მხოლოდ მატრაკვეცა.
გრაფუნა შენ გიჩვენებ! თომა! მომეც ხმალია.
მას მობეზრდა, არ მოსწონს მაზრის სამართალია,
თომა! სად არის ხმალი? მომიტანე ხმალია,
ავკუწო არამზადა — დაუყენო თვალია.
პოდკომოჟს ხელი სტაცა მსაჯულმა — შეაჩერა,
უთხრა: „მე დამაცალე, შენ მოითმინე ჯერა,
ჩემი ჯვარი გალანძღა, მაგას ჩემი აქვს ბრაზი,
აბა! მომეცი ხმალი, ხმალი მომეც პროტაზი".
აქ თადეოზ სოპლიცა წინ გადუდგა მსაჯულსა,
უთხრა: „არ გეკადრება ებრძოლო ბიჭუნასა,
ბატონო პოდკომოჟო! ეს რა შესაფერია,
ან რომ თქვენ მას ებრძოლოთ? ეს ყმაწვილის ჯერია
და შენ გრაფო! ვაჟკაცო! მოხუცთ რომ ემუქრები,
იარაღი აიღე, მე შენ გაგისწორდები,
ყველანი დავინახავთ როგორი ხარ რაინდი,
ხვალ შევებათ მინდორში როს დილის დადგეს ბინდი".
გრაფის და გერვაზისკენ ცარიელი ბოთლები,
ქრიან ვით შემოდგომის ხის გამხმარი ფოთლები,
თუმცა ბევრი დალევარეს, ყურს არვინ უგდებს ღვინოს,
გერვაზი დატრიალებს — ბოთლები აიცდინოს.
შეშინებულმა ქალებმა ასტეხეს ჟრიამული,

ტელიმენამ იკივლა და წაუვიდა გული.
კისერი გადაჰკიდა იქვე მდგომ გრაფის ბეჭსა,
თეთრი მსუქანი მკერდი, დააყრდნო მისვე მკერდსა.
ერთ წამში დაეკარგა გრაფს მორეული ბრაზი.
ხოლო იმავ კედლისკენ საცა იდგა გერვაზი,
ბოთლი, ჯამი და სკამი, ყოველი აქ მოჰქროდა,
ყველას აქედან აყრიდნენ რომ რამე მოხვედროდა.
გერვაზი ძლივს ტრიალებს მეტადრე დაქანცული,
ფიქრობენ, წაიქცევა და ამოხდება სული.
დაინახა სოფიომ გერვაზის განსაცდელი,
და თუმც მანძილი იყო მათ შუა მეტად გრძელი,
ზღარბივით მოიკუმშა, უცებ თავი დახარა,
ვით ფოცხვერი გადახტა და გერვაზი დაფარა.
სოფიოს ასეთ ქცევამ ყველანი შეაჩერა,
დაეძებენ გერვაზსა, ვერავინ ხედავს ჯერა,
სუფრის ქვეშ დაიმალა ვითომ ის წყალმა შთანთქა,
მაგრამ მეორე მხარეს გამოძვრა, გაიმართა
და მუხის ბალავარი ჰაერში აწეული,
ისე დაატრიალა — გზა ჰქონდა გაკელეული —
უკან რომ დაეხია; გრაფსაც ჩაჰკიდა ხელი,
აიცდინა ხიფათი, აღარ სჭირდა მაშველი.
წუთით, ფიქრობს გადვიდეს იერიშზე ბალავრით,
ან დაიხიოს უკან, გავიდეს ღია კარით,
დახევა ამჯობინა, დაუშვა ბალავარი,
ვოისკი დაინახა და დაეცა თავზარი.

ვოისკი წყნარად იჯდა ვითომ თვალდახუჭული,
თითქოს რაღაც ფიქრებით იყო გატაცებული,
ხოლო ოდესაც გრაფი პოდკომოჟს და მსაჯულსა
დაემუქრა, — ვოისკი კარგად უგდებდა ყურსა.
ორჯერ ბურთუნს უყნოსა, დაიფშვნიტა თეალები,
(ვოისკი და მსაჯული იყვნენ ნათესავები).
ის მსაჯულისა სახლში დაბინავებულია,
და თუმც მოურავია, სტუმრად მიღებულია.
ვოისკის როდი სურდა ჩხუბში რომ გარეოდა,
მსაჯულისა თავდაცვა თუმცა მას ეხებოდა
და ამიტომ მსაჯულსა ის თვალყურს ადევნებდა,
ჯერ კი ჩუმადა იჯდა, არავის ახელებდა,
ხოლო ეხლა წამოდგა, აიღო დიდი დანა,
დაიდო ხელის გულზე, გრაფს დაუმიზნა თანა.
ტარით თითებზედ არის სასროლად დადებული.

საშინელი რამ არის ჩხუბში სროლა დანისა,

ლიტვაში თუმცა არის გადასული ჟამისა,
მოსუცთ კარგად იციან დანის სროლა ჩხუბშია,
პროტაზიც ისერის  ხოლმე, მას სამიკიტნოშია.
ყმაწვილები ვერ მიხვდნენ თუ ვოისკის რა უნდა,
აინუნშიც არ მოსდით, რომ გრაფის მოკვლა სურდა.
გერვაზმა წამში გრაფი დაფარა ბალავრითა,
სურდა გაპარულიყვნენ ორთავ უკან კარითა.

როგორც მშიერი მგელი ტყეში ალყა შეკრული,
ოდეს ძაღლებს შეუტევს მეტად გააფრთებული,
ოდესაც შეუწყვეტენ ჭამას რამე მძორისა,
ეს იქნება შველის ან გარეგანი ღორისა,
მოხრილი მონადირე რბის თოფით ვითა შმაგი,
მეძებრის ხმას მიჰყვება მოკლას მგელი მსუნაგი,
ნადირს სურს თავს უშველოს, კუდამოძუებული
გარბის, თუმცა იზიდავს მძორი დატოვებული,
გაქცეულ მგელს ძაღლები კბილს გაჰკრავენ გავაზე,
მონადირე კი უკვე ფიქრობს ნადირის ტყავზე,
მაგრამ მგელი უეცრად ძაღლსა მოუბრუნდება,
დაუღრენს, უკუიქცევს, შემდეგ გზას გაუდგება,
გერვაზიც მგლისდაგვარად კარისკენ იკვლევს გზასა,
თავის მტერს იგერიებს, ბალავრით ფარავს გრაფსა,
მობრუნდა, შემობლვირა, საჯდომი პირს იფარა,
გრაფი გაუშვა კარში, შემდეგ თვით გაიპარა.

გერვაზმა დერეფანში იხელთა სიბნელითა,
კიბე აირბინა და ღონიერი ხელითა,
ოდისა აივანზე რიკული მოამტვრია,
სვეტების სროლა იწყო, ვითა მთესველმა შვრია.
არაერთს მისტეხავდა ხელ-ფეხს აივნიდანა,
ხოლო ბევრი სტუმარი გავიდა ოდიდანა,
მსახურთ მოასწრეს ცოტა გაეტანათ ჭურჭელი,
ხოლო რაც სუფრას დარჩა, მიატოვეს ყოველი.
პროტაზი ელოდება ვინ იქნება საახლო,
ბეეხალსკი ამიტომაც დგას მსაჯულისა ახლო,
რიხიანი ხმით უნდა სტუმრების დაწყნარება,
ხოლო ადგილს არ იცვლის, არავის ეკარება.
და ოდესაც გავიდა დარბაზიდან ყოველი,
ბოლოს მანაც დატოვა სასირცხო ბრძოლის ველი.
კაცი არვინ მოუკლავთ, ავეჯი მოანგრიეს,
სკამთ ფეხები მოსტეხეს, ჭურჭელიც მიამტვრიეს,
სუფრის თეთრი საფარი ცურავს წითელ ღვინოში,

ვით დაჭრილი რაინდი, ბრძოლასა საჩინოში.
იატაკზე, შემწვარი ქათამ-ინდაურები,
საბრალო საცქერია მკერდს ასვიათ ჩანგლები.
ჰორეშკოთ სამფლობელოს ცალკე დგომილ კოშკშია,
ყველაფერი, წესით, ჩასდგა კალაპოტშია,
შავი ღამის ნაბადმა დაფარა დედამიწა,
და ბუნების სიბნელემ მზის ნათელი ამიწა.
ერთმანეთს გასძახიან ყოველ კუთხით ჭოტები.
დადუმებულ ხეებსაც ერხევათ ტოტები,
ასეთი ბნელი ღამე მოგაგონებს ჯოჯოხეთს,
და შიშის ზარსა დასცემს მოგზაურსა არაერთს.
ოთახის ძველ ხვრელიდან გამოძვრნენ ვირთაგვები,
ალბათ დღეს გაძღებიან, მათ ბევრი აქვთ საკვები,
ხანაც ბოთლი გასკდება და იღვრება სასმელი,
როგორც მიცვალებულის სულის სახსენებელი,
ხოლო ერთსა ოთახში საცა სარკე არ იყო,
და სარკოვან დარბაზად იგი წოდებულიყო,
იდგა გრაფი მოწყენით ჩარჩოზე მიბჯენილი
საკინძი გაუხსნია, მკერდი აქვს გაღეღილი.
მეტად დაღვრემილია, ცქერის ღამისა უფსკრულს,
რაღაც მძიმე ფიქრები მას აწუხებენ ბედკრულს.
გერვაზი დასეირნობს გრძელი ნაბიჯებითა;
ლაპარაკი დაიწყო გრაფმა ამ სიტყვებითა:
დამბაჩით ანდა ხმლით მე ვიბრძოლებ უთუოდ.
გერვაზმა თქვა: „კოშკი ხომ ჩვენია სამუდამოდ?
ვინც გსურს გამოიძახე ასაჩეხად ხმლითა,
კოშკი უნდა მიიღო, მიითვისო ძალითა,
მთელი მისი მიწითა, ბოსტნებითა და ზვარით,
არავის მოგეხათროს დასტურითა ან უარით.
ოთხასი წელიწადი ჰორეშკოთ ხელში იყო,
ამოდენა მამული, მხოლოდ შემდეგ გაიყო,
ოდეს დიდი სტოლნიკი მოკლა წყეულ სოპლიცამ,
დამიმოწმოს სიმართლე აქაურ ცამ და მიწამ;
შემდეგ დაეპატრონა სოპლიცა მთელს მამულსა,
და რომ დამკვიდრებოდა, როდი ზოგავდა ფულსა!
ეხლა უნდა შენ ძალით წაართვა ეს მამული,
რადგან ჰორეშკო არის მის მიერ გაძარცული.
რად გინდა სასამართლო ან რად გინდა დაობა?
ყველაფერს დაემკვიდრე, დაუწყე პატრონობა,
ძველადაც აგრე იყო, ვინც მიწას მფლობელობდა,
მოსამართლეც ხომ მუდამ მის მხარეზე დგებოდა!
თუ მათე დამეხმარა, გეფიცები ჩემს მზესა,

ჩვენ სოპლიცებს ავჩეხავთ ისე ვითა ხმელ ბზესა.
ყოჩაღ! შესძახა გრაფმა, გეგმა აქვს რაინდული,
მომწონს მე შენი აზრი, რადგან არს გაბედული,
ჩვენ რომ ასე მოვიქცეთ სჯობს ვექილთა ლაყბობას,
მთელ ლიტვაში ჩვენზედა გაავრცელებენ ცნობას.
ერთხელ ვნახე ორ წელში ჩხუბი ორი გლეხისა,
სად ყორღანო ჩაეგდოთ მიწათა საზღვრებისა,
მაგრამ ჩვენი ბრძოლა ხომ ასეთი არ იქნება?
და ჩემი ან მსაჯულის აქ სისხლი დაიღვრება.
ერთი მქონდა შემთხვევა უცხო მხარეს ყოფნაში,
სიცილის თავადსა ვეწვიე ერთხელ სახლში,
ავაზაკებსა ჰყავდათ მისი სიძე პატიმრად,
თავადს სთხოვდნენ დიდ ფულსა მისა გამოსასყიდლად.
ფიცხლავ შევყარ მსახურნი მათთან საბრძოლველადა,
თავს დავესხ, ხმლით ავკუწე ორი ხელდახელადა.
მათ კარავში პირველი შევვარდი ვაჟკაცურად,
პატიმარი დავიხსენ მოვიყვანე მეფურად.
ოდეს უკან დავბრუნდი ასე გამარჯვებითა,
მცხოვრებნი წინ შემომხვდნენ პურ-მარილით — ძღვენითა".
თავადის ასულმა კი მადლობა გამოხატა,
მით, რომ ცრემლით, უსიტყვოდ გულში და ჩამიხუტა.
ოდესაც მე პალერმოს ჩაველ გამარჯვებული,
ყველა ქალი მცქეროდა ჩემში შეყვარებული,
გაზეთებმა აღწერეს ეს საგმირო ამბავი,
ყველასთვის სანატრელი ვიყავი სანახავი.
ამ საგმირო მოთხრობის გაზეთში სათაური,
იყო, ბირბანტე როკკას კოშკს იცავს სადაური?
გერვაზ! ეხლა მითხარი კოშკს თუ აქვს სარდაფები?
ან სადმე საიდუმლოდ გასავალი კარები?
სარდაფები ბევრია, ხოლო არ ცარიელი,
სოპლიცებმა დაცალეს ღვინო — მარანი, მთელი
გრაფმა თქვა: „გამოვიყვან ჟოკეებს, ჩემს მხლებლებსა,
და საბრძოლოდ მოვიხმობ ჩვენსა სოფლის გლეხებსა".
სოპლიცას დავეცემი. აქ გერვაზმა შესძახა:
„აბა გლეხებით ბრძოლა ვის სმენია? ვინ ნახა?
ამისთვის ჩვენ მოვძებნოთ უნდა აზნაურები,
მოვიაროთ და ვნახოთ ახლო სოფელთ მცხოვრები".
რომბანკი, ქეზიკოვი, ციეტიჩე და დობჟინი,
და იმათ დახმარებით ამოვიყაროთ ჯინი,
რადგანაც ეს სოფლები სოპლიცების მტერია,
და ჰორეშკოთ ერთგულნი — ჭაბუკი, თუ ბერია.
სამასამდე შევკრიბავ ულევაშიან აზნაურს,

ყოველივეს მოვაწყობ, თუ მე დამიგდებ ყურს.
შინ წადით, დაიძინეთ, იყავით მოსვენებული,
ბრძოლა ძნელია თუ ხარ არ გამოძინებული.
მამალმა დაიყივლა, ხედავ რომ გვიან არის,
მე კოშკში ვიდარაჯებ, აქ დავრჩები დილამდის.
დილით ადრე დობჟინსკში მე წავეალ თქვენს გზირადა.
გრაფი სანათურს მისდგა მიდამოს სამზირადა,
სინათლე დაინახა სოპლიცის ოდიდანა,
თქვა: „სინათლეს ხვალ ნახავთ ჰორეშკოთ კოშკიდანა.

გერვაზი ყურეს ჩაჯდა ბჯენით კედელთ პირებსა
თავი ჩაექინდრა და მიეცა ღრმა ფიქრებსა,
მთვარის შუქი დაეცა დაჩეხილ ბელატ თავზე,
გეგმას ადგენს ხვალისთვის სოპლიცის თავდასხმაზე.
კარგად იცის ვინ არის ჰორეშკოთა ერთგული,
თვალები დაეხუჭა უპე დამძიმებული,
ნიკაპი დაებჯინა მარცხენა კიპკიპასა,
ყვინთავს, ხოლო ჩურჩულებს ლოცვას „ყოვლად წმიდასა",
შემდეგ, ოდეს წარმოთქვა „იყავნ შენიო ნება",
ვერ ერკვევა, არს სიზმარს, თუ არის მოჩვენება!
უცქერის ჰორეშკოებს ძველად ყოფილ ბატონებს,
სხვადასხვაფერ კონტუშებს, ოქრო ზარნიშიან ხმლებს,
მკაცრად იცქირებიან და იგრიხენ ულვაშებს,
კლუჩნიკი მათ შესცქერის, ცნობს სტოლნიკის წინაპრებს.
მათ შორის ერთი არის მოწყენილი პირითა,
მკერდში დიდი ჭრილობით და მჩქეფარე სისხლითა,
წამსვე იცნო სტოლნიკი, გადისახა პირჯვარი,
შთაინთქას მოჩვენება და გაქრეს ეს სიზმარი,
ლოცვა თქვა, მიცვალებულთ სულის შესანდობელი,
ღმერთს შევედრა სტოლნიკი და იმისი მშობელი.
ამ დროს კი ეზოდან შემოისმა ხმაური,
დობჟინიდან მოსულა ყოველი აზნაური.
სიზმარს ხედავს, თვითონ ზის ვაყა ლურჯა ცხენზედა,
უნგრული მრუდე ხმალიც მოუგდია გვერდზედა,
მარჯვენით, ყურთან, ყარყუმის მას ახურავს ქუდია,
(იქნებ ასეთ სიზმარის მნიშვნელობა ცუდია?)
სწრაფ ნავარდში ყურთმაჯა ქარის ფრთას დაეკიდა,
მსაჯულის საბძელშია, მას ცეცხლი წაუკიდა,
ჩაეძინა ვით პირმშოს აკვნისა არტახშია,
უკანასკნელსა კლუჩნიკს ძველ კოშკის ოთახშია.

# წიგნი მეექვსე

## აზნაურთა დასახლება

### შინაარსი

სამხედრო თავდასხმის პირველი მოძრაობა
პროტაზის გამგზავრება
რობაკისა და მსაჯულის ბჭობა სახალხო საქმეებზე
პროტაზის მგზავრობის უშედეგობა
კანაფი
დობჟინის აზნაურები
მათე დობჟინსკის სახლ-კარის აღწერა

ნესტიან სიბნელიდან ცისკარმა გაანათა
მზის სხივი ცის ლაჟვარდზე ზარმაცად აღიმართა
უამაყოდ, დარცხვენით ამოძვრა ვით მძინარე,
მზე პირბადით მოცული, დღეს არა მომცინარე.
იმგვარად ჩამოაწვა დედამიწას ნისლია,
ვით ლატაკ გლეხის ქოხზე ყლარტიანი ისლია.
ცის მნათობი არ ჩქარობს, გეგონება აზმორებს,
თითქოს არც უძინია და იმიტომ აყოვნებს.
მზისა დაგვიანებით ყველამ დაიგვიანა,
და ცოდვილმა მიწამაც ნადირ და კაციანმა,
ძლივს თვალები გაახილა, ნისლშია გახვეული,
ნახირიც ზანტად მიდის, თუმც არის დამშეული.
კურდღელი განთიადზე არის ნასაუზმარი,
დღეს მანაც დაიგვიანა როდი იზიდავს ცვარი,
ნეკერს გემოს რომ აძლევს. ზის ტყეში აქამომდე,
და საუზმე გადასდო მზის სხივის ამოსვლამდე.
ტყეშიც სიჩუმე არის და ფრინველი არ გალობს,
ფრთები კი დაიბერტყა, სველი ჰქონდა საბრალოს,
ხელახლად შეიკუმშა, ჩაფლა მხრებში თავია,
ხეზე სხედან წყნარადა კოდალა თუ წავია.
წეროს ყრანტალი ისმის, დაფრინავს სველი ყვავი,
ყვავთა გუნდი დაეშვა საცა ყრია ნაგავი,
მიწის მუშამ კი იცის, რომ ყვავთა გუნდის ფრენა
ნიშანია ავდარის, დიდი თქეშის მოელენა.
მუშაც ხომ ადრე გადის სამუშაოდ ველზედა!
და საღამოს ის ფიქრობს ნამგალსა და ცელზედა,
ლაპლაპებს იარაღი სამუშაო იმათი,
მუშა მთელი დღე შრომობს არა აქვს შეღავათი.

სამკალში გლეხებისა ნამგლები წკრიალებენ,
თუმც ვერ ხედავ მათ ელვას, მზეზედ არ პრიალებენ,
ნისლში კი ხმა მოგესმის, სმენას გიტკბობს მუშური,
ძნელია აგიწერო განცხრომა საამური.
ხან მოისმის ცელის პირს გადაუსვეს სალესი,
ზეცით კურთხეულია მიწის მუშისა წესი.

კონებზედა დამჯდარა დალვრემით მოურავი,
მუშებს არ უთვალყურებს, დღეს არის რალაც ავი,
განუწყვეტლივ უცქერის გზატკეცილს, ბილიკებსა,
საით ამბები მოჰქონდათ გზირებს და შიკრიკებსა.

დილიდან შარაგზებზე დიდია მოძრაობა,
რალაც მოხდა ცხადია, აქ არ უნდა დაობა,
ხან გლეხი ურმით მოდის, ხან კიდევ ფეხოსანი,
ხან აზნაურის ეტლი, ხან გარბის ცხენოსანი.
მწყობრი ცხენოსნებისა სადღაც გაქრა ნავარდით,
ყველა ჩქარობს და გარბის, ხოლო სხვადასხვა მხარით,
სურს გაიგოს რა მოხდა სადმე რამე ამბავი,
წამოდგა, კონას შესდგა და მოიფხანა თავი.
შემდეგ მიდგა გზის პირას, სურდა რომ შეჰკითხოდა
გამვლელს, თუ სად რა მოხდა, მაგრამ ყველა გარბოდა,
თვით ვერავინ ვერ იცნო, ირგვლივ დიდი ნისლია,
ვერაფერი გაიგო, ბრაზის ახრჩობს სისხლია,
შორით ნისლში მოისმის ხმა ცხენთა ნალებისა,
იარაღის ჩხარუნი, შუბების და ხმლებისა,
თუმც ამა დროს ლიტვაში ბატონობდა სიწყნარე
ხოლო ომზე ცნობებით აივსო მთელი მხარე.
ახსენებდნენ დომბროვსკის, ფრანგებს, ნაპოლეონსა,
ნუთუ ეს მოძრაობა ეხლა გვაღირსებს ომსა?
სწრაფად შინ გაეშურა რომ მსაჯულს მოახსენოს,
რა ნახა და ან თვითონ იქნებ რამე გაიგოს.

სოპლიცოვშიაც ადგნენ დღეს დაგვიანებითა,
შხამიან გუნებაზე – წუხანდელ ამბებითა,
მალაც არავის ჰქონდა საუზმის დროს ჭამაში,
ბობლავდნენ ვით ბუზები გოლვიან დღეს კამაში.
სრულებით ამაოა ცდა გახალისებისა,
ვოისკის ასულს უნდა შეკრება ქალებისა,
სურს მათ უმარჩიელოს, ხოლო არ სურთ ქალებსა,
გაფიცვა მოუწყვიათ დილიდან დღეს ბუზებსა,
მათაც სძინავთ. ვოისკი არ დასდევს თეის ტყავითა,
სიტყვას არავის უცელის ფრუტუნებს კი ჯავრითა.

არჩია რომ წავიდეს, ნახოს მზარეულები,
საცა ცეცხლზე შიშინით იწვებიან მწვადები.
მსაჯული უწყებას წერს დილიდან თვის ოთახში,
პროტაზი ელოდება მარაგად დერეფანში;
ოდეს მსაჯულმა სრულად დაამთავრა უწყება,
(გრაფს იწვევს სასამართლოდ). პროტაზსა ეუბნება;
რომ ეს ერთი უწყება გრაფს უნდა წაუკითხოს,
და მეორე გერვაზსა მისცეს სად გინდა იყოს.
გრაფი პასუხსა აგებს ჩემს შეურაცხყოფაზე,
გერვაზი გრაფთან ერთად უზრდელ – თავხედობაზე.
უწყებები უთუოდ დღეს მათ უნდა ჩაბარდეს
და ამიტომ პროტაზი ცოტა უნდა აჩქარდეს.
კარგად იცის პროტაზიმ თვისი მოხელეობა,
უხარის რომ მიიღო დღეს მან მოვალეობა,
ვითომდა გაყმაწვილდა ძველი მოგონებებით,
ოდეს სასამართლოდან შეკონილ უწყებებით,
კარი-კარ დადიოდა. ილებდნენ გინებითა,
ხოლო, ხშირად დამხვდური ისტუმრებდა ძლვენითა.
ისე როგორც ბრძოლაში თავს სწირავს მეომარი,
ხოლო ბრძოლა არ ძალუძს, რადგან არის ხიჩარი,
მაგრამ ოდეს მოესმის საბრძოლო ხმა ბუკისა,
კვანჭალში ავიწყდება ტკივილები წყლულისა,
სურს რომ კიდევ იბრძოლოს, მიდის, მიეჩქარება,
ისე მარდად, ყმაწვილიც კი ვერ შეედარება

პროტაზი მიიჩქარის გადიცვას ტანსაცმელი,
დღეს იგი აღარ არის ჟუპანის მტარებელი?
ჟუპანია დიდ საქმის გასარჩევი დღისათვის,
დღეს სხვაგვარად ჩაიცვამს, მიდის უწყებისათვის.
წყვილი ფრთიანი ქუდი, ფრთა აკრეფილ ზევითა,
ოდეს მზიანი დღეა, ხოლო ფრთა დაშვებითა
წვიმიანსა ტაროსში, მან თავზედ დაიხურა,
კალთები აიყარა და ჯოხით გაეშურა
ფეხით. მიიპარება ვით ომის დროს ჯაშუში,
რომ არვინ დაინახოს – არვის მოხვდეს თვალყურში.

პროტაზმა კარგადა ქნა – დილით გაუჩქარია,
თორემ უწყებებითა, დიდხანს არ უხარია,
სრულებით შეიცვალა მოქმედებისა გეგმა,
მსაჯულს რალაც ამბავი შემოუტანა ბერმა.
შესძახა: „ღვთის რისხვაა აქ ეს თქვენი ბიცოლა
პრანჭია ტელიმენა, (აფსუს, არვინ იცოლა!)

ოდესაც, რომ სოფიო ობლად დარჩა ხელადა,
იაცეკმა ტელიმენას მისცა გასაწვრთნელადა,
ფიქრობდა რომ ის არის ქალი დარბაისელი,
ტელიმენამ კი საქმე აგეირია ყოველი,
ლამობს რომ თადეოზი მიიტყუოს თავისკენ,
ვუთვალთვალებ, არ ვიცი იქნებ იწევს გრაფისკენ!
ანდა ორთავ ერთად სურს.  ჩვენ მივიღოთ ზომები,
თორემ ირგვლივ სოფლებში გავრცელდება ჭორები.
ცუდი მაგალითია ვაჟების წაკიდება,
ესეც არ იყოს წახდება გრაფთანა მორიგება,
მორიგება? იყვირა მსაჯულმა გულ მოსვლითა,
მე ვამთავრებ და არ მსურს საქმე მორიგებითა".
„რაო?!  ჰკითხა რობაკმა, აბა სად გაქვს გონება?
რას მიჰქარავ? ახალი გაქვს რამ გამოგონება?
ჩემი ბრალი არ არის, მოახსენა მსაჯულმა,
სასჯელი ხომ მიიღოს უნდა დანაშაულმა?
გერვაზი ლაწირაკი სასამართლომ დასაჯოს,
სამწუხაროდ არ იყავ იქ რომ შენ გაგესაჯოს".
ბერმა ჰკითხა: „მითხარი შენ კოშკში რა გინდოდა?
შენ იცი, კოშკები მე, არც მომწონს, არც მინდოდა,
კარგად იცი, იქ ჩემი ფეხი არ დაიდგმება,
ახალი ჩხუბით ვხედავ, რომ გაგვიწყრა განგება.
შენ მომიყევ რა მოხდა, რომ საქმე მოვაგვარო,
და ეს სასირცხო ჩხუბი უცხოებთან დავფარო,
ვეცდები მოვახერხო, შენ გრაფთან შეგარიგო,
ხოლო მეტს ნუ კინკლაობ, მინდა რომ დაგარიგო.
წადი!  გამეცალეო!  დაუყვირა მსაჯულმა,
ერთი დახეთ ამ ბერსა ყოველ ჩემგნით ნახულმა,
მისთვის მაქვს მე პატივი, მისთვის კარი მაქვს ღია,
ხედავთ როგორა ჩმახავს? ბრაზმა გამიშრო ყია.
ეგრე მალე სოპლიცა არვის მოურიგდება.
გინდა ცხვირით მატარო? ეს ხომ არ მომიხდება?
ვისაც სოპლიცა იხმობს სამართლითა ბრძოლაში,
თუ თვით არა, მოიგებს ის მესამე მოდგმაში,
მე კი ძლიერ გავბრიყვდი – რჩევები მოგისმინეთ,
სოპლიცებმა ამითი გალანძღვაც მოვისმინეთ.
იცოდე, არ იქნება ჩვენ შორის შერიგება,
და შენთვის შეინახე ბერო ეგ დარიგება.
გრაფი კი შორს წავიდა გუშინ თავხედობაში,
პასუხს გამცემს დამბაჩით, ან ფარიკაობაში.
მსაჯულო!  იაცეკი გაიგებს, რა მოხდება?!
იმას ელდა ეცემა და წამშივე მოკვდება.

და ნუთუ ცოტა იყო თქვენში უბედურება,
რომელიც ზარს მცემს ხოლმე და არ მსურს მოგონება.
ხომ გახსოვს რომ მიწებიც კოშკსა ჩამორთმეული,
სოპლიცებზედა იყო მკვიდრად გადაცემული?
შენი ძმა ინანიებს და ღმერთს აღთქმაცა მისცა,
რომ მიწები დაიცვას და მიწებთან კოშკიცა!
სოფიო აიყვანა ჰორეშკოთ ნაშიერი,
და პატრონობს საბრალოს, რომ არ მოკვდეს მშიერი,
მის საწვრთნელად განიღო ფული — ოქრო ბლომადა,
სურდა თადეოზისთვის აღეზარდა ცოლადა.
მათი ადგილ-მამულიც ყველა შეერთდებოდა,
განუწყვეტელი დავა, ამით დამთავრდებოდა".
მსაჯულმა თქვა: „არ ვიცი არა ამა საქმისა,
მნახველიც კი არა ვარ იაცეკ ჩემი ძმისა,
ოდეს ბავშვი ვიყავი გამაგზავნეს სკოლაში,
შემდეგ ვოევოდასთან, წვრთნად თანამდებობაში,
ადგილ-მამული მომცეს, მივიღე — და სოფიო
გამოვზარდე და მგონი შენთვის არის მკაფიო,
ქალთა საქმე მომბეზრდა, უდროოდ გამეჩხირა,
ეხლა გრაფიც — წყეული, საშინლად ამეხირა.
ჰორეშკოთა ძველ კოშკის მემკვიდრედ გამოეიდა,
და მათ ნათესავადა. (ყვავი ჩხიკვის მამიდა).
იმან მე უნდა მლანძღოს, — მე უნდა შევურიგდე?"
მღვდელმა უთხრა: „ძმობილო! ერთი ყური დამიგდე!
იცი? იაცეკს სურდა ვაჟის ჯარში გაგზავნა,
და ეს ცნობა მან შენთან, გახსოვს? გამომატანა.
შემდეგ კი აქ დატოვა მამულისა მსახურად,
ეხლა ხომ გამოდგება მებრძოლად — არ სახუმრად?
დრო დადგა რომ მოგიყვე ყოველივე აშკარად,
მართალი ამბავია არ ამიგდო მასხარად,
ეხლა ომი იწყება, ყველგან ამის ხმებია,
პოლონელებმა უნდა გაილესონ ხმლებია,
უნდა მოვიმარაგოთ, სამშობლო დავიბრუნოთ,
შენ ამაზედ იფიქრე, არას ვამბობ სახუმროთ.
ეხლა ომი იწყება, ვიფიქროთ პოლონეთზე,
ჯარებია მარაგად ნემანის ნაპირებზე,
და ნაპოლეონი ხომ აგროვებს დიდ ძალებსა,
იმოდენას, რომ არც კი უნახავთ ჩვენს პაპებსა.
და ფრანგებთან მოდიან პოლონელთა ჯარები,
იოხები, დომბროვსკი და ამით ვიხარები.
ძლიერად შეუტიონ, ჯარი ემარაგება,
ამ ომით კი სამშობლო ჩვენი დაგვიბრუნდება".

მსაჯული ყურადღებით მოუსმენს ბერნანდინსა,
მკაცრი სახით უცქერის, გულში კი ფარავს ლხინსა,
ბოლოს კი სიხარულმა თვალთ ცრემლი გამოსწურა,
ბერს კისერს მოეხვია, მის მკერდს ცრემლი აპკურა.
„რობაკო! საყვარელო! ნუთუ ეს მართალია?
მითხარ, გამიმეორე, თქვი რომ ეს მართალია!
რამდენჯერ მოგვატყუეს ამ გაგონილი ხმებით?
და ნაპოლეონს უქმად აქამდე ველოდებით!
ამბობენ, რომ პრუსია აიღო და გადაწვა,
პოლონეთს მოდისო და ტილზაში ზავი დასდვა!
ნუთუ ეს მართალია? იქნებ შენს თავს ატყუებ?
ღმერთს ვფიცავ მართალია, ბერი როგორ ვიცრუებ?
დალოცვილ იყოს შენი მახარობელი პირი,
იქნება ეხლა ღმერთმა მოგვაშოროს ეს ჭირი!
არ ინანებ შენ ჩემთან ამ ამბის მოტანასა,
მონასტრისთვის გაჩუქებ მხოლოდ ორასსა ცხვარსა
სიღარიბისა გამო და ნუ გამიჯაერდები,
ვიცი, მოგწონს ჩემს ჯოგში კარგი ჯიშის ცხენები,
ლურჯა და წაბლა ერთად შეაბი შენს ეტლშია,
ღარიბული საჩუქრით წახვალ მონასტერშია,
დღეს რაცა გსურს მომთხოვე, აგისრულებ ყველაფერს,
ხოლო ნუ შეეხები ჩემს და გრაფისა საქმეს,
ეს ხომ უხერხულია? აქ რობაკი გაკვირდა,
და ბრიალა თვალებით მსაჯულს მრისხანედ მზირდა".
უთხრა: „ნაპოლეონი ოდეს გვაძლევს შველასა,
ქვეყანას აზანზარებს, შიშის ზარს სცემს ყველასა,
შენ გრაფს ეკინკლავები ჰორეშკოთ ძველ კოშკზედა,
და რაც რომ მე გითხარი, არც ფიქრობ ამაზედა!
გამბედაობა ეხლა უნდა გამოიჩინო".
რაო?! ჰკითხა მსაჯულმა, აბა რა ვქნა საჩინო?
რობაკმა თქვა: „აფსუს! ჩემს თვალში ვერ წაიკითხე,
იქნებ ჩემი არ გჯერა, სხვას მაინც დაეკითხე;
რუსებს ეხლა წინიდან ფრანგი დაეტაკება,
რას ფიქრობ, რომ მის ზურგში მოვაწყოთ აჯანყება?
სოპლიცებისა სისხლი ჩქეფს შენს ძარღვებშია,
ათასამდე მეომარს შეკრებ ჩვენს მაზრებშია,
და თუ რომ მოსკოვს ეს ძალა უკნით დაეტაკება,
ლიტვაში აჯანყება წამშივე გაჩაღდება,
თუ რომ ხელში ჩავიგდეთ რუსების ზარბაზანი,
ჩვენს ჯარს რომ შევუერთდეთ, არ უნდა დიდი ხანი,
ოდესაც ბონაპარტე დაინახავს ჩვენს შუბებს,
სიხარულით მიგვიღებს ყველა აჯანყებულებს,

და დაგვკითხავს ვინა ვართ, რა ქვეყნიდან მოსული,
ვეტყვით რომ მთელი ლიტვა არის აჯანყებული.
შევსძახებთ: — მეთაური ჩვენი არის სოპლიცა,
დიდად პატივცემული — მსაჯული რომელიცა
ლიტვაშია ცნობილი, ეხლა წინ მოგვიძღვება,
შემდეგ შენი სახელიც უკვდავი ხომ იქნება,
თითით საჩვენებელი იქნები ყველასათვის,
იქნები გმირთა გმირი, მომავალ ლიტვისათვის".

მსაჯულმა თქვა: „არ ველი ხალხის მიერ ქებასა,
ღმერთსა ვთხოვ ძმის ცოდვების აქ მონანიებასა,
შენ იცი, პოლიტიკას აროდეს ვეხებოდი,
მიწას ვხნავდი, ვთესავდი ხანაც კი ვმსაჯულობდი,
აზნაურთა გვარისა ვარ მე შთამომავალი,
მსურდა სამშობლოსადმი გადამეხადა ვალი".
სამშობლოსათვის სულის მიცემა რომ შევიძლო,
ბედნიერი ვიქნები, არ კი დამცინო ვინძლო,
ხმალში დიდი მებრძოლი იცი რომ არ ვიყავი,
თუმცა არაერთისთვის გამიჩეხია თავი,
და ერთსა თემობაზე, ალბათ არ გაკვირდები,
ერთად ავკუწე ხმლითა ორი ძმა ბუზვიკები,
რომელნიც რომ... მაგრამ ეს ეხლა რა სათქმელია?
ნუთუ უკვე დრო დადგა ბრძოლად გასასვლელია?
ჩვენი მღვდლისა სახლში მე, დავმალე ზარბაზნები,
საკმარისადაცა გვაქვს გატენილი ვაზნები.
ეხლა ხალხი შევყარო, არ იქნება ძნელია,
თოფის წამალიცა გვაქვს სარდაფში — არ სველია,
და იანკელმა მითხრა, დაუმალავს შუბები,
ჯარისათვის მოვიტან, მასთან გავეშურები,
თურმე კრულევეციდან მას ჩამოუტანია,
აჯანყებას მოელის ამოდენა ხანია.
ცხენი ყველას თვისი ჰყავს, ხმალი არ დაგვაკლდება,
ძმისწულით ველზე გავალ და როგორმე იქნება

მსაჯულს გადაეხვია ბერი გახარებული,
უთხრა: „სოპლიცებისა შენ ხარ შვილი ქებული,
შემიყვარდი როგორც ძმა, ღვიძლად დაბადებული,
ცოდვა მოინანიე აქ ძმისგან დადებული".
მეფემ გადაუგზავნა გზირი ნაპოლეონსა,
ზავსა სთხოვს. ჯერჯერობით როდი უცხადებს ომსა,
ყოველივეს ოდესაც ბრძოლისთვის მოვამზადებთ,
კრების ადგილს დავნიშნავ, მე თვითონ დაგიძახებთ.

თავადი იუზეფი მუდმივ მას გვეუბნება,
რუსთ მეფეს სურს თუ არა, ბრძოლა მაინც მოხდება.
თავადმა იუზეფმა მე აქ გზირად მაფრინა,
ლიტვა რომ ავაჯანყო და შევეყარო წინა.
ამით ბონაპარტესა ვუჩვენოთ რომ გვსურს ბრძოლა,
ოღონდ მან მოინდომოს ჩვენი წინა გაძღოლა.
ვაჩვენოთ, რომ სურვილი გვაქვს სამშობლოს აღდგენის,
ძველებურად ერთობა ლიტველ და პოლონელის.
ჯერჯერობით კი გირჩევ რომ გრაფსა შეურიგდე,
იგი ახალგაზრდაა, არ უნდა აუხირდე.
თავქარიანი არის, რადგან არის ყმაწვილი,
გული აქვს პოლონური, თუმც სხვა მხარეს აღზრდილი,
არეულობის დროში ასეთი გამოდგება,
ჩვენ მას გამოვიყენებთ, მაქვს მე გამოცდილება.
ასეთ დროს ჩვენ, რეგვენსაც კარგად გამოვიყენებთ,
თუ რომ ჭკვიან უფროსებს სათავეს ჩავუყენებთ.
აზნაურთ შორის გრაფსა აქვს პატივი — დიდება.
თუ მას გადმოვიბირებთ, მაზრაც კი აჯანყდება.
მივალ მასთან მოეიდეს, მოიხადოს ბოდიში,
თქვა მსაჯულმა, მას ნუ აქვს მორიდება ან შიში,
მე ვფიქრობ, რომ მეკუთვნის, ვარ ხნიერი, მსაჯული,
საქმე სასამართლოში იქნება გასაჯული.
კალმასი კარს გავიდა, ეტლს ჩაჯდა გაემგზავროს,
ცხენს მათრახი გადაჰკრა ჩორთი რომ გაუჩქაროს,
მსაჯულმა მას უსურვა მგზავრობა ბედნიერი,
აღმდგარ კორიანტელში, აღარ მოჩანდა ბერი.

პროტაზი გრაფისაკენ მიდის — მიეჩქარება,
ვით მელია, ოდესაც საქათმეს ეპარება,
და რადგანაც მან იცის მსახურთა ეშმაკობა,
სურს არვის დაენახოს, ის არავის ენდობა.
გარბის. ხან შეჩერდება, ხან ჩახტება ბუჩქებში,
ყოჩაღად მიაბიჯებს, ძალასა გრძნობს მუხლებში,
იქნებ მას ჩაესაფრნენ? მიეცა ასეთ ფიქრსა,
გზიდან გადაუხვია — გაჰყვა სათიბის პირსა.
სახლს რომ მიუახლოვდა ოინი გამონახა,
ჯეჯილზე გზა გადაჭრა, არავის დაენახა,
ღობეს მარდად გადახტა, კანაფში მიიმალა,
კანაფი უკეთ ფარავს, ვინემ პურისა ჩალა.

კანაფი მრავალგვარად ხოლმე გამოგვადგება.
გოლეიან დღეს კანაფში ფრინველი იმალება,

და ხშირად ხომ ყმაწვილიც კანაფში დამალულა,
ოდეს რუსის ჯარიდან იგი გამოქცეულა.
კურდღელსაც არაერთხელ თავი გადურჩენია –
კანაფისა წყალობით, ოდეს ძაღლი სდევნია,
მწევარი ვერ გაირბენს კანაფისა ძირებში,
მის ნაპირზე შესდგება, ენის ქელვით კბილებში.
მეძებარი კურდღლის სუნს კანაფში ვერ მიჰყვება,
რადგან იმის სუნითა, ვიცით მწერიცა კვდება.
ერთი სიტყვით, კანაფი თავის შესაფარია,
ჯარისთვისაც ნუ გინდა ტყვიისა საფარია,
და ამიტომ ბრძოლისა დაურღვევი წესია,
ადგილი დაიკავე, სად კანაფი სთესია,
და თუ ის უერთდება ან ტყეს, ან კიდევ ზვარსა,
თუ დამარცხდი ხელს უწყობს შენ უკან გაპარვასა.

მართალი ვთქვათ, პროტაზი როდი იყო ფრთხალია,
მაგრამ ეხლა აუტყდა მას შიშის კანკალია;
მოიგონა ძველი დრო და ძველი შემთხვევები,
ოდესაც კანაფისკენ მას ეჭირა თვალები.
ერთხელ იგი აზნაურს მიადგა უწყებითა,
გვარად იყო დზინდოლეტ, ცნობილი წოდებითა,
მან დამბაჩა პროტაზის მკერდზედა დააბჯინა,
ოთხით, მაგიდისა ქვეშ მუქარით შეაძვრინა,
უთხრა: „წაიკითხეო უწყება ძაღლის ხმითა,
პროტაზიმ თავს უშველა კანაფში ნახტომითა".
ერთხელ ოდეს პროტაზიმ უწყება მიუტანა
აზნაურ ვოლოდკევიჩს, და წაუკითხა თანა,
ხმალი იძრო, პროტაზის კისერთან მიიტანა,
უწყება შეაჭამა, პანდურიც მიატანა.
მსახურნიც დაედევნენ და გაგლეჯდნენ საბრალოს,
პროტაზიმ თავს უშველა კანაფში ბოსტნის ახლოს.

თუმცა ამ დროს ლიტვაში არ იყო ჩვეულება,
უწყებისა მომტანის ცემით გამასპინძლება,
პროტაზიმ არ იცოდა მომხდარი ცვლილებები,
რადგან დიდი ხანია, არ დააქვს უწყებები.
თუმცა ხშირად კი სთხოვდა, რომ მიეცა მსაჯულსა,
მსაჯული არა სჯიდა პროტაზს ხან გადასულსა,
ხოლო, დღეს ვინაიდან საქმე იყო საჩქარო,
დაუძახა: „უწყება წაიღე, სადა ხარო!
სიხარულით მივარდა. გზირი ათვალიერებს
ირგვლივ მეფობს სიწყნარე, ის კანაფს უჭერს ხელებს".

მწვანე ბოსტნეულებში იმგვარად ჩაფლულია,
ვით მეთევზე, ოდესაც ცურავს დაყვინთულია.
გაიმართა და ჩუმად ფანჯარას მიეპარა,
ოდაში შეიხედა, ხომ არარა მომხდარა?
კიბეზე აიპარა, დგას აივნის კარებში,
შევიდა, სიჩუმეა თითქოა სამარეში.
ამოიღო უწყება — წაიკითხა ხმამაღლა,
ხმაური შემოესმა, ლამის დაეცა დამბლა.
გაქცევა დააპირა და კარიც არ დახურა,
პროტაზს მოულოდნელად ბერმა გზა გადაუჭრა.

ჩანს რომ გრაფი წასულა სადღაც მსახურებითა,
ისიც ჩანს, წასვლა იყო ალბათ ჩქარებითა,
კარები მოფენილი, იარაღი იატაკს
ყრია და დაინახავ, ხმალს, თოფსა და იათახს.
ტყვია-წამალიც ბლომად არის აქ დაბნეული.
იქნებ გრაფი ნადირსა მისდევს გაქანებული?
მაგრამ ნადირობისთვის რად წაუღია ხმალი?
და ცივი იარაღით რად მოკაზმა ამალი?
აგდია დაქანგული ხმალი და სატევარი,
ერთ, ძველ უნგრულ ხმალს აგერ გატეხია საშარი.
რობაკი გულმოდგინედ ყოველივეს უცქერდა,
ვერ მიხვდა აქ რა მოხდა, ვერ გაერკვა რას მზერდა.
შემდეგ, მან მოისურვა ნახოს ვინმე მსახური,
ანდა ახლოს მცხოვრები, სხვა ვინმე აქაური.
დიდხანს ვერავინ ნახა კაცისა ნაშიერი,
ბოლოს შორით გამოჩნდა ორი ქალი ხნიერი,
და იმათგან გაიგო, გრაფი გამგზავრებულა
დობჟინის უბნისაკენ და შეიარაღებულა.

დობჟინსკები ლიტვაში ყველასთვის არს ცნობილი,
აზნაურნი არიან, არაოდეს ყმობილი,
ვაჟები გამბედავნი, თვალწარმტაცნი ქალები,
იმათ კოპწიობითა, ნურვინ შეედარები.
გადასულ დროს ყველანი იყვნენ შეძლებულები,
ჭირნახული უხვად და არცა აკლდათ ფულები.
ოდეს მეფე იოანემ მესამედ წოდებულმა,
შეჰყარა დიდი ჯარი მის მედროშემ ქებულმა,
დობჟინისა უბნიდან ექვსასი მეომარი,
მეფესა მიუყვანა და გაუმაგრა მხარი.
დღეს აქ ყველა ღარიბი და თითქმის ღატაკია,
მცხოვრებთ რიცხვიც შემცირდა, დაძაბუნდა რაკია,

მუშაობა დაიწყეს, ამით თავსა ირჩენენ,
როს საყდარში მიდიან, ჩაცმულობას გვიჩვენენ.
ქალამანი არ მოსწონთ, მწყემსიც კი წაღაშია,
მკიან და ქალნი ქსოვენ მხოლოდ ხელთათმანშია.

ლიტვაში დობჟინსკები სხვათგან განსხვავდებიან,
მაგისთანა ვაჟები სხვა არ ინახებიან,
ლაპარაკში დაიცვეს მათ კილო მაზურული,
შავი, ფართე თვალწარბი და ცხვირი მოკინწული.
დობჟინიდან გამოდის გვარი დობჟინსკებისა,
თარიღი არვინ იცის იქ მათ დასახლებისა.
ამბობენ, რომ ოთხასი წელი უკვე გასულა,
იმ დღიდან რაც დობჟინსკი ლიტვას ჩასახლებულა.
ორ სახელსა ხმარობენ სახელად ვაჟებისა,
და აგრეთვე, ლამაზთათვის მანდილოსნებისა.
მამა თუ ბართლომეა, შვილსა დაარქმევს მათეს,
და თუ მათეა მამა, შვილს უწოდებს ბართლომეს.
კატო და მარიამი - ქალთა სახელებია,
და ქალის სხვა სახელიც არვის მოსწონებია.
ხოლო გამოიგონეს იმათ გასარჩევადა,
ყველას რაღაც უწოდეს მათ ზედმეტ სახელადა.
ხშირად, რამდენიმე აქვს აქაურ კაცს სახელი,
ან არის დამცინავი ან კიდევ საქებელი.
დობჟინში ხშირად კაცი სახელით წოდებული,
ნაცნობია სხვა კუთხეს, სხვა წოდებით ქებული,
დობჟინსკებს კი წაბაძეს მეზობლებმა იმითა,
რომ ერთმანეთს არჩევენ ზედმეტ სახელებითა.
თითქმის ყოველ ოჯახს აქვს თვის ზედმეტი სახელი,
არ ახსოვთ რომ ეს არის ადათი დობჟინული.
ვის დასჭირდა მიეღო წაბაძვით ჩვეულება?
სულელურად სახელსა ზედ რად დართო წოდება?
მათე დობჟინსკი იყო იმათი მეთაური,
საყდრისა მამლაყინწა — წოდებით, — იქაური,
ათას შვიდას ოთხმოცდათოთხმეტს ქრისტესა წელში,
სახელი შეიცვალა, იწოდა — ყურის გვერდში
თვით დობჟინსკებმა მათეს კი დაარქვეს ბაჭია,
ლიტველები ეძახდნენ, მაცეკიო — პაწია.

ვით იგი დობჟინსკებზე, მისი სახლი სოფელზე
ბატონობდა, საყდართან სამიკიტნოსა გვერდზე;
ჩანს რომ იშვიათია იქ მიმსვლელი სტუმარი,
ბჭეკარი მიწას გდია, ეზოს როდი აქვს სარი,

ირგვლივ მიწა ულევწი დაფარულა შამბითა,
წინათ მამული ცნობილი იყო ხორბალითა.
ასეთი შენობები არსად იყო სოფლადა,
ქვითკირით და დუღაბით, კედლებია ბლომადა.
საბძელი, ხულა, თაველა, ბოსელი და ფარეხი –
აგურია. ქვითკირის – ოდისა წინარეხი.
რაც ეს აქ აუგიათ, დიდი ხანი გასულა,
სახურავის თუნუქი მეტადრე დაჟანგულა,
ხავსიც მოჰკიდებია ამ ძველ სახურავებსა,
სემირამიდის ბაღებს მოგაგონებს მნახველსა.
მრავალია ფერები სახურავზე მცენარის,
ხავსის, ჭილის, ანწლისა და მწვანე კოინდარის.
სახურაეისა ბალში ბუდობენ ფრინველები,
ბანზე მრავალი მტრედი, ფანჯარასთან მერცხლები.
ბაჭიებს გაუთხრიათ წინ – კართან სოროები,
არეის ერიდებიან, დადიან ვით ღორები.

აქ იყო ძველად ციხე, ჩანს ამისი კვალია.
ხშირად მტერი დასხმია რიცხვით დიდი ძალია,
ბჭეკართანა ღვარძლებში დღესაც ჭურვი აგდია,
თუ დასჭრი, გაკეთდება ათასამდე ფადია.
შეედები როს მოადგნენ, საყე მიუბჯენიათ –
ბჭეკარს, ხოლო მტერთ კარი ვერც კი შეურყევიათ.
ოდის ახლო ეკლებში რამდენიმე ჯვარია,
უკურთხ მიწაში ჩასდვეს აქ მრავალი მკვდარია.
ეს ძველი სასაფლაო სიჩუმით მის მთქმელია,
რომ სიკვდილი ყოფილა აქ მოულოდნელია.
თუ გულდასმით კედლების აგურს დააკვირდები,
მრავალ ტყვიის ნახვრეტით ნახვითა გაკვირდები.
ტყვია ჩაგნესილია კედელთა კირწყალშია,
როგორც სკა ჩაფლულია მიწისა ჯურღმულშია.

კართ არ ჰქონდათ არც რაზა, კლიტე, არცა ურდული.
მოუჭრიათ. უსინჯავთ ხმლების რკინა ქურთული,
ასეთი ხმლის მოქნევით მოზვერს მოსჭრი კეფასა,
და ნალს შუაზე გადათლი, თუ გრძნობ მკლავის ნებასა.
კარის ზევით დობჟინსკის გვარის იყო ტვიფარი,
ხოლო ეხლა მას ფარავს თაროების ფიცარი.
ამის გარდა, კედლებზე მრავალი მერცხლის ბუდე,
ტვიფარს ფარავს და კედელს არტყია ვითა ზღუდე.
საცხოვრებელ ოდაში, თავლაში, ბოსელშია,
მრავალ იარაღს ნახავთ, ვით ძველს საწყობელშია.

კედელზე, მაღლა ჭერთან რკინის კაკვზე ჰკიდია,
გმირთა თავსახურავი ოთხი მუზარადია.
შიგ მტრედები ბუდობენ, ზრდიან თოთო ბახლებსა,
ჯავშანი და კურტაკი ამშვენებენ თავლებსა.
კიბის მაგიერობას, საპირესთან გაკრული,
უწევს ჯინიბს კურტაკი, სად თელები აქვს ნაკლული.
სამზარეულოში კი უნგრულ ხმლების პირები,
ცეცხლზედა ტრიალებენ მწვადებით – (შამფურები)
ადვილია გაიგო რაც გითხარი, რაც გესმა,
ომისა ღმერთი მარსი, გამოაგდო ცერესმა;
ბატონობს ირგვლივ ყველგან საბძელსა და ბოსელში,
დობჟინსკის ოდა – მამულს, თავის კანონით ხელში.
დღეს ღმერთები შეცვლიან თავის თანამდებობას,
დობჟინს გზირი მოვიდა. მარსი იწყებს მარსობას.
ცხენოსანი შიკრიკი დააჭენებს ბედაურს,
და სოფელსა აღვიძებს, მღვდელს, გლეხსა და აზნაურს.
შუკა ხალხით აივსო, არ იციან რა მოხდა
მიკიტანი პირველი ფიცხლავ ფეხზე წამოხტა;
ერთმანეთსა ჰკითხავენ თუ სად რა ამბავია,
იქნება ღვთის რისხვაა, დღე დაგვიდგა შავია?
მოხუცნი შეიყარენ კრებაზე სარჩევადა,
ქალნი საყდარს მიდიან დილით სალოცავადა,
ვაჟები იჩქარიან ცხენების შესაკაზმად,
ჯგუფ-ჯგუფად გამოდიან და ეწყობიან რაზმად.
საომრად მზად არიან, ხოლო სად არის მტერი?
დაადგინეს მოძებნონ, მათე – ბერიკაცი.

მოხუცი მათე იყო სამოცდათორმეტ წლისა,
ტანდაბალი, და ძველი წევრი შეთქმულებისა,
მტერია თუ მოყვარე, ახსოვს იმისი ხმალი,
დამასკის ფოლადისა და მრუდე ვით ნამგალი.
ბრძოლაში შუბსა და ხიშტს, თლიდა როგორც მძეხვსა,
და ხუმრობით მის ხმალსა ეძახოდნენ წკეპელსა
ჯერ იყო მეფის მომხრე, შემდეგ აზრი იცვალა.
შემდეგ ტიზენჰაუზის მეგობრობა ივალა.
დრო გავიდა და მეფე ტარგოვიცას მიუდგა,
მათემ თვის ჯგუფი შექმნა, სათავეში ჩაუდგა.
რადგან შეხედულება მას ცვალებადი ჰქონდა,
საყდრისა მამლაყინწა მას სოფელმა უწოდა.
თუმცა არავინ იცის რად იყო ცვალებადი,
მაგრამ დობჟინსკებისა იგი იყო ბელადი.
ამბობენ: აზრს იცვლიდა ხომ მას ბრძოლა უყვარდა,

ერთში დამარცხდებოდა, მეორეს მონახავდა,
ამბობენ: მათე იყო — ერის მადიდებელი,
ემხრობაო, სად არის სამშობლოს სარგებელი,
და უნდა ვაღიაროთ რაც რომ არის ნამდვილი,
მათეს არ იტაცებდა სიმდიდრისა წადილი,
და მოსკოვის მომხრეებს როდი უერთდებოდა,
თვით, მოსკალის დანახვაზე ზიზღით იღრიჯებოდა.
არ სურდა დაენახა მოსკალი თავის თვალითა,
შინ იჯდა როგორც დათვი, რომ იკვების თათითა.

მათე ოგინსკის გაყვა ვილნოდან საბრძოლველად,
იასინსკისა რაზმში იყო პრაგისა ველად,
წკეპლით მან გვიჩვენა გმირობა ჩინებული,
ოდეს პოცეი იყო მტრისგან გარშემორტყმული,
პრაგის სანგრებს გადახტა მარტოდ, (ეს არს გმირობა),
ბრძოლის დროს პოცეის ოცდასამი ჰქონდა ჭრილობა.
ლიტვას დიდხანს ფიქრობდნენ - ორთავეა მოკლული,
წლისთავზედ რომ დაბრუნდნენ მრავალი ჰქონდათ წყლული.
პოცეი ცნობილ იყო სიმდიდრით - სიუხვითა,
დასაჩუქრება სურდა მათესი მამულითა,
ათასი ოქრო წლობით, ხუთი კომლი გლეხისა,
პრაგის ბრძოლის სახსოვრად და მტერთა აჩეხისა.
მან პოცეის მისწერა წერილი უდიერი,
არ მსურს მე შენი გავხდე, შენ დარჩი მადლიერი.
საჩუქარზე უარი თქვა, ფული კი მადლობითა,
უკან გადაუგზავნა. დღეს თავს ირჩენს შრომითა.
იცის ბეითალობა, მოაშენა ფუტკარი,
იჭერს გვრიტსა და ხოხობს, ლასტი აქვს საკუთარი,
და ხანდახან ნადირობს. დობჟინსკშია ბლომადა,
პირნი მოლაპარაკე კარგად ლათინურადა,
ბავშვობიდან სწავლობდნენ მეცნიერულ ენასა,
მდიდარი ჩვეულია ხოლმე სწავლის ძებნასა.
მათე ღარიბი იყო, უსწავლელი ალალი,
ყველა პატივს კი სცემდა დიდკაცი თუ მდაბალი,
არა ხმლისთვის, არამედ იყო პატიოსანი,
ყველასათვის მრჩეველი და სათნო ვით სოსანი.
მას სამშობლო უყვარდა, იცოდა ადათები,
მიწის დამუშავება, მისი მუხანათები,
საიდუმლოებაცა იცოდა ექიმობის,
ნაცნობებს ეჭვი ჰქონდათ მათზე ჯადოსნობის.
არაჩვეულებრივი ჰქონდა ნიჭი ცნობისა
ხვნა-თესვა როდის იწყოს მომავალ ტაროსისა,

მთვარისა ანგარიშით ყოველივე იცოდა,
თუ როდის რა მოიმკის ან რა დაითესოდა.
დობჟინში არასოდეს ისე არ მოხდებოდა,
თუ მათე ბერიკაცი არ დაეთანხმებოდა.
იგი ასეთ პატივსა არც ეძებდა, არც სურდა,
თუ ვისმეს გაუჭირდა, წამშივე მას მსახურდა.
ხშირად კი უდიერად სტუმარს გაისტუმრებდა,
რჩევას არა ყველას და იშვიათად აძლევდა.
თუ რამ მწვავე საკითხი, ან რამე დავა იყო,
თუ რომ მათეს ჰკითხავდნენ, ორი სიტყვა კმარიყო,
თუ გინდა რომ სოფელი ჩხუბში გაყოფილიყო,
როგორც მათე ისურვებს უნდა გადამწყდარიყო.
დღეს დობჟინს სურს რომ მათემ გაუწიოს სარდლობა,
რადგან მას ბრძოლა უყვარს და მოსკოვისა აქვს მტრობა.

ეს იყო, რომ მოხუცი ადგა ადრიან დილით,
პირჯვარი გადისახა, ლოცვას გალობს ღიღინით,
უხარის რომ დარია, ნისლი მიწას არ ასდის,
ასეთი დილა დარსა მოგვანიჭებს ხვალამდის.
ქარმაც გამოიღვიძა და გაშალა ფრთებია,
ნისლს შეახო ბუმბული, გადალახა მთებია,
ამ დროს მზემაც ბრწყინვალე სხივები მოაფინა,
ცვრიან ველზე ვით ბროლის ისარი დააბჯინა.
როგორც ორი ოსტატი სლუცკს მქსოველი ქამრისა,
ფერადი აბრეშუმის ძაფის, ნახევწარისა,
ერთმანეთში აწნავენ წითელ ფერს, ოქროს, ვერცხლსა,
და ფერადი ქამარი წააგავს კოცონის ცეცხლსა,
ასე ქარმა გაშალა მიდამოს აბრეშუმი,
და მზემ მასზე დაქარგა ოქრო-ვერცხლის ყარყუმი.

მათე გათბა მზის სხივით, მორჩა დილის ლოცვასა,
დღეს ადრიან დაიწყებს დახნულ მიწის ფოცხვასა;
კომბოსტო მოიტანა, იონჯა ერთი ხელი,
კართან დადგა, დასტვინა და მრავალი კურდღელი
სოროდან გამოცვივდა, მათეს შემოესია,
მათეს უყვარს თამაში და მათი ალერსია.
მათ თვალების ბრჭყვიალი და პირისა ცმაცუნი,
ახალისებს მათეს მათ ზურგზედ ხელის ცაცუნი.
წამოცქვიტეს ყურები, უსმენენ მათ პატრონსა,
კომბოსტოს სუნი ეცათ, არ ზოგავენ ნახტომსა,
ფეხებთან მიირბინეს და ელაქუცებიან,
მათე კომბოსტოს უყრის, მხრებზედაც ახტებიან.

უყვარს მათეს კურდღლები, მათი ცქერითა ტკბება,
უნდა უცქიროს დიდხანს, მაგრამ ველს ეჩქარება,
ცალი ხელით ბელურებს მოუტანა საკვები,
ჭყიპინით ჩამოცვივდნენ პატარა ავარები.

ოდეს მოხუცი მათე ბაჭიებით გართული,
სიხარულით მათ სცქერდა ალერსით დატვირთული,
ბელურებისა გუნდი უცებ დაფეთებული,
სახურავზე აფრინდა დაიბერტყა ბუმბული.
მათე უკან მობრუნდა, დადგა გაკვირვებული,
სტუმრები დაინახა, ადრიანად მოსული.
აქ მოვიდნენ ელჩებად საქმის გასარჩევადა,
რადგან დობჟინს არის მათე ბერიკაცადა.
მიესალმნენ. პირველი მოიგონეს ღვთაება,
შემდეგ ერთმა აუხსნა მათეს გარემოება.
მათემ კარი გააღო, მოიწვია ოდაში,
მოგზავნილი ელჩები შემოვიდნენ ოთახში.

დობჟინისა მცხოვრებნიც დღეს მათესთან მოვიდნენ,
ვიცით, რომ დობჟინსკები ცოტანი როდი იყვნენ.
იარაღში ასხმულნიც ბევრია ცხენოსანი,
მოვიდნენ ურმებით და ბევრია ფეხოსანი.
გარემო გაიჭედა, ეზოშიც არ ეტევიან,
ვინც შინ ვერ დაეტია, ფანჯარასთან დგებიან,
ცხენებს არვინ დაგიდევს, გადათელეს ნათესი,
ყველა ჩქარობს გაიგოს განაჩენი მათესი.

# წიგნი მეშვიდე

## რჩევა

### შინაარსი

პრუსაკად წოდებული ბარტეკის რჩევა
მაცეკის მხედრული ხმა
ბუხმანის პოლიტიკური სიტყვა
იანკელს სურს ყველას შერიგება
გერვაზის სეფე სიტყვა
მოხუცი მათეს არ ეთანხმება
მებრძოლთა უეცარი გამოჩენა და რჩევის შეწყვეტა
სოპლიცაზე გალაშქრება!

საქმის ახსნა დაიწყო ბართლომე დობჟინსკიმა,
გადიგრიხა ულვაში, შემდეგ გამოიჭიმა,
პრუსიელი დაარქვეს, სახელი არ მოსწონდა,
რადგან პრუსიელების მეტადრე ჯავრი ჰქონდა,
თუმცა იხსენიებდა იმათ მუსაიფშია,
გადასულიც კი იყო ის ხნოვანებაშია.
კრულევეცში იყო და ქვეყნებიც აქვს ნახული,
პოლიტიკაში არის მშვენივრად გარკვეული.
ამიტომ ყურადღების ღირსია მისი რჩევა,
სურთ მის სიტყვის მოსმენა, ყველა მისკენ იწევა.
დაიწყო: „ძმაო მათე! მოკეთე ხარ ყველასი,
იცი რომ შენ რჩევას ჩვენთვის აქვს დიდი ფასი,
მგონი ფრანგებისათვის ხელსაყრელი იქნება,
ბონაპარტემ მათ გვერდით თუ მოგვცა ბრძოლის ნება.
და აქ დამსწრენიც ალბათ როდი იტყვიან უარსა,
რუსის დასამარცხებლად გავყვეთ ფრანგების ჯარსა.
კოსტიუშკოს შემდეგ, დღემდე არ გვყოლია სარდალი,
ეხლა ბონაპარტეა – რომელს არ ჰყავს ბადალი.
და თუ რომ მას გავყვებით, მგონი რომ არ წაეაგოთ,
რუსის დამარცხებაში, იქნებ ბედიცა ენახოთ.
მახსოვს, ოდესღაც ვიყავ შორე – უცხო მხარეში,
ათას რვაასსა ექვსსა წელს – (როდია ნარეში),
იოსებ გრაბოვსკისთან ერთად ჩვენ ვნადირობდით,
ქვეყნად სიწყნარე იყო, ომზე არც კი ვფიქრობდით;
საერთოდ, ვეწეოდი ალებ-მიცემობასა,
და გდანსკში მე მიცნობდნენ ვით დიდსა სოვდაგარსა.
საზღვარგარეთაც მქონდა სავაჭრო კავშირები,

ჩემთანაც მოდიოდნენ ხშირად უცხო ვაჭრები.
გრაბოვსკის მე გავყევი – გამეხალისებინა,
და წერილი რამ ნადირიც მოგვენადირებინა.
გზირი გამოეგზავნათ, მან ჩვენ მოგვძებნა ტყეში,
ცხენსა მოაჭენებდა, წერილი ჰქონდა ხელში,
გრაბოვსკიმ წამიკითხა წერილი მიღებული,
და შევიტყვეთ რომ ომი ყოფილა დაწყებული.
გავიგეთ, ბონაპარტეს რომ აუღია იენა,
გაქცეულ პრუსიელებს, ფრანგთ ჯარი დაედევნა;
ცხენიდან ჩამოვხტი წამში – სალოცავადა,
დავიჩოქე იქვე ღვთის სამადლობელადა.
ვითომ არაფერია, მივდივართ ქალაქისკენ,
ვხედავთ რომ ხალხი გარბის პირი იქცია ტყისკენ.
სასაცილო კი იყვნენ პრუსები სანახავი,
ვეკითხებით: იქნებ მათ იციან რამ ამბავი?
იენაში რა მოხდა, ან რა გაუგონიათ!
გაუკვირდათ რომ ვიცით და სიზმარი ჰგონიათ.
მოხელენი გარბიან ფარულად, სიჩქარითა,
მხარზედ აკიდებული ლეიბით და საბნითა,
გარბიან, მიათრევენ მთელ ავლა-დიდებასა
არავინ ერიდება ლანძღვას და გინებასა.
ჩვენ კი შემოგვეცქერიან შიშით, მოწიწებითა,
შორით გვესალმებიან მოხდილი ქუდებითა,
და დამფრთხალ პრუსიელებს გაუშრათ პირში ენა,
ბონაპარტეს მომხრე ვართ და მან აიღო იენა.
გზები ავსებულია მათი ლტოლვილებითა,
სადღაც მიეჩქარიან დატვირთულ ურმებითა,
სწრაფად ხალხი შევკრიფეთ და შევკაზმეთ ცხენები,
გაქცეულ პრუსიელებს რომ გადაუჭრათ გზები.
ოდესაც ჩვენ ავჩეხეთ ყველა გაქცეულები,
დომბროვსკიმ ჩვენს პოზნანში შეიყვანა ჯარები.
რუსებსაც ეგრე დავსცხოთ – გაძლევთ წინადადებას,
ეხლა ბატონო მათე! თქვენ როგორს გვაძლევთ რჩევას?"
დაამთავრა, ყველანი შესცქერიან მათესა,
უცდიან როგორც ეტყვის მათე თვის განაჩენსა,
მან ხელი ჩაიქნია და ხმა არვის გასცა,
ვითომც მარცხენა თეძოს ხმალზე ხელი იტაცა.
(იმ დღიდან რაც რომ მტერი პოლონეთს შეესია,
თუმცა ხმალს არ ატარებს, ხოლო მისი წესია,
მოსკოვის ხსენებაზედ ვითომ ხმალს იკრავს ხელსა,
და მათეს ბრაზმორეულს, სისხლი აწვება ყელსა).
უხმოდ დგანან ყველანი სმენად გადაქცეული,

მათე მოღუშულია - მეტად ბრაზმორეული,
სურს რომ გამოარკვიოს შეკრებილი პირები,
მიტომც ელჩებს დაუსვა შემდეგი საკითხები:

„აბა, ერთი მითხარით საიდან გაქვთ ეს ამბები?
სად არიან ფრანგები? ვინ არიან სარდლები?
ფრანგები საით მიდიან და როგორი აქვთ გეზი?
ან მოსკოვს თუ ებრძვიან, რა არს ამის მიზეზი?
ანდა როგორი არის მათი ჯარების ძალა?
ან თუ სათანადოა საომარი მასალა —
როგორი არის რიცხვი მათი ცხენოსნებისა?
ან პოლონურ ჯარების, ანდა ფეხოსნებისა?
თუ ვინმემ რამე იცით, თქვით, ნუ გინდათ ლოდინი,
ან იქნებ დავიცადოთ და მოვა ბერნარდინი!
მის მიერ არის თურმე მოტანილი ამბავი.
და იქნებ მას თვითონ აქვს რაიმე სანახავი?
გავგზავნოთ დასაზვერად უნდა ვინმე ჯაშუში,
ამბავი ყველას ვუთხრათ მხოლოდ ჩუმად და ყურში,
ხოლო დიდი სიფრთხილით საჭიროა მოვიქცეთ,
თორემ მოსკალის ულუფად იქნებ ჩვენ გადავიქცეთ."

„მოითმინეთ ვაჟებო! თქვა მეორე, მათემა
(მას დამრტყმელი დაარქვა უცხომ და თვისმა თემმა.
იმიტომ რომ ბზის ძირის ატარებდა კომბალსა).
როგორც უნდა ჩაიცვას, არ ატარებდა ხმალსა.
იმისთვის კომბალია — საქები იარაღით,
და თუ ვისმეს შემოჰკრა — სამუდამო აქვს დაღი.
ეხლა მათემ ხელები კომბალზედ დაალაგა,
წვერები ზედ დააყრდნო და საქადაგოდ წადგა.
კრულეეეცში აროდეს ჩემს დღეში არ ვყოფილვარ,
მაგრამ ჩემის გონებით, მე დღემდე ყმა ვყოფილვარ,
და მე გეტყვით, ვისაც რომ სურს ჩვენ გვერდით იბრძოლოს.
იარაღს ხელი სტაცოს, ველზე გამოიტანოს.
ხოლო ვის სურს სიკვდილი, მოიწვიოს მღვდელია,
ზიარებაც მიიღოს თუ რომ დღე დაელია.
მე ბრძოლა მსურს, ამისთვის რად მინდა ბერნარდინი?
ომში რას გამიკეთებს ბერი და ბლაღოჩინი?
რას ლაყბობთ? რას მიჰქარავთ? ვხედავ რომ ხართ ფრთხალები,
ამგვარად იქცევიან დედაბერი ქალები.
დაზვერვა, ჯაშუშობა — რა ვაჟკაცობა არი?
ამგვარად ნადირს ეძებს უბრალო მეძებარი.
რობაკმა იკალმასოს, მე კი უნდა ვიბრძოლო,
მოსკოვი დავამარცხოთ და მით მოვუღოთ ბოლო".

დამრტყმელს ბარტეკი მიუდგა — ძველი მეგობარია,
და ოთხი ძმა დობჟინსკი კარგი მეომარია.
პრუსიელს სურდა ეთქვა სიტყვა ომის გეგმისა,
ატყდა აურზაური და ბრახუნი ჩექმისა.
ვიღაცა გაიძახის: „გვინდა ომი რუსთანა,
და მოგვშორდით ყველანი ფრთხალები მაგისთანა,
როგორიც რომ ქვეყანა ხართ და არაფერიც იცით,
მშიშარა! უეიცებო! ანაფორა ჩაიცვით!"
ახლა მოხუცმა მათემ მაღლა ასწია თავი,
მათ შესწყვიტეს ყვირილი წამში — გულშემზარავი,
თქვა: „რობაკს ნუ დასცინით, მე ვიცნობ კარგად ბერსა,
მასზედ ცუდს ვერვინ იტყვის, ხოლო კარგს ყველაფერსა,
მახსოვს, ოდეს პირველად მე მას თვალი მოვკარი,
ერთ წამშივე ვიცოდი ბერის ფასი რა არი,
მივაჩერდი თვალებში, ისე მიბრიალებდა,
მეგონა მიმიხმობდა, იქვე მაზიარებდა,
ხოლო ეხლა ამაზედ ლაპარაკი მეტია,
რობაკს ნუ ელოდებით, შორს არის და ცეტია.
თქვენ თუ მღვდლისაგანა გაქვთ მოტანილი ცნობები,
ღმერთმა იცის რისთვის თქვა, მას ვერ გაუჯავრდები,
თუ რომ სხვა რამე ცნობა არ გაქვთ არავითარი,
არ ვიცი რისთვის მოდით და ეს კრება რად არი?".

ყვირიან: „ბრძოლა გვინდა, რომ გავრეკოთ მოსკალები
გვსურს ვიყოთ პოლონეთში ყველა თავისუფლები".

პრუსიელმა თხოვნითა მიიღო სიტყვის ნება,
და ასეთი დაიწყო თავისი მოხსენება:
ბატონებო! მე მინდა რომ შევებრძოლო მტერსა,
ღმერთსა ვფიცავ. (ამასთან — მკერდში იცემდა ხელსა).
კომბალს თუმც არ ვატარებ, მაგრამ თქვენ ამას გეტყვით,
ერთხელ პრუსიელებსა გავუსწორდი მე კეტით.
შინისკენ მივდიოდი — ვიყავი გადაკრული,
ვხედავ, რომ ოთხს პრუსიელს ჩემი გზა აქვთ შეკრული;
მათ მოინდომეს ჩემი მდინარეში დახრჩობა,
კეტით ვცემე, გაიქცნენ, ვნახე მათი ლაჩრობა.
დამრტყმელმა თქვა: „მოგვწონს ის რაც შენგან მოვისმინეთ,
გამიგონეთ რას გეტყვით, დაწყნარდით, მოითმინეთ,
ომი გინდათ — არ იცით ვის წინააღმდეგ გსურთ ბრძოლა,
აბა როგორ იქნება თქვენი ერის გაყოლა?!
თვით ვერ გაგირჩევიათ მტერი ანდა მოყვარე,
ეხლა მოდი, და ხალხი საბრძოლველად აყარე;

ასე როგორ იქნება? ჯერ მოვახდინოთ კრება,
ავირჩიოთ უფროსი – სარდალი ვინ იქნება.
წინათაც ეგრე ვქენით, დაენიშნეთ მეთაური,
და ოდეს მტერს დავარტყით – ავაღინეთ ალმური.
ოდესაც გვეყოლება არჩეული ბელადი,
ხალხიც ნდობას გამოთქვამს და საბრძოლველად გადი,
და თუ მართლაც ყველას გსურთ საქმისა გაკეთება,
ვიმსჯელოთ, დავადგინოთ, და მოხდეს აჯანყება".

ქალაქ კლეცკის მოხელე – გვარად იყო ბუხმანი,
გერმანულად ჩაცმული, ყმაწვილი ახოვანი,
თუმც გვარით გერმანელი, ის იყო პოლონელი,
ადგა, წარმოთქვა სიტყვა მან მოკლე – არა გრძელი.
გლეხია თუ თავადი, ესეც არავინ იცის,
სწავლა და განათლება – აქვს მაღალი ხარისხის,
პოლონეთი მას უყვარს და გონება აქვს ღია,
ჩანს კარგი ბატონისგან მას გაწრთვნა მიუღია.
კარგი მოლაპარაკე – მცოდნე წერა-კითხვისა,
და თუ გსურთ, პოლიტიკურ ამხსნელი საკითხისა
ეხლა ლაპარაკი სურს მასზე, რაც მოისმინა,
ორჯერ რომ ჩაახველა – წარდგა ელჩების წინა.

„ფრიად პატივცემულნო და მოწყალენო ელჩნო!
წოდებით ღირსეულნო, კეთილნო და სულგრძელნო!
მოვისმინეთ მთავარი საკითხების გარჩევა,
მაღალ დონეზე არის მსჯელობა, თქვენი ქცევა,
მხოლოდ, ვხედავთ რომ აზრი ორად არს გაყოფილი,
გეგმები თუმცა კარგად გაქვთ თქვენ ჩამოწყობილი,
რათა გსურთ უეჭველად რომ მოხდეს აჯანყება?
მგონი, სჯობს ავირჩიოთ ერთი ხელის უფლება,
მიზანი რომელთაგან ერთი დაიბადება,
(მგონია მოვარიგებ თქვენსა უთანხმოებას),
როდესაც ვუკვირდები მე ერების ცხოვრებას,
ვხედავ, რომ ერთდებიან საერთო მიზნისათვის,
ეს ნაბიჯი – პირველი არის ცხოვრებისათვის.
ტყისა ველური ხალხიც ასე ხოლმე იქცევა,
და ოდესაც წესრიგი ძალად გარდაიქცევა,
შეერთებული ძალით იცავენ თვის უფლებას,
და თავსა შესწირავენ ერის თავისუფლებას.
აქედგან ჩანს – მთავრობა ერისგან არჩეული,
ერთგვარ პირობაზეა მხოლოდ დამყარებული,
მთელი ძალაუფლება აქვთ განაწილებული
და ღვთისაგან როდია იგი მოვლინებული!"

მოხუცმა მათემ უთხრა ბუხმანს სიტყვა შემდეგი;
„არ ვიცი, იქნებ არის ღვთის რისხვისა შედეგი,
სულერთია, რუსთ მეფე ჩვენ ღმერთმა მოგვავლინა,
ანდა წყეულ ეშმაკმა ის ქვეყნად გააჩინა,
იგი ღირსი არ არის რომ იმაზედ ვიდაოთ,
ხოლო ეს გაგვიმარტე, ის როგორ გადმოეაგდოთ?"

დამრტყმელმა თქვა: „რომ შევძლო მისვლა მეფის ტახტთანა,
და კომბლისა შეტანა მე რომ ვატარებ თანა,
მეფეს იქვე მოვკლავდი, სამშობლოს დავიხსნიდი,
მას ვერ გააცოცხლებდა ლოცვა და პანაშვიდი.
ბუხმანი! თქვენი აზრი გულისა სახმობია,
ხოლო მტერს რომ პირდაპირ დავარტყათ, – ეს სჯობია".

ბარტეკმა თქვა: „დამრტყმელო! მომწონს მე სიტყვა შენი,
აბა რა საჭიროა ლაყბობა ამოდენი?
ვიცი, რომ მოსკალებს მხოლოდ მოიშორებ ცემითა,
სანამ მთლად არ დაამტვრევ, არ დაგტოვებს ნებითა
ეხლა ჩვენ შევათანხმოთ ჩვენი აზრი – გეგმები,
და მოსკალთან საბრძოლველად, მეც ყველას გამოგყვებით".

„დამრტყმელმა თქვა: „დროს ვკარგავთ წესდების წერაშია,
მახსოვს, წესდება გვქონდა კოვნოს ბრიგადაშია,
ჯარისთვის გამოდგება, აგვიხსნის ჯართა წყობას,
ხოლო ვერ მოაგვარებს აქა ჩვენსა თანხმობას.
თუკი მტერზე დარტყმაში თანახმა ხართ ყველანი,
მაშ წერა რაღად გინდათ? აფსუსია მელანი.
ვხედავ, შეერთებაზე თქვენ გაქვთ უთანხმოება,
ბელადის ასარჩევად გინდათ დაიწყოთ კრება,
უფროსი გვყავს! მათე ხომ ჩვენი ბერიკაცია,
მედგრად წინ ის გაგვიძღვეს – აზრი მშვენიერია".

აქა იქ აჩურჩულდნენ, ეტყობათ აღელვება,
ჩანს რომ ორად გაიყო აზრი და მთელი კრება.
ბუხმანმა დაიძახა: „ვარ იმის წინააღმდეგი,
ამგვარად რომ შეერთდეთ, რა მოჰყვება შედეგი?
ამ დროს კარი გაიღო და ყველამ ხმა გაკმიდა,
აზნაური სკოლუბა ოდაში შემოვიდა".

დაიწყო: „დობჟინსკებო! რას ნიშნავს თქვენი ქცევა?
კანონის გარეშე ვართ? არა გსურთ ჩვენი რჩევა?
როგორ ფიქრობთ? გერვაზმა ჩვენ რომ შეგვატყობინა,

მთელი ჩვენი უბანი ფეხით შემოირბინა,
გვეითხრა: გასარჩევია საკითხები მაზრისა,
ვხედავ, არც გსურთ გაიგოთ როგორი ვართ აზრისა.
რობაკმაც ორიოდე სიტყვა წაიბურტყუნა,
ცხადად არაფერი თქვა, იმედი გაგვიმტყუნა,
შიკრიკები ვაფრინეთ, შევყარეთ მეზობლები,
მათე! პირში გეტყვი და გთხოვ ნუ დამემდურები.
რომ მხოლოდ დობჟინსკები არ არიან ქვეყნადა,
ორასი აზნაური სხვაც — არიან რჩევადა,
გსურთ რომ ამოირჩიოთ მეთაური — სარდალი?
კენჭი ვყაროთ, იქნება ყველასთვის სამართალი
გაუმარჯოს ერთობას და ტარასევიჩები,
ოთხი ძმა სტიპულკოვსკი, მათთან მიცკევიჩები,
ყველანი შეიყარნენ—მიემხრენ სკოლუბასა,
ბუხმანი გაიძახის: „ნუ იქმნთო ერთობასა"
დამრტყმელი ყვირის: „თქვენ არავინ დაგვჭირდებით,
უთქვენოდ ჩვენსას ვიზამთ და შემდეგ გაკვირდებით.
დობჟინსკები ყვირიან: „მობრძანდით კრებაზეო,
და სხვა აზნაურები: — „არ ვეთანხმობთ ამაზეო".

მოხუცი მათე იჯდა როგორც გაქვავებული,
ამ მოვლენით არც იყო იგი გაკვირვებული,
დამრტყმელი დაყრდნობია თავის დიდსა კომბალსა,
ცქერის გააფთრებული — არვის აშორებს თვალსა
ხან გვერდზე გადიხრება, ხან გასწორდება წელში,
დავარტყათო, იძახის კომბლის ტრიალით ხელში.
არის ერთი დობჟინსკიც, სურად წოდებულია,
მას სურს რომ მოარიგოს, ვინც წაკიდებულია,
მათე ზის და უცქერის, ჩანს ბრაზმორეულია,
მოხუცს კრიჭა შეუკრავს და დადუმებულია.

ოცი წუთი გაგრძელდა მოდავეთა ყვირილი,
არვინ დარჩა — დავაში რომ არ მიეღო წილი,
უეცრად გაიელვა ბასრმა ხმალმა ჰაერში,
თუმც არა ჩანს ვინ არის მისი მჭრელი ხელში,
ყველამ იცნო, ხმალია მოხუცი გერვაზისა,
დადუმდნენ, უცქერიან, სად ბერიკაცი ზისა.
შესძახეს: „გაუმარჯოს ჩვენს ნახევარ ვაცსო"
სალამი „ჩემ ბატონს და იმისა ხმალსაო",
ყველგან ქება ეკუთვნის მაგის ცნობილ დანასა,
ვენაცვალეთ მაჯაში ვაჟკაცს ამისთანასა.

გერვაზმა, (იგი იყო) გაიკვლია გზა სწრაფად,
მათესკენ მიეშურა იარაღით მარქაფად,
ბერიკაცს მიესალმა, მის წინ ხმალი დახარა,
აქ გერვაზის დანახვამ ყველანი გაახარა.
უთხრა: წკეპელს მიუძღვნის ჩემი დანა სალამსა,
ამბაესა მოგახსენებთ ნასმენს არა ახალსა,
დობჟინსკები! ზნიანნო! გეტყვი თუ რად შეგკრიბეთ,
მსჯელობა არ მწადია თვითონვე გადაწყვიტეთ.
მგონი რომ ყველამ იცით ქვეყნად ეხლა რა ხდება,
მე მხოლოდ მოგახსენებთ, ნურვინ გამიჯავრდება,
ამისთვის გრძელი სიტყვაც აქ საჭირო როდია,
გესმით რა თქვა რობაკმა, მას რა მოუბოდია?
მე გთხოვთ რომ მოისმინოთ, გეტყვით სიტყვას სეფესა,
ბონაპარტე შეებრძვის ეხლა რუსის მეფესა,
დიდი — დიდს ეომება, ეს ბრძოლის კანონია,
ჩვენ ეხლა პატარები მოვძებნოთ — მე მგონია.
ხელდაჭდობილი ჯდომა ხომ შეუძლებელია?
ყველა მზად უნდა ვიყვეთ, თავადი და მღედელია,
და ოდეს მტერს მოუღებთ სამუდამოდ ბოლოსა,
მით დავიხსნით პოლონეთს — საყვარელ სამშობლოსა.
მგონია ჩემი აზრი თქვენთვის მისაღებია,
მოგვწონსო შემოისმა ყოველი მხრივ ხმებია.
ეხლა ჩვენ ყველამ ერთად ავირჩიოთ სარდალი,
ხმა ყველას მიენიჭოს, დაეიცვათ სამართალი,
ბუხმანი აფთრობს ყვირის ვით დაბმული ნაგაზი,
მაგრამ ახალი გეგმით გამოვიდა გერვაზი,
აქ რომ ჩხუბი არ მოხდეს ფიქრობდა ამაზედა,
სიტყვა გადაიტანა სულ სხვა ნიადაგზედა.

გერვაზმა თქვა: „დიდს — დიდი, პატარებს — პატარები,
შეებრძოლონ, მათ საქმეს მე არ გავეჩხირები,
მაგისთვის არის მეფე, სენატი და ელჩები,
იმათ დაღუენილებას — ნურავინ შეეჩრები,
სხდომა არის კრაკოვში, ანდა ვარშავაშია,
და არა ჩვენს სოფელში — დობჟინის უბანშია,
იმათა ჰყავთ მწერლები, მდივანი და ვეზირი,
კანონებს დაადგენენ, მით იგზავნება გზირი,
ჩვენი საქმეა ხმალი, შუბი და უნაგირი,
ოდეს ირგვლივ მტერია, ცხენს აუღოთ აღვირი.
დანა დაატრიალე, მოამზადე წკეპელი,
ეს არის ჩვენი საქმე, სხვას ჩვენგან რას მოელი?

„მოწმეებად თქვენ გიწვევთ ყველას აქა მყოფელსა,
რობაკმა თუ რა უთხრა ამას წინათ სოფელსა,
„სანამ სტუმარი მოვა, დაგავეო დარბაზი,
მოამზადე ყველანი, ლაქია და ხაბაზი,
ეხლა დაგეკითხებით: ვინ არის ეს ნაგავი?
და ვინ არის ეს პირი — ადამიანი ავი?
ვინ მოგიკლა სტოლნიკი — წაიღო მის ქონება,
ან ჰორეშკოს მამულსა დღეს ვინ ეპატრონება?
ეს ხომ სოპლიცა არის — მჩაგვრელი — არამზადა?
ის უნდა ჩამოვახრჩოთ — სახრჩობელა სად არი?
დასძახეს: „დავახრჩოთო, თუ მავნეა ამგვარი.

პრუსიელი გაჯავრდა ამ სიტყვების მოსმენით,
თქვა: „დაფიქრდით რას ჩმახავთ?
გსურთ გადაწყვიტოთ თქვენით, კაცი გაანადგუროთ?
აბა რა კანონია?
და მოხუცი გერვაზი მე კი გიჟი მგონია.
აბა სად გაგონილა კაცმა ძმა ჩამოახრჩოს?
ძმის დანაშაულისთვის უფალიც გააჯაეროს?
რჯულიც დაგვიწყებიათ, ეს გრაფის ოინია,
მე ვიცი რომ სოპლიცის ჯავრი არვის ჰქონია.
თქვენ გინდათ მასთან ჩხუბი, მისი განადგურება,
მსაჯულს მე კარგად ვიცნობ, სურს თქვენთან მორიგება.
ყველასათვის მოკეთეა, უხვი და ქველმოქმედი,
ამისი მოწამე კი ღმერთია შემოქმედი.
დამხმარეა გლეხისა, ყველასადმი მთმობელი,
ცუდსა არავის უზამს — ცხონდეს მისი მშობელი.
თუკი გრაფთან იმას აქვს რაიმე ანგარიში,
ეს რა ჩვენი საქმეა? ღვთისადმი გქონდეთ შიში.
ნუ იქმთ ასეთსა საქმეს, მოითმინეთ, დაფიქრდით,
ყოველი მოგვარდება აწონდაწონით — რიდით.
მან გლეხებს აუკრძალა მიწამდე მისალმება —
ცოდვააო ღვთისადმი; არ მისცა ამის ნება.
არაერთხელ მინახავს გლეხები მის სუფრაზე,
მასთან ერთად პურს ჭამდნენ, აბა ემდურით რაზე?
სამშობლო ძლიერ უყვარს და იცავს ადათებსა,
უცხოს არვის იკარებს, არც ემხრობა რუსებსა,
და ოდეს პრუსიიდან ვბრუნდები მე შინისკენ,
იმ წამს მივეშურები სოპლიცოვს — მსაჯულისკენ.
იქ არის პოლონური ბუდე დაურღვეველი,
და იქ შვებას განიცდის პოლონელი ყოველი.
დობჟინსკებო! იცოდეთ, თუმცა ძმა ვარ მე თქვენი,

ამის ნებას არ გაძლევთ, გერვაზ! რაც გინდა ქენი.
გახსოვდეთ, არ მოხდება ჩემი თქვენთან თანხმობა,
რადგან კლუჩნიკს უნდა მსაჯულის ჩამოხრჩობა.

ჩურჩული დადგა, ხოლო წამოდგა იანკელი,
ჯერ მაგიდაზე შედგა, წვერზე გადისვა ხელი,
შემდეგ მელის ქურქისა მან ქუდი მოიხადა,
გასწორდა, ჩაახველა, ქადაგად მოემზადა.
შემდეგ მარცხენა ხელი ჩაიდო ქამარშია,
დაიწყო: „ბატონებო! გითხრათ საქმე რაშია!

ბატონო დობჟინსკებო! იცით თქვენ, ვარ ებრაელი,
მსაჯულის ძმა არა ვარ და არცა მსახური,
მას მე დიდ პატივსა ვსცემ, ვაფასებ დობჟინსკებსა,
როგორც კეთილის მომქმედთ, საყვარელ მეზობლებსა.
ბარტეკია თუ მათე, ჩემთვის ყველა კარგია,
და ჩვენი სოფლისათვის — ხომ ერთგვარად მარგია?
მაგრამ, ვხედავ რომ მსაჯულს გსურთ რომ რაღაცა ავნოთ,
ხოლო ამის შედეგი მე მინდა გაგიმარტოთ.
რომ ეს ცუდი საქმეა, ამას მე არ ვეხები,
მოგაგონებთ, რომ საქმეს — ცუდს „მოკლე აქვს ფეხები,
ვთქვათ რომ იგი მოკალით, სადღა დაიმალებით?
ასესორი დაგიწყებთ დევნას თვის კანონებით.
ესეც რომ არა იყოს, იქ ბევრია ჯარები,
ჯარის ხიშტს და ტყვიასა ხომ ვერ გაეპარები?
ფრანგის ჯარს ელოდებით? იგი არ მოიჩქარის,
ებრაელი ვარ, მე ომის მცოდნე არ ვარ არაფრის.
ბელიცაში ვიყავი და ვნახე ებრაელები,
მითხრეს: ლოსოსნოზედა ბანაკობენ ჯარები,
და ომი დაიწყება მხოლოდ გაზაფხულზედა,
მე რასაც გეუბნებით, მერწმუნეთ ამაზედა.
მსაჯული სოპლიცისა ამოდენა სახლ-კარი,
დაარღვიო, წაიღო, ეს ხომ ქოხი არ არი?
არსად გაგეპარებათ, რა აქვს მას გასაქცევი?
გაზაფხულზედ დაგხვდებათ ყოველივე ურყევი;
ეხლა დაიშალენით, და ნუ ახმაურდებით,
რაც მოხდა გაიგებენ და ამით ჩვენ შევრცხვებით.
ყველას გეპატიჟებით, მზად მაქვს სასმელ-საჭმელი,
ჩემს ასულს დაებადა პატარა იანკელი,
ამიტომ ვიქეიფოთ, ჭიანურიც მექნება,
ლხინი გასტანს დილამდე თუ არის თქვენი ნება,
მათესთვის ძველი ღვინო მაქვს — მწვადები, მწვანილი,
გუნდა მაზურკა ვასწავლე, მღერისაც აქვს წადილი.

იანკელის სიტყვებმა ყველა დააშოშმინა,
ებრაელს სურდა წასელა სტუმრებით უკვე შინა,
გერვაზი გამოვარდა თვისი დანით ხელშია,
მიადგა იანკელს და მიაბჯინა ყელშია.
დამფრთხალი იანკელი უცებ ბრბოში შევარდა,
გამეცაო აქედან ებრაელო, არამზადა
მიაძახა გერვაზმა და დაედევნა თანა
ხელში ეჭირა ბასრი, ცნობილი ხმალი — დანა.
გერვაზი დატრიალდა გეგონება ჯარა,
და პრუსიელს შესძახა: „შენ ხარო მეტიჩარა.
შენ სტოლნიკის სიკეთე, სრულად დაგვიწყებია,
მითხარ, მისი წყალობით შენს მშობელს რა ჰკლებია?
და შენ რომ ეხლა ვაჭრობ მსაჯულის ტყით და ხითა,
სოპლიცა რომ დაიცვა, გაჰყვირი დიდი ხმითა,
ჰორეშკომ გაგიმდიდრა მამა, — ხომ ცხადი არი?
და შენც იმის წყალობით ბრძანდები სოვდაგარი.
ისიც ნუ გაეიწყდება, ჰორეშკოთ სასახლეში,
რომ დობჟინსკები იყვნენ მსახურნი — პირფარეში,
მდივანი, მოურავი, მწერალი, მეჯინიბე,
ყველა დობჟინსკი იყო, კარგად აივსეთ ჯიბე".
სტოლნიკი ხომ არავის აროდეს ენდობოდა,
თუ დობჟინსკი მოხელედ იქ არ ეგულებოდა —
მეფეს მუდმივად სთხოვდა თქვენთვის დახმარებასა,
ხელს უწყობდა თქვენ ბავშვთა სწავლა განათლებასა,
სკოლები მან აღავსო დობჟინსკის ბავშვებითა,
თავი არვის სტკიოდა მრავალი ხარჯებითა.
ჰორეშკო იყო თქვენი მუდმივი მწყალობელი
და მოგიკლეს ასეთი ქებული მეზობელი.
ამიტომ ყველა იყო სტოლნიკის მადლიერი,
თქვენ სოპლიცამ რა გარგოთ? სრულებით არაფერი.
დობჟინსკიმ თქვა: „(რომ იყო სურადა წოდებული),
მე ეხედავ მას რომ დადის სინდის წყალწაღებული.
გახსოვთ! მე დავპატიჟე ჩემს ასულის ქორწილზე,
ღვინო როს შევთავაზე, რაღაც გამიდგა ჯინზე.
ბევრია და მაწყენსო! დახეთ რა სათუთია?
მაშინ, ავავსე ღვინით დიდი ვერცხლის ყუთია,
და ხახაში ჩავასხით ძალით ღვინო უნგრული,
ამას არ დავივიწყებ სანამ მიდგია სული".

დამრტყმელმა დაიძახა: „აბა დახეთ მაგასა,
მე აუყრი სოპლიცას სახლს, ფარეხს და ბაგასა,
გვეკუთვნის რომ გასწორდეს ანგარიში ჩვენ შორის,

მუდმივ ხომ არ იქნება უთანხმოება ორის?
ჩემი ვაჟი მწოვარად თქვენ მიერ წოდებული,
თურმე სოფიოზეა ჩუმად შეყვარებული,
ბავშვმა ჭკუა დაკარგა, მუდამ სოპლიცოვშია,
მხოლოდ ღამით ბრუნდება, წაიძინებს ქოხშია,
დილით გარბის, მთელი დღე კანაფში იმალება,
უჭვრიტინებს სოფიოს, მისი ცქერითა ტკბება.
ერთხელ ვცემე და მაშინ გამომიტყდა საბრალო,
სოფიო ჰყვარებია, თავი რა ქვას ვახალო?
სოპლიცასთან მივედი და სიმართლე ვუთხარი,
ვაჟი დამიდის გიჟად, მშიერი, უძინარი,
თუ სოფიო ჩემსა ვაჟს არა მიეთხოვება,
აფსუსია, ყმაწვილი სიყვარულით მოკვდება.
სოპლიცამ გააწბილა ჩემი თხოვნა – ნაწადი,
მითხრა: მოიცადეო ჯერ სამი წელიწადი,
და ამ ხანში სოფიო ოდესაც მომწიფდება,
ვისაც უნდა აირჩევს და თვითონ გათხოვდება.
ვიცი, რომ მას სოფიო სხვისთვის უნდა ცოლადა,
მას ავჩეხავ, არცა მთვლის იგი თავის ტოლადა.

გერვაზი წინ წამოდგა, რალაცა აქვს სათქმელი,
დაიწყო: არამზადა, აქ დადის უვნებელი,
მაშინ, ოდეს ჰორეშკოთ დაიკარგა ხსენება,
და თქვენ შორის, დობჟინშიც დაივიწყეთ ხსენება.
თქვენ გინდათ მოსკალებთან ბრძოლა და დიდ ბრძოლას აპირებთ,
და რალაც კანონებით ერთმანეთსა აშინებთ.
მეგობრებო! იცოდეთ კანონს მე არ დავარღვევ
და კანონიერ გზიდან, აროდეს გადავუხვევ.
გრაფმა მოიგო საქმე ოლქის სასამართლოში,
გვახსოვს როგორ ხდებოდა გადასულ ძველსა დროში,
გასამართლების შემდეგ თუ ძალით წაიღებდი,
მოგებული იყავი და თავს ამით იქებდი.
დობჟინსკებიც ცნობილნი იყვნენ ასეთ საქმეში,
სახელიც ხომ გაითქვით ბევრჯერ მოსკალებთან ბრძოლებში?
გენერალ ვოინილოვიჩს რომ მოჰყვა მეგობარი –
ვოლკი, მისი დამქაში, მხეცი დაუნდობარი,
ჩვენ ის ტყვედ ჩაგვივარდა, ვოლკი გლეხთა ჯალათი,
მან რომ გაანადგურა სოფლელთა ამანათი.
საბძელში დედაბოძზე გვინდოდა ჩამოხრჩობა,
მაგრამ, იცით არა გვაქვს ერთმანეთში თანხმობა,
გლეხებმა შეიბრალეს. რას იტყვით ამაზედა?
(იმას შევსწვავ დანაზე როგორც მწვადს შამფურზედა).

რამდენი გვაქვს სხვა კიდევ ნამოქმედი გმირული!
საცა ყველგან ჩვენები იყვნენ გამარჯვებული!
ხოლო ზედმეტი არის ძველი მოგონებანი,
გრაფი დამხმარეს ეძებს ამოდენია ხანი.
ობოლი, გაძარცული, ხომ ჩვენი სირცხვილია
ჩვენ რომ ვერ დავეხმაროთ? პორეშკოთა შვილია.
ეს ყველამ დავივიწყეთ და შევირცხვინეთ პირი,
ნათქვამია: სხვისიო ჭირი - ღობესა ჩხირი.
დღეს საბრალოს არვინ ჰყავს ჩემ გარდა სხვა ქომაგი,
რადგან არავის ახსოვს სტოლნიკისა ამაგი.

დამრტყმელმა დაიძახა: გერვაზო! ვარ შენთანა,
და გახსოვდეს, მე ხმალი მუდმივ დამაქვსო თანა,
მარტოხელა როდი ხარ, გახლავარ მეგობარი,
სოპლიცა ვერ დამაფრთხობს და ვერც რუსისა ჯარი.

ბარტეკმა თქვა: „ჰე ძმებო! მიმიღეთ თქვენს ჯგუფშია
მეც ხომ გამოგადგებით საცა გინდათ ჩხუბშია?"
აქ სურამ მიაძახა, მეც მოვდივარ თქვენთანა,
და თუ სურთ, მათ იდაონ საღამომდე აქანა.
კენჭის ყრა, არჩევნები,— ბავშვების თამაშია,
ეს მე როდი მჭირდება, ხმალი მაქვს ქარქაშშია
სკოლუბამ დაიძახა: „მეც მოვდივარ თქვენთანა.
წინ გაგვიძეხ გერვაზ და დაატრიალე დანა.
საცა თქვენ, იქ ჩვენცო სხვებმა წამოიძახეს,
შევესიოთ სოპლიცას, დავუყენებთ შავსა დღეს".

გერვაზმა შემოიკრიბა ყველა; ჩაქრა ყიყინი.
რადგან მსაჯულისადმი ხშირად გვაქვს ხოლმე ჯინი,
უბრალო საჩივარზე; ან წაილეკა ზღვარი,
ან ყანაში შევიდა შენი მეზობლის ხარი,
მათი გასამართლება, ხშირად ძლიერ ძნელია,
და მსაჯულს ის ემდურის, ვის გონება ბნელია.
გერვაზი ოთახში დგას, ვით ალყაშემორტყმული,
ხმლები, კომბალ-ჯოხები მაღლა აქვთ აღმართული.

მათე აქამდე იჯდა უსიტყვოდ და წყნარადა,
ეხლა ადგა, ჩანს იგი რომ მეტადრე გაცხარდა,
გამოვიდა, შეჩერდა, წასდგა ორი ნაბიჯი,
და ორთავე ხელითა შეიყარა დოინჯი
მოღუშული ირგვლივ ცქერს — აღელვება ატყვია,
ლაპარაკი დაიწყო, სიტყვებს ისვრის ვით ტყვია.

სულელნო! უგნურებო! აბა თქვენ დაუკვირდით,
რუსთან შებრძოლებაზე ვერ შეთანხმდით, აყვირდით,
ვხედავ მებრძოლნი არ ხართ, მიმაჩნიხართ მე ჩიად,
გიქებო! თქვენ სარდალი გსურდათ ამოგერჩიათ?
ტუტუცნო! უბადრუკნო! პირადი კინკლაობა,
თქვენ სწრაფად შეგათანხმებთ და უკვე გაქვთ ერთობა.
გაეთრიეთ აქედან! გადით აქედან მალე,
უგუნურნო! წადით! ყველამ თავი ქვასა ახალეთ.

მათეს მკაცრმა სიტყვებმა მეხივით იმოქმედა,
იმ წამშივე დადუმდნენ, თითქოს მათ ეცათ ელდა,
მაგრამ ეხლა ეზოდან შემოისმა ყვირილი,
გაუმარჯოს ჩვენს გრაფსა, მოდის ჰორეშკოს შვილი.
გრაფი შევიდა ეზოს თავისი მხლებლებითა,
იარაღასხმული და მარქაფა ცხენებითა.
გრაფი ჯდა შავსა ვაყას, შავად იყო ჩაცმული,
იტალიურ ყაიდის ფარაჯა მოხვეული.
მრგვალ ქუდზედ ფრთა აეკრა, ატრიალებდა ხმალსა,
შეაყენა ცხენი და ხმლით მიესალმა ხალხსა.

გაუმარჯოს გრაფსაო შეკრებილნი ყვირიან,
ვინც რომ ოდაში იყო, ფანჯრიდან უმზირიან,
ეზოში და ოთახში ალიაქოთი ატყდა,
გერვაზი და იქ მყოფნი – ყველა კარებს მიაწყდა.
ვინც შინ დარჩა, ლანძღვითა თეით მათემ გამოყარა,
თან კარებიც მიხურა, ურდული გაუყარა.
მისდგა ღია ფანჯარას, ზე ასწია ხელები,
ვითომ და ლოცვა უნდა, მისძახა: სულელები.

გრაფის ირგვლივ ყველანი შეიკრიბნენ ეზოში,
გერვაზმა დაპატიჟა, მივლენ სამიკიტნოში,
გადააბეს ერთმანეთს სამი გრძელი ქამარი,
(ეს ძველი ჩვეულება – აზნაურთ წესი არი).
სარდაფიდან ასწიეს იმათ სავსე გუდები,
ვაშაო დაიძახეს, ჭერს შესტყორცნეს ქუდები,
სამი მოჩქეფს ნაკადი სხვადასხვა ფეროვანი,
ივსებს ყანწს და ფიალას ყმაწვილი და მხცოვანი;
ღვინო ლალსა წააგავს, ლუდი ქარვის ფერია,
თეთრი არაყით ჭიქა, თასებში აერია.
ღალიეს და ყვირიან: თავს დავეცეთ სოპლიცას,
დავუბრუნებთ ჰორეშკოს, წართმეულს კოშკს და მიწას.

უბელო ცხენს მოახტა იანკელ ებრაელი,
იქ პრუსიელი იდგა სად არს ორი კედელი,
კარში გავიდა ჩუმად და გასწია სირბილით,
შენიშნეს, დაედევნენ ძახილით და ყვირილით.
გაგვცემსო დაიძახეს, მოინდომეს დაჭერა,
მიცკევიჩი უცქერის, რასაც უცქერს არა სჯერა,
მიხვდა, უბედურება რაღაცა უნდა მოხდეს,
ამჯობინა წასვლა რომ, აქაობას მოშორდეს.
გავიდა. დაედევნენ, დაიჭირეს ღობესთან,
მის საშველად მორბიან სამი ჩეჩოტი და ზან,
და სანამ გააზოვეს, ორი იყო დაჭრილი –
ხელში და მესამეს კი ყური ჰქონდა მოთლილი.
ეინც დარჩა, ცხენსა შეჯდა. გერვაზი, მასთან გრაფი,
თავდასხმის გეგმას ადგენს, ბრძანება გასცა სწრაფი,
წყობილება ნავარდით გავიდა შარაგზაზე,
მზად არიან თავდასხმად, მსაჯულსა სოპლიცაზე.

# წიგნი მერვე

## თავდასხმა

შინაარსი

ვოისკის ვარსკვლავთმრიცხველობა
პოდკომოყის აზრი კუდიან ვარსკვლავზე
საიდუმლოება მსაჯულის ოთახში
თავდასხმა
პროტაზის წინააღმდეგობა
გრაფმა სოპლიცოვო აიღო
იერიში და ქლეტა
გერვაზი მოსარდაჟედ
ქეიფი

გრიგალის წინ სიჩუმე გამეფდება ჰაერში,
ღრუბელი გუშაგად დგას დახუთულ ცისა წრეში,
მიწას დაემუქრება, ქარს სუნთქვა შეუხუთავს,
გრიგალის მოლოდინში, ბუნება სულსა ღაფავს.
შემდეგ ელვის ისარი, ცის პირზე მხარს გადიტეხს,
სად ისრის წვერი იყო, იმ ადგილზე დასცემს მეხს.
სოპლიცოვში სიჩუმე დგას ვით გრიგალის წინა,
წინამორბედმა გრძნობამ ყველანი შეაშინა.

ვახშამი რომ დამთავრდა, თვის სტუმრებით მსაჯული,
ოდის წინ გამოვიდა, დაჯდა აღელვებული
ბალავარზე, ხის ძირში საცა კოინდარია;
ხმას არავინ არ იღებს, არვის რა უხარია.
ცას შესცქერენ, ის თითქოს ჩამოვარდნას აპირებს,
ხუფად უნდა დააწვეს სოპლიცოვის ნაპირებს.
ცამ და მიწამ დაიწყო სიყვარულის ჩურჩული,
ვითომ საყვარელი ჰყავს ქალს მკერდში ჩახატული.
ფიქრობ რომ ენანება ცას დაკარგვა წამისა,
რომელში ჩაიქარგა ლხენა ამა ღამისა.

ჯერ ჭოტმა წამოიწყო თვისი ღამის სიმღერა,
ძველ ისლის სახურავში ღამურას სძინავს ჯერა.
იცით ღამის პეპელა თუ როგორ მსუბუქია!
სინათლესთან ფრიალებს ვით იანვრის ბუქია.
მას იზიდავს სინათლე ანდა თეთრი ფერები.
იგი ფრთხილი როდია, ხშირად დაეწვის ფრთები.

სოფიოს შემოუჩნდნენ დღეს პეპლები ღამისა,
ესევიან, ჩანს მოსწონთ სითეთრე მის კაბისა.
მათ, სოფიოს თვალები ჰგონიათ კელაპტარი,
და ამიტომ პეპლები არიან მაბეზარნი.
ჰაერში ტრიალებენ კოღოების გუნდები,
მწვავედ იკბინებიან, ბასრი აქვთ ხორთუმები.

სამღერლად მზად არიან გუნდთა მეთაურები,
მომართეს ჭიანური, ზურნა და ჩონგურები;
შაშვმა დაიჭახჭახა, ის არის დამწყებელი,
ღამის მოგზაურისთვის სტვენით გამხნევებული.
ბუმ შორიდან დასძახა, ჭოტი კი დამქაშია.
ჭრიჭინა მარტოხელა ჭრიჭინებს ბუხარშია.

სოპლიცოვს ერთ მხარეზე ტბა – ანკარა წყლიანი.
მიდამოს ამშვენებდა ნაპირით ქვიშიანი,
მეორე მხარეს იყო ნოყო შამბ-ისლიანი.
წყალი მდორე, უჭევლო, მყრალი და ყლორტიანი,
დილიდან საღამომდე აქ მეფობდა სიწყნარე,
ხოლო დაღამებიდან, იყო თუ არა მთვარე,
ერთად გაიღვიძებდნენ ტბა და გუბე მძინარე.
და ჟრიამულში იყო მთელი ეს არემარე.
წვრილი ხმით წამოიწყო ბაყაყმა მღერა ტბიდან,
გომფაშიმ ბანი მისცა შორს ისლიან გუბიდან,
წვრილი ხმა მოგაგონებს სიყვარულის სიმღერას,
გომფაშის ხმა კვნესაა, დასტირის ბედისწერას.
მთელი ღამე არ წყდება სიმღერა ამ ტბებისა,
ეს არის ჩვეულება ყველა ბაყაყებისა

მშიერი მგლის თვალები ჩანს მდინარის ნაპირზე,
ალბათ აიღო ალღო მან საბრალო ნაპირზე,
ველზე მწყემსის კარავში აპრიალდა კერია,
ალბათ, მშიერმა ღადარს ეხლა ჩასდო კვერია.
უღრან ტყის შავ კედლიდან ცაზე მთვარე აცურდა,
გეგონება მიწისთვის ვერცხლის თასის ძღვნა უნდა.
შეყვარებულმა მთვარემ მიწას მოხვია ხელი,
მიწამ კი გადაუშალა უმანკო სარეცელი.
ჩაეკონენ ერთმანეთს, ორნივ განცხრომაშია,
მცენარე და ცხოველი ბუნების ქებაშია.

მთვარეს ახლავს შუქური – ჩანს აწუხებს სურვილი,
საყვარელს მოაშორეს, აქვს საბრალოს სურვილი,

ცა ბროლად გაიჭედა მრავალ ვარსკვლავებითა,
თავი რად მოგაბეზროთ იმათ სახელებითა?
ხოლო მთვარის მოახლე, რომელს მიწის აქვს შური,
პირველი არის ცაზე და მას ჰქვია შუქური.
შემდეგ არის სასწორი. (ასეთია თქმულება),
რომ ოდეს ღმერთმა შექმნა მსოფლიოსა ბუნება,
ყოველივე აწონა თვის ოქროს სასწორზედა,
და შემდეგ ჩამოჰკიდა იგი ზოდიაქზედა.
დღეს ხალხმა დაივიწყა იმათი სახელები,
ფიქრობენ, სხვათ ტოლია სასწორის ვარსკვლავები.

ჩრდილოეთით წრე არის — ვარსკვლავების — საცერი
(ამბობენ) გაუცრია ღმერთს ხორბალი და ქერი,
ოდესაც სამოთხიდან გაუგდია ადამი;
საცერს ზევით, მწკრივშია დიდი ვარსკვლავი სამი.

შემდეგ არის ურემი — (ამბობენ) დავითისა,
ხოლო ნამდვილად არის ეს ანგელოზებისა;
ოდესაც ამ ურემით ეშმაკი მიდიოდა
ზეცისაკენ, მას სურდა რომ ღმერთსა შებრძოლოდა,
იქ მიმავალ ურემსა შეხვდნენ ანგელოზები,
ურემი დაუმტვრიეს და დაულეწეს თვლები;
მიქელ გაბრიელმა კი ზეციდან გადმოაგდო,
დამტვრეული ურემი ვარსკვლავთ შორის დააგდო,
იმ დღიდან ზეცაშია დამტვრეული ურემი
ვერავინ შეაკეთებს, შიშით დურგალს აქვს გრემი.

ლიტველებმა იციან ვარსკვლავთა გამოცნობა,
(რაბინებიდან მოდის ალბათ ასეთი ცნობა)
რომ ზოდიაქში მყოფი ვეშაპი წაწოლილი,
არის თურმე ოდესღაც ამა ქვეყნად ყოფილი.
სახელი შეუცვლიათ — დაურქმევიათ გველი,
ნამყოში თევზად იყო ხსენებული რომელი.
თურმე ზღვაში ცხოვრობდა, ხოლო შემდეგ წარღვნისა,
უწყლობით მომკვდარა და ანგელოზებსა ცისა,
ზეცას აუტანიათ მისი ჩონჩხი სახსოვრად,
ხოლო ზღვათა მცხოვრებნი თვლიან თავიანთ ტოლად

ვოისკის კარგად ესმის ვარსკვლავთამრიცხველობა,
და თუმცა დაუსუსტდა თვალი და მხედველობა,
ზეპირად ახსოვს იმას ვარსკვლავთა გზა და კვალი;
ან წიგნში წაუკითხავს, ან სმენია მართალი.

მისთვის ძნელი არ იყო თქმა მათ სახელებისა
და აღწერა იმათი წლიური მგზავრობისა.

ვოისკის თხრობა დღეს არავის არართობს,
ყური არვინ მიუგდო საცერს, ვეშაპს და სასწორს,
ვინც აქ არის – თვალები ზეცას აქვს მიპყრობილი,
რაღაც უცხო ვარსკვლავი ცაზეა გაწოლილი,
ფოჩიან წითელ კუდით კომეტად იწოდება,
და ჩრდილოეთისკენ იგი მიეშურება.
მისი კუდი ანათებს ვით რცხილის ჩირაღდანი,
უნდა ჩაჯდეს ურემში და მისდევს დიდი ხანი.
ცის კიდის მესამედი დაუფარავს კუდითა,
ვარსკვლავნი მიუზიდავს ძალით უცნაურითა.
რაღაც ფარული შიშით ცქერიან ამ ვარსკვლავსა,
თუმცა არავინ ამხელს, სცემს ციდან შიშის ზარსა.
შხუის, მიექანება სადღაც ცისა უფსკრულში,
აუწერელი რაღაც გრძნობა აქვს მცქერელს გულში.

ლიტველნი შესცქერიან ყოველ ღამე მნათობ ცასა,
ლოცულობენ, ხსნას სთხოვენ უმაღლეს განგებასა.
ამბობენ, რომ ეს არის რაღაც ცუდი მოვლენა,
მასთან, ღამით თუ ველზე ხარ და გაქვს კარგი სმენა,
მოისმენთ უცხო ფრინველთ არა ჩვეულ ყიყინსა,
გუნდათ იკრიბებიან ბნელში მდინარის პირსა.
ნისკარტებს ილესავენ, ვითომც ახლო ლეშია,
ძაღლები კი ყმუიან აქა-იქ სოფელშია.
უბედურების არის ყოველი ეს ნიშანი,
ომის, ან შიმშილობის უეჭველი მომტანი.
ტყის დარაჯებს უნახავთ სიკვდილის დედოფალი,
ცელით, სასაფლაოზე თეთრებში მიმავალი.

ამაზე ყველას ჰქონდა თვისი შეხედულება,
და გულში კი ფიქრობდნენ, მოვა უბედურება,
მწეს ეჩურჩულებოდა მწერალი საიდუმლოდ.

პოდკომოჟი სახლის წინ, აქამდე იჯდა უხმოდ,
ჩანს, ეხლა სურს სიტყვის თქმა, გასწორდა სავარძელში,
შემდეგ, დინჯად აიღო მან საბურნუთე ხელში,
(მთლიანად ბაჯაღლოა, ჩარჩო აქვს ალმასისა,
ფაიფურის სურათით მეფე სტანისლავისა).
ჯერ მან სალოკი თითი კროჭსა დაურაკუნა,
ეს კაკუნი რას ნიშნავს, ხომ ყველამ იცის მუნა!

შემდეგ კოლოფი გახსნა და შეყნოსა ბურნუთი.
რაღაც ფიქრებს მიეცა რამდენიმე წუთი
და შემდეგ თქვა: „არ მესმის მე ვარსკვლავთმრიცხველობა,
არც ვიცი მათი გზები და ცაზედა მსვლელობა,
გლეხს რომ ვკითხო ეს ჩემთვის უკეთესი იქნება,
სად რა ვარსკვლავი არის, როდის მთვარე იცვლება,
თადეოზ! მე მგონია შენ იცი ეს საგანი,
რადგან სკოლაში იყავ, სწავლობდი დიდი ხანი.
აგვიხსენი შენ ეხლა ვარსკვლავთამრიცხველობა,
სად და როგორ მგზავრობენ და მათი მნიშვნელობა.
თუმცა მახსოვს, ოდესაც ვილნოს ვიყავ სკოლაში,
ბეჯითი არ ვიყავი ვარსკვლავთმრიცხველობაში,
კარგად მახსოვს, შესწირა პუზინამ თვის სოფელი
ჩვენსა სკოლას და მასთან, ცის საჭვრეტი ყოველი
რომ ეყიდათ მნათობთა საცქერად დღე და ღამით,
ბრძანა, მიეცეს ცოდნა ჩვენსა შვილებსა ამით.
ხუცესი პოჩობუტი ამ საგანს ასწავლიდა,
სწავლით მეტად ქებული, სხვასაც როდი წაგვიდა!
კათედრა მიატოვა და საკანში დაბრუნდა,
მონასტერში ბერადა ღვთის სამსახური სწყურდა.
მოიცვალა საბრალო კაცი ღვთისა მოყვარე
მის შემდეგ სნიადეცკიმ ჩვენ გაგვინათლა მხარე;
ჭკვიანი და ნასწავლი — არა სასულიერო
პირი, იყო ცნობილი თუმცა კაცი საერო.
ვარსკვლავთმრიცხველობისა ცნობა მან გაავრცელა,
ვისაც გახსოვთ, მგონია დამეთანხმებით ყველა".

ეოისკმა პოდკომოჟსა მდაბლად დაუკრა თავი,
თქვა: „მინდა მოგახსენოთ ძველი რამე ამბავი:
მახსოვს, არც კი ვიყავი მაშინ ათისა წლისა,
არა გამეგებოდა, არც შუბის, არცა ხმლისა,
ჩვენსა ოდაში ვნახე კაცი მიცვალებული,
საპეჰა — მეომარი, კუბოს ჩასვენებული.
ოდესღაც იგი იყო სასახლისა მარშალი,
თავადმა თვის სამშობლოს გადაუხადა ვალი.
ლიტვის მთავრადა იყო კაცი ასათის წლისა,
მაღალ ღმერთმა ინებოს ცხონება მის სულისა.
ერთხელ წვეულების დროს, საპეჰამ ჩვენსა სახლში,
მოჰყვა, იგი ყოფილა იაბლონოვსკის რაზმში,
მაშინ, ოდესაც ჩვენმა დიდმა მეფემ იანმა
მესამედ წოდებულმა — სობესკიმ სხვათ არ მგვანემ,
ვენასთან მყოფთ ოსმალოთ ომი გამოუცხადა.

და სად ოსმალთა ჯარი სამარცხვინოდ დამარცხდა.
ოდეს მღვდელმა აკურთხა ჩვენი ჯარი ველზედა,
ავსტრიის ელჩმა მეფეს იქ აკოცა ფეხზედა.
ამ დროს თურმე სობესკის კომეტა დაენახა,
საპეჰას ეს ყოველი თვისი თვალით ენახა.
მეფეს უთქვამს რომ არის ძლიერ ცუდი ნიშანი,
მტრისათვისო. რის შემდეგ არ დაჰყო დიდი ხანი,
ოსმალებს თავს დაესხა, საშინლად დაამარცხა,
მაჰმადის მწვანე დროშა მიწაზე დაანარცხა.
დაიცვა ჩვენმა მეფემ ამით ქრისტიანობა,
თორემ იბატონებდა აქ მაჰმადიანობა.
მტრის წართმეულ დროშებზე კომეტა მოქარგული
ამ სიმართლეს ამტკიცებს რაც მე თვით მაქვს ნახული".

მსაჯულმა თქვა: „აგიხსნით, მომისმინეთ ეხლა მე
კომეტის მოსვლას ჩვენში; ჩანს, იან მესამე
მეფე მკვდრეთით აღზდგება, გაუძლეება ჩვენს ჯარს წინ.
ეს ნაპოლეონია, ღმერთმა გვაღირსოს – ამინ".

ვოისკმა თქვა: „არა მსურს თხრობა ამბის ჭორის,
ხოლო კომეტა არის ხშირად მომტანის ორის
რაღაც უბედურების, ჩხუბისა და ომისა,
და ამიტომ არ მომწონს დღეს მე სოპლიცოვისა
ამბები რაც რომ მოხდა გუშინ ნადირობაზე,
და შემდეგ, როს დავბრუნდით კოშკში და ვახშმობაზე.
დილიდან წაეჩხუბა რეენტი ასესორსა,
სიტყვა უთხრეს ერთმანეთს, ვერ იპოვით მის სწორსა.
შემდეგ ხომ თადეოზმა გრაფი გამოიწვია
ხმალში, რომ შეებრძოლონ, ან დამბაჩა და ტყვია
იმათა მოარიგებს; ეს არს უბედურება,
გუშინ, იქვე შემეძლო ამ საქმის მოგვარება,
მსაჯულმა ამის ნება არ მომცა – არ ინება;
მსურდა რეიტანისა ამბისა მოხსენება,
რომელიც ძველად მოხდა, თავადსა დენასისა
და ჩვენს ელჩს შორის, მოხუც რეიტანისა.
ცნობილია, – ყოველთვის დიდი უთანხმოება,
პაწაწინა მიზეზით, ყოველთვის დაიწყება
და ეს ძველი ამბავიც ხომ ამგვარად დაიწყო!
რომ მათ შორის სადაოც დიდი არარა იყო.
ვოლინიდან მოვიდა ერთი ვინმე სარდალი,
ცნობილი პიროვნება და წოდებით მაღალი,
შემდეგ რომელიც იყო დამფუძნებელ კრებაში,

გავლენიანი პირი, თავადთ და გლეხობაში.
გზაში, სტუმრად ეწვია ჩვენს ცნობილ რეიტანსა.
მის სახლში გავიზარდე, ვცხოვრობდი დიდსა ხანსა,
ნოვოგროდის ელჩადა შემდეგში არჩეული,
რეიტანი — ბოლო დროს ვარშაეას გაწვეული.
ცნობილი იყო იგი დიდი პურადობითა,
სიუხვით, მასპინძლობით და ხელგაშლილობითა;
გაეხარდა რეიტანს ამ სარდლისა სტუმრობა,
იმ წამსვე მოიწვია თავადაზნაურობა.
ოგინსკიმ გამოგზავნა გუნდი მომღერლებისა,
სოლტანმა დამკვრელების და მოცეკვავეებისა,
თეატრიც გაიმართა, (უყვარდა რეიტანსა)
დიდებულებიც იყვნენ, ვერ ჩამოვთვლი ყველასა.
ჩარტორისკებიც იყვნენ ამა წვეულებაზე,
ხოლო, მათ არ მოსწონდათ რბენა ნადირობაზე.
ერჩივნათ აშიკობა და დიაცთა გართობა.
თუმც იაგელონების არის შთამომავლობა,
რა თქმა უნდა, არ მოსდით ეს მათ ზარმაცობითა,
ყველას არ მოსწონს ტყეში სდიოს ნადირს თოფითა.
სარდალიც როდი ცქერდა ხშირად საძაღლეშია!
იგი მუდამ რაღაცას ეძებდა წიგნებშია
და მას ახლდა დენასი (ვიღაც დიდი პირია)
ლიბიაში ზანგებთან თურმე უნადირია.
დანით ვეფხვი მოუკლავს, ამით თავსა იქებდა,
ხოლო სხვის ვაჟკაცობას სახუმროდ იგდებდა.
ამ დროს, ღორებზე იყო ნადირობა ჩვენს ტყეში,
დენასიც იყო ვიცი — სხვათა შორის სტუმრებში.
რეიტანმა სტუმრები სანადიროდ იწვია,
და ყველას დაურიგეს კარგი თოფი და ტყვია.
ტყეში, რეიტანისკენ ოდეს გაქანდა ღორი,
რეიტანმა მიუშვა, ოდეს წყდა დარჩა ორი,
ესროლა და ნადირი მოკლა ერთი სროლითა,
აღტაცებულ ვიყავით მის გამბედაობითა.
თავადი დენასი კი მხოლოდ თავსა იქებდა,
და ვეფხვი როგორ მოკლა, იმას იხსენიებდა.
ვითომც ეს ნადირობა არარად მიაჩნია,
ხელახლად მოიგონა ზანგები და ლიბია.
გაჯავრდა რეიტანი დენასის სიტყვებითა,
უთხრა თავაზიანად და არა გინებითა:
„ვაჟკაცი ხარ? მობრძანდი — გამისწორდი ხმალშია.
უეცრად კი სარდალი ჩადგა მათ შუაშია;
ისინი შეარიგა, ხოლო ეს რა ზავია?

რეიტანს ჯავრი ჰქონდა დენასის ვით ზვავია,
დაიფიცა, რომ იგი თავის ჯავრს ამოიყრის;
იცოდა რეიტანმა შესრულება თვის სიტყვის.
სათანადო შემთხვევას ეძებდა რეიტანი,
რისთვისაც არ დასჭირდა ლოდინი დიდი ხანი,
მან, მალე გაუსწორა თავადს ანგარიშები,
როგორ იყო ეხლავე ყოველივეს მოვყვები".

აქ ვოისკმა შეწყვიტა თხრობა ამბავისა,
პოდკომოეს მან მოსთხოვა კოლოფი ბურნუთისა,
დიდხანს ყნოსდა უსიტყვოდ – მიეცა განცხრომასა,
უსმენენ, ხოლო იგი არ აგრძელებს თხრობასა.
ბოლოს, ოდეს დაიწყო ვოისკმა მოხსენება,
უცებ შეაწყვეტინეს, არ მისცეს ამის ნება.
შიკრიკმა მიირბინა საჩქაროდ მსაჯულთანა,
და ვიღაცას წერილი მოუგზავნია თანა.
როს მსაჯულმა უსურვა სტუმართ ღამე ნებისა,
გავიდა ნახოს გზირი მომტანი ამბებისა.
სტუმრები დაიშალნენ, წავიდნენ ოთახებში
დაიძინონ, ყმაწვილნი თივაზედა – საბძელში.
სძინავს ყველას. თადეოზს ძილი არ ეკარება,
ვით დარაჯი, მსაჯულის კართან დაიარება,
სურს მოელაპარაკოს, მოისმინოს რჩევანი –
სანამ ის დაიძინებს, როდი აქვს არჩევანი!
კარი დაკეტილია, და კაკუნს ვერ გაბედავს,
ლოდინი გაგრძელდება – ამას აშკარად ხედავს.

ტირილი შემოესმა, ყურის კი არა სჯერა,
ჭუჭრუტანასთან მისდგა, იწყო ოთახში ცქერა,
ხედავს სანახაობას იგი არა ჩვეულსა,
მოჩვენება არის თუ, ცქერის კაცთა სხეულსა?
დაჩოქვით იატაკზე ორნი გადახვევიან,
ბიძა და რობაკი – ორთავენი ტირიან,
თხუთმეტს ტიროდნენ წამსა, სდიოდათ ცრემლის ღვარია,
შემდეგ დაიწყო ბერმა თხრობა ამაგვარია:

„ვაღიარებ; აქამდე საიდუმლოდ დავიცავ,
ამაზე აღთქმა მივეც ღმერთსა, ქრისტესა ვფიცავ
ამით მსურდა ცოდვების ჩემთა მონანიება,
ამ ქვეყნად არა მსურდა ქონება ან დიდება.
მსურდა რომ მომკვდარიყავ, ვით ბერნარდინი ბერი,
ჩემსა ვინაობას ხომ არ იცნობს მონასტერი?

ჩემი გვარი და ტომი მე არ გამიმხელია,
არც შენთვის, არც შეილისთვის; იფიქრე რა ძნელია!
ეხლა მღვდელმთავრისაგან ნება მაქვს მოცემული,
„In articulo mortis" იყოს გამჟღავნებული
ჩემი ვინაობა და გიცხადებ ეხლა შენა,
იცოდე საიდუმლოდ და აიკარი ენა.
იქნებ არც კი მეღირსოს ცოცხალსა დაბრუნება,
დობჟინს მივალ, იქ რაღაც დიდი ამბავი ხდება;
ფრანგები შორს არიან, ვერ მოვლენ ეგრე მალე,
დობჟინში აჯანყება იქნებ დაიწყოს ხვალე.
იქნება მე ავჩქარდი და ეს ჩემი ბრალია,
ანდა, იქნებ გერვაზმა ყოველივე არია
ის გიჟი გრაფი თურმე დობჟინში გაქცეულა,
გერვაზი დილით ადრე დობჟინსკებთან მისულა,
იქ ყრილობა ყოფილა და ჰქონიათ დაობა,
მათემ მიცნო, გაიგო მან ჩემი ვინაობა,
თუ გერვაზიც შეიტყობს საიდუმლო ამბავსა,
თავი უნდა შევსწირო იმის წყეულ დანასა.
მას ვერვინ შეაჩერებს, ხოლო გეტყვი ამასა,
თუ მომკლავს, გაიგებენ ჩვენსა შეთქმულებასა.

დღეს მე უნდა იქ ვიყო და გავიგო რა ხდება
თუნდაც მომკლან. უჩემოდ იქ ხალხი გაოხრდება.
ძმაო! მივალ, მეჩქარის იმათ დასაწყნარებლად.
თუ მომკლან, შენ იცოდე ჩემს სულის საცხონებლად,
არ დაზოგო იცოდე არარა ამ სოფლისა,
შენ საქმე გააგრძელე, გახსოვდეს, ხარ სოპლიცა!
ჯერ ცრემლი მოიწმინდა კალთით ანაფორისა,
და დარაბა გააღო ბაღისკენ ფანჯარისა,
ჩანდა რომ ის გადახტა ბნელს ღამისა უფსკრულში,
აქვითინდა მსაჯული მწარე გრძნობითა გულში".

თადეოზმა ბიძას კარზე დაუკაკუნა,
მოწიწებით შევიდა და სალამი მიუძღვნა,
მოახსენა: „ბიძავ! მე მოვედი სტუმრადა,
რამდენიმე დღე აქ ვარ, ჩემთვის იყო წუთადა,
არ მეყო თქვენი ცქერა, თქვენთან მხიარულება,
მაგრამ, მივემგზავრები რადგანაც მეჩქარება.
მინდა გამოგეთხოვოთ და წავიდე მე მალე,
თუ დღეს არა, უთუოდ გავემგზავრები ხვალე.
გუშინ გამოვიწვიე მე ჰორეშკო ხმალშია,
კანონით, არ იქნება ეს მოხდეს ლიტვაშია,

ვარშავის სამთავროში მიტომ მივემგზავრები,
ის ნამდვილად იქ მოვა და მას გავუსწორდები.
ბრიყვია, ხოლო ვერას ვიტყვი მის მხდალობაზე,
და ვარ დარწმუნებული, მოვა ის პაემანზე.
თუ მას დავსჯი, მე შემდეგ გადავცურავ ლოსოსნას,
და იქ შევუერთდები ლეგიონებს — ჩვენსა ჯარს.
გამიგია, ეს მამამ ანდერძში დამავალა.
ხოლო მამის ანდერძი იქნებ ვინმემ შეცვალა?".

ბიძამ უთხრა: „თადეოზ! ვხედავ ხარ ნაბანავი
ცხელსა წყალში, და მიტომ გთხოვ დაანებო თავი
ასეთ ქცევას, რადგანაც ეს ქცევაა მელისა,
თუკი გამოვიწვიეთ, შებრძოლებაც გვშვენისა,
ბრძოლის წინ კი წესია გავგზავნოთ მოციქული,
იქნებ მან აღიაროს თვისი დანაშაული.
დავიცადოთ, იქნება მოიხადოს ბოდიში,
მაგრამ მე სხვა ფიქრი მაქვს და იმისი მაქვს შიში.
მგონი სხვა მიზეზია შენი გამგზავრებისა,
არა გსურს გამჟღავნება შენი გულისთქმებისა,
თუმც ბიძა ვარ, ვიყავი მუდმივ შენთვის მამადა,
დღეს მოხუცი, ოდესაც მეც ვიყავ ახალგაზრდა.
ვიცი ყმაწვილთ გულისთქმა, რადგან მეც განმიცდია,
და თუ ქალებთან რამ გაქვს, მითხარ, ნუ გაქვს რიდია.
ერთხელ ყურიც მოვკარი მე შენს ყოფაქცევასა —
და ამიტომ აპირებ აქედან გაქცევასა?".

„კარგად ვიცი, სიყვარულს კაცი ვერ გადურჩები,
გუშინ მე დაგინახე, ჩაიკვნიტე ტუჩები,
ოდესაც შესცქეროდი შორიდან ერთს ასულსა,
ისიც დაღრეჯით იდგა, ჰგავდა ძმარ დალეულსა.
კარგად ვიცი რა არის ბავშვების სიყვარული,
ხან ტირიან და ხშირად არიან გაბუტულნი,
ხან სრულად უმიზეზოდაც წაიკიდებიან,
ხან ტყისაკენ გარბიან და იქ იმალებიან.
ხოლო, თუ რომ თქვენ შორის არის განხეთქილება,
დარდი ნუ გაქვს, დაიცა, ეს საქმე მოგვარდება.
ნუ ჩქარობ, მოითმინე და კარგად დაუკვირდი,
რას შვები? ან რა გინდა? მითხარ რატომ ახირდი?
ეით მშობელი ვკისრულობ მე თქვენსა მორიგებას,
შენ კარგად დაუკვირდი ამ ჩემსა დარიგებას,
მითხარი გულახდილად, იქნებ გირჩიო რამე,
ხვაშიადს გამიმჟღავნებ — გაიჩარხება საქმე".

„ბიძავ! თქვა თადეოზმა, (იყო კი დარცხვენითა,
მსაჯულს აკოცა ხელზე დიდი მოწიწებითა)
სოფიო შემიყვარდა, ვაღიარებ მართალსა,
და მხოლოდ რამდენჯერმე შევხვდი თქვენს სახლში ქალსა,
მომესმა, რომ საცოლე ჩემთვის გყავთ არჩეული,
მდიდარი, აზნიანი, პოდკომოქის ასული.
ეხლა არ შემიძლია ვინმე შევირთო ცოლად,
გულს ვერ დავიმორჩილებ და ვერ გავიხდი მონად.
შემიყვარდა სოფიო და ეს ხომ არ იქნება
სხვა რომ ცოლად შევირთო? ეს არის მოტყუება.
დიდი ხნით წავალ რადგან, დრო კარგი წამალია,
ჩემთვის საუკეთესო იქნება მკურნალია".

ბიძამ უთხრა: „თადეოზ! მაკვირვებს შენი ქცევა,
აბა ვის გაუგია საყვარლისაგან გაქცევა?
კარგია რომ მითხარი გულახდილად მართალი,
რას იტყვი, რომ მე გავხდე თქვენ შორის მაჭანკალი?
აბა! თქვი, ჰა? რას იტყვი? არ ხტუნავ სიხარულით?
დაფიქრდი, მიპასუხე, არ სიტყვით მოჩმახულით".

დიდი სასურველია ბიძავ თქვენი ნება,
ხოლო ტელიმენასგან თავისა დანებება
ჩემი, სოფიოსათვის აროდეს არ მოხდება
და თქვენი მაჭანკლობით არაფერი იქნება.
მოვთხოვოთ. თქვა მსაჯულმა, იგი არ დათანხმდება,
თადეოზმა თქვა: — „ჩემი დარჩენა არ მოხდება.
გთხოვ რომ გზა დამილოცო, გადამსახო პირჯვარი,
მე წავალ იქ საომრად, საცაა ჩვენი ჯარი".

მსაჯული ულვაშს გრეხდა, ბრაზით შეხუთულია,
თადეოზს უთხრა: „ვაქო! ძლიერ უხერხულია,
ამოდენი სიცრუე და შენი ეშმაკობა,
ჯერ შენ გქონდა მიზეზი გრაფთან ფარიკაობა,
ეხლა კი გამონახე — სოფიოს სიყვარული,
სადღაც გაქცევაც გინდა, ბარგიცა გაქვს აკრული;
მომესმა, რაღაც ცუდი შენ აქ ჩაგიდენია,
კმარა შენი სიცრუე ჩემდამი ამდენია.
სად იყავი გუშინწინ საღამოს რომ გავარდი?
ყოველი შემიტყვია, ნუ გაქვს ამისი დარდი.
ტყეში ხის ძირს რა გსურდა, აბა იქ რა დაკარგე?
სოფიო შეაცდინე და მიტომ აიბარგე?
არა, ეს არ გაგივა და ნუ გგონია მუქარა,

შენ სოფიოს შეირთავ, გიყვარს იგი თუ არა.
ხვალვე საყდარში წავალთ და იქნება ქორწილი,
თავს შენ ნუ იკატუნებ, ვითომ გული გაქვს ჩვილი?
შენ წადი! დაიძინე საცა ყმაწვილებია,
შენ მე ძილიც დამიფრთხე, შავი მაქვს ფიქრებია.
უშენოდაც ბევრი მაქვს სხვა რამ საფიქრებელი,
აქ მოისმო პროტაზი რომ გახადოს საცმელი".

გულმკვდარი თადეოზი ასეთი დატუქსვითა,
ძლიერ უკმაყოფილო იყო თავის თავითა.
პირველად იყო იგი ამგვარად დატუქსული,
სირცხვილითაც ლოყები ჰქონდა დაწითლებული.
მას არ სურს ეს შემთხვევა რომ სოფიომ გაიგოს,
და ეჭვობს, ტელიმენამ მასზე ხელი აიღოს.
უცვლელი არის ეხლა მისი დადგენილება,
სოპლიცოეში ერთი დღეც მეტი ველარ დარჩება.

თადეოზი წავიდა, სული კი ეხუთება,
უცქერს, მისკენ რომ მოდის რაღაცა მოჩვენება.
თეთრად არის ჩაცმული, მაღალი და წერილია,
გაუწვდია ხელები, თუმც დიდი მანძილია.
ოდეს მიუახლოვდა, ერთ სიტყვას მოჰკრა ყური,
მოჩვენებამ კვნესითა წარმოთქვა: „უმადური.
ჩემს შეხვედრას ნატრობდი, ეხლა კი მემალები,
წინათ შენ ცქერა გსურდა, დღეს დახუჭე თვალები,
ვითომდა ჩემსა სიტყვებს, შენთვის აქვს საწამლავი,
აღარ გსურს ჩემი სმენა და ყურები დახშავი!
არა მსურდა მე შენი არც ტანჯვა, არც წვალება,
განცხრომას განიცდიდი, ეს ჩემთვის იყო შვება,
ადვილად მომიპოვე, ამიტომ გეძაგები,
ამის გარდა, იცი რომ ვნებისგან ვიდაგები.
ყოველივე ახია რაც მე ბედმა მარგუნა,
კაცი ხარ, ხოლო ვნებამ, ეს შეგნება დათრგუნა.
შემძულდა ჩემი თავი მეტად, ვით შენ შეგძულდი,
ახია ჩემზედ ისიც, გრძნობითაც რომ დაეჩლუნგდი.

ვაჟმა თქვა: „ტელიმენა! ჩემს ღმერთსა გეფიცები,
მე, შენ სიძულვილითა რომ არა გერიდები,
დახე როგორ გვზვერავენ და დაგვდევენ კვალშია,
გვიცქერენ, რას იტყვიან, ან რა ვართ მათ თვალშია?
ცუდია ჩვენი ქცევა და ღვთისადმი ცოდვაა,
ცოდვაო?! შეეკითხა, შენი სიტყვა ბოდვაა.

დახეთ ერთი ამასა, უმანკოა ვით კრაეი,
მე ქალი ვარ, ხალხის ხმას არ დავარიდე თავი.
დეე მლანძღონ, სიტყვები არაფრად მიმაჩნია,
ვარ დიაცი, შენთვის კი ღმერთს კაცობა უძღვნია.
აბა მითხარ რა გიშავს კიდეც რომ აღიარო,
ათი გყავს საყვარელი და თამამად იარო?
მამაკაცის რომანი როდია შესარცხვენი!
ვაჟმა უთხრა: აქ დავრჩე ვით საყვარელი შენი,
მაშინ, ოდეს ჭირშია ერი, სამშობლო ჩვენი,
მე აქ დავრჩე, ვილხინო, გავერთო სიყვარულით,
სინდისს სად დავემალო? აგრე დავეცე სულით?
თვით ხედავ რომ მიდიან ჩვენები საბრძოლველად,
სამშობლოსთვის სიკვდილი, ყველას მიაჩნია ლხენად
ტოვებენ ცოლ-შვილს, მშობლებს და საყვარელ კერასა,
დიდია თუ პატარა არ გმობს ბედისწერასა.
მამას ანდერძში უთქვამს, მე ვიმსახურო ჯარში,
ბიძამ გამიმეორა, მეც ყაბული ვარ მასში.
დავადგინე წავიდე, სამშობლოსთვის ვიბრძოლო
და ჩემს გეგმას არ შევცვლი, თუ გინდ მომეღოს ბოლო.
ქალმა უთხრა: „არა მსურს მე ვიყო დაბრკოლება
შენთვის და შენს წინსვლაში, შენ მოგელის დიდება.
შენ სახელს მოიხვეჭავ, იპოვი საყვარელსა,
ჩემზე მდიდარს, უმანკოს, მეტადრე შესაფერსა,
ხოლო სანამ დამტოვებ და სანამ ეს მოხდება,
თქვი, რომ ეს სიყვარული არ იყო მხოლოდ ვნება.
თქვი, რომ იყო უმანკო ეს სიყვარული ტკბილი,
დეე შენგან გავიგონო, რომ არა ვარ გარყვნილი.
მითხარი რომ გიყეარვარ, მითხარი გევედრები,
სამუდამოდ მახსოვდეს — გადმოეარდა ცრემლები".

თადეოზს შეებრალა მტირალი ტელიმენა,
ბევრს არა სთხოვს, სურს მხოლოდ ერთი სიტყვის მოსმენა,
თადეოზი აჩვილდა, დაეკითხა თვის გულსა,
როგორი აქვს მას გრძნობა, იქნებ გრძნობს სიყვარულსა?
გადაჭრით თქმა არა სურს — უყვარს თუ ეძაგება,
მაგრამ რადგანაც ქალი ამგვარად ეტანება,
უთხრა: „მეხი დამეცეს თუ არ გითხრა მართალი,
შენ ხარ ის პირველი ვინ შემიყვარდა ქალი
და ის პატარა ხანი მე რომ შენთან დავყავი,
დიდხანს იქნება ჩემთვის — ტკბილი, დაუვიწყარი.
— მოველოდი მე შენგან თადეოზ ამ სიტყვებსა,
შესძახა ტელიმენამ, და ყურს არ უგდებს სხვებსა,

ვის რა უნდა იგი თქვას და მოხვია ხელები,
გულს ჩაეკრა და ეხლა როდი სდიან ცრემლები.
მსურდა ჩემი ხელითა ჩემთვის მომელო ბოლო,
მაგრამ მე გამამხნევა შენმა სიტყვებმა, ხოლო,
თუ გიყვარვარ რად ლამობ ჩემსა დატოვებასა?
შენ მოგცემ გულს, სიყვარულს და მთელს ჩემს ქონებასა.
საცა გსურს წამოგყვები თუნდა უდაბნოშია,
სამოთხის ბაღსა შევქმნით ვნებით განცხრომაშია.

ტელიმენას დაუსხლტა თადეოში ხელიდან,
შესძახა: „ეხლა ეხედავ, გადადი გონებიდან,
სად და რისთვის მიდიხარ? აბა დაფიქრდი ქალო,
მე საომრად მივდივარ, შენ გსურს იხეტიალო?
ქალი ჯარს აეკიდოს აბა როგორ იქნება?
თადეოშ! უთხრა ქალმა ჯერა ექნათ ქორწილება.
ტელიმენა! თადეოშმა უთხრა, გთხოვ რომ გახსოვდეს,
ასეთ დროში ქორწილი არ მოხდება აროდეს,
ეხლა ცოლი შევირთო და ავიკიდო დარდი?
დაუფიქრდი რას ამბობ, გევედრები დაწყნარდი.
მე შენი მადლიერი სამუდამოდ დავრჩები;
მშვიდობით ტელიმენა! ხვალ მე მივემგზავრები".

თადეოშმა – რაც ჰქონდა სათქმელი დაამთავრა,
და ამით ტელიმენა უსაზღვროდ გააჯავრა.
წასვლა სურდა ვაჟს ხოლო ნაბიჯიც ვერ გადადგა,
ტელიმენა ქუშად და ჯადოსნურადა ცქერდა.
ვაჟს რაღაც აუხსნელი შიში აღეძრა გულში,
მოაგონდა ცოდვები ჩადენილი წარსულში.
ტელიმენა ურყევლად დგას და თვალს არ აშორებს,
თვალს თვალი გაუყარა, იფიქრებ აჯადოებს.
თქვა: „მსურდა გამეგონა შენის გველის ენიდან,
შენდამი სიყვარულით გადაველ გონებიდან,
უარი ვუთხარ ასესორს, რეენტსა და გრაფსაცა,
ვაჟი ხარ, არაფრად თვლი საყვარლის გასელასაცა,
ყველა კაცი ასეა, – უგულო – ცვალებადი,
მაგრამ მე არ მეგონა სიცრუეს გაბედავდი.
მომესმა ლაპარაკი შენი და მსაჯულისა,
და შენი სიყვარული პორეშკოთ ასულისა
პატარა სოფიოსი. შენ გსურს მისი შეცდენა,
გეყოფა შენ ფარფაში ქალებში ამოდენა.
კმარა მე მომატყუე და დამტოვე ობლადა,
ჩემი თვალის წინ დაეძებ სხვა საყვარელს მსხვერპლადა?

წადი, გადაიკარგე, გიწყეველი გზას და კვალსა,
თუ დარჩები გაეაცნობ შენს ნამოქმედარს ხალხსა.
ჩემს თვალში მთლად დაეცი, არ მიღირხარ არადა,
მომშორდი, გადიხვეწე, ხარ ცრუ და არამზადა".

ყმაწვილმა მოისმინა სიტყვები რომელიცა,
ჯერ არავის სმენია ვინც რომ არის სოპლიცა.
აიბუძგა ვით კატა ძაღლისგან დამფრთხალია,
და ძლივს წაიბურტყუნა: გაგიჟდა ეს ქალია

წავიდა, ხოლო სიტყვა არამზადა მოესმის,
გრძნობს რომ დაიმსახურა და გულს ეკალი ესმის.
წარსულის მოგონებით, ამართლებს ტელიმენას,
თავს თვლის დანაშაულად და გრძნობს სინდისის ქენჯნას.
ტელიმენა შესძაგდა როს ლანძღვა მოაგონდა,
სოფიოს ვერ ივიწყებს რომელს გული დამონდა,
ხოლო ძლიერ რცხვენია სოფიოს მოგონება,
ბიძას სურდა თურმე მათი დაქორწინება,
მაგრამ, იმის შემდეგ რაც ეშმაკმა შეაცდინა,
და ჩადენილ ცოდვებმაც გუნება წაუხდინა,
თადეოში ყველასგან არის მიტოვებული,
და გრძნობს, ძლიერ დიდია მისი დანაშაული,
ზღვის ღელვის დროს ღუზაა დასვენების სიმბოლო,
და ეს ღუზა გრაფია, სურს მას მოუღოს ბოლო;
თადეოში ფიქრობს რომ გრაფს შეებმის ხმალშია,
იქნებ ის გრაფმა მოკლას? საქმე ბედ-იღბალშია.
ამ ფიქრებს რომ მიეცა დამშვიდდა ცოტა ხნითა
და გრაფიც დაივიწყა მეტად გაჯავრებითა.
ეხლა დაწყნარებულმა გულში იწყო მსჯელობა,
გრაფთან ფარიკაობის იგრძნო უხერხულობა.
იქნებ სოფიომ გრაფი აირჩია საქმროდ?
და თუ მასაც სოფიო უყვარს არ სახუმაროდ?
უყვართ ერთმანეთი და მოისურვეს ცოლქმრობა!
თადეოზს რა უფლებით სურს იმისი მკვლელობა?
თვითონ უბედურია, სხვაც გააუბედუროს?
არა! ამას ვერ იზამს — ვერ ჩაიდენს ვერასდროს.

ხედავს გამოსავალი რომ მისთვის არსით არი,
სად გაიქცეს არ იცის, დარჩა მხოლოდ სამარი.

დარწმუნდა თადეოზი, არ აქვს გამოსავალი,
მყრალ ტბისაკენ არ ჰქონდა მას გრძელი გზა სავალი

გაეშურა სად უცქერს ტბისა უჭეველო წყალსა,
გრემა პირს გადაჰკრია მიწის სუნითა მთერალსა.
უნდა ტბაში ჩაიხრჩოს, სიცოცხლე არ სწყურია,
ალარავის ემდურის, არც გრაფის აქვს შურია.
სირცხვილი და გალანძღვა ერთბაშად დამთავრდება,
თავს დაიხრჩობს, თადეოზს აქვს გადაწყვეტილება.

თადეოზის განზრახვას წამს მიხვდა ტელიმენა,
და ტბისაკენ მიმავალს ყმაწვილსა დაედევნა.
მართალია რომ ქალი ძლიერ გულმოსულია,
ხოლო კეთილი არის და ჩვილიც აქვს გულია.
ნაწყენია იმით რომ სოფიო შეუყვარდა,
ხოლო ვაჟის დაღუპვა ტელიმენას არ სურდა.
მისდევს და თან ეძახის: ვინ გინდა შეიყვარე,
რაც გსურს ჰქენ, ხოლო მე გთხოვ აიცილე სამარე.
თადეოზს არც კი ესმის, გაუსწრო დიდ მანძილზე,
ველი გადაირბინა და დადგა ტბის ნაპირზე.

შემთხვევა ხშირად არის ჩვენთვის გასაკვირეელი,
ხშირად სასაცილოა და ხშირად სატირალი,
და ასეთი შემთხვევით სად თადეოზი რბოდა,
იმავე ტბის ნაპირზე ცხენოსანი გამოჩნდა.
რაინდი იგი იყო — გრაფი თვისა ამალით,
თურმე გატაცებული ამ მშვენიერი ღამით,
ტბისაკენ გაეშურა და ისმენდა ყაყანსა,
(სხვა ბაყაყი ვერ სჯობნის პოლონეთის ბაყაყსა)
ცქერდა ცას და მიდამოს, ღამის წყნარ მშვენებასა,
ცდილობდა დასახატად მის დამახსოვრებასა.

მართალი ვთქვათ, ბუნება იყო კი თვალწარმტაცი
და დღე იყო თუ ღამე, თვალს ვერ იტკბობდა კაცი.
როგორც შეყვარებულნი, ტბები ისე არიან,
შესცქერიან ერთმანეთს, იფიქრებ — შეჰხარიან,
ვით ქალი და ყმაწვილი ძლიერ შეყვარებული,
ერთი ტბა არის სუფთა — ვერცხლის ნოხად გებული.
ირგვლივ, ნაპირზე სილა ქერა ნაწნავებითა,
გვირგვინად შემოკრული მის დასამშვენებლათა.
მეორე ტბა შავია როგორც პირი ვაჟისა,
ნაპირი გვიმრიანი — გრეხილი ულვაშისა.

ტბებიდან მომდინარე ორია ნაკადული,
ორთავე ბაღრის შუქზე დუდუნშია გართული.

ჯერ მიდიან ცალ-ცალკე დარცხვენით და რიდითა,
შემდეგ პირი იბრუნა ერთმა ველის კიდითა,
გზა გადუჭრა მინდორზე ნაკადულს ნაკადულმა,
და ხელი ხელს ჩაჰკიდა როგორც შეყვარებულმა.
ვითომ ტბისა მკლავები გაწვდილია ველზედა,
შემდეგ ერთად ჩქეფენ და მღერიან სიყვარულზედა.
ტყისკენ ერთ ღელეთ მიდის, მორცხვობს და იმალება,
დუდუნი ისმის, ხოლო კაცის თვალს ეკარგება.

თუ კარგად დააკვირდი და მჭვრეტი გაქვს თვალია,
დაინახავ, სათიბზე რომ პრიალა წყალია,
რცხვენის და იმალება ვით ნაზი პატარძალი,
(პირველი სიყვარული არის ხოლმე ნამალი)
როგორც ვნებით დამთვრალი — ეს ორი ნაკადული,
ერთად იმალებიან სიყვარულში გართული.
ჩანს, ეხლა მიიჩქარის შეუერთდეს მდინარეს,
საიდუმლოს აბარებს მოწამეს მუნჯსა მთვარეს.
ოდეს მდინარის წყალსა იგი შეუერთდება,
სიყვარულის ჩურჩული ციეს ზეირთებში ჩაქრება.
ოდეს უცქერ ბუნებას, ტბებსა და ნაკადულსა,
მოგაგონებს ქალ-ვაჟის დაფარულ სიყვარულსა.

ტბათა შუა ფარულად დგას პატარა წისქვილი,
ვითომდა დარაჯია, არ აქვს დღე და ღამ ძილი.
ხავსითა დაფარული — უთვალთვალებს საყვარლებს,
ვით მოხუცი მშობელი კოცნის ნებას არ აძლევს.
ადგომის ძალა არ აქვს, სწყევლის დროსა ტიალსა
დაქანცული — ძალს ატანს ბორბლებისა ტრიალსა.
მის შხუილში არ ისმის სიყვარულის ჩურჩული,
და მან გამოარკვია გრაფი ტბასთან მოსული.
უცქერს — თადეოზია ტბის ნაპირზედა მდგარი,
გრაფს უცქერს თადეოზი — უშიშარი — მედგარი.
ჰორეშკომ თვის ამალას შესძახა: ჰკა მაგასა;
დაიჭირეთ, შეჰკარით, დავანახებ მაგ ვაჟსა,
თუ რა დღე დავაყენო, ვით მე ძველად მჩვევია
და თადეოზი შეჰკრეს სანამ გამოერკვია.
სოპლიცოეში მოვიდა გრაფი მთელი ამალით,
ეზოში შემოვიდა ამოღებული ხმლით.
ატყდა ალიაქოთი და აყეფდნენ ძაღლები,
ყველა ფიქრობს, სოპლიცას დაესხნენ ყაჩაღები.
ჩაუცმელი მსაჯული ეზოში გამოვარდა,
ხოლო როს გრაფი იცნო, ცოტაოდენ დაწყნარდა.

რა მოხდაო? შესძახა გრაფსა და მის ამალსა;
გრაფი მსაჯულის ცხვირთან ატრიალებდა ხმალსა.
ხოლო რა დაინახა — მსაჯულია უხმლოდა,
გრაფს შერცხვა, დაიხია თაკილით და უსმოდა.
შემდეგ, მსაჯულს მოესმა ხმა გრაფის მუქარისა,
იძახდა: „სოპლიცებო! მტრები ხართ ჩემს გვარისა.
გამისწორდი მსაჯულო! არ გაქვს გამოსავალი,
უნდა გადაიხადო ჰორეშკოთადმი ვალი.
მსაჯულმა გაკვირვებით გადისახა პირჯვარი,
უთხრა: ნუთუ ეს ქცევა შესაფერისი არი
შენი და შენი გვარის — ქურდულად თავდაცემა?
ამის ნებას არ მოგცემ იცოდე — ჩემმა მზემა.
მსაჯულისა მსახურნი გამოსცვივდნენ კეტებით,
გატენილი თოფებით და პირფარეში ხმლებით.
ვოისკი შორით იდგა — განუწყვეტლივ გრაფს ცქერდა,
სახელოში დამალულს დიდ დანას ხელს უჭერდა”.

საბრძოლოდ მზად არიან, ხოლო აქ კი სოპლიცა,
მსახურთ წინ გადაუდგა, ბრძოლის ნება არ მისცა,
რადგან უხერხულია და მასთან გვიან არი,
მტერი მოიგერიონ. აქ გრაფს ჰყოლია ჯარი
ხიდთან ჩასაფრებული, სით მოისმის ყიჟინი,
ცხენოსნებიც არიან, რას გვიჩვენებს ჭიხვინი.
დიდი ქრიამულია; ერთხელ თოფიც გავარდა,
ჯერვაზის ხმაც კი ისმის, საბრძოლველად აჩქარდა.
იძახის: ჰკარ სოპლიცას. იცნო ეს ხმა მსაჯულმა,
იმის ხმამ შეაკრჟოლა, ცემა დაუწყო გულმა,
გრაფმა მსაჯულს შესძახა: „დამნებდი შენის ნებით,
გირჩევ, ესა სჯობია, ვინემ ბრძოლის წაგებით”.

ასესორი მივარდა გრაფსა აღელვებითა.
შესძახა: „გატუსალებ მეფის კანონებითა,
დაყარე იარაღი, თორემ მოვიხმობ ჯარსა,
შემდეგ რაც რომ მოგივა, შენს დააბრალე თავსა”.
პტყლიურად გრაფმა ხმალი ასესორს აჰკრა ყბაში
საბრალო ასესორი გადაბრუნდა კანაფში.
ვინც ასესორს უცქერდა, — ფიქრობდა — მოკლულია,
ანდა მოურჩენელი აქვს საბრალოს წყლულია.

მსაჯულმა დაიძახა: „არ ესროლოთ თოფიო
ყველაზე მეტად კივის საცოდავი სოფიო,
ასეთ აურზაურით ისე ძლიერ შეშინდა,
რომ მივარდა მსაჯულს და კისერზე დაეკიდა”.

ცხენოსნებში შეიჭრა მტირალი ტელიმენა,
დარბის და დატრიალებს, უნდა გრაფის მოძებნა.
რას ჩადიხარ? შესძახა საყვედურით — ჩივილით,
ულმობელო! ჯერა გთხოვ ქალები ამოჟლიტოთ,
და თუ არა, ეხლავე თავდასხმა რომ შეწყვიტოთ.
მგონი ქალისა თხოვნას უარს ვერ გაუბედავ,
თქვენს სამარცხვინო ქცევას ნუთუ გრაფო ვერ ხედავ?
ეს უთხრა ტელიმენამ და წაუვიდა გული,
იქვე სოფიოც იდგა შიშით ატირებული.
ტელიმენას მივარდა გრაფი მისაშველადა,
უთხრა: „სიტყვა რადა თქვი ჩემსა შესარცხვენადა?
ჩემი ხმალი აროდეს სისხლში არ გაისვრება.
თუ რომ მოწინააღმდეგე, წინ ხმლით არ დამიდგება.
ყველას ჩემს ტყვედ ვაცხადებ სოპლიცოვის მცხოვრებსა,
მსაჯულს, მსახურთ, პირფარეშს და აქა მყოფ ქალებსა.
სიცილიის კუნძულზე მე ჩავები ბრძოლაში,
ხმლით ხელში შევიჭერი იქ ბირბანტე როკკაში,
მებრძოლნი ამოვჟლიტეთ, ხოლო ვინც იყო უხმლოდ,
შევკარით, ტყვედ წავასხით სასჯელად, არ სახუმროდ.
გრაფსა, და მის ამალას ჰყავდათ კარგი ცხენები
ვინემ სხვა აზნაურებს; მიტომაც თავდამსხმელები
სოპლიცოვს მიმავალნი, ორ ნაწილად გაიყო,
რაც მსაჯულის ბედი და დიდი ილბალი იყო.
გრაფმა ყველას გაუსწრო თავისი მხლებლებითა,
და სოპლიცოვს შეიჭრა მხედრულ წყობილებითა.
ჩამორჩენილი ჯგუფი ვით ბრბო მიდის ყიჟინით,
სურთ სოპლიცა დაახრჩონ მისდამი დიდი ქინით".

გრაფს საკმაო დრო ჰქონდა რომ ბრაზსა გაეარა,
ეხლა ფიქრობდა მასზე, სისხლი არ დაეღვარა.
მას სურდა, სოპლიცოვი რომ დაეტყვევებინა,
ერთი მხლებელთაგანი კარს დაეყენებინა.

ეზოში შემოიჭრა მებრძოლთ მეორე ჯგუფი,
დაიფარა მიდამო, ვითომ დაფარეს ხუფი,
ბრძოლა სწყურიათ და არა ერთს სურს იყოს ბრძოლის გმირი,
მიატოვეს მინდორზე ცხენი და უნაგირი.
ოდაში არ შეუშვეს მტერს ეძებენ ბაღებში,
ზოგი უკვე შეიჭრა აქა-იქ შენობებში.
უცქერენ ერთ შენობას, მოუღელილი აქვს კარი,
შეცვივდნენ, დაინახეს — სამზარეულო არი.
ჯერ ცეცხლიც არ ჩამქრალა, ჩანს ეხლა უვახშმიათ,

საჭმელის სუნი ეცათ, მოაგონდათ რომ შიათ,
ხოლო სად დაიკარგა ლაქია ან ხაბაზი?
ნარჩენს კუთხეში ჭამენ ფინიასთან ნაგაზი.
ეხლა მათ მოაგონდათ გემრიელი საჭმელი,
ზოგია ღორმუცელა, ზოგიც მწდე — კარგი მსმელი.
ზოგი დარბის, დაეძებს სად ხორცი ან პურია,
და ზოგიც გაიძახის: „ღვინო გვინდა, — გვწყურია.
ეს ძახილი გაისმის ირგვლივ სოპლიცოვშია,
თუმც მებრძოლთა ყაყანი სამზარეულოშია".

გრაფმა მსაჯულის კართან დარაჯი დააყენა,
გერვაზი ვერ შევიდა, რადგან გრაფისა წყენა
ვერ გაბედა. დარაჯმა მას გზა გადაულობა,
ძალით რომ შესულიყო იქნებოდა ურჩობა.
ამიტომ გამობრუნდა, შეადგინა გეგმები,
ცოტა მოუსმენია და იცის კანონები.
კანონიერად უნდა გრაფი გამოაცხადოს,
როგორც კოშკის მემკვიდრე და ამგვარად გააცნოს
აქ მყოფთ, რომ გრაფი არის მამულისა მფლობელი —
კოშკის ახლო მდებარის და ამოდენა წელი,
დავა რომელიც იყო, მუდმივად დამთავრდება
და გერვაზის ოცნება ამითი შესრულდება.
ამისთვის უნდა ნახოს ჯერ მან გზირი პროტაზი,
დარბის გაფაციცებით ხმლით ხელში გერვაზი,
და იმის მოძებნაში დიდი დროც არ გასულა,
დაინახა პროტაზი — ბუხართან ატუზულა.
გერვაზი მას მივარდა, სტაცა კისერში ხელი,
ეზოში გაათრია, როგორც დაჭრილი მგელი,
შემდეგ უთხრა: „ჰეი გზირო! გრაფი გემუდარება,
რომ ინებო მემკვიდრედ მისი გამოცხადება,
„cumus gais, boris et graniciebus,
Kmetonibus, scultetis et omnibus rebus, mnibus rebus.
Et quibusdam alijis".
და ბოლოს ხომ თვით იცი? ეს მე როდი მეხება.
თუ არ კანონიერად, შავი დღე დაგადგება".
პროტაზმა უთხრა: „მზად ვარ ავასრულო ბრძანება,
ხოლო განაჩენისა ღამით გამოცხადება,
კანონით ეს არ არის არასდროს მისაღები,
ამის გარდა, შენ კიდევ ხმალითა მემუქრები.
გერვაზმა თქვა: „ჰე გზირო! აბა ვინ გემუქრება?
ბნელია და იქნება ამით თავბრუ გესხმება?
თუ გსურს, ეხლავ სინათლეს დაგიკვესავ ხმალითა

და უკეთ გაგინათებ, ვინემ სანთლის ალითა".
გზირმა უთხრა: „გერვაზ! აბა რად მემუქრები?
იცი ჩემი საქმეა მიღებული ოქმები
მსაჯულისგან ვატარო, პირთა გასაცნობადა,
გზირი ვარ, არ ვყოფილვარ არასდროს მსაჯულადა.
გზირს აროდეს არ სჯიან, ნუ დარჩები ნაწყენი,
რადგან გზირს არ ეხება ოქმი და განაჩენი,
ხოლო რადგან მოითხოვ, ნება მომეც დავესწრო
და შემდეგ წავიკითხავ, მაშ მოისმინეთ ერო!".

შედგა შეშის ხორაზე ყველას დასანახადა,
(ღობის ძირში ხმებოდა ზამთრისა მარაგადა)
თვალიც ვერავინ მოჰკრა, პროტაზი იმავ წამში,
ღობეზე გადახტა და დაიმალა კანაფში.
ერთმა თოფი ესროლა, ერთიც კი დაედევნა,
ძნელია სიბნელეში კანაფში კაცის ძებნა.
გაიქცა და მოშორდა სწრაფად ამა არესა,
გავიდა სამშვიდობოს და გადურჩა საფრთხესა.

შორს ტყეში გადიკარგა ხმა გასროლილ თოფისა,
ვითომ ნიშანი იყო დამთავრების ბრძოლისა.
არვინ წინააღმდეგობას არ უწევს სოპლიცოვში
თავდამსხმელებს რომელნიც გაიფანტნენ ეზოში.
მოეფინენ მიდამოს ვითა ყანას კალია,
დალეწეს შენობები, ბეღელი და ნალია.
შეესივნენ ბოსელსა, საქათმესა და ფარეხს,
ყოველივე გამოაქვთ, რაც რომ იქ დაინახეს.
დაკლეს ორი მოზვერი და სამი უშობელი,
აჰქნეს ნაჭერ-ნაჭერად გაატყავეს რომელი,
შეცვივდნენ სალორეში და დაკლეს ნეზვებია.
ტახი, გოჭი, ზვარაკი, საკლავად ნაკვებია.
ფარეხშიაც დაფატრეს ვერძი იყო თუ ცხვარი,
გაატყავეს, აკუწეს ორი ულელი ხარი.
ვინც რომ იხვს ხელი სტაცა, დაიკიდა წელზედა,
გაცვენილი ბუმბული ფრიალებდა ველზედა,
ვიცით ძველი დროიდან, ბატმა თავი იჩინა,
გალების ღალატისგან რომი გადაარჩინა.
მათი დამსახურება არავინ დააფასა,
მრავალს მოგლიჯეს თავი და დაუდვეს ტაფასა.

თუმც კრიახი არ ისმის აქედან მიდამოში,
მაგრამ დიდია ჟლეტა სოპლიცის საქათმეში,
ქანდარიდან ცვივიან ვარიკა და ყვინჩილა,

არ დაზოგეს ყვერული არც კრუხი, არც წიწილა.

სარდაფთან დატრიალებს გერვაზი ვით მიმინო,
ბლომად გამოიტანეს არაყი, ლუდი, ღვინო,
ადვილად ვერ დაცლიან სოპლიცოვის სარდაფსა,
თუმცა უხვად ავსებენ კოკას, ტიკსა და ჩაფსა.
ბრბო კოშკისკენ მიდის ღვინით, ხორცით, ჭურჭლითა,
ბევრი უკვე დათვრა არაყით ან ლუდითა,
მიაქვთ ხორცეულობა სახარშად – მოსახრაკად,
გრაფიც კოშკს მიეშურა იქ იქნება ბანაკად.

კოცონიც აპრიალდა ოთხამდე ათეული,
შამფურებით დარბიან, არა სჭირთ მზარეული,
დრო უნდათ გაატარონ ქეიფში და სმაშია,
სიმღერა და ცეკვაში, ალაპურ ჭამაშია.
აქა-იქ ამთქნარებენ, (ჩანს ღვინო მოერია).
სასთუმლად ტაფა არის, ან ხორცის ნაჭერია.
ჩაიძინეს. დამთავრდა ქეიფი, სმა და ჭამა,
ყველანი დაიმონა ძილმა, სიკვდილის ძმამა.

# წიგნი მეცხრე

## ბრძოლა

### შინაარსი

უწესრიგო ბანაკობის შედეგი
მოულოდნელი შეელა
აზნაურთა ცუდი მდგომარეობა
კალმასის მისვლა — შველაა
მაიორ პლუტის ქცევა იწვევს ჩხუბს
დამბაჩა გავარდა — ნიშანია ბრძოლის დაწყების
დამრტყმელის და თადეოზის გამბედაობა
სურამ სოპლიცოვო გადაარჩინა
მშველელნი — იერიში — თადეოზის მოქმედება — ჯარის ბრძოლა
გერვაზის მიერ მტრის ჟლეტა
პოდკომოჟის გამარჯვება

ალბათ ყველას გინახავთ ბუზი ქსელში გაბმული,
ქსელი უნდა გაგლიჯოს სანამ უდგია სული,
ოდეს შეწყვეტს ბზუილსა — არაქათდალეული,
ობობა გამოჩნდება აქამდე დამალული;
სწრაფად მსხვერპლს ეტაკება, უწყებს შიგანის წუწნას,
ქსელით შეკრულს და მკვდარსა, მაშ მეტი რაღა უქნას?
მთვრალებს ღრმად ჩაეძინათ და ხვრინავენ ტკბილადა,
(ბლომად ჰქონდათ სასმელი, რაც მათ მიხვდათ წილადა).
მათ პირს არა ემჩნევა რომ აფრთხობს სიზმარია,
მოსხლეტილი გვამები — გეგონება მკვდარია.
ეხლა თვით სოპლიცოვი თავსა დაესხა მთვრალებს,
შებოჭეს ყველა თოკით, აწყობენ როგორც გვამებს.
ვით ობობა ბუზს შეკრავს — საუზმისთვის იმზადებს,
ისე დღეს სოპლიცოვი კოჭავს მთვრალ აზნაურებს.
მძინართ ატრიალებენ როგორც პურის კონასა,
არვინ არაფრად აგდებს იმათ ტანთა წონასა,
აბრუნებენ ვით პირმშოს აკვანს რომ აკრავს ძიძა,
ამოდენა ტრიალშიც არვის გამოეღვიძა.
სურას შეეძლო მეტი სხვაზე რომ დაელია,
ვერვინ დაედარება მას ვაჟკაცი მსმელია.
მას ჰქონდა ფრთხილი ძილი, ცალი თვალით ეძინა,
მისთვის სულ ერთი იყო, გარეთ იყო თუ შინა.
უგრძნობლად ის როდია როგორც სხვანი დამთვრალნი,
სძინავს, მაგრამ მარცხენა მას უხამხამებს თვალი.

უკანასკნელი იყო რომელმაც დაიძინა,
და სიცოცხლის ნიშანი რომ ძილში შეირჩინა.
ხოლო მას ელანდება რაღაცა მოჩვენება,
რომელიც თავზე ადგას და არ აქვს მოსვენება.
ვითომდა იგი შეკრეს, ჯერ ვერც კი გაერკვია,
გადაბრუნდა, ვითომდა საბანში გაეხვია.
ცალი თვალი გაახილა და შეიხუთა სული,
გაწვდილია ვით ბალღი არტახებში ჩაკრული,
შეშინდა, თვალს ვერ ალებს და არ იცის რა ხდება,
წევს სუნთქვა შეწყვეტილი, ციედება, თითქმის კვდება.

დამრტყმელიც გამოფხიზლდა, ხოლო გვიანღა არი,
შეკრეს და მოახვიეს თავისივე ქამარი,
წამოხტა და დაეცა მძინარ მეგობართ თავზე,
ფართხალებს როგორც ლოქო მომაკვდავი სილაზე.
იჭიმება, ღრიალებს როგორც დათვი დაჭრილი,
ყველა გამოაღვიძა დაუფრთხო მძინართ ძილი;
იძახის: ღალატია, რაღაც მუხანათია,
ღალატია, ღალატი, ხმა გაისმა მათია.

გრაფი კოშკში ბანაკობს თავისი ამალითა,
მათთან გერვაზიც არის, თავის დიდი ხმალითა,
ყვირილმა გაალვიძა ვინც კი იყო მძინარი,
გერვაზი ხმალთან ერთად მაგრად შეკრული არი.
მას ძილში შემოესმა იარაღის ჩხარია,
გაახილა თვალები, დაინახა — ჯარია,
არშიებით მორთული ჯარს ჰყავდა მეთაური,
ხელში ხმალი ეჭირა წვრილი როგორც შამფური,
ბრძანებდა: „შეკარით და არ დაზოგოთ არცერთი,
სოპლიცოეში ნამდვილი დაუდგათ ჯოჯოხეთი".
წამში იცნო გერვაზმა წყეული მოსკალის ჯარი,
სურს წამოდგეს, ხოლო მას მოახვიეს ბაწარი,
ამალაც შეკრულია იატაკს — დაწყობილი,
გრაფმა რა ქნას არ იცის, ზის იარაღაყრილი.

არაერთხელ ყოფილა გერვაზი განსაცდელში,
და ბორკილიც ჰქონია გაყრილი ფეხსა და ხელში,
ხოლო დაუგლეჯია, განთავისუფლებულა,
მოხუცი იყო, მაგრამ საკმაო ჰქონდა ძალა.
იგი ეხლაც ფიქრობდა თავი როგორ დაეხსნა,
მოჭერილი კვანძები გაეგლიჯა — გაეხსნა;
ჯერ თვალები დახუჭა, თავი მოიმძინარა,

შემდეგ მიმოიხედა მოსკალი უცქერს თუ არა,
დაწვა და შემდეგ ჰაერით გაიბერა,
გაიჭიმა, მაგრამ თოკს ვერა დააკლო ვერა.
გამწარებით იატაკს პირაღმა გადაბრუნდა,
და საბრალოს სირცხვილით ეხლა სიკვდილი სურდა

მოისმის ჯარისადმი ხმა ახალ ბრძანებისა
მეთაურმა უბრძანა ჩაკეტვა კარებისა,
იმ ოთახის, საცა რომ გრაფია თვის ამალით,
და გერვაზი მწოლარე იატაკზედა ხმალით.
ერთ წამში გადიკეტა ოთახისა კარია,
მიუყენეს დარაჯი და მოეწყო ჯარია.
მსაჯულისა ეზოში შეიკრიბნენ მოყვრები,
მოკეთე — ნათესავი, ახლო აზნაურები,
ბირბაშები, ჰრეჩეხა და მრავალი ბირგელი,
აქვე ვოისკიც დადის, იმათშია პირველი.
ყველასათვის ყრილობა ეხლა სოპლიცოვშია,
დობჟინსკებთან ვინც იყო უთანხმოებაშია.
ვინ აცნობა მოსკალებს და ვინ ატეხა განგაში?
ან მეზობლების შეყრა ვის მოუვიდა თავში?
ზოგის აზრით ამისი მქმნელი ასესორია,
და ზოგი კი ამტკიცებს — იანკელ ებრაელია.
ხოლო დანამდვილებით დღემდე არ არს ცნობები,
საშველად ვინ შეჰყარა ჯარი და მეზობლები.

უკვე მზე ამოვიდა როგორც სისხლი წითელი,
უსხივო და უშუქო, თითქოს არის შიშველი,
მხოლოდ ნახევრად მოჩანს, იმალება ღრუბელში,
ჩანს ვით გახურებული ნალი მჭედლისა ხელში.
აღმოსავლეთით ქარი ერეკება ღრუბლებსა,
როგორც ვეებერთელა მთისა თოვლის ზვავებსა.
ცივი თქორი გადმოდის ღრუბლის ნაგლეჯებიდან,
ვითომ გაცრილი წყალი გაყინულ საცერიდან,
ხანდახან მზე კი მოჩანს, ცა არის ღრუბლიანი,
დღევანდელი დღე დადგა ცივი და სუსხიანი.

მაიორი პლუტი  იყო მთავრად მოსკალთ ჯარებისა,
მან ბრძანა აქ მოტანა გამხმარ სქელ ფიცრებისა,
უბრძანა რომ გამოჭრან ფიცრებში ნახვრეტები,
და გაუჭრან იმათში დატყვევებულთ ფეხები.
მეორე ფიცარი კი ზევიდან დააჭედეს,
რომ ამგვარად ტყვეებსა გარყევაც გაუძნელდეს.

მაჯებზე ჩამოაცვეს ჯაჭვისა ბორკილები,
ერთმანეთის გადააბეს ყველა დაჭერილები.
ქუდი და ტანსაცმელი, მოგლიჯეს და გახადეს,
უარესს სანახავსა ვერავინა ნახავდეს.
საბრალოდ გაყინულნი, აწკარუნებდნენ კბილებს,
ყველა გაბუტულია და ხმასაც არვინ იღებს.
ამინდი სრულად წახდა და სუსხიც გაძლიერდა,
ზენა ქარიც გაცივდა, განუწყვეტლივ უბერდა.

მსაჯულმა გამოიხმო რიკოვი კაპიტანი,
სთხოვდა, ევედრებოდა სოპლიცა დიდი ხანი,
რომ იგი მოციქულად პლუტთანა მისულიყო,
ტყვეთადმი ეს სიმკაცრე შემსუბუქებულიყო.
კაპიტანს, (რიკოვს) ჰქონდა მართლადაც კარგი გული,
ხოლო პლუტისა იყო დაქვემდებარებული.

(ამბობენ) პლუტი იყო ოდესღაც პოლონელი,
სცოდნიათ აქაურებს კარგად მისი სოფელი,
რომელ სოფლის სახელიც ყოფილა დზიეროვიჩი,
ხოლო პლუტისა გვარი, (ამბობენ) პლუტოვიჩი.
რუსისა სამსახურში, სრულად გარუსებულა,
რაც კიდევ ხშირად ხდება, — სულ მთლად გაოხრებულა,
ეხლა ეს უნამუსო, იდგა ცაცხვისა ძირში,
ისროდა კომლის რგოლებს ყალიონითა პირში.

მსაჯულმა კაპიტანი სრულად გადაიბირა,
თხოვნის შესრულებაზეც როკოვი დაიპირა,
შემდეგ ფიცხლავ მსაჯული ასესორს მიუბრუნდა,
სასამართლოს აცდენა ტყვეებისათვის სურდა.
ორთავემ ერთმანეთში ეს საქმე მოაგვარეს,
მოციქულად რიკოვი მაიორს მიუგზავნეს.

რიკოვმა მაიორ პლუტს შემდეგი მოახსენა:
მაიორო! ტყვეები აბა რად გვინდა ჩვენა?
სასამართლოს თუ მივცემთ, არ არის საქებელი,
მათ ციხეში ჩასვამენ, ჩვენ რა გვაქვს სარგებელი?
მგონი სჯობს რომ ამაზე ჩვენ მოვილაპარაკოთ,
და იქნება, ფულებიც ჯიბეში ჩავილაგოთ.
თქვენ მწვადი უნდა შეწვათ მეფისა შამფურზედა,
მგონი, არც განრისხდება არავინ ამაზედა.
ანდაზა გვაქვს: რომ მწვადი ისე უნდა შეიწვას,
ან მწვადი, ან შამფური ცეცხლზე რომ არ დაიწვას.

მეორეს მოგაგონებ ჩვენებურ ანდაზასა,
ცუდი ზავი სჯობია მშვენიერსა დავასა
კვანძი შეჰკარ, ბოლო კი დაუმალე წყალშია
დააკვირდი და მითხარი რა აზრი გაქვს თავშია.
ღმერთმა ვის ხელი მისცა, ძლევენი უნდა აიღოს,
და თუ პატაკს არ დაწერ, ვინ რა უნდა გაიგოს?

კაპიტანის სიტყვებმა პლუტი გააგულისა,
(გულში კი მოეწონა მოპოვება ფულისა).
რიკოვს უთხრა: „გაგიჟდი და ჭკუა დაგიკარგავს,
აჯანყებულთ გაშვება აბა შენ სად გინახავს?!
მეფის სამსახურში ვარ და ვერ გაეიტეხ სახელს,
ამის გარდაც, მე კარგად ვიცნობ ყოველ პოლონელს.
თვალს როგორც მოაშორებ, წამში აგიჯანყდება;
ომიანობა არის, ვინ იცის რა მოხდება?
დობჟინსკებს კარგად ვიცნობ, დეე ისხდნენ გაიყინონ,
კარგია მათი დასჯა, შემდეგ არ დაივიწყონ.
მათ შორის კარგად ვიცნობ მე ერთსა ვაჟბატონსა,
მან გამლანძღა, ვცეკვაედი წვეულებისა დროსა,
ჰეო! გააგდეთ ქურდიო, გაისმოდა მისი ხმა,
ქურდი გააძევეთო გაიმეორა ხალხმა.
ეს ვითომ ეხებოდა, რომ ამ დროს ჩემსა რაზმში,
გაიფლანგა ფული და მეც ზუსტად ამა ხანში,
სასამართლოში ვიყავ რატომლაც მიცემული,
ამიტომ მეც გამლანძღეს, მაქვს დამახსოვრებული;
იმ დღიდან მე დავპირდი რომ მაგას გადავუხდი
თავხედობას, რომ მაგან, მე დამიძახა ქურდი".

პლუტმა დაუწყო მსაჯულს ამაგვარი ბაასი;
თითო კაცში მომეცი მე მანეთი ათასი,
ჩემი სიტყვა ეს არის, ფასი უკანასკნელი,
ვინც გსურს გამოისყიდე ტყვეთაგან დობჟინელი.

მსაჯული ევაჭრება პლუტს, რომ დაუკლოს ფასი,
უთხრა: კაცში მანეთი, ძვირიაო ათასი,
მაიორი არც უსმენს, დასეირნობს ოთახში,
ყალიონს აბოლებს და არის დიდ განცხრომაში.
სოფიო, ტელიმენა, ორთავე აქ არიან,
ტყვეთ განთავისუფლებით მეტადრედაც ხარიან.
მსაჯულმა თქვა: „იმათ ხომ სისხლი არ დაუღვრიათ.
სასამართლო რად გინდათ? ხომ არვინ დაუჭრიათ?
ორი ბატი შეჭამეს, ათიოდე ქათამი,

მათი დანაშაულის ეს არის მთელი ჯამი".
ჯარიმას მიაწერენ და საქმე დამთავრდება,
დაუფიქრდი, თუ ამით ხეირი რამ გექნება!
მე გრაფს არა ვუჩივი, არც რამ მაქვს დასამდური,
ეს უბრალო რამ არის, დავაა მეზობლური.
პლუტმა მსაჯულსა ჰკითხა: იცით წიგნი ყვითელი?
მეფემ თავისი ხელით მოაწერა სახელი.
მსაჯულმა უპასუხა: მე არარა გამეგება,
წითელ-ყვითელ წიგნების, რადგან მე არ მეხება.
პლუტმა დაუწყო ახსნა სამხედრო წიგნებისა,
და უთხრა, რომ ეს არის კრებული წესდებისა
და ყოველსა საკითხსა იქ ახსნა აქვს დართული,
ლიტვა არა კანონით, წესდებით არს მართული.
ამ წესდების მიხედვით ყველანი დაისჯება,
ან ციმბირი, ან კიდევ, ნაობახი იქნება.
შეიძლება კიდევაც, რომ იყოს სახრჩობელა,
ამ მუხლების მიხედვით, პასუხსა აგებს ყველა.
მსაჯულმა თქვა: „საჩივარს მივცემ გუბერნატორსა,
პლუტმა უთხრა: „მიეცი თუნდა იმპერატორსა.
ხშირად იმპერატორი გააორმაგებს სასჯელს,
ბოლოს, ისიც იცოდეთ, რომ მე თქვენც წაგავლებთ ხელს,
ეს თქვენი იანკელი – ცნობილი ჯაშუშია,
და მიკიტნად თქვენ გიზით ის სამიკიტნოშია".
ეხლა მე შემიძლია ყველა დაგატუსაღოთ,
ციმბირში თავსა გიკრავთ, მშობელიც ვერა ნახოთ.
მსაჯულმა თქვა: თქვენ ჩემი დაჭერისა უფლება
არ გაქვთ, ამაზე არის მეფის განკარგულება,
თანდათან მწვავდებოდა იმათი საუბარი,
რომ ეზოს შემოვიდა სულ ახალი სტუმარი.
ჯერ ვერძი შემოვიდა შავი, ოთხი რქიანი,
ორი რქა აქვს კაზმული – წკრიალა ეჟვიანი.
ვერძს შემოჰყვა ფარა და ფარას უკან ნახირი,
ხარი, ძროხა, კამეჩი, თხები და სამი ვირი.
შემდეგ ოთხი ურემი – აფარდული ძრებითა,
დატვირთული და სავსე მრავალ საჩუქრებითა.
მთელი ავლა-დიდება კალმასმა მოაგროვა,
ხვალ მასთან ქვრივ-ობოლი საჩუქრისათვის მოვა.

ყველამ იცნო, რომ მოდის ბერნარდინი – კალმასი,
მსაჯულთან წამს შეწყვიტა მაიორმა ბაასი,
მსაჯული მოაჯირზე სტუმარსა მიეგება,
მასპინძლობა უყვარს და იმიტომაც იქება.

რობაკი ბერი იყო მეხრედ პირველ ურემზე;
მათე – ბერიკაცი, მეორესა უღელზე,
დობჟინსკი პრუსიელი მესამე ურემზედა
მეხრედ იყო, მღეროდა გრძელი შოლტით ბეჭზედა.
მეოთხე ზედა იჯდა – მიცკევიჩი და ზანი
და შემდეგ მომავალნი მოყვრები – ფეხოსანი.
ტყვეებმა ბერი იცნეს, შესცქერიან თვალშია,
მღვდელმა რაღაც ანიშნა და შეეიდა სახლშია.

შეკრბენ პოდჰაიცკები და ისაევიჩები,
ბირბაში, ვილბიკი და ბირგელ-კოტოვიჩები,
ისინი აქ მოვიდნენ სოპლიცის დასაცველად,
ტყვეების დანახვაზე, ჯავრი რაც ჰქონდათ ძველად
დობჟინსკების, გაქრა და ეხლა სურთ რომ დაიხსნან,
მათთან ბრძოლის მაგივრად, რუსისგან სურთ დაიცვან.
იცოდეთ! პოლონეთის თავად-აზნაურობა,
მოკინკლავეა, უყვართ ჩხუბი, დაეა, ურჩობა,
ხოლო მართალი გითხრათ, ის ბოროტი როდია,
გარეშე მტერთან ხოლმე, ვით ძმები გამოდიან,
ეხლა მათეს შესცქერენ, რჩევა მისი გაიგონ,
მათემ ანიშნა ხელით, რომ ცოტა მოითმინონ.

ბერნარდინი ოდაში შეეიდა აუჩქარი,
უცქერს ქალებს და მსაჯულს, ყველა თუ ჯანზე არი
შემდეგ მიმოიხედა, პლუტი რომ დაინახა,
ვითომდა გაუხარდა, გაიცინა ხა-ხა-ხა.
თქვა: „სალამი სტუმრებსა! ძლიერ ვარ მოხარული
აქ რომ გხედავთ, ხოლო ეს აბა სად არს ნახული
ღამეში ნადირობა? ჩვენშია მიღებული,
დილით ალიონზედა სროლა შეჯიბრებული,
ხოლო გეტყვით პლუტო რომ, ეს კი კარგი გიქნიათ,
რომ ეს აზნაურები თქვენ დაგიტყვევებიათ.
ტყაეი უნდა გააძროთ ასეთ ვაჟბატონებსა,
დობჟინსკებს კარგად ვიცნობ ეშმაკ-მამაძაღლებსა.
ბატონო მაიორო! ყველაფერს კი სჯობია,
თავხედი გრაფი კოშკში რომ დაგიტყვევებია.
გახსოვდეს, მდიდარია და თუ არ შეიცოდე,
სამას ოქროსაც მოგცემს თუ ევაჭრე იცოდე,
ხოლო ოდეს ამ თანხას შენ სავსებით მიიღებ,
ჩვენი მონასტრისათვის ალბათ ცოტას გაიღებ
და ჩემთვის სამოწყალოს, ამას მე გევედრები,
რადგან შენთვის ვლოცულობ რომ შეგენდოსა ცოდვები.

სიკვდილი ყველასათვის არის ერთგულოვანი
ჯოჯოა ან მოხუცი, თუ ჯეელი – ახოვანი.
რა გინდა გეცვას, ფარჩა, შალი, ტილო თუ ხამი,
სიკვდილს ხომ ვერ დაიჭერ ოდეს მოგივა ჟამი?
ამიტომ, რასაც შეჭამ ის არის შესარგისი,
რაც დარჩება, მკვდრისათვის ხომ არის უვარგისი?
ამიტომ გთხოვ, დაბრძანდით, შევჭამოთ ცხელი ტოლმა,
არაყიც დავაყოლოთ და გაგვიქრება ბოღმა".

პლუტმა თქვა: „მართალს ბრძანებ სულისათვის მლოცველო,
დრო არის რომ დავლიოთ მსაჯულის სადღეგრძელო".

ბერნარდინის სიტყვებმა ყველა გაახალისა,
მადაც კარგი გაეხსნათ სტუმრებს სმის და ჭამისა,
მსაჯულმა კი უბრძანა მსახურთ გაშლა სუფრისა,
ჭურჭელი დადეს სუფრას ძვირფას ფაიფურისა.
ტოლმა, გუფთა, ძეხვები, ლანგარზე ზურგიელი,
კალმახი და მწვადები და ხარჩო გემრიელი.
სხვადასხვა სასმელებით დაამშვენეს მაგიდა,
მიირთვი, სვი და ჭამე, აბა! სულო რა გინდა?
კაპიტანმა რიკოემა და რუსის მაიორმა,
თხუთმეტ წუთში შეჭამეს ოცდათორმეტი ტოლმა.

მაძღარმა მაიორმა ტუჩები მოიწმინდა,
და ყალიონით პირში სავარძელთან მივიდა,
ჩანს რომ მხიარულია და არის გადაკრული,
ჩაეგდო სავარძელში და იჯდა გაბღინძული.
ეხლა მან მიაქცია იქ მყოფ ქალებს თვალყური,
და ორთავეს ღიმილით უთხრა ქათინაური,
შემდეგ თქვა: „ძლიერ მიყვარს მე ლამაზი ქალები,
მიყვარს მათთან ალერსი, აღტყინების ალები,
იქნებ ეხლა გავერთოთ ბანქოს თამაშობითა,
ან არადა მაზურკის დაკვრით – ცეკვაობითა!
იქ მიაშურა საცა ისხდნენ მანდილოსნები,
ჩახლართა თუთუნის კომლს მან ქათინაურები".

რობაკმა თქვა: „მეც მიყვარს ცეკვა – ცხადია,
ხოლო ოდეს რიგში მაქვს მე მეოცე ბადია,
ანაფორას ავიწევ, ავიკრიბავ კაბასა,
და მაშინ დაგანახებთ ცეკვის ოსტატობასა.
სასულიერო პირს თუმც ცეკვა არ ეკადრება,
ცეკვა ცოდვა როდია, სული მით არ წაწყდება,

მაგრამ ჩვენ დაგვაგიწყდა, გარეთ ცივი ქარია,
და ალბათ გაიყინა მთელი შენი ჯარია.
მაიორო! რას იტყვი ცოტა მათაც გადაკრან,
არაყი გაახურებს – მშიერ მწყურვალნი დგანან!
რობაკმა უთხრა მსაჯულს არაყი გაუგზავნოს
ჯარს, ორიოდე კოკა და პლუტს ასიამოვნოს.
ოდეს ოდაში იყო ამგვარი მუსაიფი,
ჯარმა ეზოში იწყო ლოთობა და ქეიფი".

რიკოვი სვამდა ჩუმად და ყურს არვის უგდებდა;
პლუტს კი ცეკვა მოუნდა, ტელიმენას უცქერდა,
ყალიონი გადასდო იქვე იჯდა საცა,
მივარდა ტელიმენას და მკლავში ხელი სტაცა.
ქალი სწრაფად დაუსხლტა და გაიქცა სიცილით,
პლუტი სოფიოსაკენ შემობრუნდა სირცხვილით,
და მოსთხოვა, სოფიო რომ გაჰყვეს ცეკვაშია,
რიკოვს კი დაუყვირა გართულს ჭამა-სმაშია,
რომ სიმები მომართოს, დაუკრას საცეკვარი,
ხოლო სოფიომ პლუტსა, ცეკვისა უთხრა უარი.
პლუტი თავსა იქებდა, რომ მთელ იმის რაზმშია,
ვერავინ ვერა სჯობნის მაზურკის ცეკვაშია.
მეორედ მოუბრუნდა პლუტი ტელიმენასა,
საცეკვაოდ პატიჟობს, აჭარბებს მის ქებასა,
ხოლო ოდესაც თხოვნით არარა გაუვიდა,
გაჯავრდა და სასჯელი ტელიმენას დაჰპირდა.

დამუქრებით მივარდა, ქალს ხელში ხელი სტაცა,
დაიხარა და მკლავზე სწრაფად ერთიც აკოცა.
თადეოზი გადახტა და პლუტს შემოჰკრა ყბაში,
ორი ტლაშუნი ერთად გაისმა მთელ ოდაში.

მაიორი გაკვირდა, შემდეგ ბრაზმორეული,
თადეოზს დაედევნა მახვილ ამოღებული,
უნდა აქვე აჩეხოს ეს ბიჭუნა უგნური,
და ამგვარად ეხლავე სურს რომ იძიოს შური.
რობაკმა სახელოდან წამს დამბაჩა დაიძრო,
თადეოზს მიაწოდა, არ დაგვიანდეს ვინძლო,
მიაძახა: ესროლე! ნუ დაზოგავ ტყვიასა,
თუ გადარჩა, ეგ მოგკლავთ შენ და შენს ბიძასა.
თადეოზმა იმ წამსვე დამბაჩა გამობღუჯა.
ესროლა, დააცდინა, პირი კი შეურუჯა.
რიკოვმა გადააგდო ფიცხლავ თვისი საკრავი,

დაედევნა თადეოზს და როს ასწია მკლავი.
ეოისკმა წყნარად მდგომმა აქამდე კედელთანა,
მთელი ძალით ესროლა რიკოეს თავისი დანა.
ალბათ რიკოვის თავი გასკდებოდა ვით ხეჭო,
მაგრამ, დროზე დახარა, დანა კედელს დაერჭო,
რიკოვი ძლიერ დაფრთხა როს დანამ დაიწივლა,
გაქცევა მოინდომა, ჯერ მან ხმალი იშიშვლა,
შემდეგ დაიხია და მიაშურა იმ კარსა,
რომლით ეზოში გავა და შეყრის თავის ჯარსა.
რიკოვი უვნებელად გავიდა დერეფანში,
იქ დაინახა პლუტი, სურთ ატეხონ განგაში,
უნდათ ჯარი შეჰყარონ, შეუტიონ სოპლიცას,
სურთ აქაობა დაწვან და გაუსწორონ მიწას.
სოპლიცისა მოყვარეთ შემოესმათ განგაში,
ფანჯრიდან შემოცვივდნენ საბრძოლველად ოდაში,
ყველას ხელში უჭირავს ხმალი ანდა კეტია,
მრავალია მებრძოლი – ოდაში არ ეტია.
მათი მეთაურია – თეისი „წკეპლით",
ოთახი გაირბინა ფრთხილად და ფეხაკრეფით
კარებთან ჩაესაფრა ვით კატა ხვრელთან თაგვსა,
ვინც პირეელი შემოვა, ალბათ გაუპობს თავსა.
სამია ჯარისკაცი ხიშტებით მომავალი.
როდეს კარსა მოადგნენ, მათემ დაუშვა ხმალი;
ალბათ სამთავეს ერთად მოსჩეხდა ის კისერსა,
მაგრამ თვალმა უმტყუნა მათეს ბერიკაცსა,
ქუდები მოაგლიჯა, ხიშტზე ხმალმა დაკვესა.
სამთავენი გაიქცნენ, წუთიც კი არ დაყვესა.
დაინახეს რომ მოსკალი ოდაში აღარ არის,
ეზოში გამოცვივდნენ სად ლოთობაა ჯარის,
ნაწილი იქით გარბის საცა სხედან ტყვეები,
სურთ გაუხსნან საჩქაროდ საბრალოთ ბორკილები.
სჩეხენ ფიცრებს, ტრიალებს ნაჯახი, ეჩო, ცული,
აქვე ბრძოლა გაჩაღდა მწვავე და ხელჩართული.
ნაცვალმა პოდჰაიცკის ხიშტი ჩაჰკრა მუცელში,
მეორეს ჩასცა მკერდში და მესამეს კი ყელში.
პირველმა ტყვემ, რომელსაც გადაუჭრეს ბორკილი
სწრაფად აილო იქვე ფიცარი გაპობილი,
ისეთი ძალით დასცა მოსკალის ნაცვალს კეფაში,
პირიც აღარ უჩანდა ტვინის და სისხლჩქეფაში.
შემდეგ ისეთი ღონით დაატრიალა კეტი,
ვით გეირგვინი დააწყო ირგვლივ მოსკალი თორმეტი.

კონკილა შებჯენილი დგანან სავსე ურმები,
გამოხსნეს ხარ-კამეჩი, მოხსნეს აპეურები,
აღარავინ არ არის ეხლა დატყვევებული,
და ჯარიც გაიფანტა ბრძოლით დაფეთებული.
ყველა ერთად მისცვივდა ეხლა სავსე ურმებსა,
იარაღს არიგებენ, თოფებს, დამბაჩებს, ხმლებსა.
ორი ტომარაც ნახეს სავსე ტყვია-წამლითა,
და კალთები აივსეს ვითა ნადავლარითა.
ბერს ცხვარ-ძროხისა გარდა, ესეც უგროვებია,
დრო როს მოვა, მებრძოლნი შეეიარაღებია.

რიკოვი ცქერს რომ ბრძოლა ასეთი უთავბოლო,
მას დაღუპავს და სურს რომ ჯარი შეკრიბოს, ხოლო,
ოდეს იძახის, ბრძანების, არვის არარა ესმის,
თვითონაც ვერ გაერკვა, სად და ვინ ვისა ებრძვის.
მოხუცი მათე არის მარჯვე და ტანდაქნილი,
ხოლო ასეთ ბრძოლაში როდია გამოცდილი,
ამიტომ დაიხია, გზად სამიც ასჩეხა,
და ბაღისკენ წავიდა სად ეგულვის ჰრეჩეხა.

ერთი მოსკალი — ყოჩაღი და კარგი მეომარი,
ცნობილი უნდა იყოს, გულზე აქვს ოთხი ჯვარი,
(რაზმშიც ტოლი არ ჰყავსო მას ფარიკაობაში),
მათეს მისდევს ხიშტით და ტყვიაცა აქვს ლულაში.
(მათე გამოცდილია). გადახედა მეტოქეს,
შეაფასა და შემდეგ, ზურგი მიაფარა ხეს.
მოსკალმა ჯერ მოიმარჯვა თოფი ორთავ ხელითა,
მათე გადუხტა გვერდზე აღმართულ წკეპლითა,
მოხუცს შეტევა არ სურს, ხოლო მოგერიება,
შეტევაზე გადავა, მტერი როს დაიღლება.

მოსკალი ბუქნავს და დახტის ვით მინდორზე კალია,
მარჯვენა ხელი სტაცა თოფს, საცაა ფალია,
გადაეშვა რომ ჩასცეს თომას ხიშტი მუცელში,
მათემ ლულას აუკრა და მოსკალი დაჭრა ხელში.
ეხლა მათე გადახტა და ვით სიმინდის ჩალა,
ხმალი აკრა და მოსკალსა მოსჩეხა თავის ქალა.
ამგვარად დაიღუპა მებრძოლი ჩინებული,
პლუტის რაზმისა გმირი ჯერით დაჯილდოებული.
მარცხენა ფრთაზე იბრძვის თავგანწირვით დამრტყმელი.
აქ მოსკალი რომ დამარცხდა ეს არის უეჭველი,
დატრიალებს ჰაერში ხმალი, თოფი და კეტი,

უთავბოლო ბრძოლაში მოსკალებს დაესხათ რეტი.
ასეთ შებმაში თოფის სროლა ხომ არ იქნება?
მტერს ავნებ და მოყვარეც უვნებლად დაიჭრება,
ამიტომ ჯარისკაცს თოფი აქვს როგორც კეტი
კონდახსა ატრიალებს — ვერრა უქმნია მეტი.
ბრძოლა თუმცა გამწვავედა, როდი ჰყავს ხელმძღვანელი,
ყველა იბრძვის თავისთვის მოსკალი თუ დობჟინელი.

დამრტყმელმა დაინახა რომ მოსკალებმა წააგეს,
მაგრამ, უცქერს, ხიფათი მოელის მოხუც მათეს.
მებრძოლ ჯგუფს ბერიკაცი ცოტად უკვე გაშორდა,
თუმც ოთხიოდე მოსკალი მისი ხელით დაგორდა.
ეხლა მას დაედევნა მოსკალი — ვაჟკაცი ჯეელი,
მწყობრის უფროსი იყო პლუტის რაზმში რომელი,
წერაქვით მოემართა. (დღეს მეზღვაურებისა).
ერთმხარზე წერაქვი — რკინა წაკვეთილია,
მეორეზე — ნაჯახი, — ბასრად გალესილია.
მოსკალთ-მარჯვე, დაქნილი, ახალგაზრდა ბიჭია,
მათემ ხმალი აუკრა, მოსკალმა უკან იწია,
შემდეგ კი შეუტია მოხუცსა წერაქვითა,
დამრტყმელი კი შეშინდა ვაჟკაცის დანახვითა.
ცქერს მათეს, ვერ მიუსწრებს, ვეღარ დაეხმარება,
ცხადია — მათე ღონით ვერ შეედრება;
დამრტყმელი გარბის ხოლო, ძალა აღარ აქვს მეტი,
შეჩერდა, შემდეგ სტყორცნა ფეხებში რუსსა კეტი.
გადარჩა ხიფათს მათე, დამრტყმელს გულზე მოეშვა,
ფეხმოტეხილი მოსკალი, პირით მიწას დაეშვა.
აქ დამრტყმელს დაედევნა ჯარისკაცი ორი,
იგი უქუდოდ იყო, ხოლო ჰქონდა ქოჩორი;
ორთავემ მას ხელები ჩააბღუჯეს თმაშია,
მოათრეეენ საბრალოს, წუმპეს და ტალახშია.
საწყალს უიარაღოდ აბა როგორ ებრძოლა?
მას ჰქონდა ერთი კეტი და ისიც მოსკალს ესროლა.
ბედად, ეხლა მოესმა გერვაზის ხმა მახლობლად,
დაუძახა ეშველოს ძმურად და მეზობლურად.

გერვაზმა წამსვე იცნო ახლო ხმა დამრტყმელისა
იგი ტრიალებს დანით, ვისაც უჭირს შველისა,
მიირბინა და დაჰკრა ხმალი ისეთი ძალით,
ოთხივ ხელი მოკვეთა მოსკალთ, ისინი ღრიალით
გაიქცნენ. ერთი ხელი დამრტყმელს შერჩა თმაშია,
სისხლი ჩქეფდა ნაკადად, ვით პატარა ღარშია.

ოდეს მშიერი ორბი კურდღელსა მოიტაცებს,
შეჯდება დიდს მუხაზე და საუზმედ იმზადებს,
ცალი ფეხით ტოტზე ზის, ცალით მსხვერპლი უჭირავს,
კურდღელი კი ფართხალში ორბს ბარკალს გამოგლიჯავს,
ბრჭყალი აქვს ხერხემალში, გარბის ტკივილებითა,
და მოგლეჯილი ფეხი მიაქვს სისხლის დენითა,
ამგვარად შერჩა თმაში მოსკალის ხელი დამრტყმელსა,
როგორც ორბის ბარკალი, ზე ხსენებულ კურდღელსა.

ამაგვარად დამრტყმელი სიკვდილისგან გადარჩა,
ხოლო უიარაღოდ, ცარიელ ხელით დარჩა.
ამიტომაც გერვაზის გვერდზედა მიირბინა,
ამოუდგა მარჯვენიე და ფეხები გააბჯინა.
უეცრად დაინახა მწოვარა მომავალი,
მას მოჰქონდა დამრტყმელის კორძიანი კომბალი,
(მას ხომ ჰქონდა სახელი კარგად მებრძოლ გმირისა)
მივარდა, გამოგლიჯა კომბალი ბზის ძირისა.
ოდესაც მოიმარჯვეა ხელთ ჯოხი კუნძიანი,
ცემა დაუწყო მოსკალებს და იმათი ზიანი,
არის აუწერელი, ხოლო იმას კი გეტყვით,
ბევრი დაეცა მიწას გადამტვრეული ძვლებით.

მუზას არ შეუძლია რომ აღწეროს დამრტყმელი,
რომ მოგიყვეთ, არც არის ეს დასაჯერებელი,
ისე როგორც დედაბერს არავინ დაუჯერა,
თუმც თავის თვალით ნახა და მსმენელთ აუწერა,
ჩარნობაცკის ამბავი რომ მოკლა მოსკალთ სარდალი—
დეიოვი — ყაზახი და არამც თუ ამალი,
მისი ყაზახთა რაზმი მას დაუმარცხებია,
ხოლო ამბავი არვის არ დაუჯერებია,
თუმცა მოხუცი ქალი, ამა დროს ოსტრობრამას,
სალოცავად ყოფილა და თვით ცქერდა ამ ამბავს.

უსაფუძვლო არც იყო რიკოვის შიში მასზე,
რომ თავიდან ფიქრობდა ამ ბრძოლის წაგებაზე,
ამიტომ მას უნდოდა ჯარის წინა გაძღოლა,
ხოლო ვერ მოახერხა, რადგან დაიწყო ბრძოლა.
ოდეს შეწყდა სისხლის ღვრა, მსხვერპლი იყო დათვლილი,
ოცდასამი მოკლული, ორმოცამდე დაჭრილი;
მრავალი ჯარისკაცი ეზოდან გაიპარა,
ჭალაში თავს უშველა, ტყეს თავი შეაფარა,
ესლა აზნაურები შეიკრიბნენ მარანში,

სურთ ლხენა და ქეიფი, დროს გატარება სმაში,
ფუსფუსებდნენ ეზოშიც, ძარცვავენ ჯარისკაცებს,
ხოლო ბერი – რობაკი ლხენას არ იზიარებს.
მღვდელისთვის ბრძოლა არის კანონით აკრძალული,
ბერნარდინისგან არის ეს კანონი დაცული;
მართალია დარბოდა და ყველას აქეზებდა,
და ვინც რომ მოსკალი მოკლა, ხარობდა – მას აქებდა.
ეხლა მებრძოლთა ურჩევს რომ სწრაფად შეიკრიბონ,
უკნასკნელ შეტევით ვინც გადარჩა, – შეიპყრონ.
ბერმა აცნობა რიკოვს იარაღი დაყაროს,
უბრძოლველად დანებდეს, რომ სისხლი არ დაღვაროს.
თუ ყაბული არ არის და სურს ბრძოლა განაგრძოს,
ალყას შემოარტყამს რომ, მტერი გაანადგუროს.

რიკოვს არც უფიქრია დაყრა იარაღისა,
მან მოასწრო შეკრება დანარჩენი ჯარისა,
ახლომახლო ვინც იყო ეზოში გაფანტული,
საომრად მოამზადა მან ერთი ასეული.
ბრძანა მომარაგება თოფის, ტყვია-წამლისა,
იცის რომ არ იქნება დაკარგვა არც წამისა,
ოდეს ჯარი მოაწყო, გასცა სროლის ბრძანება,
ვით მოძრავი კედელი შეირყა წყობილება.
ჯარმა დაიწყო სროლა, ხელმძღვანელობს რიკოვი,
ალბათ დაიღუპება დღეს მთელი სოპლიცოვი.

მართალი გითხრათ ჯარი შეზარხოშებულია,
კაპიტანი რიკოვიც ცოტად დალეულია,
თოფს ცუდად უმიზნებენ მაგრამ არის დაჭრილი,
ორი მათე, ბართლომე და მათეს ერთი შვილი.
აზნაურებს არ ჰქონდათ ხომ თოფები საკმაოდ,
ამიტომ, სროლა იყო აქედგან სათითაოდ,
იმათი იარაღი, ცელი, ხმალი, კეტია,
არაფერი გააჩნდათ ჩვენს მეომრებს მეტია.
შეუტია რიკოვმა – შეკრთნენ აზნაურები,
ტყვიებმა მთლად ჩალეწეს სოპლიცისა ფანჯრები.
თაღეოზი შინ დარჩა ქალების დასაცავად,
ეს ბიძამ უბრძანა, (ნუ ჩაუთვლით მას ავად).
ხოლო როს დაინახა ბრძოლა ძლიერ გამწვავდა,
მიატოვა ქალები და გარეთ გამოვარდა.
მსახურმა თომამ ხმალი პოდკომოჯს მიუტანა,
იარაღს ხელი სტაცა, თაღეოზს გაჰყვა თანა.
წინ ჩაუდგა მეომრებს ისე ვით მეთაური,

უკვე ბრძანებაც გასცა, მოსკალზე იძიოს შური.
მათესა და რობაკსა სურს რომ აზნაურებმა
ჯერ უკან დაიხიონ, ხოლო ოდეს მოსკალებმა
ყოყმანი დაინახეს მათ წინააღმდეგ ბანაკში,
ვით სეტყვა დააყარეს ტყვია მათ იმავ წამში.
მოკლეს იასევიჩი და ვილბიკი მედგარი,
(აბა ვის სად უნახავს ხმალში მის შესადარი?)
რიკოვი მტერს უცქერის, ხედავს იგი ყოყმანობს,
უკანასკნელ იერიშზე ასეულითა ჩქარობს.
ესლა მან გადაწყვიტა მტრისა განადგურება,
და მთელსა სოპლიცოვში ჯარით გაბატონება.

რიკოვმა ჯარს უჩვენა მიზნად ოდისა კარი,
უნდა რომ შეუტიოს, მიტომ მოაწყო ჯარი,
მწკრივები გაასწორა, ჯარმა თოფი დახარა,
და ეზოს ნახევარი უვნებლად გაიარა.
აზნაურნი ესვრიან ტყვიას ორთავ ფრთიდანა,
რიკოვმა წყობილებით იერიში მიიტანა;
ოდას მიუახლოვდა, მსაჯულს შესძახა სახლში,
დამნებდიო, თუ არა გამოგწვავ ცეცხლის ალში.
სოპლიცა არც ფიქრობდა მოსკალს ჩავარდნოდა ხელში,
და რიკოვს უპასუხა: შეგწვავო ამავ ცეცხლში.

სოპლიცოვის სახლ-კარნო! დღეს რომ თეთრად მოჩანხართ,
და ცაცხვებში უცვლელად დიდებულადა დგახართ,
თუ დღეს შენსა მამულში სოპლიცები ცხოვრობენ,
თვის სიცოცხლეს ისინი სურას უნდა მადლობდნენ.
მსაჯულისა სტუმრებო! სუფრას როს მოუსხდებით,
სვით „სურას" სადღეგრძელო სანამ არ დაითვრებით.
უიმისოდ, მოსკალისგან სახლ-კარი დაიწვოდა
და სოპლიცა ლიტვაში აღარ იხსენებოდა.

პირველი იყო „სურა" რომელს ბორკილი ახსნეს,
ფეხთ მოსჩეხს ფიცარი და გაანთავისუფლეს.
შემთხვევა მას არ ჰქონდა თავი გამოეჩინა –
ამ ბრძოლაში, თუმცა მას, ვიცით რომ არ ეძინა.
ურემზე ნახა სურამ თოფი და ტყვიის ჩანთა,
ხოლო ბრძოლა არ სურდა და გვერდზე გადგა, რათა,
ამბობდა, რომ უზმოზე ბრძოლა არ შეუძლია,
თვის იმედიც არ ჰქონდა თუ არ დალეულია.
გასწია სარდაფისკენ, სად ბოთლები აწყვია,
შიგნით, კართან დააწყო თოფი და ჩანთიით ტყვია;

თაროზე დაინახა არაყით სავსე გუდა,
ყიას მისცა ნაკადი და კედელს აეყუდა.
საკმაოდ რომ დალია და ცოტად წაიხემსა,
გამოვიდა და სროლა დაუწყო მან მოსკალებსა.
მან თვალით შეაფასა ჯარისა წყობილება,
დაინახა, წინ მიდის და მიტომ არ შეება.
უცებ შამბებში შეძვრა, ჯინჭარს თავი ამოყო,
ეზოს შუა — იქ საცა ნიადაგია ნოყო.
ოდეს იგი წამოდგა, წამშივე დაინახა —
აივანზე მწოვარა, თითით მას დაუძახა.

ოთახში ზის სოფიო მწოვარისა ოცნება,
ქალს ხიფათი მოელის, კარს ხომ ვერ მოშორდება?
სოფიომ თუმცა უარით გააძევა ყმაწვილი,
მისთვის შეება იქნება სოფიოსთვის სიკვდილი.

„სურასთან" ჩაიმალა ჯინჭრის შამბში „მწოვარა"
მათ დაალაგეს ველზე რამდენიმე ყუმბარა,
ჯარი არ მოელოდა ასეთ ჩასაფრებასა,
მით უმეტეს, ყუმბარის ფეხში აფეთქებასა,
და ოდესაც მწკრივებში იფეთქა ყუმბარებმა,
დაჭრილებიც დატოვეს მოსკალის მებრძოლ ჯარებმა.
ეხლა იმათ დაეცა თავზე ჩვენი დამრტყმელი
ხოცავს, ქლეტავს ულმობლად, მოსკალს არა ჰყავს მაშველი.

რიკოვს ჯარი დაუფრთხა როგორც კრუხსა წიწილი,
ცდილობს რომ შეაგროვოს ჯარის მაინც ნაწილი,
ეშინია რომ შორე უკან არ დაიხიოს,
ხოლო იმაზე ფიქრობს, მტერმა არ მოიმწყვდიოს.
საფარი უნდა ნახოს ჯარის შესაკრებადა,
მწყობრი უკვე მოაწყო სწრაფად და საქებადა,
საბძელი შორით არის, იქ მისვლა არის ძნელი,
იქნებ გზაზე დაესხან, მანძილი არის გრძელი.
ლობესთან დაინახა დაფარული ადგილი,
ასეულის შეკრება იქ იქნება ადვილი,
მან სამჯერ გამოცვალა ჯარისა წყობილება,
რომ ყოველ მხრივ შეეძლოს იერიშის მიღება.
რიკოვმა წყობილების ოდეს გაშალა ფრთები,
დაინახა, იერიშით მოდიან ცხენოსნები;
ოდეს მოსკალი გაიქცა, გრაფი და მის ამალა,
კოშკიდან გამოვიდნენ და შორს არ იყო თავლა.
გრაფმა ბრძანა საჩქაროდ შეკაზმვა ცხენებისა

და ფიცხლავ გაექანა შველად სოპლიცებისა.
სროლაა სოპლიცოვში — იქ მიდის ნავარდითა,
გრაფი მხლებლებს მიუძღვის აღმართული ხმალითა.
ცხენოსნების იერიში ცეცხლით მიიღო რაზმმა,
ცა გაფატრა ვით ელვა ასმა ტყვიისა ხაზმა.
სამი დაჭრეს და ერთი მოკლული გადმოეარდა,
და გრაფს ცხენი მოუკლეს. ზარალი ამის გარდა,
არა იყო, ეხლა კი გრაფი არის ხიფათში,
რადგანაც ის მოსკალებმა ამოიღეს მიზანში.
გერვაზმა დაიყვირა, სურს რომ გრაფი დაფაროს,
ხოლო ბერი რობაკი, საიდანაც ამა დროს
გამოჩნდა და პორეშკო თავის ტანით დაფარა,
ცხენის ქვეშ გრაფი იწვა, გამოათრია ჩქარა.
რობაკი დაჭრილია, აზნაურებს კი ურჩევს,
დაფარულად ებრძოლონ ამ არამზადა მოსკალებს.
გრაფს ურჩია შეჩერდეს, უკეთესი დრო ნახოს,
ანაზდად მტერს დაეცეს და მოსკალი დაამარცხოს.
თადეოზია თოფის მსროლელი ჩინებული,
ხშირად მას უზალთუნი პაერში აგდებული
ტყვიით გაუხვრეტია, ეხლა დამიზნებული
თოფი ხელში უჭირავს, ჭას ამოფარებული.
ესროლა. დააგორა ერთი მოსკალი ზემდეგი,
უკვე ამოირჩია მოსკალი მტერი შემდეგი,
ორლულიანი თოფით ორი მოკლა ნაცვალი,
მხოლოდ უფროსებს ირჩევს, როდი ღალატობს თვალი
კაპიტანი რიკოვი მაიორს ეკითხება;
უფროსებს რომ გაჟლეტენ, შემდეგ როგორ იქნება?
უმეთაურო ბრძოლით ჯარი დაიფანტება
და ამას ღმერთმა იცის რა შედეგი მოჰყვება.

პლუტი იხმობს თადეოზს რომ გამოვიდეს ველად,
და თუ არის რაინდი გამოჩნდეს საბრძოლველად.
ეგ რა ვაჟკაცობაა საფარიდანა სროლა?
მებრძოლი მას მიქვიან, ვინ მტრის იცის გაყოლა.
თადეოზმა გასძახა: თვითონ რად იმალები?
შენ დგახარ ჯარის უკან, მე რაღად მემართლები?
მე შენ ყბაში გაგარტყი, ჯარი რა შუაშია?
გამოდი, ჩვენ შევებათ დამბაჩა ან ხმალშია.
ირჩიე იარაღი ნემსიდან ზარბაზნამდე,
და ნუ ფიქრობ რომ მე შენ, ბრძოლაზე არ დაგთანხმდე,
ხოლო თუ არ მიიღებ შენდამი თქმულ სიტყვებსა,
სათითაოდ ამოგჟლეტთ, ვით ხვრელში ბაჭიებსა.

ესა თქვა თადეოზმა და თოფი გაისროლა,
მწყობრის თავი მოკლა და ნაცვალთ თან დააყოლა.

რიკოვი პლუტს აქეზებს რომ გავიდეს ველზედა,
ეხლავ იძიოს შური ამ თავხედ ყმაწვილზედა,
და თუ სხვა ვინმემ მოკლა, ეს პლუტს როდი ეხება,
რადგან შეურაცხყოფა სამუდამოდ შერჩება.
პლუტს ურჩევს, თადეოზი ველზე გამოიწვიოს
და თუ დამბაჩით არა ხმალითა შეუტიოს.
რიკოვმა მოაგონა სუვოროვსა არა უთქვამს:
„ტყვიააო სულელი" მტრისთვის ხიშტით დაურტყამს.
და თუ არ გაიგონებ მე რასაც გეუბნები,
იგი ჯარს გაგიჟლეტავს, მიზეზი შენ იქნები.
პლუტმა უთხრა: „რიკოვო! ხარ ჩემი მეგობარი,
და მე ვიცი, რომ ხმალში არვინ გყავს შესადარი,
შენ გადი, შეებრძოლე, ხოლო თუ მეტყვი უარსა,
სხვა ვინმეს გავაგზავნი, მე ვერ დავტოვებ ჯარსა.
მე ვარ მათი სარდალი და მათი მბრძანებელი
ჩემ შემდეგ ვინ დარჩება რაზმისა ხელმძღვანელი?
პლუტმა თავისი გეგმა რიკოვსა დააჯერა,
რიკოვმა ჯარს უბრძანა და სროლა შეაჩერა.
შემდეგ ველზე გავიდა და ჰაერში აღმართა
მან თეთრი ცხვირსახოცი და თადეოზს მიმართა".
უთხრა: „მაშ დავადგინოთ პირობები ბრძოლისა,
გირჩევნია ხმალი თუ გაქვს სურვილი სროლისა?
და ორთავემ მათ დადვეს შეთანხმებით პირობა,
რომ ველზედ რაინდულად იწყონ ფარიკაობა.
ამ დროს მოეარდა გრაფი და ჩადგა იმათ შორის,
დაარღვია პირობა მათი ფარიკაობის".

გრაფმა თადეოზს უთხრა: „რიკოვს მე შევებმები,
ჩემს კოშკში შემოიჭრა, დამიტყვევა მხლებლები,
მაგას რომ გავუსწორდე, ეს არის ჩემი ვალი,
შენ მაიორს შეები — იქნება სამართალი.
ჩემს წინაპრებისადმი მე მაქვს მოვალეობა,
ვით „ბირბანტე როკაში" ჩავიდინო გმირობა".

ჯარში გასცეს ბრძანება — ეხლავ შესწყვიტონ სროლა,
ეზოს ყოველ კუთხეში შეჩერდა უკვე ბრძოლა;
ჯარი უცქერს, იქნება შებმა მათაურების,
ფალავანი კარგია თავად-აზნაურების.
(მტერს უნდა მიესალმო სანამ დაიწყებ ბრძოლას —
ხმლისა დახრით, ამითი ამტკიცებ აღზრდილობას).

ერთიცა და მეორეც ერთმანეთს მიესალმა,
გაისწორეს ქუდები და გაიელვა ხმალმა.
საბრძოლი გადიზომეს ველი ნაბიჯებითა,
მობრუნდნენ, ხტომა იწყეს ჩაკეცილ მუხლებითა.
ხმლის ფოლადმა იკვესა და გაისმა ჩხარია,
უბღვერიან ერთმანეთს, იწყეს ბრძოლა ცხარია.

მაიორ პლუტსა ჰყავდა ცნობილი ჯარისკაცი
სროლითა, გვარად გონტა — მეომარი მამაცი,
ყურში წაუჩურჩულა, თადეოზს მიუთითა,
საცა ის ველზე იდგა გატენილი თოფითა,
უთხრა: „გონტა! ხომ ხედავ ვაჟსა თოფით ხელშია?
ესროლე, თუ მოარტყამ ცხელსა ტყვიას ფენთხშია,
ოთხი ვერცხლის მანეთი იქნება ჩემგან ჯილდო;
გონტამ წამოიჩოქა, მუხლს იდაყვი დაიდო,
იგი რომ დაეფარათ, მოახურეს ფარაჯა,
ესროლა, თადეოზის ქუდს მოაგლიჯა ნამჯა".
აზნაურთ დაიყვირეს: „ეს ხომ მუხანათია?
დაარღვიეს პირობა დადებული მათია.
ეხლა ერთი დობჟინსკი კაპიტანს დაედევნა,
უნდა აჩეხოს იგი — სწადის მისი დაწევნა.
მოსკალმა სწრაფად შენიშნა და მოტრიალდა ჩქარა,
გაიქცა, თავს უშველა, ჯარს თავი შეაფარა.
დაავიწყდათ აზნაურთ რა ჰქონდათ საჩხუბარი,
მორიგების არც ჰქონდათ ხომ იმათ საუბარი!
უსიტყვოდ შეიკრიბნენ მოსკალთან საბრძოლველადა,
ასეთი არის წესი ჩვენში ძველისძველადა.
მიიტანეს იერიში, ჰკა მაგასო დასძახეს,
პოდჰაიცკის ტრიალი, აქ დობჟინსკებმა ნახეს.
ერთი ცელით გააპო და ორს თავი მოკვეთა,
არავინ გადაურჩა თუ ვინმე დაიხელთა.
სკოლუბამ დაინახა ბრძოლა დაუნდობელი,
თუმცა იყო დაჭრილი, დაატრიალა ცელი,
ვისაც მისწვდა მოთიბა როგორც ფეტვისა ყანა,
ჭრილობიდან სისხლი ჩქეფს, თვალი კი აქვს ყველგანა.
ამაოდ კი ცდილობდა მათე და ბერნარდინი,
რომ შეეჩერებინათ სისხლის ღვრაში ისინი".

ვოისკმა მიატოვა ბრძოლისა ასპარეზი,
ბაღისაკენ წავიდა, აილო რაღაც გეზი.
პროტაზი მას მიჰყვება, ვოისკმა მისცა ნება,
ბაღს რომ შემოუარეს, გზირსა გასცა ბრძანება.

ბაღში ღობისა ახლო, იდგა ბელების ხულა
ვფიქრობ, იმისა მსგავსი ქვეყნად არა ნახულა,
ბოძებია დამპალი, ერთ მხარეს გადახრილი,
ღობის და ხულის შორის, შამბებშიც იყო თხრილი
დაფარული. სახურავს მთლად ხავსი მოსდებია,
ბოძებზე როგორ იდგა, ძნელი გასაგებია.
ხულა რომ არ წაიქცეს მიუბჯენიათ სვეტი,
კედელთ ყოველი მხარე, წყდა კი იყო თვრამეტი.
სოპლიცოვში ეს ხულა იყო ყველის საწყობლად,
შიგ ქარი მიქრი-მოქრის მარაგისა საშრობლად.
მრავალი მცენარისა კონა დაკიდებული,
არის ხულის კედლებზე, — საწამლოდ დიდებული.
მრავალძარღვა და პიტნა, რას ვოისკის ასული
აგროვებდა ტყე-ველად, აქ არის შენახული.
სოპლიცას კი ურჩევდნენ ხულა რომ დაერღვია,
მსაჯული ამბობდა, რომ მას თვალი მიეჩვია.
ამიტომ შეუბჯინეს მუხისა დიდი სვეტი,
ხულა რომ არ წაიქცეს და რა სჭირდება მეტი?
სვეტის ძირში დაასვეს რცხილისა ოთხი პალო,
სანახავად შენობა იყო მეტად საბრალო.
დახრილი ხულა იდგა სვეტის დახმარებითა,
იქვე იდგა რიკოვი თვის ჯარისკაცებითა.

ზე ხსენებულ ხულისკენ ვოისკი იპარება,
პროტაზი იმას მისდევს, ხეებსა ეფარება,
მიჰყვებიან მსახურნი, მზარეულ – ლაქიები,
ყველანი გამბედავნი და არა ბაქიები.
ხულის დახრილ მხარეზე რიკოვი დამალული,
დანარჩენი ჯარითა ზის იქ ჩასაფრებული.
მოელის დრო იხელთოს, ჯარს აწყობს ღობის ძირში,
დგანან ჯარისკაცები ბრძანების მოლოდინში.

ვოისკი და პროტაზი ხაბაზ-მსახურებითა,
ხულას მიუახლოვდნენ ფრთხილად-ფეხაკრებითა,
და ოდეს მარჯვედ დადგნენ, შემოარტყეს ხელები,
ვოისკმა ანიშნა რომ გამოგლიჯონ სვეტები.
შენობის ნანგრევები ჯარს თავზე დააცვივდა,
საცა რიკოვი ჯარით ხელსაყრელ დროს უცდიდა.
რამოდენიმე მოკვდა, ბევრი იყო დაჭრილი,
ხოლო მსხვერპლი არ იყო არვის მიერ დათვლილი.

ეხლა მათ აზნაურნი თავს დაესხნენ ხმლებითა,
იერიშიც მიიტანა გრაფმა ცხენოსნებითა,

რვა მოსკალი თოფითა დგას, მათ ბრძანებლობს ზემდეგი,
ვინ იცის რა მოყვება იმათ სროლას შედეგი?
გერვაზი მათკენ გარბის ხელში თავის დანითა,
რობაკი დაედევნა, ეტაკა მთელ ტანითა,
ბერმა სარმა გამოჰკრა და ორივე წაიქცა,
თოფებმა იგრიალეს, ზემდეგი კი გაიქცა.
რვა მოსკალი ზემდეგს მიჰყვა, მიაშურეს საბძელსა,
შორიდან უცქერიან მის გაღებულ კარებსა,
გერვაზი დაედევნა, მოსკალებს შეჰყვა საბძელში,
თავგანწირული იბრძვის, ხმალს ატრიალებს ბნელში.

გერვაზი სისხლიანი ხმლით დადგა მოაჯირზე,
გამარჯვების ღიმილი მას გადაჰკროდა პირზე.
აზნაურთ გაიმარჯვეს, ჯარმა ველი დატოვა,
ერთი იბრძვის რიკოვი, მის საშველად ვინ მოვა?
პოდკომოჟი მოვიდა რიკოვთან და უთხრა მას:
კაპიტანო! ვუცქერდი შენს ბრძოლას და გმირობას,
ხოლო ეხლა კი გირჩევ, დაყარო იარაღი,
დაფიქრდი, დარწმუნდები, ჩემი აზრია საღი.
ნათქვამია: რომ სჯობს ჩაყოლა ჩათრევასა,
მგონი უკეთესია რომ მიჰყვე ჩემს რჩევასა.

პოდკომოჟის სიტყვებზე ჯერ რიკოვი დაფიქრდა,
სისხლში გასვრილი ხმალი, გადასცა და გაფითრდა,
შემდეგ უთხრა: ყოველი ეს ჩემზედ არის ახი,
მე სუვოროვმა მითხრა: „თუ რომ გებრძვისო ლახი,
უზარბაზნოდ იმათთან არ იბრძოლო აროდეს
და რასაც გეუბნები სამუდამოდ გახსოვდეს.
რა ექნა? ბრძოლამ გასტანა მეტადრე ცოტა ხანი,
ამის გარდა, არ მქონდა არც ერთი ზარბაზანი.
ეს სულ პლუტის ბრალია, ნება რთო ლოთობისა,
ჯარსაც ჰქონდა სურვილი ქეიფის — გართობისა;
პლუტი არის უფროსი, მეფეს ის გასცემს პასუხს,
მე თქვენი ძმობილი ვარ და თქვენ შემოგწირავთ სულს".

მოისმინა პროტაზმა პოდკომოჟის ბრძანება,
მოგროვება მკვდრების და მათი დასაფლავება,
დაჭრილებს რომ მიეცეს საჩქაროდ დახმარება,
ხოლო ვინც ჯანსაღია, იმათი დატყვევება.
პლუტი დიდხანს ეძებს, ვერავინ ვერა ნახა,
მხოლოდ ერთხელ გამოჩნდა ბრძოლა რომ დაენახა,
პირაღმა ჩაფლულიყო ვით თხუნელა ჯინჭარში,
უკანასკნელი იყო ეს თავდასხმა ლიტვაში

# წიგნი მეათე

## ემიგრაცია
## იაცეკი

### შინაარსი

რჩევა თუ როგორ გადაარჩინონ მებრძოლები
რიკოვთან მოლაპარაკება
გამოთხოვება
ჩინებული აღმოჩენა
იმედი

დილა დადგა უფერო, ქუში და სუსხიანი,
სველია ტყე და ველი, ჭალა კი ნისლიანი,
ღრუბელთა ნაგლეჯები თოვლის ზვავს მოგაგონებს,
ქარი მიერეკება იმათ დაფლეთილ ძონძებს.
ცა სამხრეთით სრულებით ღრუბლებით დაიფარა,
შემდეგ ქარმა დაბერა – დასავლეთს მიაყარა,
ღრუბელს გვერდი მოგლიჯა და მიწას დააბჯინა,
როგორც ზღვაზე იალქანს მიერეკება წინა.

ხან ბუნება ერთ წამით არის დადუმებული,
თითქოს კიდეც შეშინდა და დგას დამუნჯებული;
პურის ყანა წელან რომ ღელავდა – ბიბინებდა,
ეხლა ზრო გაუჩერდა და თავთავს არ ირხევდა.
გზის ნაპირას ტირიფი და ალვის ხე მაღალი,
როგორც ჭირისუფალი თმაგაშლილი მტირალი,
სამარის პირად მდგომი რომ იკაწრავს ლოყებსა,
ასეთ ქალს მოგაგონებს, როს ირხევენ ტოტებსა.
ეხლა დგანან ურყევად, დგანან ვით ქანდაკება,
ვითომ გლოვით მოსილნი, ხუთავს მგლოვიარება.
მხოლოდ წიფელას წვერზე ნაცრისფერი ფოთოლი,
ჩვეულებრივ ტრიალებს განუწყვეტლივ ობოლი.

საღამო ჟამს ნახირი შინ ხომ ზანტად ბრუნდება!
მაძღარს ლეზვი გადმოდის და ძლივს მოიზლაზნება,
ბინდზე, მორეკვის დროზე მწყემსი აგროვებს ჯოგსა,
საძოვარს შემოივლის, ხარ-კამეჩს წაჰკრავს ჯოხსა;
ეხლა მწყემსს არ უცდიან, ნახირი თვით გროვდება,
ბოსელსა და ქართაში დაფარვა ეჩქარება.

რქით მიწა გადაგაწრა — ბღუის, ბუღრაობს ხარი,
ძროხაც შინ მიიჩქარის, არ ახსოვს ნაცოხარი;
ტახი უკან ჩამორჩა, ღრუტუნებს ეს ღლაბუცა,
გზა-გზა იპარავს თავთავს, მაძღარი არის თუმცა.

ფრინველნი გრძნობენ ხოლმე როდის მოეა თქეშია,
დროზე თავს იფარავენ ღრმა და უღრან ტყეშია;
ყვავი არ ერიდება არც ყინვას, არც ავდარსა,
ყინვაშიც დაინახავ ხის კენწეროზე მჯდარსა.
მიწაზე გროვდებიან აქა-იქ ყვავთ გუნდები,
დინჯად დასეირნობენ ნისკარტ გაღებულები,
ქელავენ და მშრალ ენას აქიანებენ პირში,
და იფერთხავენ ფრთებსა აბანოს მოლოდინში.
ხოლო დღეს ყვავიც ეძებს ნახოს თავშესაფარი,
რადგან გრძნობენ ახლოა მომავალი ავდარი.
ეხლა უკანასკნელმა ჰაერს გაინავარდა
მერცხალმა და ვით ტყვია ძირს ისე ჩამოვარდა.

სწორედ ამ დროს დამთავრდა სისხლისღვრა სოპლიცოვში
ბევრმა სულიც დალია ამ უთავბოლო ომში.
ხოლო ვინც რომ გადარჩა ასპარეზი დასტოეა,
სახლს თავი შეაფაროს სანამ გრიგალი მოვა.

ცის კიდეზე ყვითელი მზე ანათებს აქამდე,
ღრუბელთ გაშალეს ჩრდილი როგორც ნასროლი ბადე,
თითქოს სურთ დაიჭირონ მზისა სხივები მკრთალი,
სანამ იგი იქნება სრულიად ჩამავალი.
მზემ სინათლე დაკარგა, დაიფარა ღრუბლებით,
დაბნელდა, თქეში მოდის ღვთის ნებით და უფლებით,
ისმის უკვე ქუხილი და მას მოსდევს გრიგალი,
აყრის წვიმისა წვეთებს როგორც სეტყვის კაკალი.

ქარმა მძლავრად დაბერა და მიწა მონახვეტი,
ჰაერში აღიმართა ვით აკროპოლის სვეტი.
აღმართული სვეტები არ იდგნენ დიდი ხანი,
ერთმანეთს შეეტაკნენ ვით ორი ფალავანი.
თითქოს დღესაც კი დაბნელდა, ადგა კორიანტელი,
ჯერ ადგილს არ იცვლიან ღონიერი აქეთ წელი.
კიდევ დაბერა ქარმა, ორთავე წააქცია,
სვეტები წალეკა და ტბისაკენ პირი აქცია.
ეხლა ტბას დაეტაკა მძლავრად ქარი მედგარი,
ზვირთების ხერხემალზე ადგა თეთრი ფაფარი.

დაეტაკნენ ტალღები ტბისა გაღმა ნაპირებს,
ალბათ ქარი გაჯავრდა და წალეკვას აპირებს.
ამოგლიჯა ხეები მძლავრი მსხვილ ფესვიანი.
ქარი ქრის და გაჰკივის გულშემზარავ ხმიანი,
გადაიქროლა ველი — ტყისკენ მიეშურება,
დღეს გრიგალი მსოფლიოს წალეკვას ემუქრება.
დაეტაკა ტყის კედელს და ირგვლივ უტრიალებს,
ტყემ კენწერო დახარა ვით ნადირი ღრიალებს,
წვიმა მხუის, ქარი ქრის, მიწას მოედო ბინდი,
ალბათ ასეთი არის ჯოჯოხეთში ამინდი.
ცა და მიწა შეერთდა წყლის მსხვილ ნაწნავებითა,
სიბნელე არის სქელი, თითქოს გრძნობ თითებითა.

ცას ნაგუბი გადმოსკდა ვით კოკიდან წყალია,
ჩანს რომ გაჯავრდა ზევსი და ჩვენზე გამწყრალია,
დაიჭექა და ელვამ გაარღვია ბნელი ცა,
მეხი დასცა და შემდეგ წამით დადუმდა ზეცა.
აქა-იქ იფატრება ცა ელვის ისრებითა,
შემდეგ კარს მიიხურავს შავ მძიმე ღრუბლებითა,
წვიმამ უფრო იმატა და თანდათან ბნელდება,
ასეთ ამინდში გარეთ ძაღლიც არ გაიგდება.

დღეს ასეთი ამინდი იყო კი სანატრელი,
სოპლიცოვში ყველასთვის მართლადაც ხელსაყრელი;
მოდიდებულმა წყალმა წალეკა გზა და ხიდი,
ნატრობენ, რომ სამი დღით გაგრძელდეს ეს ამინდი.
სოპლიცოვისა ბრძოლა - ხმა გაუვრცელებელი
დარჩება, რადგან, როგორც ციხე აუღებელი,
წყლით არის მამული ირგვლივ გარშემორტყმული,
და იქნებ თავს უშველოს ვინც არს დანაშაული.

დასისხლიანებული, დაჭრილი წევს კალმასი,
მის ლოგინთან კრებაა — საიდუმლო ბაასი,
მძიმე ავადმყოფია თუმც საღი აქვს გონება,
მსაჯულმა შეუსრულა ბერს ყოველი ბრძანება.
მოიხმეს პოდკომოჟი, დაუძახეს გერვაზის,
მოიწვიეს რიკოვი, ვოისკი სასთუმალს ზის.
ერთ საათზე მეტია რაც გაგრძელდა კამათი,
ეხლა რიკოვი ადგა, შეწყვიტა სიტყვა მათი.
ბაჯაღლო ოქროთი სავსე მაგიდას დადო ქისა,
თქვა: „თუ ვინმემ თქვენ გკითხოთ, გთხოვთ მოახსენოთ ესა,
რომ პოლონეთში ხმაა, ქურდია ყველა მოსკალი,

და რომ არვის არა აქვს მთელს მოსკალეთში ნამუსი,
მაგრამ თქვით, რომ იცნობდით ნიკიტას – ნიკიტიჩსა,
მოსკალის ჯარის კაპიტანს, რიკოვს, გამტანსა ბიჭსა,
რომელიც რომ გმირობით იყო გამოჩენილი,
რვა ჯვარი გულზე ჰქონდა, მეცხრეზე წარდგენილი.
ბევრს ბრძოლებში ნამყოფი, იზმაილოვ და ნოვსა,
ოჩაკოვში, ციურიხში, პრეისიჟ და ილოვსა,
ჯვრების გარდა, მადლობა სამჯერ ფელდმარშალიდან,
ბრძანებაში ხსენება თვით იმპერატორისგან.
თქვით, რომ კარგად იცნობდით ამ არაჩვეულ პირსა,
მეფის მიერ ნაქებარს და გამოჩენილ გმირსა".

რობაკმა რიკოვს ჰკითხა წამოწყებულ სიტყვაზე,
„რა მოგველის თუ რომ შენ არ თანხმობ პირობაზე?
შენ ხომ სიტყვა მოგვეცი რომ საქმეს მოაგვარებ?
მიიღე საჩუქარი, ჩვენ ამით გაგვახარებ".

მოსკალმა პასუხი მისცა არ თავის საქებადა,
უთხრა: „გავიმეორებ მე დასამტკიცებლადა
რაც გითხარით და ამით მგონია დარწმუნდებით,
რომ მე არ გეკედლებით ცბიერი მოტყუებით.
აბა თქვენი დალუპვით მე რა მაქვს სარგებელი?
ლახებო! თქვენ მიყვარხართ, თქვენა ხართ საქებელი,
პურმარილი იცით და ბრძოლაშიც ხართ მედგარი;
თუმცა დღეს დამამარცხეთ და გამიჟლიტეთ ჯარი,
მარგამ ჩვენ გვაქვს ანდაზა და არის უტყუარი:
დღეს მეხრე ხარ, ხვალ თეითონ უღელს ქაჩავ ვით ხარი
დღეს შენ სცემ, ხვალ შენ გცემენ, ბედი ცვალებადია,
მდიდარი ხარ, დაკარგავ თუ რაც რომ გაბადია,
უპუროდ და ლატაკად შენ უეცრად დარჩები,
ხოლო საქმეს წაგებულს, ნუღარ გაუჯავრდები.
ციურიხში ჩვენს ჯარებთან მეც ხომ ბრძოლა წავაგე?
აუსტერლიცში სულ მთელი ასეული დავკარგე,
რაცლავიცისა ბრძოლა ჩემი იყო შემდეგი,
მწყობრი მყავდა, ვიყავი მაშინ მხოლოდ ზემდეგი,
ცელებით ამიჩეხეს პოლონელებმა ჯარი,
ხოლო ბრძოლის წაგება სასირცხო ხომ არ არი?
მოკრონოვსკიმ ალმართა ჰაერში ბასრი ცელი,
და ზარბაზნის მსროლელსა დაჰკრა, მოკვეთა ხელი.
მე ხიშტით მოვტრიალდი, ორი იქვე მოვკალი,
ასე არის, ხან შენ და ხან სხვას წყალობს იღბალი.
მოსკალისთვის მოსკოვია და თქვენთვის პოლონეთი,

ხოლო მე ვინა მკითხავს აზრი რომ ვთქვა ასეთი?
მიყვარს მე პოლონეთი, მომწონს პოლონელები,
ხოლო მეფისა არის – სხვა განკარგულებები.

მსაჯულმა რიკოეს უთხრა: „გიცნობთ ამდენი ხანი,
რომ სიტყვის ბატონი ხარ, ძლიერ პატიოსანი,
ხოლო ნუ განრისხდები ამას გთხოვ მეგობარო,
რომ ჩვენ შემოგთავაზეთ ქისა - ბაჯაღლო ოქრო;
არა მიტომ რომ ჩვენ გვაქვს აზრი რამ დაფარული,
არამედ, იმიტომ რომ, არა ხარ შეძლებული".

რიკოემა უპასუხა: „დავკარგე ასეული,
ხოლო მე არ მიმიძღვის მასში დანაშაული,
პლუტი იყო უფროსი, მეფეს ის მისცემს პასუხს,
ოქრო წაიღეთ უკან, ჩემზე ნურავინა სწუხს.
გახლავარ კაპიტანი, კარგი მაქვს ჯამაგირი,
არ მინდა შევირცხვინო ფულისთვის სადმე პირი,
თუთუნი და არაყი აროდეს დამკლებია,
და ფული მაქვს თუ არა, თაეი რა საქებია?
მე მიყვარს თქვენთან ყოფნა, ქეიფი, დროს ტარება,
ოდეს თქვენ შორის ვზივარ, ბოლმაც არ მეკარება;
საქმის გამოძიება ალბათ აქ დაიწყება,
მე ვიქნები თქვენს მოწმედ, ეჭვი ნუ გეპარება.
ვიტყვი რომ აქ მოვედით სოპლიცოვში სტუმრადა,
პლუტი დათვრა, მასპინძლებს ის მოეპყრო მტრულადა,
მოაწყო ჯარი, ბრძანა, ჯარსა დაეწყო სროლა,
რამაც გამოიწვია სასირცხვილო რამ ბრძოლა.
მაგრამ სასამართლოსთვის თქვენ ნუ დაზოგავთ ფულსა,
პლუტსა მიეცით ოქრო, მოიგებთ იმის გულსა,
იგი უფროსი არის, ფულით აუკრავთ პირსა,
და ამგვარად, ყველანი გადაურჩებით ჭირსა.
იგი დარჩა ცოცხალი და ის ყველას დალუპავს,
ჩვენ კი დროზე ვიფიქროთ თუ როგორ ვუშველოთ თავს.
მოციქულად ვაფრინე პლუტთან მე აზნაური,
გრძელი ხმლით რომ დადის, გრაფისაა მსახური;
პლუტს მოელაპარაკოს და საქმე მან გაჩარხოს,
რას ფიქრობს, რას აპირებს, გაიგოს და თვით ნახოს".
გერვაზი დაინახა რიკოემა, დაუძახა,
დაეკითხა თუ პლუტი გერვაზმა უკვე ნახა,
გერვაზმა მას ანიშნა რომ საქმე მოაგვარა,
ხოლო მეტი კითხვებით მოხუცი გააჯავრა,
მაგრამ მან ფიცი მისცა საყვარელ დანაზედა,

რომ პლუტი კრინტს არ დაძრავს დღეიდან არაზედა.
სიმართლის კი არ სურდა მოხუცს აღიარება,
მიტომ, ხელის ჩაქნევით დასრულდა აღსარება.

გერვაზის სიტყვებიდან ეს აშკარად მოჩანდა,
რომ პლუტი მოკლულია, გვამსაც ვერვინ ნახავდა.
რიკოვმა თქვა ანდაზა: „ამოდენი წელიო,
მგელს გაჰქონდა, ეხლა კი, გაიტანეს მგელიო.
პოდკომოჟმა დაურთო: „Requiescat in pace!”.
მსაჯულმა თქვა: „ღმერთსა ვთხოვ, ცოდვილი რომ არ დავრჩე,
ვაღიარებ ამ სისხლში ხელი არ მირევია.

მღვდელი ლოგინს წამოჯდა, თვალები აემღვრია,
გერვაზის მიაცქერდა და უთხრა გულმოსულმა:
„მკვლელობა აგვიკრძალა წმინდა ქრისტესა რჯულმა?
ეს არის დიდი ცოდვა და ამგვარად ტყვის მკვლელი,
ღვთის წინაშე იქნება პასუხისა მგებელი,
მხოლოდ ერთს შემთხვევაში გექნება კი შენდობა,
თუ „pro publico bono” იყო კაცის მკვლელობა.
დარცხვენილმა გერვაზმა მღვდლისკენ თავი დახარა,
მამაო! „Pro publico bono!” — მან აღიარა.

მეტი არავის უთქვამს სიტყვა პლუტ მაიორზე,
ხოლო დაიწყეს ძებნა გვამისა ალიონზე,
მნახველისათვის იყო ჯილდოცა დანიშნული,
თუ სადმე იქნებოდა პოვნილი ან ნახული.
უშედეგოდ დაკარგეს დრო დიდიხნის ძებნაში,
თითქოს აფრინდა ზეცას, ანდა ჩაინთქა წყალში;
დღემდე არავინ იცის თუ პლუტს რა მოუვიდა,
მხოლოდ გერვაზი იყო ხვაშიადს რომ ფარვიდა.
ვოისკმაც იცოდა დაწვრილებით ეს საქმე,
ხოლო ვით მუნჯი სდუმდა ოდეს ჰკითხავდნენ ხოლმე.

რიკოვთან დაამთავრეს მათ მოლაპარაკება,
რობაკმა მოინდომა აზნაურთა შეკრება,
რადგან მას მოითხოვდა ეხლა გარემოება,
რომ მათთვის განემარტათ საქმისა ვითარება.
პოდკომოჟი წამოდგა, თქვა სიტყვა ზრდილიანი,
დაიწყო: „გუშინდელი დღე იყო იღბლიანი
ჩვენთვის, რადგანაც მტერი საშინლად დავამარცხეთ,
აქ ხომ სიტყვაც მეტია, თქვენ თვითონ დაინახეთ!
ხოლო დაუფარავად უნდა გითხრათ შემდეგი,

რომ გაითვალისწინოთ ამ ბრძოლისა შედეგი.
აქ უდანაშაულო ჩვენ არავინ არა ვართ,
რობაკი ავრცელებდა ხმას არ დასაფარავად,
რაც გერვაზის მოესმა, მან გააერცელა ხალხში,
და ამიტომ ყველანი გარეული ვართ ბრალში.
ხოლო ვისაც მეტი აქვს ჩვენში დანაშაული,
ლიტვა უნდა დასტოვოს, ალბათ ხართ გარკვეული!
თადეოზო! სურა და მათე! თქვენ აიკრიფეთ,
სამეფოში გადადით, თავი გადაირჩინეთ.
ჩვენ ბრალს დავსდებთ პლუტსა და ყველა გადახვეწილებს,
ოჯახის დარდი ნუ გაქვთ, დაგიცავთ ცოლთ და შვილებს.
მგონია, რომ დიდი ხნით არ გამოგეთხოვებით,
აყვავებულ ლიტვაში გაზაფხულზე დაგხვდებით.
ჩანს რომ თავისუფლების დადგება განთიადი,
და ბორკილებს მოიხსნის ჩვენი ერი დიადი.
ეხლა გემშვიდობებით თქვენ ყველას ვით ლტოლვილებს,
ხოლო ჩვენვე მიგიღებთ როგორც სამშობლოს გმირებს.
მსაჯულისგან მიიღებთ რაც გჭირდებათ სამგზავროდ,
მე ფულს არ დაგიზოგავთ, ყველას მოგცემთ საკმაოდ".

გრძნობდნენ, რომ პოდკომოქის რჩევაა დიდებული,
იცოდნენ, რუს მეფესთან ვინ არს წაკიდებული,
ამ ქვეყნად არ ექნება აროდეს მოსვენება,
და მან უნდა იბრძოლოს, ან ციმბირში მოკვდება.

პოლონელი ყოველგან არის იმით ცნობილი,
სიცოცხლეს ურჩევნია მხარე სად არს შობილი,
და მზად არის დასტოვოს მან თავისი სამშობლო,
გადიხვეწოს, ებრძოლოს ხალხს, ბედისწერას, ხოლო,
მედგარია და მძლავრი სანამ აქვს შთაგონება,
რომ მამულისთვის იბრძვის და ერს ემსახურება.

დაადგინეს, რომ ყველა ერთად გაემგზავრება,
მხოლოდ, ერთი ბუხმანი იმათ არ ეთანხმება.
რადგან ის დინჯი იყო, ბრძოლას არ ჩარევია,
გაიგო, რომ კრებაზე საქმე გასარჩევია,
საჩქაროდ მოირბინა, სურდა გამოცვლა გეგმის,
ხოლო დრო არვის ჰქონდა, მის სიტყვა არვის ესმის.
უნდოდა რომ გაეგო ლტოლვილთ რა აქვთ მიზნადა,
ოჯახებს რა მოელის და სად წაელენ ხიზნადა,
ლტოლვილებს თუ აქვთ ფული, ან ნუზლი ან საგზალი,
დაიწყო რჩევა, ახსნა, არისო ჩვენი ვალი,

ხოლო არეის სცალოდა სმენად მის სიტყვებისა,
ყველამ შეკვრა დაიწყო თავიანთ აბგებისა.

მსაჯულმა თადეოში ცოტა ხნით შეაჩერა,
რობაკთან მიიყვანა, უთხრა: თუმც იცი-მჯერა
რაც რომ გუშინ გაიგე ჩვენის ლაპარაკითა,
თადეოში იდაგვის დიდი სიყვარულითა.
წასვლის წინ მოითხოეოს ჩვენგან სოფიოს ხელი,
ტელიმენას ვუთხარი ჩემი აზრი წუხელი,
წინააღმდეგი არ არის იმათ ქორწინებისა,
სოფიოც თანახმაა სრულად ჩვენის ნებისა,
და თუ დღეს არ იქნება გადახდილი ქორწილი,
დანიშვნა მოვაწყოთ და დავამშვიდოთ ყმაწვილი.
ვიცით თუ როგორია სიმტკიცე ყმაწვილისა,
ხშირად უნდა გასინჯვა აკრძალული ხილისა,
ხოლო ოდეს შეხედავს, რომ ხელზე აქვს ბეჭედი,
სიმბოლოა ქმრობისა და ოჯახობის ბედი,
წამში გაუნელდება გულში ვნების ალმური,
დამერწმუნე, ბეჭედი როდი არის უძლური.

ოცდაათი წლის წინათ ვიყავ შეყვარებული,
ვხარობდი, მართას გულიც მქონდა მე მოგებული,
დავინიშნეთ, ღმერთმა კი არ ინება დალოცვა,
სიკვდილმა ის წამართვა, მე მწუხარითა მომცვა.
მართა იყო ვოისკის ასული, მშვენიერი,
ჰრეჩეხის, მეგობრისა, დღეს რომ არის ხნიერი,
ოქროს ბეჭედს რომ ვხედავ, თვალწინ მიდგას ასული,
თუმცა ამა ხანიდან დიდი დროა გასული.
ღმერთსა ვმადლობ, რომ მისი დღემდე დავრჩი ერთგული,
ქმრად აროდეს ყოფილი — ვარ კი დაქვერივებული;
მართას უმწიკვლო ხსოვნა ჩემთვის არის ძვირფასი,
თუმც მეორე ასული ვოისკის — ჰრეჩეხასი,
პირით და კოპწიობით სრულიად მართასა ჰგავს
რომ მე ცოლად შემერთო, მიზნად არ დამისახავს.

მსაჯული რომ ჰყვებოდა თავის თავგადასავალს,
ბეჭედს ცქერდა, იწმენდდა ცრემლებს — თვალთგადმომავალს.
რობაკს ჰკითხა: „მითხარი ძმაო თუ ხარ ყაბული,
რომ იმათი დანიშვნის დღეს ვქმნათ დღესასწაული?".

თადეოზს სიხარული ხუთავს ვით ციეი ღადო,
ბიძას დაეკითხა: „როგორ გადაგიხადო

ჩემზე ამდენი ზრუნვა და ჩემს ბედ-იღბალზედა?
ალბათ არვინ იქნება დედამიწის ზურგზედა
ჩემზე უბედნიერესი, თუ სოფიო თანხმდება,
რომ იგი დაინიშნოს და ჩემ ცოლად გახდება.
ვიცი, დღეს ეს ძნელია და სწრაფად არ მოხდება,
რადგან ასეთ საქმეში ბევრია დაბრკოლება.
ხოლო თუ კი სოფიოს აქვს დაცდისა სურვილი,
მამულისადმი ვალი მექნება გადახდილი –
ოდესაც დავბრუნდები, მოგთხოვ სოფიოს ხელსა,
ამისრულებ პირობას? გამინათებ მე ბნელსა.
ამ ხანაში სოფიომ გამოსცადოს თვის გრძნობა,
სიტყვა რომ ჩამოვართვა, იქნება უხეშობა.
იქნება სოფიოსაც სხვა ვინმე შეუყვარდეს,
სანამ მე დავბრუნდები იქნებ კიდევ გათხოვდეს;
არ მინდა რომ შევზღუდო მოცემული სიტყვითა,
იქნებ გრძნობაც იცვალოს მის გულმა გათიშვითა?
მე მსურს სოფიოს შერთვა, ბიძა! ეს გახსოვდეს,
დავბრუნდები, ისურვებს? მაშინ ჩემზე გათხოვდეს".

დაამთავრა ყმაწვილმა თავისი აღსარება –
რაც რომ სათქმელი ჰქონდა და გულში იგრძნო შვება.
შემდეგ ფერი ეცვალა, თვით არ იცის რა მოხდა,
თავი ვერ შეიკავა და ცრემლები წამოხდა.

მთელ ამ ხანში სოფიო მეორე ოთახიდან,
განუწყვეტლივ უჭვრეტდა კარის ჭუჭრუტანიდან.
ოთახში მსახურია, თადეოზი და ბერი,
სოფიომ გარშემო დაზვერა ყველაფერი,
მათ შორის არვინ არის უცხო სტუმართაგანი,
სოფიო ყურს უგდებდა ლაპარაკს დიდი ხანი.
გაიგონა რომ არის ვაჟი შეყვარებული,
ხოლო ვერ გაერკვია, რად არს ატირებული?
სიყვარულის მოსმენა სოფიოს გაუხარდა,
ხოლო ვერ გაერკვია, რისთვის? რად შეუყვარდა?
თადეოზის ცრემლებმა აალელვეს ასული,
პირველი სიყვარულით მას აუძგერდა გული,
ხოლო ვაჟს თუ ის უყვარს, ეს ჯერ ვერ გაუგია –
როდის მიდის? ვაჟის ქცევა ასეთი აუგია.
სწრაფად შემოტრიალდა, გაქრა ვით მოჩვენება,
დაბრუნდა, და არ ჰკითხა მსახურსა შესვლის ნება,
ოთახში შეირბინა. უკვე მიემგზავრებით?
დაეკითხა თადეოზს ბავშვური მორიდებით.

მინდა ერთი რამ გთხოვოთ გამოთხოვების ჟამსა,
ვფიქრობ, მიიღებ ჩემგან თილისმას და ამ ხატსა.
ხატი ჩემდა სახსოვრად, წმინდა იოსებისა,
ოჯახობის მფარველი და დანიშნულებისა.
ღმერთმა გზა დაგილოცოს, მოგცეს ბედნიერება,
ოდეს აქ დაბრუნდები, სოფიო შეგეყრება.
ქალწულს ფერი ეცვალა და დახუჭა თვალები,
გადმოღვარა ცრემლები — მსხვილი მარგალიტები.

თადეოზმა მიიღო სოფიოს საჩუქარი,
ხელზე აკოცა, უთხრა: „ჩემი წასვლის დრო არი,
გთხოვ, რომ ილოცო ჩემზე, არ დამივიწყო ვინძლო
სურდა მეტი რამ ეთქვა, საბრალომ ველარ შეძლო.

გრაფი და ტელიმენა, შეუმჩნეელად, ოთახში
შემოვიდნენ ანაზდად, გამოთხოვების წამში.
გრაფი ცოტად აღელდა და უთხრა ტელიმენას;
დიდ გრძნობას იწვევს ხოლმე, როს ვხედავ ცრემლის დენას,
ოდეს მხედრისა გული, ქალის გულს ეთხოვება,
როგორც ზღვაში ხომალდი, როს ნავს ჩამოშორდება.
არაფრით კაცის გულის არ იქნება დაჩაგვრა,
თუ მან არ განიცადა საყვარლისა დაკარგვა.
დრო, — ეს დიდი ქარია, ჩააქრობს სანთლის ალსა,
ხანძარი ძლიერდება, ოდეს ცეცხლი გრძნობს ქარსა,
ჩემს გულსაც უკეთ ძალუძს შორიდან სიყვარული,
თადეოზ! ბოდიშს ვიხდი, ფიქრი მე მქონდა მტრული,
და იმიტომ მივმართე საფარიკაოდ ხმალსა;
ვფიქრობდი ორთავენი ჩვენ ვეტრფით ერთსა ქალსა.
ტელიმენას გულს ვაძლევ, ვხედავ ჩემსა შეცდომას,
მტერზე ჩვენ გადავიტანთ აქამდე ჩვენსა მტრობას,
ამით მე დღეს ვამთავრებ ამდენი ხნის დაობას,
შევეჯიბროთ, რომელი დავიცავთ ერთგულობას.
ჩვენ სატრფონი დავტოვოთ და გამოუდგეთ მტერსა,
და შევებათ მტრის ხმალსა და მის შუბისა წვერსა.
მე ტელიმენას ვუძღვნი ჩემსა გულსა სავსებით,
ტელიმენამ შეხედა გრაფს დიდი გაკვირვებით.

მსაჯულმა თქვა: „არ ვიცი გრაფო! სად მიბრძანდები?!
შენს მამულში დარჩი და უზრუნველი იქნები
მთავრობისგან ადვილად თავსა გამოიყიდი,
და ამისთვის ხარჯებიც როდი იქნება დიდი!
თავი რომ დაიფარო, თანხა არ დაგაკლდება,
მთავრობა დათანხმდება, — მადლიერიც გახდება".

გრაფმა თქვა: „ასეთი რამ, მე არ შემეფერება,
საომრად მინდა წასვლა, არ მფერის ქალის ხლება.
შეყვარებულს, გმირობა მომანიჭებს შვებასა,
ძლევამოსილი — ვიწყებ, შორით სატრფოს ქებასა".

ტელიმენამ გრაფს ჰკითხა: „თქვენ რად მიემგზავრებით
აქ დარჩით, ერთმანეთის სიყვარულით დავტკბებით,
არ მგონია რომ გქონდეს მიზეზი გაქცევისა,
გზაში მგზავრსა ხომ ხშირად მარცხიც შეეყრებისა?
„უცხო მხარეს მსურს წასვლა, მივყავარ წინათგრძნობას,
დავბრუნდები, გაიგებთ იქ ჩადენილ გმირობას,
ბოლოს, ხომ ამ ყმაწვილმაც მაგალითი გვიჩვენა,
თვით მიდის, მეც არ მშვენის საყვარელთან დარჩენა.
კარგია გამოვცადო გული დაბრკოლებებში,
ცვალებად ილბალში და მკაცრ და მწვავე ომებში,
ვით „ბირბანტე როკკაში მაქვს სახელი განთქმული,
აქაც მინდა რომ მქონდეს ქება დიდი მორჭმული.
მინდა ყველამ იცოდეს გმირ ჰორეშკოს სახელი,
დაამთავრა და მარდად ხმალზე გაიელო ხელი".

რობაკმა უთხრა: „წადი, ვერ აგიკრძალავთ წასვლას,
ხოლო ფული წაიღე და მოგაგონებ ამას,
რომ რაზმი შეადგინო - ვით ფეოდალმა წყვილმა,
ელადიმირ პოტოცკიმ და დომინიკ რადზივილმა;
პოტოცკიმ მილიონი გადასცა ჩვენს სალაროს,
უკეთესად სარდალი კაცმა რით გაახაროს?
რადზივილმა კი სამი რაზმი ცხენოსნებისა,
თავის ხარჯზე მოკაზმა — ღირსად გაკვირვებისა".

ტელიმენამ შესცქირა მწუხრიანი თვალებით,
ხელიც აუკანკალდა ვითომდა აღელვებით,
და გრაფს უთხრა: რაინდო! შენი დადგენილება,
ვხედავ, არაფრის ძალით რომ აღარ შეიცვლება.
(საკინძს ჩამოიგლიჯა მან წითელი ზონარი,
და მანდიკურად გულზე მიაკრა სახსოვარი).
უთხრა: „ატარე ასე, ჩემსა მოსაგონებლად,
დაიხსოვნე ვინც მოგცა მტერზე წასაქეზებლად,
და ოდესაც იერიშით წახვალ მტრის ზარბაზნებზე,
ან გაშლილ წყობილების ბრჭყვიალა შუბს და ხმლებზე.
ოდესაც ხმლის ნაჩეხით მუზარადი, ჯავშანი,
აღნიშნული გექნება აქა-იქ ვით ქამანით,
რაინდისა გექნება შენ განთქმული სახელი,

დაბრუნდი და დაგხვდები. გრაფს გაუწია ხელი.
გრაფმა წამოიჩოქა აღზრდილური ქცევითა,
ტელიმენას აკოცა ხელზე მოწიწებითა;
ცხვირსახოცი იფარა ქალმა მარჯვენა თვალზე,
(ვითომ სტირის). მარცხენით — გრაფს დასცქეროდა თავზე.
გრძნობიერი კი იყო გრაფის გამოთხოვება,
ხოლო ტელიმენასი — უსაზღვრო განცვიფრება.

მსაჯულმა გრაფს შესძახა: წადი და აიბარგე.
რობაკმა მკაცრად უთხრა: „მალე გადაიკარგე,
რომ არვის მიერ აქა არა იყო ნახული,
ტელიმენა აქამდე იდგა განცვიფრებული.

თადეოში ბიძას ცრემლით გამოეთხოვა,
რობაკს ხელზე აკოცა და გზის დალოცვა სთხოვა,
ბერმა ჯერ გულს ჩაიკრა, ლოგინზე მოიჯდინა,
შემდეგ, თავზე ხელები გადაუჯვარედინა,
ზეცას თვალნი აღაპყრო, ვაჟი ღმერთს მიაბარა,
გაისტუმრა, ატირდა, თვალთ ხელი მიიფარა.
მსაჯულმა რობაკს უთხრა: ძმაო! როგორ იქნება?
ყმაწვილი მიდის, შენ კი არა გსურს გამჟღავნება,
რომ შენ ხარ მისი მამა! ეხლა მაინც უთხარი,
შეიძლება ვერც ნახო ცოცხალი ვერცა მკვდარი.
გაიგოს მაგ საბრალომ, რომ ჰყავს მამა — მშობელი,
ხალხისთვის დამალული, შენ, ბერნარდინი — მღვდელი.
— ძმაო! თადეოშია ჩემი კაკალი შვილი,
ხოლო არაფერს ვეტყვი, რადგანაც ვარ ცოდვილი,
მან რად უნდა გაიგოს რომ მამაა კაცის მკვლელი,
ალიკვეცა ბერად და, შინ დაბრუნდა ვით მღვდელი?
შენ თავზედა იფიქრე. მსაჯული შეეხვეწა,
სნეული ხარ, ძნელია სადმე შორს გადახვეწა;
ოდესღაც შენ მითხარი, რომ გყავს შენ ნაცნობები,
ვისთან თავს შეაფარებ, და სად დაიმალები.
ეტლი ცხენებ შებმული შენ უკვე გელოდება,
რასაც ბრძანებ, სურვილი შენი წამს ასრულდება.
რობაკმა უთხრა: „ძმაო! დამალვისა მაქვს მე დრო,
ხოლო ეხლა სხვა რამ მაქვს სადარდო და საფიქრო,
აბა! აფრინე გზირი, რომ მოიყვანოს მღვდელი,
და უთხრას, რომ რობაკი ჰყავს საზიარებელი.
ბარძიმი და ფეშხუმი თან უნდა მოიტანოს
და ეხლავე საჩქაროდ მე უნდა მაზიაროს.
ოდეს გზირს გააგზავნი, კარს გადუკეტე რაზი,

და შინ არვინ დასტოვო, მხოლოდ ერთი გერვაზი.
მსაჯულმა შეასრულა რობაკის ბრძანებები,
მოიხმო გერვაზი და, გადარაზა კარები.

ჯერ სრულიად უსიტყვოდ გერვაზს უცქერის მღვდელი,
ჩანს რაღაც ხვაშიადი აქვს მისთვის გასამხელი,
გამომეტყველება კი, რობაკს აქვს ლმობიერი,
თუმც გერვაზი უცქერის როგორც მგელი მშიერი.

ბოლოს, ორთავე ხელი რობაკმა პირში იცა,
და თქვა ვით აღსარება: „ვარ - იაცეკ სოპლიცა".

ხშირად კლდოვან გორაკსა ნაპრალი ჩამოსკდება,
რაღაც ძალით ჰკიდია და ღრეში არ ვარდება.
ვით ამა კლდის ნაპრალი ჰაერს დაკიდებული,
გერვაზი დაეკიდა თვის ხმალს გაფითრებული.
საბრალოს მღვდლის სიტყვები ვითომდა არც კი სჯერა,
პირი გააღო, რობაკს თვალები მიაშტერა.

როს დაჭრილი ფოცხვერი ტყეშია განაბული,
კუდს იქნევს, მონადირეს უცდის ჩასაფრებული,
რომ სწრაფად დაეტაკოს, ამ ფოცხვერს ჰგავს გერვაზი,
განუწყვეტლივ ბერს უცქერს და ყელს უხუთავს ბრაზი.

გერვაზ! უთხრა რობაკმა, გაფიცებ იმის სახელს,
რომელიც რომ დატანჯეს, ულმობელად ჯვარს აცვეს,
და ოდეს ჯვარზე იყო ღვთისა შვილი გაკრული,
თვის მკვლელებიც დალოცა და განუტევა სული,
და რომელმაც მსოფლიო გამოიხსნა ცოდვიდან,
ავაზაკიც დალოცა გოლგოთაზე ჯვარიდან;
შეევედრა ავაზაკმა გულში ღვთის ღრმა რწმენითა,
მომიხსენე როს მოხვალ სუფევითა შენითა,
ქრისტემ მას მოუსმინა, მიუტევა ცოდვები,
და მეც მისი სახელით შენ ეხლა გევედრები,
მოისმინო ეს ჩემი შენდამი აღსარება,
და შემდეგ იმას იზამ, რაც შენ მოგესურვება.

მოიგონა რობაკმა სტოლნიკის მეგობრობა,
და მის ასულისადმი სიყვარულითა დნობა,
შემდეგ ამა მიზეზით სტოლნიკთან წაკიდება,
მთელი თვისი ცხოვრება, მთელი უბედურება.

ხან შესწყვიტავს, და წამით მოგონებას ივიწყებს,
მაგრამ ამოიოხრებს და ხელმეორედ იწყებს.

გერვაზმა კარგად იცის ჰორეშკოთა ამბები,
მოიგონა რაც ბერმა მოახსენა — ნაკლები,
და თვის მახსოვრობაში იგონებდა თარიღით,
რა მოხდა, როგორ იყო ამბები თავის რიგით.
გაფითრებული ბერი, ჩანს რომ ძლიერ იღლება,
და ბერისა სიტყვები მსაჯულს არ გაეგება.

გერვაზ! გახსოვს სტოლნიკი მე ხშირად მპატიჟობდა?
ხშირად ვსვამდით ერთად და ჩემთან მუსაიფობდა,
ოდეს სავსე ფიალით ჩემს სადღეგრძელოს სვამდა,
ჩემზედა უკეთესი მეგობარი არ ჰყავდა.
ოდეს სტუმრები ცქერდნენ, მე რომ მომეხვეოდა,
ფიქრობდნენ, რომ თავის სულს ნახევრად გამიყოფდა.
მან იცოდა ჩემს სულში და გულში რა ხდებოდა;
ის იყო მეგობარი?! ასე რად მექცეოდა?!

ამ დროს მთელმა ჩვენმა მაზრამ მე ამიღო ენაზე,
ყველა ლაპარაკობდა იაცეკ სოპლიცაზე,
ამბობდნენ: „მოაჯირი სტოლნიკის არს მაღალი,
მერიქიფეთუხუცესს, რომ მიათხოვოს ქალი.
სიტყვებს ბანზე ვაგდებდი და ყველას დავცინოდი,
და დიდგვარიშვილებსაც თავსა ვუხრიდი როდი;
ვამბობდი: „ჰორეშკოსთან მე ვარ მეგობრულადა,
ხოლო ჩემს გვარისა სწორს, მე შევირთავ ცოლადა.
ყოველი ჩემი სიტყვა ჩემსავე გულს კაწრავდა,
მსოფლიო იყო ჩემი, ვიყავი ახალგაზრდა.
იცი, რომ ჩვენს მხარეში ვისაცა აქვს წოდება,
იგი გვირგვინოსანსაც კი არ დაუვარდება.
ტენჩინსკიმ ხომ შეირთო მეფისა ქალიშვილი?
მეფემ თამამად მისცა, ეს არ იყო სირცხვილი!
და ტენჩინსკის სოპლიცა რითი დაუვარდება?
ტვიფარით, სისხლით, გვარით და ზნით, — გვაქვს შედარება.
(სამშობლოსაც სოპლიცა კარგად ემსახურება)''.

„ადვილია კაცისთვის სხვის ბედის გაფუჭება
ერთ წამში და არასდროს აღარ გამოსწორდება.
„სტოლნიკის ერთი სიტყვა მოგვეანიჭებდა ბედსა.
და იქნება გვეცხოვრა ჩვენ ბედნიერად დღესა!
და საყვარელ ევასთან ტკბილად მოხუცდებოდა,

შეილიშეილების ცქერით მოხუცი დატკბებოდა,
და სიძე მადლიერი მე მისი გავხდებოდი,
დღეს მე კაცისა მკვლელი ასე არ წავხდებოდი.
ეხლა მან, მეც და ევაც ხომ გაგვაუბედურა?
ამა ქვეყნის კარები სრულიად დამეხურა.
საყვედურის უფლება არ მაქვს  სტოლნიკის მკვლელსა,
მე საყვედურს ვერ ვეტყვი — ვაპატიებ ყოველსა, ხოლო.....

რომ გულახდილად ეთქვა ჩემთვის იმას რაც სურდა,
იცოდა ჩვენი გრძნობა, მე შინ რად მლებულობდა?
იქნებ მე აქაობას კიდეც მოვშორდებოდი
და  სტოლნიკისა მკვლელი მე აღარ გავხდებოდი!
ჯერ გაცხარდა, გამლანძღა, შემდეგ თავი ანება,
რადგანაც ეშმაკური ჰქონდა გამოგონება,
რომ ვითომ არცა ფიქრობს და აზრად არ მოსვლია,
მე საცოლედ მინდოდეს სტოლნიკის ასულია.
იმ დროს მისთვის ვიყავი დიდად გამოსადეგი,
ირგვლივ ვუყვარდი ყველას — ამის იყო შედეგი.
ჩემსა სიყვარულს იგი ვითომ ვერც კი ამჩნევდა,
ძველებურად, ხელგაშლით მუდმივ მე რად მიწვევდა?
ხოლო ოდესაც ცქერდა თვალი მაქვს ცრემლიანი,
გული სავსე ბოღმითა და ენა გესლიანი,
ეშმაკურად ის სიტყვას ბანზედა ამიგდებდა,
და მუსაიფს ტყესა და ნაპირზე დამიწყებდა.

სმაში ქათინაურსაც კი მეტყოდა გრძნობითა,
ვითომდა მეპყრობოდა დიდი მეგობრობითა,
და მეც ზრდილობიანად სტოლნიკს გულში ვიკრავდი,
თუმცა მის ორგულობას მე აშკარად ვხედავდი.
ბრაზმორეულს, მე ნერწყვი ამივსებდა ხახასა,
იცოდა, არჩევნებში რომ მას მივცემდი ხმასა,
ვხედავდი, სჭირდებოდა ჩემი ხმალი და ძალა,
ხოლო რა უნდა მექნა? სიყვარულმა დამძალა.
ხშირად მსურდა რომ ხმლით მე გამეთავებინა—
ასეთი მეგობრობა და მიმეფურთხებინა.
რამდენჯერ მოვინდომე ამეკუწა ხმლითა
და უძლური ვიყავი, ევას ცქერით მკრთალითა,
ევა აშკარად გრძნობდა ჩემსა ბოროტ განზრახვას,
ვით მკვდარი ეშეშდებოდი, მხოლოდ ხელს ვუჭერდი ხმალს.
ასეთ ცეცხლმა ჩემს გულში დიდიხანი გასტანა.
და ჰორეშკო რომ მოვკლა, შემომიჩნდა სატანა.
ჩემი ტოლი არ იყო ლიტვაში მოჩხუბარი,

და ჩემსა დანახვაზე, დიდკაცსაც სცემდა ზარი.
მე არამც თუ სტოლნიკის,მეფის არ მეშინოდა,
ხოლო უძლურ ვიყავი, ოდეს ევა მცქეროდა,
და მე ბრაზმორეული წყნარად ვიდექ ვით ცხვარი,
თითქოს საკურთხეველზე მეჩვენა მაცხოვარი.

არაერთხელ მინდოდა თავისა დამდაბლება,
მსურდა სიყვარულისა ჩემის აღიარება,
ხოლო ოდეს მიცქერდნენ თვალები გაყინული,
ჩემი თავის მრცხვენოდა, რომ ვარ აღელვებული.
სწრაფად  გადავიდოდი უბრალო კამათზედა,
ან რამეს მოვყვებოდი უხეშ ხუმრობაზედა,
დარბაისლურად, ხოლო მქონდა მედიდურობა,
რომ მას არ დაენახა სოპლიცისა მდაბლობა.
ვშიშობდი, ჩემი თხოვნა არ გაეწბილებინა,
ქალი რომ არ მოეცა თავი სადღა მეჩინა?
ქვეყანა გაიგებდა — იაცეკი სოპლიცა,
ჰორეშკომ გააწბილა, ქალი ცოლად არ მისცა.

გალანძღული დავრჩი და სტოლნიკისგან ნაწყენი,
მე, იაცეკ სოპლიცას მომართვეს შავი წვენი.

„ბოლოს, აღარც ვიცოდი ჩემს თავისთვის რა მექნა,
მსურდა აზნაურების ერთი რაზმი შემექმნა,
და წასვლა განვიზრახე მე საომრად მოსკოვში,
ან არადა შორს — სადმე დაკარგულ სათათრეთში.
მე მიეედი  სტოლნიკთან რომ გამოვთხოვებოდი,
მეგონა, ასეთ წამში მას შევებრალებოდი,
მის ძველი მეგობარი და თითქმის შინაური,
მასთან ერთად მიბრძვია და დამიცლია ჭური
ღმერთსა ვთხოვდი — ჰორეშკოს კაცის გული ეჩვინა
იმოდენა, რამდენსაც რქას გიჩვენებს ლოკოკინა.

ძლიერ ძნელი რამ არის მეგობრის დატოვება,
თუ გულის ძირზე რამე გრძნობა მოგეპოვება,
ნაპერწკალი იფეთქებს ვით კოცონისა ალი,
ოდეს მეგობარია დიდიხნით წამავალი.
გული არა, ქვა გქონდეს როს გტოვებს მეგობარი,
თვალს ცრემლი მოგადგება, ვითომ შენ წინ არს მკვდარი.

ევამ რომ გაიგონა ჩემი გამოთხოვება,
მეგონა, რომ საბრალომ მთლად დაკარგა გონება.

სიტყვა ვერ თქვა, ატირდა, გულს უდაგავდა დარდი,
მე მხოლოდ მაშინ მივხვდი ევას როგორ ვუყვარდი.

ჩემს სიცოცხლეში, მაშინ მე პირველად ავტირდი,
სასოწარკვეთილებით, მეგონა რომ გავგიჟდი;
მსურდა იმ წამს რომ სტოლნიკს ფეხებში ჩავვარდნოდი,
როგორც გველი — მუხლებზე ისე შემოვხვეოდი.
მსურდა მისთვის მეთხოვა ჩემი შვილად აყვანა,
ან მომკლას თავის ხელით, დამარტყას ყელში დანა,
ხოლო როს დავინახე — დგას ვით მარილის სვეტი,
ზრდილი, ცივი, ურყევი, სიტყვა ვერა ვთქვი მეტი,
მეც გავქვავდი ვით ლოდი, ხსნას არსით მოველოდი.
შემდეგ იმან დაიწყო ლაპარაკი ევაზე,
სიტყვა გადაიტანა ქალის გათხოვებაზე
და ისიც ისეთ წამში, ოდეს ჩემს ტანჯვას ცქერის!
გერვაზ! ადამიანის გული შენ ხომ გიძგერის?
და მითხრა: სწორედ ეხლა მოვიდა მაჭანკალი,
ვიტებსკის კასტელანსა რომ მივათხოვო ქალი.
იცი რომ ევა არის ლამაზი და მდიდარი,
სასიძო — სენატორი, მგონი არ საწუნარი.
რას მირჩევ? გეკითხები ვით მეგობარს — შინაურს.
უსიტყვოდ გამოვვარდი და მოვასტი ბედაურს.

გერვაზმა თქვა: „მომხდარა რომ კაცს შეჰყვარებია
თუნდაც მეფის ასული და მოუტაცებია,
ხოლო კაცის მკვლელობა ასე მუხანათურად,
პოლონურად არ იყო, ხოლო იყო რუსულად —
და ისიც მოსკალთან ერთად! ეს დიდი სირცხვილია,
რომ პოლონელმა მოკლას თვის მამულიშვილია!

შეთქმული არ ვყოფილვარ თავდასხმაში მოსკალთანა,
ნუთუ ასეთი ქცევა მეკადრება მე განა?
ხოლო მე რომ მდომოდა ევასა მოტაცება,
გეტყვი, და ნუ იფიქრებ რომ იყოს თავის ქება,
მთელ კოშკს მე დავანგრევდი სტოლნიკისა თავზედა,
ვით ბუმბულს გავუშვებდი მოფრიალეს ქარზედა;
ჰორეშკოს ავიკლებდი ჩემის მეგობრებითა,
ჩვენის მაზრით თუ არა, მხოლოდ დობჟინსკებითა
და ცხრაკლიტულში მჯდომსა მოვიტაცებდი ევას,
ხოლო ვერ აიტანდა ამგვარ ჩემს მოქცევას,
რადგან იგი არ იყო ისეთი როგორც სხვანი,
ძლიერ სათუთი იყო — ამის არ ჰქონდა ჯანი.

იარაღით რომ ჩემი ხელი მას შეხებოდა,
ვით მაისის პეპალა – ერთ წამში მოკვდებოდა
და ეს ვერ გადავწყვიტე...".

„კოშკი რომ დამენგრია ბრძოლით და შეტევითა,
იტყოდნენ: გავბოროტდი თხოვნის გაწბილებითა;
უფრო დიდია კიდევ კაცის შეურაცხყოფა,
ოღეს ფეხქვეშ გათელეს მისი ამპარტავნობა".
ეშმაკიც შემომიჩნდა შურის მაძიებელი,
და სისხლი რომ დავღვარო, შევიქმნე უნდობელი
და მას აღარ ვესტუმრო, აღმოვფხვრა სიყვარული,
სხვა შევირთო და ევა მყავდეს დავიწყებული.
დრო როს გავა, სტოლნიკსა მოუნახო საბაბი
მასზე შურის ძიების...

დრო გავიდა. მეგონა გარდვიქმენი მე სრულად,
მიხაროდა, ვით წინათ ვიყავი მხიარულად
და პირველი ვინც შემხვდა, იგი შევირთე ქალი,
გულუბრყვილო, ღარიბი, სათნო პირი, ალალი.
ჩემი მეუღლე იყო დიდად პატიოსანი,
მე ცუდად მოვიქეცი; ოღეს გაეიდა ხანი,
დავრწმუნდი, რომ საბრალო იგი მე არ მიყვარდა,
ბედმა ძლიერ დამსაჯა, სიცოცხლეც არ მიხარდა.
ის იყო ჩემი ვაჟის დედა – თადეოზისა,
სმა დავიწყე, ჩახრჩობა მოვინდომე ბრაზისა
და ძველი სიყვარულის, ხოლო ეს მე ვერ ვქენი,
ბოლმა ვერ გავიქარვე და გამიმწარდნენ დღენი.
მამული მივატოვე, მსურდა სხვა რამ დამეწყო,
გავლოთდი და საქმისთვის სიმტკიცე აღარ მეყო;
შურის მაძიებელიც ეშმაკი მჩურჩულებდა,
შვებას ვერსით ვხედავდი და მომერია ბნედა.
ცოდვიდან ცოდვისაკენ თამამად მივდიოდი,
გავლოთდი და აეხირდი, არც აღარას ვჩიოდი.

„სასოწარკვეთილებით, დარდით, მომიკვდა ცოლი,
და დამიტოვა პირმშო – თადეოზი ობოლი.

ამდენმა წელმა განვლო, ქვეყანაც მოვიარე,
ევა ვერ დაევივიწყე, ვერსად ვერ გავიხარე,
განადგურდა ქონება, მამული, ამანათი,
ხსოვნას ვერ ამოვგლიჯე საყვარლისა სურათი.
წამითაც ვერ ჩავახრჩვე მისი ხსოვნა ღვინოში,

მასზე ფიქრი მხუთავედა შინ და სამიკიტნოში;
ეხლა ვხედავ თუ როგორ მე ევა მყვარებია,
თუ აქამდე მე იგი ვერ დამივიწყებია.
დღეს ბერად ვარ, ლოგინში ვაგდივარ სისხლიანი,
ჩემს სიყვარულის ამბავს მოგითხრობ დიდი ხანი,
ეს ცოდეაა, ხოლო მწამს, მაპატიებს უფალი,
თუნდაც დღეს არ ლოცულობს ჩემზე ჭირისუფალი".

ამა დროს ჩამოვიდა დასანიშნად საქმრო,
ამბობდნენ: „ევა იყო უშრომელ ცრემლის წყარო
და ოდესაც ვოევოდას ბეჭედი მიუძღვნია,
თურმე საბრალო ევას სამჯერ გული წასვლია.
ხმა იყო, რომ შეიპყრო ევა სნეულებამა,
ხოლო ვერ გაერკვეიათ, ჭლექმა თუ ცხელებამა,
მაგრამ შემდეგ მესმოდა ხმები გავრცელებული,
რომ ასული არისო, სხვაზე შეყვარებული.
„სტოლნიკი მუდმივ იყო წყნარი და მხიარული,
როგორც წინათ, მე მასთან როდი ვიყავე წვეული.
ანდა რაღად უნდოდა ჩემისთანა სტუმარი?
გაელოთდი, ამიოხრდა დიდებული სახლ-კარი
და ნუ გიკვირს ყველასთვის რომ სასაცილო გავხდი,
მე, იაცეკ სოპლიცა ასე დავეცი – წავხდი.
თვით რადზივილი მთელიდა გულითად მეგობრადა,
ცა ქუდად არ მიმაჩნდა და მიწა ქალამნადა.
თემში რომ მივდიოდი, მეტი მყაედა ამალი,
ვინემ თავადს; ოდესაც ხელში მეჭირა ხმალი,
ათასი შიშველ ხმლისა მზეზე იყო პრიალი,
დღეს ვხედავ თუ რა არის კაცის ბედი – ტიალი.
ყველას ჰქონდა ჩემდამი შიში და მორიდება,
ხოლო უბედურებით, თურმე კაცი წახდება
და მეც წავხდი, დავეცი, ბავშვებიც დამცინოდნენ,
მე, იაცეკ სოპლიცას კაცადაც აღარ მცნობდნენ".

„დასუსტდა ბერნარდინი და ბალიშზე დაეცა,
ჰე ღმერთო! შენ შექმენი დედამიწა და ზეცა –
თქვა გერვაზმა, შენია ნება ქვეყნად რაც ხდება,
შენგან არის სასჯელი თუ რომ კაცი წახდება!
შენა ხარ იაცეკი? აღკვეცილი ბერადა?
მახსოვს, იყავ მშვენება ჩვენი მაზრის ძველადა,
იაცეკ სოპლიცა, საქები აზნაური,
ქალი იყო თუ კაცი, უცხო თუ შინაური,
შენის ცქერით ტკბებოდნენ, შენზე მღერდნენ ქალები,

მე, გერვაზმა ვერ გიცან! დამიდგეს კი თვალები.
შენისთანა მსროლელი არვინ იყო ლიტვაში,
მოხუც მათეს შემდეგ ხომ პირველი იყავ ხმალში?
ვერ გიცანი შენ დათვზე საჩინო ნასროლითა,
დღეს კალმასი, მცხოვრებო ღვთისადმი დიდ ვალითა.
მახსოვს, შეთხზული იყო ჩვენს მაზრაში სიმღერა,
თუ იაცეკ სოპლიცა ვისმეს გადაემტერა,
სანამ ჯავერს ამოიყრის, არ სურს ჭამა და ძილი,
და ამისთვის ერთია გლეხი და რადზივილი.
ამდაგვარად სტოლნიკსა მაშინ გადაემტერე,
ჯავრი ამოიყარე, ხოლო მე დამიჯერე.
პასუხი უნდა აგო, ფიცი მაქვს დადებული,
ამით ჰორეშკოთ სისხლი მექნება აღებული".

ბერმა ახლად დაიწყო გაგრძელება ამბისა:
კოშკს ირგვლივ ვტრიალებდი ძალითა ეშმაკისა,
სტოლნიკმა თავის ხელით მოკლა თვისი ასული,
მეც მომკლა, თუმცა სული ჯერ არ მქონდა გასული,
მაგრამ გამანადგურა. მივაშურე ბჭეკარსა,
მე სატანას მიეყავდი, ვუსმენდი სიმღერასა,
კოშკში იყო ქეიფი, წვეულება და ლხინი,
განათებულ ფანჯრებსა ვუცქერდი — მკლავდა ქინი;
რად არ დაენგრა კოშკი სტოლნიკს ბელატ თავზედა?
ვტრიალებდი, ვფიქრობდი მე მის მკვლელობაზედა,
და სატანამ ამა დროს მოსკალები მოიყვანა,
ვცქერდი ჯარმა როს კოშკზე იერიში მიიტანა.
სიცრუეა რომ ვიყავ მოსკალთან შეთქმულებაში".

ვუცქერდი და ფიქრები მთლად ამერია თავში.
ჯერ ბრიყვული ღიმილი ტუჩზე მქონდა — ბავშვური,
შემდეგ გრძნობა აღმეგზნა რაღაც ავაზაკური.
ვუცდიდი ცეცხლის ალი კოშკს როგორ გადასწვევდა,
ევას მივშველებოდი, ამის სურვილი მკლავდა,
წამით... მსურდა შევარდნა და შველა სტოლნიკისა

თქვენ მტერს იგერიებდით, თქმაც მეტია სიტყვისა.
გამიკვირდა — ჩემ ირგვლივ რომ მოსკალები ცვივიან,
გავიფიქრე; პირუტყვნი — სროლაც კი არ იციან.
ოლესაც დავინახე მოსკალი ბრძოლას წააგებს,
სტოლნიკისა ბედ-იღბალს ზეცით ღმერთი განაგებს,
ბრაზმა მომიარა და დარცხვენით გამოვბრუნდი,
რიყრაჟის სინათლეზე ვცქერდი — დამარცხდა გუნდი,

ანაზდად დავინახე — აივანს გამოეიდა,
მის ყელზე მარგალიტი შორის სხივებსა ფრქვიდა,
ირგვლივ მიმოიხედა გამარჯვებულის თვალით,
მე მეგონა რომ მიცნო, ვიწვოდი შურის ალით;
მეგონა დამემუქრა მაღალ აივნიდანა,
მოსკალს თოფი გამოვგლიჯე, ყბას მივიბჯინე თანა,
არც დამიმიზნებია მე ისე გავისროლე
და თვით იცი!...

„წყეული არის თოფი; თუ რომ იბრძვი ხმლითა,
ძალგიძს მოიგერიო ხმლით, ნახტომით მალითა,
იარაღს გამოგლიჯავ, შეაჩერებ ჰაერში;
თოფი —კმარის რომ მხოლოდ ჩახმახი მოგხვდეს ხელში,
წამი, და ნაპერწკალი...

გაიხსენე! ოდესაც მე შენ თოფსა მესროდი,
გავიმართე და ლულას პირდაპირ შევცქეროდი,
მინდოდა შენსა ფინთიხს იქვე მოვეკალი,
შენ თვალმა გიღალატა, როდია ჩემი ბრალი.
მაშინ რომ მოგეკალი ცოდვას გამოეისყიდდი,
დღეს ღვთისადმი მაქვს ცოდვა შეუნდობელი — დიდი.
ბერს სუნთქვა შეეხუთა, თქმა შეწყვიტა ამბისა,
თუმც სურდა გამჟღავნება ამდენი ხნის დარდისა.

გერვაზმა თქვა: „ღმერთს ვფიცავ, მინდოდა მომეკალი,
დაგაცდინე, გქონია ეშმაკისა იღბალი.
რაც მე სისხლი დავღვარე ეს მთლად შენი ბრალია,
შენს გვარისადმი შენვე გაქვს დანაშაულია,
თუმცა ოდეს გესროლე, ვერ მოგახვედრე ტყვია,
სოპლიცებს ჩემი ხმლით ბევრი ცუდი ეწვია.
დღეს, შენ, გრაფი ჰორეშკო სიკვდილს გადაარჩინე,
მეც სარმა გამომკარი, ტალახში ჩამაწვინე,
და ამით აგვაცდინე ორთავეს მოსკალის ტყვია,
შენზე ხმალს ვერ აღვმართავ, ბერის კაბა გაცვია;
წავალ და ჩემი ფეხი აქ აღარ დაიდგმება,
ღვთის სამართალი არის, დეე იყვეს მისი ნება".

ბერმა ხელი გასწია, უნდოდა შერიგება,
გერვაზმა დაიხია, უთხრა: „ეს არ იქნება,
რადგან შენი მკვლელობა „non pro publico bono",
ხოლო შურისძიებით იყო მღვდელო — ბატონო".

ბერი ბალიშს დაეცა მეტადრე დაქანცული,
ძმას ხელი დაუქნია, მოიწვია მსაჯული,
მას ჰკითხა თუ მოვიდა ბარძიმ — ფეშხუმით მღვდელი,
რადგან შიშობს არ მოკვდეს ის უზიარებელი.
გერვაზს სთხოვა რომ დარჩეს, ისმინოს აღსარება,
რადგანაც გრძნობს კალმასი — დღეს უთუოდ მოკვდება.

მსაჯულმა უთხრა: „ძმაო! დიდი არ არის წყლული,
ხოლო გაწუხებს, რადგან ცუდად გაქვს შეხვეული,
ამიტომ არა მღვდელსა, მკურნალსა დავუძახოთ,
მგონია ეს აჯობებს, მას ჭრილობა ვანახოთ".
ბერმა უთხრა: „არა მაქვს დრო მე დასაკარგავი,
მკურნალი ვერ მიშველის, სისხლი მდის ძლიერ შავი,
იენასთან ბრძოლაში მივიღე ეს ჭრილობა,
არ შემიხორცდა, მაგრამ არა აქვს მნიშვნელობა.
ამ იარაში მომხვდა დღეს წყეული ტყვია,
ჭვარტლივით მომდის სისხლი, არის მომაკვდავია.
გერვაზ! გთხოვ მაპატიო ჩადენილი ცოდვები,
და წყნარად მომისმინე რასაც მე მოგიყვები".

„დიდი რამ შვება არის ოდეს მოვა სიკვდილი,
საიქიოს წახვიდე უბიწო — არ ცოდვილი,
სამშობლოს მოღალატე არ ვყოფილვარ აროდენ,
ხოლო ვერ გამიგია, გამცემს რად მეძახოდნენ?"

„მოღალატის სახელი მომეკრა როგორც ჭირი,
ყველა ჩემიანმა, ჩემგან იქცია პირი,
არვის სურდა შეხვედრა, ყველა მე გამირბოდა,
თუ კი იყო მშიშარა, შორით მესალმებოდა;
მოღალატეს მეძახდა თავად-აზნაურია,
დამცინოდა გლეხი და სოფლის ყობო ებრაელი.
მესმოდა: „მოღალატე წამდაუწუმ ყველგანა,
გამოძახილს აძლევდა მთა, ტყე, ველი და ყანა.
სამშობლოს მოღალატე არ ვყოფილვარ აროდეს,
სირცხვილია გამცემელს მე ვინმე მეძახოდეს".

„მოსკოეი ერთგულად მთელიდა ჰორეშკოს მკვლელობითა,
მიტომც დამაჯილდოვა მისი მამულებითა,
სოპლიცებმაც მიიღეს დიდი ავლა-დიდება,
რომ მომესურვებინა მე მაშინ გამდიდრება,
ეს ადვილად შემეძლო, — მოსკალს მივეკედლებოდი,
შემდეგ თანდათანობით კიდეც გავრუსდებოდი.

განუწყვეტლივ ეშმაკი ამას მიკარნახებდა,
თავმოყვარეობა კი მასზე როდი დამნებდა!
შემეძლო ვყოფილიყავ კაცი გაელენიანი,
და არა ერთი პირი ლიტვაში აზნიანი,
ჩემ წინ ქედს მოიხრიდა დიდი მოწიწებითა,
ვინც მოსკოვის მორჩილია, მას ცქერენ დიდებითა,
და მისი მონა არის ქალაქი თუ სოფელი,
ამას ვცქერდი, ხოლო მე, ეს ვერ ვქენ, — ვერ შევძელი.
„მივატოვე ყველანი, დავტოვე ჩემი მხარე,
სად არ ვიხეტიალე, რა არ გამოვიარე!
მე ღმერთმა შემიწყალა და მომცა შთაგონება,
აღვიკვეცე ბერად და ვიწყე ღვთის მსახურება,
უნდა გამომესყიდა ამით დანაშაული,
არ ვიცი შევძელი თუ ცოდვილი მაქვს სული.
ევა და მისი ქმარი — ცნობილი ვოევოდა,
ციმბირში დაიხოცნენ, იქ არს მათი საფლავი;
აქ რომ დარჩა სოფიო — შვილი მათი ობლადა,
შორით დავეპატრონე, ვიყავ ჭირისუფლადა,
მგონი, დაპატრონება არ იყო სიყვარულით,
თავმოყვარეობით და ჩემის ამპარტავნობით.
ოდესღაც თავმომწონე ჩემის გვარისშვილობით,
ეხლა კი თავმდაბალი — თხოვნით და კალმასობით,
ცოდვის გამოსასყიდლად ვარ მათხოვარი — ბერი,
ამ დღიდან აღარ მითქვამს მე სიტყვა კადნიერი.
„სად ვიბრძოლე არ ვამბობ, არ არის ეს სათქმელი,
არა მისთვის რომ ვიყო მე გმირი საქებელი,
სამშობლოსთვის ვიბრძოდი ჩუმად — შეუმჩნევლადა,
რაც ტანჯვა გავიარე — მიმაჩნია შვებადა.
„ხშირადაც ვახერხებდი დაბრუნებას ლიტვაში,
რობაკსაც ბევრი იცნობს შორე გალიციაში,
სარდლების ბრძანებები მომქონდა ჩემს მხარეში,
დამიჭირეს და ჩამსვეს პრუსებმა სიმაგრეში.
მოსკალებმა სამჯერ მცემეს, ციმბირს გადამასახლეს,
ნუ ფიქრობ — ავსტრიაში რომ მე ხელი არ მახლეს,
ჩამაგდეს ბნელ სარდაფში და იქ მიწასა ვთხრიდი,
ყველგან თავი დავიხსენ, ღვთის სახელია დიდი.
დღეს ვარ ჩემს სამშობლოში, ეს არის სასწაული,
ზიარებას მივიღებ, შვებით დავლიო სული.

იქნებ ეხლაც შევცოდე ჩემისა აჩქარებით,
და საქმეც გავაფუჭე უდროო აჯანყებით?
ხოლო უმანკო არის ჩემი ძველი ოცნება,

თავისუფლების დროშის აღმართვა როს მოხდება,
მინდა, სოპლიცა იყოს ეს მედროშე პირველი,
ლიტვაში ასეთ დროშის აღმაფრიალებელი.
„ერთი მქონდა ოცნება ამ ქვეყნად მიწიერი,
ვზრდიდი, ვეფერებოდი, არ იყო ბიწიერი,
სათუთად ვეპყრობოდი ვით მამა ღვიძლსა შვილსა,
რაც სიფხიზლეს მიტკბობდა და მიმშვიდებდა ძილსა.
რაღა ბევრი გიამბო დაკარგულ ოცნებაზე?
მოკლედ გეტყვი, ეს იყო ფიქრი აჯანყებაზე.
ღმერთმა ეს გადამიჭრა თვის ცეცხლის მახვილითა,
შენ დღეს ბრძოლა დაიწყე, არ იყავ სიფრთხილითა.
გერვაზ! შენ გაპატიებ როგორც ქრისტე ცოდვილსა,
მე დავსტირი ოცნებას, როგორც მამა მკვდარ შვილსა.
გერვაზმა რობაკს უთხრა: „ჩადის დიდსა ცოდვასა,
ვინც უკანასკნელ წუთში აწუხებს მომაკვდავსა,
ეხლა კი განუგეშებ მამაო ცნობებითა,
რომელსაც მე ვფარავდი ჩემის ბოროტებითა.
რადგან უკანასკნელი გექნება ზიარება,
მწამს, ამის გამჟღავნება ალბათ გაგეხარდება.
როს დაჭრილი სტოლნიკი იატაკზე დავარდა,
სიტყვის თქმა არ შეეძლო სისხლი ჭრილობას ღვარდა,
დავიჩოქე, ავტირდი და თავს სიტყვა მიეეცი,
რომ შენ მოგკლავე და ღმერთსაც ამის დაუდე ფიცი;
შენ ჯვარი გადაგსახა და შეგინდო მკვლელობა,
მან ცოდვა გაპატია, იჩინა სულგრძელობა.
ეს არ გამიმხელია, დღემდე ამას ვფარავდი,
ალბათ ღმერთიც შეგინდობს — დიდებული — მარადი".

მომაკვდავი რობაკი გაწვდილია ლოგინში,
სიჩუმე ჩამოვარდა მღვდელისა მოლოდინში,
ჩორთით მომავალ ცხენის ფრუტუნი შემოისმა,
ეზოდან უცხო პირის აივნისკენ ისმის ხმა.
გზირმა გზით დაღალულმა კარზე დააკაკუნა,
შემოვიდა და რობაკს მან უსტარი მიუძღვნა.
რობაკმა ძმას გადასცა წერილი წაიკითხოს,
საიდუმლო ცნობები დეე ყველამ გაიგოს;
ფიშერი იწერება რობაკის საცნობადა,
ნაპოლეონმა რუსეთს ომი გამოუცხადა.
ფიშერი თანაშემწე იყო იოსებისა,
თავადის და უფროსის პოლონელ ჯარებისა,
წერდა: შეთანხმებული ერი პოლონეთისა,
ფრანგების ჯართან ერთად, მტერია რუსეთისა.

დაბნედილი თვალები ბერმა აღაპყრო ზეცას,
ლოცვით მადლობა უძღვნა უზენაეს განგებას,
შემდეგ გულში ჩაიკრა კერასი ანთებული,
და თქვა: „ღმერთო! მიიღე შენ ეხლა ჩემი სული.
დაიბოქეს. კარებთან ხმა გაისმა ზარისა,
მღვდელი მოდის – მომტანი ზედაშის და ჯვარისა,
აღსარებისა შემდეგ, ბერს მისცა ზიარება,
და გულზე დაუსვენა გახსნილი სახარება".
რძისფერი განთიადი ოთახს შემოიპარა,
და რობაკი – კალმასი სიკედილმა მიიბარა.
სული დალია ბერმა ცხონებისა იმედით,
პირს ნათელი მოევლო მზისა შარავანდედით.

# წიგნი მეთერთმეტე

## 1812 წელი

### შინაარსი

გაზაფხულის იმედი
ჯარის შემოჭრა
წირვა
იაცეკ სოპლიცას ცოდვათა გამოსყიდვა
გერვაზის და პროტაზის საუბრიდან მიხვდები, რომ
დავა მთავრდება
გოგონა და ულანი
დავა კუდას და მიმინოს შესახებ — სტუმრები საბაასოდ იკრიბებიან

რომელ წელსაც ვიგონებ და არის საქებარი,
ეს წელი როდი იყო ყველასათვის ერთგვარი,
მეურნეს უხვად მისცა ხორბალი, კარგი ზვარი,
ხოლო სისხლის ღვრისხანას უწოდებს მეომარი.
ერს ეგონა, ასრულდა ოცნება და სიზმარი,
მოდის თავისუფლება ყველასათვის სანეტარი,
ზოგის გულში იმედი გაღვივდა შეუდარი,
ზოგსაც აკრთობდა შიში რაღაცა უმეცარი.
გოგონები ამა წელს უმღერდნენ სიმღერასა,
მოხუცნი კი ზღაპრებით იწყებდნენ აღწერასა,
ოდეს ახალგაზრდებთან მოუსხდებოდნენ კერას,
და ერთად დასტიროდნენ სამშობლოს ბედისწერას.

განვლო გრძელმა ზამთარმა აყვავდა მთა და ბარი,
მჭლე ნახირი გარეკეს სად იყო საძოვარი,
ბალახს არ დაეწაფა არც კამეჩი არც ხარი
ზანტად დაწვა და ბალახს არჩია ნაცოხარი.

მეურნეც არ გავიდა სამუშაოდ ხალისით,
ხარს ზანტად ერეკება, ჩელტს მიათრევს სახნისი;
ურმულს როდი იმღერის ჩვეულებისდაგვარად,
არ იჩქარის, თუმცა მას უღავწი აქვს სახნავად
წამდაწუმ ჩერდება და დასავლეთს შესცქერის,
თითქოს დავიწყებია თესვა პურის და ქერის,
გულში რაღაც შიში აქვს და სასწაულს მოელის,
ვითომ დარდიც არა აქვს ჭირნახულის და რთველის.
გეგონება დამფრთხალა ფრინველებისა გუნდი,

წერომ ბუდე მონახა შარშანდელი არ ცუდი,
ბუდის გასაკეთებლად ტალახს ზიდავს მერცხალი,
ჭილს ემუსაიფება თითქოს ჭაობის წყალი.
ყურს რომ უგდებ, გგონია გესმის ჩურჩული ისლის,
გარეგანი ბატების ყიყინიც გამოისმის.
დარაჯ ყანჩის ყრანტალი ხან სიჩუმეს დაარღვევს,
აფრთხილებს მძინარე გუნდს, ალბათ ხიფათსა ამჩნევს.
ღამის მწყემსი უსმენს და მას ვერ გაურკვევია,
ფრინველების სამეფოს რა ხიფათი წვევია?

ორბი, ქორი, მიმინო, ცეტი ბოლო ქანქალა,
გვრიტი, ჩხართვი და ჩხიკვი ღრმა ტყეში დაიმალა.
თუმც ყველა მშიერია, არ სტოვებენ შიშველ ტყეს,
დიდი მარხვა დაუდგათ საბრალოებს ალბათ დღეს.
ოდეს მზემ გაანათა რძისფერი ცისა თაღი,
აპრიალდა მზის სხივზე ჯარების იარაღი,
გზაზე მიიკლავნება ვით გრძელი თეთრი გველი,
რაზმების წყობილებით გაკვირდება მნახველი.
ჩორთით მიდის მარქაფა ცხენოსანთ წყობილება,
რაზმი რაზმსა მიჰყვება, ტყის პირას იკარგება;
ზარბაზნების სიმძიმით დედამიწა გრიალებს,
ჯარის მოკაზმულობა მზის სხივებზე კრიალებს.
ჩრდილოეთისკენ მიდის ჯარების წყობილება,
ფიქრობენ, მშობლის ნახვა ნეტა ვის ეღირსება?

ომი ატყდა. ლიტვაში ვერ ნახავდი უბანსა,
საცა არ დაერღვია სიმშვიდე ბრძოლის ხმასა.
ტყე და ველი შფოთავდა ზარბაზნების გრიალით,
ბნელდებოდა მზის შუქი ცეცხლის ალის პრიალით.
აქაურ გლეხის მამა ტყეს არ გასცილებულა,
რომელიც სოფელს აკრავს, ისე მიცვალებულა,
მას მხოლოდ მოსმენია ტყეში ხმა ნადირისა,
ჭიხვინი ან ბღავილი, ან ყროყინი ვირისა.
ზეციდან ჭექის გარდა არა გაუგონია,
უცხო სოფლის სტუმარიც არასოდეს ჰყოლია;
ეხლა მზერდა თუ როგორ ალში იწვოდა ზეცა,
ჭურესა გზა დაუკარგავს, უღრან ტყეში დაეცა,
მძლავრად კი დატრიალდა, ალბათ სურს გზა მონახოს,
ბებერ მუხას ეძგერა, უნდა რომ გადალახოს.
გარეგანი კამეჩი — ხავსში ჩაძინებული,
წამოიჭრა, პირველად ეხლა შეშინებული,
გაიზმორა და შემდეგ ნაბიჯი აიჩქარა,

ყუმბარის ხმა არ მოსწონს, თავი ტყეს შეაფარა.

ქალი იყო თუ კაცი, ელოდა გამარჯვებას,
ბონაპარტისთვის სთხოვდნენ ღვთაებას დახმარებას,
ცრემლიანი თვალები ვერ ფარავენ სიხარულს,
ამზადებენ იარაღს ამა დღემდე დამალულს.

გაზაფხულო! ვინც განახა მაშინ ჩვენსა მხარეში,
შენი მაქებელია ბატონი თუ ფარეში;
ჭირნახულის და ბრძოლის იყავი წელიწადი,
ტყვეობაში ნაშობი – ჩვენი იმედის ვარდი.
აქამდე შენ მახსოვხარ, იყავ როგორც სიზმარი,
როს მშვენივრად აყვავდი დაგვავიწყე ზამთარი.
ერთი მახსოვს მე მხოლოდ ასეთი გაზაფხული,
შესადარი მშვენება არვის მიერ ნახული.

ნემანის ნაპირიდან იწყება გზატკეცილი,
მიდის აღმოსავლეთით, გზას ახლავს ტყე და ჭილი;
ამ შარაგზის ერთ მხარეს მოჩანს დიდი მამული,
ეს არის სოპლიცოვო, ზემოდახსენებული.
პონიატოვსკი უძღვის ამ გზით პოლონელ ჯარებს
და ლიტვის მიდამოებს თანდათანაც იკავებს,
ხოლო ოდეს სამი დღით უბრძანა მოსვენება,
ჯარში გამოიწვია მით უკმაყოფილება,
რადგან, იყვნენ კი თუმცა ბრძოლებით დაქანცული,
ჩქარობდნენ გაერეკათ მოსკალის ჯარი წყეული.

სოპლიცოვს დგას ბანაკად იოსებისა ჯარი,
რიცხვით ორმოცი ათასი, ძველი მეომარი
დაბაში – შიკრიკებით, სარდალია დომბროვსკი,
კნიაზევიჩ, მალახოვსკი, გედროიც, გრაბოვსკი.

ყველას არ ერგო ბინა მოსასვენებელი,
დაიკავეს კოშკი, ოდა, მრავალი საბძელი.
გუშაგები დააყენეს, გზავნეს მზვერავები,
და მიდიან ფეხაკრეფით, ვით ქაჯთა ლანდები.
ხან, გუშაგის ხმით ირღვევა სიჩუმე ღამისა,
ხან კი ლანდი ველზე ცურავს ფრთხილი მზვერავის
და შორეულ კარვებიდან მოჩანს ცეცხლის ალი,
ომზე ფიქრობს ჯარისკაცი და მთავარსარდალი.

ძილშია სოპლიცოვის ბატონი და ჯალაბი,

ვოისკის არ სძინავს, ფიქრობს შეუკრავს წარბი,
სამი წყვილი ქალ-ვაჟის დანიშვნის ხელმძღვანელი,
ვოისკია, და მას სურს გააკვირვოს მნახველი.
ცნობილია სოპლიცა თვის ხელგაშლილობითა,
პურითა და მარილით, ლხინით, ქეიფობითა,
დღეს თვით დომბროვსკი არის სოპლიცოვს მოწვეული,
პოლონურ სმა და ჭამას რომ არის მიჩვეული.
ხუთი კარგად გაწვრთნილი მოიხმო მზარეული,
თვითონაც თეთრად ჩაცმული ფეშტამალ აკრული,
ხელმძღვანელობს და ტყაეით ერეკება ბუზებსა,
რომ არ დასხდნენ ხორცეულს ანდა მზარეულებსა.
სათვალე გაისწორა, აიღო წიგნი ხელში
და კარნახობს სუნნელი რა ჩადონ საწებელში.
თეთრი ქუდი ახურავს როგორც სხვა მზარეულებს,
საჭმელებს თვითონ სინჯავს და ქვაბებსა დაჰყურებს.

წიგნსა ჰქვია სახელად უებრო მზარეული,
მზარეულთაგან არის პოლონეთს მიღებული,
ამით იხელმძღვანელონ, საცა არის ნათქვამი,
რა საჭმელი იხარშვის ცეცხლზე რამდენი წამი.
მრავალი რამე არის წიგნში მოხსენებული,
შემწვარი, მოხარშული, ნამცხვარი, მოხრაკული.
ოდესაც რომში იყო პაპა — მერვე ურბანი,
როგორც ვიცით, იმ დროდან — გაეიდა დიდი ხანი,
ხოლო ქრონიკითა გვაქვს ცნობა გადმოცემული,
ამ წიგნით სარგებლობდა პაპისა მზარეული,
და თავადსა რადზივილს როს ჰქონდა წვეულება,
ამა წიგნის წყალობით იყო სუფრისა ქება.
დღესაც ხომ ცნობილია ესე წიგნი ლიტვაში,
მას ქებით იხსენებენ სიმღერისა სიტყვაში.

წიგნით ხელში ვოისკი დასცქერის ტაფებს და ქვაბებს,
რასაც ამოიკითხავს, მზარეულთ უკარნახებს,
ისინი კი წამშივე ასრულებენ ბრძანებას,
წამდაუწუმ სინჯავენ საჭმელთა გემოვნებას,
დუღს ქვაბი და ქოთანი და ასდის ოხშივარი,
ყნოსვას ალიზიანებს საამოთ ღვინის ძმარი,
არის სუნი მწვანილის, ტარხუნის და ქონდარის,
მზარეულთა დამხმარეც ქალ-ვაჟი ბლომად არის.
მოაქვთ სავსე თუნგები ნაღებით, რძით ან ძმარით;
სოპლიცა ქებულია სუფრითა და სტუმრითა,
ცხელსა ერბოს ასხამენ შუშხუნა ნიგუზალსა,

და შემდეგ საბურველით აძლიერებენ ალსა.
თუმც ერბო აფსუსია ამგვარ დასაღვრელადა,
ხმარობენ მდიდართ სახლში ცეცხლის გასაღვევადა
შამფურზეა მწვადები, ხბო, ირემი, გოჭები,
ჭამის მადას აღვიძებს შვლის ბარკლის ნაოჭები,
დაამზადეს იხვები, ქათამ-ინდაურები,
შემწვარ გოჭებს მაყურჭად დაგრეხიათ ყურები.
სოპლიცოვის ფრინველი ლიტვაში ცნობილია,

რადგან უცხო მხარედან აქ ჩამოყვანილია.
სუფრაზე არ იქნება ძველებურად – უხვადა
ის ფრინველი, სოფიო რომ აჭმევდა, – უყვარდა,
რადგანაც დობჟინსკებმა ქათმები ამოჟლიტეს.
მაგრამ ქება ეკუთვნის ბოსელსა და ახლო ტყეს.
უთვალავი იქნება სხვადასხვა ხორცეული,
ნადირის ხორცს იგემებს სტუმარი მოწვეული.
სხვაგან ვერსადა ნახავ ვით სოპლიცის სახლია,
ისეთია სიუხვე – ჩიტის რძეც არ აკლია;
ამის გარდა, სიუხვეს თან ახლავს ხელოვნება,
ეს მეტად საქებია, ხოლო ხშირად არ ხდება.
მსოფლიოს გაჩენიდან დაადგინა განგებამ,
ზამთარმა გაიარა – გაიღვიძა ბუნებამ,
და აპრილში აყვავდა ზურმუხტად მთა და ველი,
გაზაფხულს შეხაროდა ქვეყნის არსი ყოველი.
თენდებოდა. დგებოდა დიდი დღესასწაული,
ღვთისმშობლის – წმინდანთ შორის პირველ რომ არს ქებული
ცაზე უკანასკნელი ვარსკვლავი ფერს კარგავდა,
და ცის კიდეს მკრთალ სხივით, ქარაგმას უქარგავდა.

ზეცის უფსკრულმა შთანთქა ვარსკვლავების კრებული
ცამ შუბლი გადიწმინდა, იყო გაფითრებული,
მარცხნივ კიდევ ბნელოდა, მარჯვნივ იყო ნათელი,
მიწას ეხურა ბნელი – ვით ნაბადი ნათელი.
მარგალიტის ისარმა შუქი გასცა უხვია,
კონქს აკოცა და ღრუბელს ვითომ შემოუხვია:
ამას მოჰყვა ათასი ისარი მზის ნასროლი,
ცისარტყელას ფერებში კრიალებენ ვით ბროლი.
მზე არ მოჩანს, ხოლო ცას ვითომ ალი ედება,
ზეცით გადმოღულს შუქი, სიბნელე ნელა კვდება,
ბროლის სხივებს ამოჰყვა ყვითელი მზე – ნარნარი,
თვალწარმტაცი რამ არის გაზაფხულის ცისკარი.
მზე მორცხვობს და ფერს იცვლის ვით ნაზი პატარძალი

გათამამდა და ვითომ, ჯერ დაიფშვნიტა თვალი,
ცა ფირუზად აქცია, პრიალებს როგორც ალი,
ალბათ გრძნობს თუ როგორი აქვს მსოფლიოზე ძალი.
მოაფრქვია სხივები სითბოს არეის უზოგავს,
ვით მარტოხელა ნავი ცის ლაჟვარდზე მიცურავს.

დღეს ლიტვისა მცხოვრები დილით ალიონზედა,
საყდარში მიიჩქარის ცისკარის წირვაზედა,
ერია ღვთის მორწმუნე, მოყვარული, მქებელი,
ხოლო მეტადრე უყვართ მარიამ ღვთისმშობელი.
ამის გარდა, საყდარში იქნებიან სარდლები,
პოლონელ ჯარებისა ყველა მეთაურები;
მათ სახელებს აქებენ, იგონებენ პატივით,
არ უნახავთ, სურათებს ინახავენ ხატივით.
სმენიათ ამ ლტოლვილთა მხედრობა და გმირობა,
რომელთ, ბრძოლაში მუდმივ მათ ჰქონიათ ცილობა.

შეიკრიბა საყდრის ირგვლივ ჯარი უამრავი,
რომელზედაც დღემდე მხოლოდ ისმოდა ამბავი,
ეხლა ყველა უცქერის ჯარსა და მის სარდლებსა,
სიხარულის ცრემლები ნამავენ მათ თვალებსა.

დღეს მლოცველების რიცხვი ჩვეულზედა მეტია,
და პატარა საყდარში ყველა ვერ დაეტია,
ამიტომ მწვანე მოლზე არიან დაჩოქილნი,
და წმინდა საკურთხეველს ცქერენ ქუდებმოხდილი.
ლიტვის ერთ ქერაა — ოქროს ფერა თმიანი,
მლოცველთა თმა პრიალებს რადგან დღეა მზიანი;
გოგონებს ამშვენებენ ნაწნავი და კავები,
და ჩითის ფერადი საზაფხულო კაბები.
ვით ყაყაჩო ყანაში ამშვენებს მწიფე პურსა,
გიცქერის ლალის თვალით, ამით გიხარებს გულსა,
ამგვარად გოგონები ამშვენებენ მიდამოს,
ასეთი სილამაზე აბა ვინ სადა ნახოს?
საკურთხევლად ბარძიმი ოდეს აღმართა მღვდელმა,
ღვთისადმი მორჩილებით, თავი დახარა მრევლმა,
ვითომდა მწიფე ჯეჯილს ნიავმა დაუბერა
და დახრილი თავთავი ჰაერში შეაჩერა.

ქალებმა დღეს საყდარი მორთეს ყვავილებითა,
წმიდა საკურთხეველი გაფურჩქვნილ ტოტებითა,
ღვთისმშობლისა სახელის არის ესე საყდარი,

დღეს წმინდა მარიამის დღესასწაული არი.
მორთულია ხატი და სამრეკლოს აივანი,
სვეტი, კარი, რიკული და მგალობელთა ბანი;
თაფლის სანთლის სუნი დგას გრძნობენ შვებას ღვთიურსა,
ოდეს საკმეველს ყნოსვენ და ცქერენ საცეცხლურსა.

ჯერ მღვდელმა წაუკითხა მრევლს წმინდა სახარება,
შემდეგ ღვთისმშობელზედა წარმოთქვა ქადაგება.
მრევლმა აღიარა ცოდვათა აღსარება,
და შემდეგ, მოწიწებით მიიღო ზიარება.
დამთავრდა წირვა, ჩაქრა კერასი და სანთელი,
ხოლო მთავარ ხატის წინ ჯერ ანათებს კანკელი.
საცეცხლურში დაფერფლდა სურნელი საკმეველი,
მრევლი როს გამოვიდა, საყდარში დარჩა მღვდელი.
საყდრიდან პოდკომოჟი გამობრძანდა პირველი,
ვით კონფედერალის მარშალი და ერისა მმართველი;
ქულაჯაში ჩაცმული — ვარაყიან ხმალითა,
მოოქროვილ ქარქაშით, ზარნიშიან ქამრითა.
ყელზე ღილის მაგივრად საყელოსა უკრავდა —
გათლილი მარგალიტი, ცისკრის ვარსკვლავსა ჰგავდა.
ქუდზე ყანჩის ქოჩრისა კონა ჰქონდა მიკრული,
რომლის ერთი ფრთა იყო ოქროდ დაფასებული.
(ასეთი ტანსაცმელი, დიდკაცური—მდიდრული,
დიდსა დღესასწაულზე ჩვენშია მიღებული).
პოდკომოჟი საყდრის წინ ავიდა გორაკზედა,
გაიმართა და შემდეგ ირგვლივ მიმოიხედა,
დაინახა — წრედ დადგა მრევლი მოსასმენელად,
თქვა: „მე მაქვს კარგი ცნობები თქვენდა გასახარებლად.
საყვარელი სამშობლო ეხლა აგვიყვავდება,
ნაპოლეონმა მისცა ჩვენს ერს თავისუფლება.
პოლონეთში უკვე ზის მთავრობა ეროვნული,
ეხლა ლიტვაც იქნება მასთან შეერთებული.
ეს ერთი, და მეორე, მე მაქვს მოვალეობა,
სოპლიცებისა ეხლა გაცნოთ მდგომარეობა;
ვიცით, რომ იაცეკმა ქნა დიდი ბოროტება,
ასეთი საქციელით, ქვეყნად კაცი წახდება.
დღეს დრო დადგა გაცნობოთ მისი დამსახურება,
სამშობლოს და ერისთვის თავის განწირულება,
რასაც დამიმტკიცებენ სარდლები აქა მყოფი
და ეს თქვენთვის იქნება საკმარისი — სამყოფი.
იაცეკი სოპლიცა — რაც აქამდე გვსმენია,
რომში მიიცვალაო და იქვე ასვენია".

ეხლა გეტყვით, ყოველი ეს არ არის მართალი,
მოისმინეთ ამბავი ნამდვილი – არ ახალი.
აქედგან გადიხვეწა, დაიწყო სხვა ცხოვრება
და მან გამოიცვალა სახელი და წოდება.
ღვთის და სამშობლოსადმი წაშლა დანაშაულის
მოინდომა, ცდილობდა ხსნასა ცოდვილი სულის;
ბერად შედგა, მოშორდა თვის სამშობლო მხარესა
სხვა მხარეს გადიხვეწა, სადღაც შორს მდებარესა.

ოდეს ჰოჰენლინდენთან დაამარცხეს რიშპანსი
სრულიად დაეკარგა მის ჯარს მებრძოლთა ფასი,
იხევდა, არ იცოდა რომ მოდის დახმარება
კნიაზევიჩი ჯარით და მტერს დაეტაკება.
სოპლიცამ მოუტანა ფრანგებს ამისი ცნობა,
მას არა მიწიერი ჰქონდა გამბედაობა.
ცნობილია ეს საქმე მისი ნამოქმედარი,
იგი იბრძოდა ყველგან, თუმც არ იყო მხედარი.
ოდეს ჩვენმა ჯარებმა სამოსიერის ხეობას
ცხენდაცხენ შეუტიეს და ვაქებთ მათ მხნეობას,
ამ ბრძოლაში სოპლიცამ თავი გამოიჩინა,
კოზიტულსკისთან ერთად, ჯარს მიუძღოდა წინა.
იგი ორჯერ დაიჭრა ტყვიითა და ხმლითა
და შემდეგ შიკრიკობდა დაულეველ ძალითა,
სოპლიცოვში აწყობდა ეხლა აჯანყებასა,
ხოლო კაცი ვერ შეცვლის ღვთის ნებას, განგებასა,
შეტაკებაში დაჭრეს და მისი წყლული
მოურჩენელი იყო, მიტომ დალია სული.
მთავარსარდალს ოდესაც გაუცია ბრძანება
და უნდა მომხდარიყო მისი დაჯილდოება
სამხედრო ჯერით, ამა დროს იქ ცნობები მისულა,
რომ იაცეკ სოპლიცა უკვე მიცვალებულა.
რადგანაც კონფედერალის მე გახლავართ მარშალი,
მინდა სასიხარულო გაცნობოთ თქვენ ამბავი,
რომ მთავრობის კანონით, მიწიერი ცოდვები –
აპატიეს და ჩვენსას გადმოგზავნეს ცნობები.
დღეიდან კი თქვენდამი ჩემი არის ბრძანება,
ცუდად იგი აროდეს ჩვენში არ იხსენება,
ცნობილ მამულიშვილად იგია ჩარიცხული,
და ამიტომ პატიეით იქნება ხსენებული,
ხოლო, ვინმე ჩემსა ბრძანებასა დაარღვევს,
„Gravis notae maculae", იგი პასუხსა აგებს.
აზნაური თუ გლეხი, ყველა არის მოვალე,

გაავრცელოს რაც მე ვთქვი, რაც შეიძლება მალე.
მარშლის წიგნში, მდივანი ჩაწერს ჩემს განცხადებებს,
ხოლო გზირი მიიღებს სათანადო უწყებებს.
სამუდამოდ მთავრდება ცუდად მისი ხსენება –
ამ ქვეყნად, და ზეცაში – ვით ღვთისა არის ნება.

რადგან მან სიცოცხლეში ვერ მიიღო ეს ჯილდო,
მინდა, მის საფლავის ჯვარს სამი დღით ჩამოეკიდო
ხოლო, შემდეგ შევსწიროთ მარიამს – ღვთისმშობელსა,
დღეს გვაქვს დღესასწაული და თაყვანს ვცემთ რომელსა.

ოდესაც დაამთავრა მან თვისი მოხსენება,
ჯვარი აიღო ხელში, მხედრის მკერდის მშვენება
და დაჰკიდა რაინდის ჯვარი სამარის ჯვარსა,
მწუხრის ნიშნად ჩამოჰკრეს სამჯერ სამრეკლოს ზარსა.
დაიჩოქეს, ლოცვა თქვეს – ცოდვათ შესანდობელი,
აასრულებს მათ თხოვნას მარიამ ღვთისმშობელი.
განუსვენე უფალო, სულს მონის შენისასა
და დაამკვიდრე იგი სამოთხესა ცისასა.

სოპლიცოვში დღეს დიდი წვეულება იქნება,
მსაჯული გლეხს და თავადს ყველას ეპატიჟება.

მოაჯირზე დამჯდარა ორი მოხუცებული,
წინ ხელადა უდგიათ ღვინითა ავსებული,
ბაღს უცქერენ, ვარდებში დგას  ულანი – მხედარი,
და მის გვერდით კეკელა მზის არის შესადარი.
ბაღში სხვა გოგონებიც კრეფენ ვარდ – ყვავილებსა,
ხოლო არ უცქერიან იქვე მდგარ საყვარლებსა,
რადგანაც ყველამ იცის, რომ უხერხული არის
მოისმინოს დანიშნულთ ჩურჩული – საუბარი.

მოხუცნი ღვინოს სვამენ და ყნოსავენ ბურნუთსა,
თუმცა მუსაიფობენ, როდი კარგავენ წუთსა.

ასე ჩემო ბატონო! ეუბნება გერვაზი,
დიახ, დიახ! ბატონო! პასუხებს პროტაზი.
ამგვარ სიტყვა – პასუხით ართობს ერთი მეორეს
და იგივე სიტყვები ათჯერ გაიმეორეს.
პროტაზმა თქვა: „ვხედავ რომ დამთავრდება დაობა,
ჰორეშკოს და სოპლიცის ამდენი კინკლაობა;
მახსოვს, ძველად ამგვარად დავა დამთაერებულა,

მოდავე გვარის შვილი როს დაქორწინებულა
და ყმაწვილი მოდავის გვარსა ჩასძინებია,
ან მოდავეს, მოდავის ქალი მიითხოვებია".
ხშირად ხდება ხოლმე რომ, მტერნი შერიგდებიან,
ოდეს მტერთა შვილები ხოლმე ქორწინდებიან,
ამგვარად შეურიგდა პუტრამენტი პიკტურნოს,
ოდინეცი მაცკევიჩს, შემდეგ კვილეცკი ტურნოს,
ბოჟობოჰატი იყო — შეურიგდა ლოპოტსა,
სამუდამოდ მოეღო ბოლო იმათ ხლაფორთსა.
დიდი დავიდარაბა არის მოდავეთ შორის,
თუ ძნელია მოძებნა გვარში ყმწვილის ორის,
ანდა ნათესავია ანდა გვარში მღვდელია,
იმათი მორიგება, უნდა გითხრა — ძნელია.
ამგვარად იყო ვიცით ძმებისა წაკიდება,
ლეხისა და რუსისა, (რაც ჩვენში ხშირად ხდება).
მაგონდება მე გვარი, ჩვენში ცნობილი რიმშა,
მას რომ ვერ შეურიგდა მონასტრის მღვდელი დიმშა,
მაგრამ ვიცით, სამართალს ვერავინ მისწევენია,
ამიტომაც დღეს ხმალსა, მე ღვინო მირჩევნია.

გერვაზმა თქვა: „მართალი არის შენი სიტყვები,
და სრულიად ამაზე სავსებით გეთანხმები.
ერთგვარი იყო ბედი ლიტვის და პოლონეთის,
ვით ცოლ — ქმრისა, ოდესაც უბედურება ერთის,
შეაწუხებს მეორეს და აგრეთვე ეხება,
უბედობის გაძლება — მაშინ ადვილი ხდება.
ლიტვა და პოლონეთი ხომ ღმერთმა შეაერთა?
და ერთი და იგივე იყო ბედი ამ ერთა,
და ეხლაც მოვესწარით რომ ახლად ერთდებიან,
ძველებურად, და-ძმადა დღეიდან გახდებიან.
საცოდავი სტოლნიკი ამ დღეს რომ მოსწრებოდა,
იაცეკი სოპლიცაც ხომ აღარ წახდებოდა!
ხოლო ეს წარსულია და არ ღირს მოგონება,
ცოდვათა მიტოვება, ხომ ღვთისა არის ნება?".
პროტაზმა გერვაზს უთხრა: „ამბავს გეტყვი მე რამეს,
დამადასტურებელსაც მრავალს ნახავ მოწამეს,
მწამს, რომ ამ მოვლენაში ღვთის ერია ხელია,
რაც ეს ამბავი მოხდა, ეხლა გადის წელია".
უქმე იყო, ოდის წინ მსახურნი ღვინოს ვსვამდით,
ეხუმრობდით და ყველანი ერთად ვლაზღანდარობდით
ანაზდად ძირს დაეცა ვით ნასროლი შურდული,
ორი ჩიტი — ბეღურა, ქარს გაჰქონდა ბუმბული.

ერთი დიდი — ხნიერი და მეორე პატარა —
მოშავო კისრიანი, ტრიალებდა ვით ჯარა,
სახლის სახურავიდან ნისკარტებით ჩაბმული
ძირს დაეცნენ, იბრძოდნენ მთლად თავდავიწყებულნი.
ოდეს იმათ ბრძოლაში ადგა კორიანტელი,
მივეშურეთ; ორთავეს ჩვენ მივეცით სახელი.
დიდს ვუწოდეთ სოპლიცა და ჰორეშკო პატარას,
ერთმანეთს გლეჯდნენ ბუმბულს, დაგიდევდნენ არარას.
ოდეს ჩიტი — სოპლიცა იყო გამარჯვებული,
ვიძახდით: ფალავანი ჩვენი არის ქებული,
ხოლო, ოდეს პატარა — ჰორეშკოდ წოდებული
დიდს წამოჯდა კორტნით მთლად თავდავიწყებული,
არ შერცხვეო სოპლიცა — აქეზებდნენ ყველანი
და არც ვიცი ეს ბრძოლა იყო რამდენი ხანი,
სასაცილო კი იყო ცქერა ამ ჩიტებისა,
რადგანაც ვუცქეროდით ვინ მოერევა ვისა.
არ ვიცოდით სოფიო რომ მათ ბრძოლას უყურებს,
მოირბინა და მარდად, ხელი სტაცა ბეღურებს;
ამგვარად გააშოვა მეომარი ჩიტები,
ხოლო მე მაგონდება იქ მყოფ ქალთა სიტყვები,
რომ ქალწული სოფიო შეარიგებს ორს გვარსა,
ჰორეშკოს და სოპლიცას — დიდი ხნით მოჩხუბარსა.
თადეოზს და სოფიოს ვცქერ, ალბათ ასრულდება,
ბეღურების წყალობით წინასწარმეტყველება.

გერვაზმა უპასუხა: მოგიყვები ამბავსა,
აქამდე მე ვფარავდი, არ ვამხელდი ამასა,
ღვთის მეტმა არვინ იცის და არ გამიმხელია,
თუმც ამის გამჟღავნება ჩემთვის ძლიერ ძნელია.
ძნელია აგიწერო სიყვარულისა გრძნობა,
რომელს გულში ვმარხავდი იმის ეხლა თხრობა,
მაგრამ, რადგან დამთავრდა სოპლიცისადმი მტრობა,
გაგიტყდები. სოპლიცებს დავახრჩობდი ხელითა,
ნაკუწად ავჩეხავდი წალდით გინდა ცელითა,
ვინ გინდა ყოფილიყო დიდი თუნდა პატარა,
მათდამი მქონდა მტრობა, არ მარცხვენდა ჭაღარა,
ხოლო მე თადეოზი ბავშვობიდან მიყვარდა,
მისადმი რაღაც გრძნობა მე გულში ჩამივარდა,
რამდენჯერ მოირბენდა კოშკში ყმაწვილებითა,
ვამხნევებდი თადეოზს, ქებით, წაქეზებითა.
გამბედავი იყო და მეტად შეუპოვარი,
ბებერ ნაძვს ავიდოდა, სად ყორნის ბუდე არი,

მუხაზე გვრიტს იჭერდა საცა ხეს აკრავს სურო,
ბრძანებლობდა თვის ტოლებს და ცქერდა როგორც კურო
მშურდა რომ სოპლიცების ვაჟია ნაშიერი,
ეხედავედი კი მირონი აქვს ღვთისგან ზეციერი.
ვინ იცოდა? ან მაშინ მე როგორ ვიფიქრებდი,
რომ თადეოზს მე კოშკის ბატონად მივიღებდი?
და რომ ის სოფიოსი გახდებოდა საქმრო,
ფიქრადაც არ მომსვლია, რაც არის სახუმარო.

პროტაზმა და გერვაზმა დაამთავრეს ბაასი,
ზედიზედ კი იცლება უსიტყვოდ მათი თასი!

ვოისკი ჩაფიქრებით იჯდა ღია ფანჯარასთან,
მოხუცნი ყურს უგდებდნენ სმენად გადაქცეულნი,
დაავიწყდა რომ მსაჯულს სტუმრები ჰყავს წვეული.
ოდესაც დაამთავრეს მოხუცთ თვის მასლაათი,
(და დალია ყოველმა ფიალა ოცდაათი)
მათ, ვოისკიმ ფანჯრიდან მოაწოდა ნამცხვარი,
ცოტად რომ წაიხემსონ, ღვინოზე კარგი არი.
მათ უთხრა: „მოვისმინე ორთავეს ნაამბობი,
მეც მაქვს ერთი შემთხვევა დღეს თქვენთვის მოსათხრობი,
რეიტანის შემთხვევა სხვის მიერ უნახავი,
რომელსაც რომ კინაღამ თვითონ შესწირა თავი.
არ აცალეს თხრობა რომ დაემთავრებინა,
ლაქიამ  ვოისკისთან ხვნეშითა მოირბინა,
დაეკითხა, როგორი ვის დაუდგას ჭურჭელი,
რადგანაც  ვოისკია სტუმართ გამრიგებელი".

პროტაზი და გერვაზი, უსიტყვოდ სვამენ ღვინოს,
(კურთხეულმა ზედაშმა კაცსა როგორ აწყინოს?)
თადეოზს უცქერიან – სოფიოსთან დგას ბაღში,
მარცხენა ხელი ვაჟსა გამოუყრია მკლავში.
(მარჯვენა აქვს დაჭრილი და კისერზე ჰკიდია).
სოფიო მას უღიმის, აღარვის აქვს რიდია.
ვაჟმა უთხრა: „სოფიო! მითხარი გენაცვალე,
კარგად აწონ-დაწონე და ნუ გადაწყვეტ მალე,
მე მინდა რომ ვიცოდე თუ გსურს დაქორწინება,
თუ აზრი არ გიცვლია, დეე მოხდეს მხილება.
შარშან ზამთარს მზად იყავ ჩემთვის სიტყვა მოგეცა,
ხოლო უხერხულადა ხომ თავს ვიგრძნობდი მეცა?
და ასეთ თქმულსა სიტყვას რა ფასი ექნებოდა,
თუ რომ ძალდატანებით გამოთქმულ იქნებოდა?

აროდეს მიფიქრია რომ პირველი ნახვითა,
მე შენ შეგყვარებოდე დიდი გრძნობის ალითა,
ამიტომ მე ვარჩიე თავი გამოგვეცადა,
და ერთი წელიწადი ორთავეს მოგვეცადა.
მინდოდა შენი გრძნობა დამემსახურებინა,
და შენს გულში ამითი მეპოვნა ტკბილი ბინა.
ეხლა თუკი დარწმუნდი რომ შენი სიყვარული —
ჩემდამი არის მტკიცე და გსურს მე მიძღვნა გული,
არა ბიცოლას ხათრით ან ძალდატანებითა,
ხოლო შენის გრძნობით და შენი გულის ნებითა.
დაფიქრდი და მიჰყევი მხოლოდ შენს გულისთქმასა,
დრო გაქვს კიდევ იფიქრო თუ ვარ ღირსი ქმრობისა.
მე ლიტვაში მტოვებენ წყლულის მოსარჩენადა
და დარჩენილ ჯარების აქვე გასაწვრთნელადა.
ცოლქმრობა დიდი რამ არს, შენ ეს უნდა გახსოვდეს
და ამიტომ, მე პასუხს არ მოვითხოვ შენგან დღეს.
რჩევა მოგცე, შენ ალბათ მომცემ ამის ნებასა,
გახსოვდეს, კაცის გული ვერ იტანს ბრძანებასა".

სოფიომ თადეოზის თვალს, თვალი გაუყარა,
პასუხი მისცა რითაც, ვაჟს გული გაუხარა.
უთხრა: „შენი წასვლის შემდეგ, არც ვიცი აქ რა მოხდა,
ხოლო კაცი და ქალი ამას გაიძახოდა,
რომ დრო არის შენზედა ჩემი გათხოვებისა,
და მე კი ყაბული ვარ უფროსთ და ღვთის ნებისა.
ეხლა გეტყვი: ოდესაც შენ ჩვენ გამოგვეთხოვე,
(იმ ღამეს მიიცვალა რობაკი როს დაგვტოვე).
შენს უპეზე კრიალა ცრემლები დავინახე,
და გულს დაღად მიწვავდა იმ დღიდან შენი სახე.
ვილნოში წამიყვანა პოდკომოჲის ასულმა,
ზამთარი იქ დავყავი, ხოლო ამ დრომ გასულმა,
ვერ შეძლო დავიწყება დანახულ ცრემლებისა,
ხშირად მარგალიტებად იყვნენ ჩემს სიზმრებისა.
მე როდი მიტაცებდა ლამაზი არემარე,
უშენოდ ვერსად ვპოვე ჩემი გულის სიწყნარე,
დაბრუნებას ვჩქარობდი იმ პატარა ოთახში,
საცა პირველად გნახე შარშანდელ გაზაფხულში.
დათესილი მარცვალი მიწაში რომ იზრდება,
მიწიდან ყლორტს აიყრის და მწვანედ იფურჩქნება,
ამგვარად იზრდებოდა შენდამი სიყვარული,
და მგონია საკმაოდ არის მომწიფებული.
რაღაცა წინათგრძნობა სოპლიცოეს მეწვეოდა

და რომ განახავ ოთახში, გულიც მეუბნებოდა;
ესეც მოხდა. დავბრუნდი და იმ ოთახში განახე,
საცა შენ, გაზაფხულზე პირველად დაგინახე.
ოდესაც მიცქეროდნენ — ვიყავ ჩაფიქრებული,
გოგონები ამბობდნენ, რომ ვარ შეყვარებული,
და თუ ეს მართალია, ჩვენი დანიშნაც მოხდეს,
რადგან შენ გარდა აბა მე ვინ უნდა მიყვარდეს?!
ოთახისკენ წავიდნენ მუსაიფით ხმატკბილად,
სად ყმაწვილი ცხოვრობდა ათიოდე წლის წინათ.

ამ ოთახში „რეენტი დიდებულად ჩაცმული,
დატრიალებს, იქვე ზის მისიეე დანიშნული,
ხან სამაჯურს აწოდებს, ხან ბეჭედს, ხან საყურეს,
რეენტი თვის საცოლეს, სიყვარულით დაჰყურებს,
ტრიალებენ მსახურნი და ხათუნი ქალები,
მიართვეს ერთი მოთხე ხელოვნური ხალები.
პატარძალი, სარკეში ცქერით არის გართული,
(ბლომად კი დაუყრია პირზე ფერუმარილი).
ერთი კავებს უგრეხს და ერთი უკრავს მაშიას,
ორი დაჩოქილა და უსწორებს არშიას".

საცა რეენტი იყო დანიშნულთან გართული,
იმ ოთახის ფანჯარა ეხლა იყო დახშული.
მებაღემ მოირბინა, დაურაკუნა ჩარჩოს,
რომ სწრაფად ოთახიდან რეენტს გამოუძახოს.
თან შესძახა: „კურდღელი დაიმალაო ბაღში,
ბოსტნიდან გამოვიდა და შეძვრა ახლო შამბში".
რეენტი ოთახიდან გამოვარდა უქუდო,
რომ ყველას დაანახოს მან მწევარი უკუდო
ასესორსაც ძუნძულით მოჰყავს თავის მიმინო,
გულში ფიქრობს: „დღეს შენით თავი უნდა ვიჩინო.
ვოისკი გამოვიდა, დადგა ლობისა ძირას,
ხოლო ბუზების ტყავი აქაც ხელში უჭირავს.
ორი მსახური დადგა ერთ ხაზზე მწევარითა,
ორიც ბაღში გავიდა ბუჩქს არხევენ სარითა".
ცახცახებენ მწევრები ოდეს გრძნობენ ნადირსა,
და რომ ალლო აიღონ, უფარვენ ნიავს პირსა.
კურდღელი ჩირგვებიდან გამოვარდა დამფრთხალი,
მწევრებმა საწყალ ნადირს წამშივე მოჰკრეს თვალი.
დაედევნენ. ძაღლები ვით შებმულნი გარბიან,
(მგონია —კაცის გული, ძაღლზე უფრო ხარბია).
ორთავე ძაღლის პატრონს სურდა თავი ეჩინა,

და ორთავეს უნდოდა, რომ მისი იყოს წინა.
კუდა მისდევს მარცხნიდან და მიმინო მარჯვენით,
(მწევარი არასოდეს ნადირს არ მისდევს ღრენით).
ერთად კბილები სტაცეს ხერხემალში საბრალოს,
უკუდო და მიმინო ვინღა გაასამართლოს?!

ვოისკმა მოირბინა, მოსჭრა კურდღელს ფეხები,
თითო-თითო ძაღლს მისცა, დაამშეიდა მწევრები.
ასესორს და რეენტა სიცილით დაუძახა;
მწევრები რომ ტოლია, ხომ ყველამ დაინახა!
რადგანაც მე გახლავარ მოდავეთა მსაჯული,
არც ერთის სანაძლეო არ არის წაგებული.
ეხლა უნდა შერიგდეთ — ჩემია განაჩენი,
პატრონნს და·უბრუნდება საყელური და ცხენი.
ასეთი იყო ბოლო მწევრებზე დაობისა,
ამბავი სასაცილო, იმ დროის თაობისა.

რეენტმა თქვა: „მე ვდებდი ცხენსა უნაგირიანსა,
ბაჯაღლო ოქროს ბეჭედს ზურმ·უხტის თვალიანსა,
ცხენი ჯარს წაიყვანეს სამშობლოსთვის საომრად,
ბეჭედი კი ვოისკიმ მიიღოს ჩემს სახსოვრად.
სანაძლეოს წაღება უკან უხერხულია,
და ასეთი მოქცევა ჩვენში არ ნახულია;
მე დამრჩა უნაგირი ოქროთი მოჭედილი,
და თოქალთოს საოფლე წმინდა მატყლის — თელილი.
კოტას ვერცხლი ამშვენებს, ტახტას ოქროს ზარნიში,
რბილი, სპარსული მეშის სირმიან ბაღში.
კეხი ბზისა, მაგარი, საჯდომად საამური,
ფოჩით დამშვენებული — აღვირის აპეური.
წმინდა აბრეშუმისა შუა მოსართავია,
კრიალებს აბჯანდების დაქონილი ტყავია,
უზანგები ვერცხლისა და ოქროს აბზინდები,
ხელობაა საჩინო, რომ ნახო გაკვირდები.
საძუე, სამკერდული, აღვირი, გულავშარა,
შუბშრაკი მოჭედილი, მასთან, მეშის მათარა.
უკეთესს ვერსა ნახავს თვალი ცხენოსანისა.
საოცნებო, სანატრო, ყველა მეომარისა.
ოქროს სამი დღის მთვარით ბრჭყვიალებს სამკერდული,
და მთელი უნაგირი — ხელობაა თათრული.
პოდჰაიცის ბრძოლაში პაპაჩემს დაეჩეხა
ოსმალო აზნაური, დაამოწმებს ჰრეჩეხა,
და ვითა ნათურქალი საჩუქრად მიუღია —

პაპას ვაჟკაცობისთვის და შინ წამოუღია,
კუდა მწევარზე იყო სანაძლეო ასეთი,
წამეგო! რას იტყოდა ლიტვა ან პოლონეთი?
ასესორო! შენა გთხოვ, ეს მიიღო საჩუქრად,
ალბათ არ გამაწბილებ! მოიქეც პოლონურად".

ასესორს მოეწონა ასეთი საჩუქარი
და ამიტომ როდი თქვა უნაგირზე უარი.
უთხრა: „სანაძლეოდ მე დავდე საყელური,
და დიდი ლალის თვალით, აბრეშუმის სამბული,
საყელური – ნიანგის ტყავისა ნაჭერია,
ოქროს დიდი კოპლებით, – საამო სამზერია.
თავად სანგუშკოს იგი ჩემთვის როდი დაშურდა–
მაჩუქა და შვილთათვის მე დატოვება მსურდა.
დღეს ცოლს ვირთავ და ალბათ შვილებიც მეყოლება,
რომელთ გადაეცემა მთელი ჩემი ქონება,
ხოლო, შენ გთხოვ მიიღე ჩემგან ეს საჩუქარი,
ნუ იკადრებ, ამაზე შენ რომ მე მითხრა უარი.
აყვავდეს ძველებურად ჩვენ შორის მეგობრობა,
დავივიწყოთ შუღლი და მწევრებზე კინკლაობა".
ერთმანეთს მოეხვიენ, მიაშურეს ოდასა,
ამთავრებდნენ მწევრებიც დღეს თაეიანთ მტრობასა.

სოფლად ხმა დადიოდა, რომ ვოისკიმ კურდღელი,
აღზარდაო, ბაჭიას კვებავდა მთელი წელი,
დრო იხელთა მოეწყო მას ასეთი ოინი,
ზუსტად, ოდეს სოპლიცოვს იყო ეს დიდი ლხინი,
მოისმოდა აქა-იქ ხმა ამგვარი ჭორისა,
ალბათ სურდათ გათიშვა რეენტ – ასესორისა.
ასეთ ხმას ავრცელებდა მთავარი მზარეული,
ხოლო, არვის სჯეროდა სიცრუე ესე თქმული.
ვოისკის ასეთ ოინს, თუმცა არავინ გმობდა,
ხოლო როს ჰკითხავდნენ, იგი უარს ამბობდა.

კოშკის ფართე დარბაზში არის დღეს წვეულება;
ვახშმისა მოლოდინში, როგორც ხშირადა ხდება,
ჯგუფ-ჯგუფად შეიკრიბნენ მასლაათით გართულნი –
სტუმრები, – იმდენია, ძლივს იტევს მათ სართული.
მსაჯული შემოვიდა პირით მხიარულითა,
თადეოზი შემოჰყვა თავის დანიშნულითა,
თადეოზმა სალამი მისცა ირგვლივ მხედრული,
(მარცხენითა, რადგანაც მარჯვენა აქვს აბმული).

სოფიო ჯერ შეჩერდა, აკრიბა კაბის კალთა,
ირგვლივ სალამი მისცა მხედრებს და სხვა სტუმართა.
(ტელიმენამ ასწავლა ზრდილობით მისალმება,
რაც სამწუხაროდ ჩვენში დღეს იშვიათად ხდება).
თავზე ჰქონდა გვირგვინი, ვით შეჰფერის დანიშნულს,
ვარდების თაიგულიც თან ამშვენებდა ქალწულს.
სოფიომ ყველა სტუმარს მისცა თითო ყვავილი,
ქალწულს კოცნიდნენ ხელზე — ჩვეულებაა ზრდილი.

წვეულთა შორის იყო კნიაზევიჩ — სარდალი,
წამშივე მიესალმა რა დაინახა ქალი,
ჯერ მას შუბლზე აკოცა, შემდეგ ხელი მოხვია,
და შესვა მაგიდაზე, სანამ გამოერკვია.
ტაში დაჰკრეს. ვაშაო სტუმრებმა შეუძახეს,
მათ ასეთი მშვენება მხოლოდ აქ დაინახეს,
რადგან გადახვეწილნი იყვნენ უცხო მხარეში,
ეხლა ქალს შესცქეროდნენ, ცრემლი ჰქონდათ თვალებში.
უცხო ქვეყნად არ ჰყავდათ მისი მსგავსი ნახული,
მოაგონდათ სარდლებსა სიყმაწვილე წასული;
თადეოზის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა,
სოფიო იღიმოდა, ხოლო მეტად მორცხვობდა.

არვინ იცის, სოფიოს იქნებ ვინმემ ურჩია,
და ტანსაცმელთა შორის ეს კაბა აურჩია,
ხოლო ის ტელიმენამ დატუქსა დღეს პირველად,
რადგან არ მოუსმინა, ჩაეცვა დიდებულად.
(თვისივე გემოვნებით ქალი გრძნობს რა უხდება,
სხვა კაბა რომ ჩაიცვას, ნურვინ ჩააცივდება).
სოფიოს ეცვა კაბა უბრალო და გლეხური,
ხოლო ძლიერ შეენოდა, თუმც იყო სოფლური.

ქალწულის კაბა იყო თეთრი — ნაოჭასხმული,
კიდე ჰქონდა წითელი ზონარით მოვლებული,
სამაჯე და საყელო ფერადად მოქარგული,
და თეძოდან მკერდამდე, ვით არტახი შეკრული.
მხრებთან სახელოები პეპელის ფრთებსა წააგავს,
კაცი მხოლოდ ლიტვაში ასეთ მშვენებას ნახავს.
ამშვენებდა ნაწნავი უკან გადაშვებული,
და ყვავილთა გვირგვინი რით თავი აქვს შემკული.
მკერდი გაუფურჩქვნელი ვით მაისის კუკური,
ალუბლის კურკის თლილი, საყურიანი ყური.
მწოვარა დობჟინსკისა იყო ეს საჩუქარი,

კურკაზე, ამოჭრილი ღუზა და გული არი.
ამ ხელობით, ყმაწვილი სოფლად იყო ქებული,
რომელთან დღეს სოფიო არის წაკიდებული.
ქალწულს მკერდზე ეკიდა ქარვის კრიალოსანი,
(ცნობილი უნდა იყოს გამთლელი — ხელოსანი).
და ამგვარი, უბრალო, გლეხური ტანსაცმლით,
მან სტუმრები მოხიბლა, ტკბებოდნენ ქალის ცქერით.

ერთმა სტუმართაგანმა ამოიღო ფანქარი,
გადიშალა ქაღალდი, (უნდა იყოს მხატვარი).
პირი აქვს მომღიმარე, ესპანურ წვერიანი,
ხოლო არ უნდა იყოს მოხუცი და ხნიანი.
ალბათ არის ის ჯარში ვაჟკაცობით ქებული,
რადგან თანამდებობით არის წარჩინებული.
თუმც გამოცვლილი იყო მხედრული ჩაცმულობით
მსაჯულმა გრაფი იცნო, მიესალმა ზრდილობით.
თავის ხარჯით, ცხენოსანთ რაზმი შეუდგენია,
ბრძოლაშიც გულადობა მას გამოუჩენია,
ამიტომ ბონაპარტემ, უფროსადა ამ მხარის,
თვით ჰორეშკო დანიშნა, რომელიც მხატვრადა ზის.

ეხლა მეორე წყვილი დანიშნულთ შემობრძანდა.
ეს ასესორი იყო და აშკარადა ჩანდა,
რომ ოცი საათის წინ მიიღო ეს წოდება;
(ასეთი მოვლენა ხომ ვიცით ხშირადა ხდება)
რუსის იყო მოხელე, დღეს კი ბონაპარტესი,
პოლონურად ჩაიცვა. (ასეთი არის წესი).
მრუდე ხმალი არტყია და დეზებს აწკარუნებს,
თვის საცოლეს მოჰყვება და ღიმილით დაჰყურებს.
ტელიმენას აშიკი ასესორმა დატოვა,
და ვოისკის, ასულის ცოლად მიცემა სთხოვა.
საცოლე იყო თეკლე — ჰრეჩეხისა ასული,
თუმც ცოტაოდენ ქალი ხანში იყო შესული,
რა უშავს რომ გადასცდა ორმოცდაათი წელი,
არის თავაზიანი, ზრდილი, დარბაისელი.
მზითევად ჰრეჩეხამ მისცა ერთი დიდი სოფელი,
მსაჯულმა სავსე ქისა, თუმც როდია მშობელი.

დანიშნულთ მესამე წყვილს მუქთად ელოდებიან.
მსაჯული ღელავს, უცქერს, როდის გამოჩნდებიან,
რომ გაიგოს რა მოხდა, გააგზავნა მსახური,
იქნებ რაიმე ცნობას იმათზე მოჰკრას ყური,

მან ცნობა მოიტანა, რომ რეენტს დაუკარგავს,
საქორწილო ბეჭედი, როს კურდღელი უნახავს,
და ოდესაც მწევარი ბალში გაუყვანია,
ბეჭედს დაეძებს ველზე ამოდენა ხანია.
ოთახში ტელიმენა არისო ჩაუცმელი,
იბანს და ემზადება, არისო უვარცხნელი,
საღამოს ოთხ საათზე მზად იქნებაო ალბათ,
რადგან სამი მოხელე თავს დასტრიალებს მარდად.

# წიგნი მეთორმეტე

## გაუმარჯოს

### შინაარსი

უკანასკნელი ადათური წვეულება
ლანგრის ქანდაკება
მოძრაობის აღწერა
დომბროვსკი დასაჩუქრებული
კიდევ დანაზე
კნიაზევიჩს მისცეს საჩუქარი
თადეოზმა მემკვიდრეობა მიიღო
გერვაზის შენიშვნები
კონცერტი
პოლონეზი
გაუმარჯოს

ოდის ორფა კარები ანაზდად მოიფელა,
ვოისკი შემოვიდა, მას უცქეროდა ყველა;
სალამი არვის მისცა, როდია ალუზრდელი,
მხოლოდ, რადგანაც არის სუფრის გამრიგებელი.
ხელისუფლების ნიშნად კვერთხი უჭირავს გრძელი,
ნიშნად, რომ წვეულების იგია ხელმძღვანელი.
სტუმართ კვერთხით უჩვენებს ვისთვის სად არის სკამი,
სათანადო ჭურჭელი, სასმისი ანდა ჯამი.
სუფრის თავს, პოდკომოჟი პირველი მოათავსა,
პატივს სცემენ მოხუცს და თავიანთ მარშალსა;
სპილოსძვლიანი სკამი და ხავერდ გადაკრული,
იმისდა საპატიოდ სუფრის თავს იყო დგმული,
პოდკომოჟისა მარჯვნივ მოათავსა დომბროვსკი,
მარცხნივ კნიაზევიჩი, პაცი და მალახოვსკი,
იმათ შუა მოხუცი — მეუღლე პოდკომოჟის,
შემდეგ მანდილოსნები, ყველას კი ვაჟი უზის.

სოპლიცა მიესალმა მოწვეულთ – სტუმართ კრებულს,
და რადგანაც იცავდა ჩვეულებას მიღებულს,
მისალმებისა შემდეგ, მან დარბაზი დატოვა,
სტუმართ წინაშე ზრდილად ბოდიში მოითხოვა,
და ეზოში გავიდა სად იყო მოწვეული,
მეჯინიბე, ხაბაზი, მოახლე, მზარეული
და იმათთან, სოფლები სოპლიცის გლეხებისა,

თვით მსაჯულია სეფედ დღეს ამ წვეულებისა.
სუფრა არის გაშლილი სიგრძით ასიოდე წყდა,
სოფიოს და თადეოზს ის როდი დაავიწყდა,
რომ ისინი არიან მოწვეულთა მსახურად,
ვით ადათი კარნახობს ძველად — მამაპაპურად.

შინ, დასცქერენ სტუმრები ჭურჭელს სუფრაზე დგმულსა.

ამისდა შესადარის აქამდე არ ნახულსა,
კარგი როგორც ხარისხით, ეგრე ხელოვნებითა,
ირგვლივ ვარაყიანი და წვრილ ქანდაკებითა.
ამ ჭურჭელზე ლიტვაში თქმულება ასეთია:
თვითონ, თავად რადზივილს თურმე შეუკვეთია.
ქალაქ ვენეციაში, მიხედვით თვის გეგმისა,
და თვით უკარნახია შეზავება ფერისა.
შვედებთანა ომის დროს ჭურჭელი დაკარგულა,
დიდი ხანი გასულა და შემდეგ კვლავ ნახულა,
კაცმა არავინ იცის, ღმერთი არის მცნობელი,
როგორ გახდა სოპლიცა ამა ჭურჭლის მფლობელი!

სუფრაზე ლანგარია სათუთი ფაიფურის,
მოცული შაქარლამით და ურმის თვალსა უდრის,
შაქრის ფერადი ქაფი გამოხატავს ბუნებას,
შუაში მურაბის ტყეა, ვერ იფიქრებ წუნებას.
შაქრის სახლი და ხულა, თოშით დაფარულია,
ირგვლივ — ხალხი ჩაცმული, ვით ჩვენში ნახულია,
ეს პირები არიან ფერად ფაიფურისა,
სხვადასხვა ტანსაცმელში ჩვეულად კუთხურისა,
ალბათ ეს წარმოადგენს გასულ დროისა ამბავს:
ფაიფურის პირები, ყველა ცოცხალს წააგავს.

რას ნიშნავს არვინ იცის — ცქერიან გაკვირვებით,
ვოისკმა ახსნა იწყო კვერთხით და ამ სიტყვებით:
(მადის გასალვიძებლად ჯერ დაასხეს არაყი).
ვოისკმა წამოიწყო: „გაინტერესებთ რაკი,
გეტყვით, რომ რასაც უცქერთ, კრებაა არჩევნების,
რასაც თვით დავესწარი და თქმა არ მეძნელების.

აზნაურთა ჯგუფია მარჯვნივ — რასაც უცქერით,
არჩევნები იწყება ყოველთვის წვეულებით,
დახეთ! გაშლილსა სუფრას ჯერ არავინ არა ზის,
ჩანს სუფრასთან ტრიალი ლაქიის და ხაბაზის.

აქა-იქ ჯგუფად დგანან, ჩანს ალბათ კამათობენ,
ქადაგს უგდებენ ყურსა, ერთმანეთს არ ართობენ,
და ქადაგი ის არის ვის გაუღია პირი,
საჩქაროდ გააგზავნოს, გვერდით უდგია გზირი.
ალბათ აქებს ვიღაცას, სურს რომ ელჩად გავიდეს,
ერთიც გვერდზე გამდგარა და ქადაგს არ გადიდევს.

მეორე ჯგუფი არის გულმოდგინედ მსმენელი,
ერთი ჩაფიქრებულა – (ქამარში რომ აქვს ხელი),
შემდეგ, მის გვერდით მდგარი, ულვაშს იგრეხს – ფიქრშია,
მარცხნივ მდგომს, აღტაცებით თითი დარჩა პირშია,
ჩანს ყველა ყაბულია იმ პირის არჩევითა,
ვის ქადაგი აქებდა, ჩანს იმათი ქცევითა.

მესამე ჯგუფს როდი სურს მოსმენა მოქადაგის
და ამიტომ, ყველანი სხვადასხვა მხარეს გარბის,
მან ერთსა ხელი სტაცა და სურს რომ გააჩეროს,
ვინ ღირსია არჩევის, მან უნდა დააჯეროს.
აგერ! ვიღაცა მუშტით ქადაგსა ემუქრება,
ალბათ მოსწყინდა მსმენელს მოწინააღმდეგის ქება,
ერთს ქინჩი მოუხრია ვითომ კურო ხარია,
ჩანს, არ სურს მოქადაგეს დაუჭიროს მხარია.
რამდენიმეს, ბრაზითა ხმალიც ამოუღია,
ერთიც გაბეცებულა და პირიც გაუღია.

ერთი, ჯგუფი გარეთ დგას, ჩანს რომ არვის ემხრობა,
არ იცის ხმა ვის მისცეს, ემჩნევა ყოყმანობა,
თვალები დაუხუჭავს, მარჩიელობს თითებით,
თუ თითი თითსა მოხვდა ასეთ დადგენილებით,
ხმას მხოლოდ მაშინ მისცემს ვისაც ქადაგი აქებს,
ხოლო თუ დააცილა, არავის დაანახებს,
წავა და თავის ხმასა მისცემს იმ პიროვნებას,
რომელიც თვითონ მოსწონს და სხვისგან ისმენს ქებას.

მარცხნივ მონასტერია და მის გვერდით შენობა,
კარი გაღებულია, აქ არ მოისმის გმობა,
ჩანს მთელი დერეფანი – უფროსნი წინ დამსხდარან,
ხოლო ახალგაზრდები, დერეფანს, უკან დგანან.
მათ წინ დგას მარშალი ხელში დიდი თასითა,
შესამჩნევი როდია იგი დიდი ფასითა,
მასში იყო კენჭისყრა. (მიცემული ხმებია).
ეხლა ვხედავთ, რომ უკვე მას დაუმთავრებია

და შიკრიკი აფრინა არჩეულ ელჩს აცნობოს,
სასიამოვნო ამბით რომ იგი გაახაროს.

ვიღაც არ ეთანხმება, ეზოდან ფანჯარაში
თავი შეყო, ყვირის და მოიმარჯვა ქარქაში,
ალბათ უნდა აჩეხოს, ან შეჭამოს თვალებით
ვისაც უცქერს. სარგებლობს veto – სა დაძახებით.
ვხედავთ რომ მთელი კრება მას აუჯანყებია,
ყვირიან და ჰაერში აღმართული ხმლებია.
ალბათ ბრძოლა ატყდება, დასჩეხავენ ერთმანეთს,
ცოცხალს ვერავინ ნახავს ამ ჯგუფიდან ვერცა ერთს.

მღვდელი მოდის ბარძიმით, ქარგულ ანაფორითა,
წინ ყმაწვილი მოუძღვის და გზას უკვლევს ზარითა,
ხმლები ქარქაშში ჩასდვეს, მოიხადეს ქუდები,
(ბარძიმის დანახვაზე, ცხადია დადუმდები).
ხუცესი იქ იჩქარის საცა ხმლების ჩხარია,
წამში აწყნარებს ყველას, თუმც დაობა ცხარია.

არ ახსოვთ ჩვენს ყმაწვილებს აზნაურთა ანჩხლობა,
და ნუ გაგიკვირდებათ ჩემგან წარსულის თხრობა.
იარაღში ვისხედით – არ გვჭიროდა დარაჯი,
პოლონეთს კი ამითი დიდი არ ჰქონდა ხარჯი;
კანონს ყველა იცავდა, იყო თავისუფლება,
არავის არ შეეძლო უბრალოდ ხელის ხლება,
ხოლო გეტყვით, ჟანდარმი სად თოფით წესებს იცავს,
იმ მხარეში ნუ ელით თავისუფლების ხილვას.

ვოისკის პოდკომოჟმა გააწყვეტინა თხრობა,
უთხრა: „ჩვენ მშიერნი ვართ და გვაღირსე ვახშმობა.
ჯერ გვაჭამე და შემდეგ გააგრძელებ შენს ამბავს,
თუმცა გასაკვირია და რაღაც ზღაპარსა ჰგავს".

ვოისკმა უპასუხა: „გთხოვ მიბოძოთ მე ნება,
ბოლომდე დავამთავრო ძველი დროს მოგონება.
დახეთ! ჯგუფი მოდის და ხელზე აუყვანიათ –
არჩეული პირი და ქუდებიც მოუხდიათ,
ჰაერში ისვრიან და თითქოს კიდეც ყვირიან,
ერს აცნონ არჩევანი, ამიტომ იჩქარიან.
დახეთ! მეორე მხარით კაცი რომ დგას დარცხვენით,
ის შინ დღეს როდი წავა სიხარულით და ლხენით,
რადგან არ აირჩიეს. ჭამა დიდი სირცხვილი,

სხვები უცქერიან და, დააყარეს სიცილი.
ცოლი კი ოცნებობდა რომ მიეღო წოდება,
ქმარი რომ დაინახა, ჯერ დაიწყო გოდება,
შემდეგ, გაფითრებულსა ჩანს გული წაუვიდა,
და გვერდით მდგომ მოახლეს მკლავზე გადაეკიდა.

დაამთავრა ვოისკმა ამბავი ესე ძველი
და ლაქიებს ანიშნა მოიტანონ საჭმელი.
წყვილ-წყვილად შემოვიდნენ ფაიფურის ლანგრებით,
შემწვარით, მოხარშულით და მორთული ნამცხვრებით,
ვოისკმა მოამზადა ცოდნით და ხელოვნებით,
ბორში, ცნობილ რომ არის სამეფოსა წოდებით.
(ეს წვენი თურმე სისხლს სწმენდს და კაცს უმაგრებს ჯანსა).
თუ ყოველდღე მიირთმევ სადილად ერთსა ჯამსა.
მოაქვთ სხვადასხვაგვარი შემწვარი ხორცეული,
სუნსა და გემოს აძლევს სუნნელი — ბოსტნეული;
მწვადები, ხორცეული, წვნიანი და თევზეული,
ბორში, ცხელი როსული და გუფთიანი წვენი.
შემწვარი ინდაური, გემრიელი პური,
და შამფურზე გოჭები — ამა დღისთვის ნასუქი,
სხვადასხვაგვარი თევზი — კალმახი, ორაგული,
კობრი, წვერა და ზუთხი, იშვიათად ნახული.
ოსტატურად მორთულ სუფრას ამშვენებს დოში,
თუ გინდ მაძღარიც იყო მაინც მიგიწევს გული.

ხოლო არვინ დაგიდევს თუ რა საჭმელს რა ჰქვია,
რა არის საწებელში, ქონდარი თუ ხახვია,
მადიანად ჭამენ და არც არის საკვირველი,
ოდეს სავსეა ჭური და სტუმარია მსმელი.

ლანგარზე შაქარლამი ზამთრის მაჩვენებელი,
გადნა და ეხლა მოჩანს აყვავებული ველი,
გადნა თოში და თოვლი და დადგა გაზაფხული,
აყვავდა ტყე და ყანა, ვით ჩვენშია ნახული.
ღომსა და ფეტვს მორცხვობით თავთავი დაუხრია,
სხვადასხვა ფერად მოჩანს პური, ქერი და შერია,
სიმინდს გადაუყრია გრძელი — ფართო ფოთოლი,
პურის ყანის მშვენების აბა რა არის ტოლი?
მსხლისა და ვაშლის ხეებს აუყრიათ კვირტები,
ედემის ბაღს გაგონებს — მართლადაც გაკვირდები.

თუ დააკვირდი, მოჩანს შაქარლამი რომ დნება,
გაზაფხული მიდის და თვალწინ ზაფხული დგება.

ფოთოლი ფერსა იცვლის, ყვითლდება პურის ყანა,
ზაფხულიც მიდის, დგება შემოდგომისა ხანა.
სწრაფად მდელო ყვითლდება და ხეს სცვივა ფოთოლი,
მომკულია ყანები — გადნა შაქრისა მოლი.
ჩინური დარიჩინის შუაში ხე დადგმული,
უფოთლო და შიშველი და ტოტებდაშვებული,
შემოდგომას გვიჩვენებს; ტყეც კი არის მტირალი,
ოდეს უცქერ ფიქრობ — ქრის შემოდგომის გრიგალი.

სტუმრებმა რა გასინჯეს ამა ხის გემოვნება,
ვოისკმა გაიღიმა — იგრძნო სიამოვნება,
რადგან მან თვითონ მორთო ლანგარზე შაქარლამი,
თავის ქებად მიიღო, სტუმართ მისცა სალამი.

დომბროვსკიმ თქვა: „ვცხოვრობდი დიდხანს უცხო მხარეში
რაც ვნახე, მისი ხსოვნა წამყვება სამარეში,
ხოლო თქვენ გთხოვთ, ბატონო ვოისკო! ამიხსენით,
ის რაც ჩვენ დაგვანახეთ ოსტატობითა თქვენით,
ჩვეულება არის, თუ ჩვენს პატივსაცემად
დაგვიდგი, რომ ვუცქიროთ ხელოვნების საქებად?".

„ფრიად პატივცემულო, საყვარელო სარდალო!
თქვა ვოისკიმა ჩვენს დროში ის არის სავალალო,
რომ ერმა დაივიწყა ჩვენი ძველი დიდება,
ახალ მოდას მივყვებით და არვის გვერიდება,
არ გვინდა მოგონება რაც რომ იყო წარსულში,
ოდეს თავისუფლება ჰყვაოდა ჩვენს მამულში,
რაც აქ ჩვენ დავინახეთ, ძველი დრო გვაგონდება,
და გახსოვდეთ, რაც იყო, აღარ განმეორდება".
ძველ თაობამ იცოდა ღვინის სმა და ბაასი,
ხელგაშლილად მოწვევა, (რასაც აქვს დიდი ფასი).
დღევანდელი თაობა ძუნწია ვით ურია,
სმა-ჭამის შნოც არა აქვს სავსეც ჰქონდეს ჭურია.
ჩვენს თაობას არ მოსწონს არც, მარანი არც ჭური,
მხოლოდ, მიეც მოსკოვური ყალაბი შამპანური,
ხოლო ბანქოს თამაშში იმდენს წააგებს ოქროს,
შეიძლება მაზრისთვის ნადიმიც გაიმართოს.
ვხედავდი, არ მოსწონდა მსაჯულს ეს საქციელი,
ოდეს მე სალაროდან გამომქონდა ჭურჭელი
და მითხრა, რომ „ბალღისა სათამაშოს წააგავს,
სტუმარს გაეცინება ოდესაც დაინახავს".
პოდკომოჟიც ძველ ლანგარს უცქეროდა დაცინვით,

(ხოლო გთხოვ ნუ დამძრახავთ ერისთვისა განკიცხვით)
მაგრამ როგორც მე ვხედავ, ეს ყველამ მოიწონა,
ძნელია სხვა მხარეში ასეთი რამის პოვნა,
ამიტომაც, დღეს სუფრა მით მოვრთე—დაინახეთ,
რაც დღეს ნახეთ — ამას გთხოვთ — ხსოვნაში დაიმარხეთ,
როგორც ვხედავ, ღირსია ეს თქვენდა სანახავად,
და ბატონო სარდალო! ქცევას ნუ ჩათვლით ავად,
რომ ამ წიგნს თქვენ გიბოძებთ, რომელისა წყალობით,
ვსარგებლობდი და ვხედავ, გაგაკვირვეთ ხელობით,
გთხოვ მიიღოთ ეს წიგნი, მჯერა გამოგადგებათ
ოდეს უცხო პირები წვეულად გეყოლებათ,
და ეხლა გთხოვთ, ჩემს ამბავს დაუგდეთ ყველამ ყური,
საიდან მაქვს ეს წიგნი, თხრობაა უცნაური.

ვერ განაგრძო ვოისკმა ამბავი დაწყებული,
რადგან, კართან გაისმა უეცრად ქრიამული,
დობჟინსკებისა ჯგუფი მოაცილებდა მათეს,
და ეს იყო რომ კართან მათ ხმაური გამართეს,
ოდის კარი გაიღო, შემოვიდა მსაჯული,
მას მოჰყავდა დობჟინსკი — მათე, მოხუცებული,
სარდალთა შუა დასვა და უთხრა საყვედური,
არ არისო მოქცევა შენიო მეზობლური,
რადგან მაშინ მობრძანდი როს სადილი თავდება,
ასე გვიან სტუმრობა აბა ვის ეკადრება?
მათემ თქვა: „ჯარის ნახვა მსურდა და გეახელი,
სადილს ადრე ვჭამ ხოლმე, ნუთუ ვარ დასასჯელი?
ჯამი გადააბრუნა ნიშნად რომ მაძღარია
და ამით სმა-ჭამაზე განაცხადა უარია".

დომბროვსკიმ მათეს ჰკითხა: „ნუთუ თქვენა ბრძანდებით,
ის დობჟინსკი, რომელსაც მე ვიცნობ მხოლოდ ქებით,
კოსტიუშკოს ბრძოლიდან მასზეა თქმულებები,
რომ თავისი წკეპლით ასჩეხაო მოსკალები,
დროს ვერრა დაუკლია — ვხედავ ხართ როგორც კაჟი,
ხმალში ვერ შეგედრებათ თქვენ ახალგაზრდა ვაჟი,
ხედავთ! კნიაზევიჩი მთლად ჭაღარაა თითქმის,
მე სრულიად დავბერდი, ჩემზე სიტყვაც არ ითქმის;
მითხრეს რომ სოპლიცოეში მოსკალნი აგიჩეხავთ,
ვინც გადარჩა, ვით ცხვრისა ფარა გაგირეკავთ,
მინდოდა რომ მენახა წკეპლი და დანები,
ვაჟკაცობის ამბებში არიან ნახსენები".

მსაჯულმა სარდალს უთხრა: „თუმც მოსკალი დავამარცხეთ,
ჩვენი ძალა-ერთობა ამით მათ დავანახეთ,
ხოლო, რადგან ბრძოლაში დობჟინსკები ერივნენ,
მათ ვურჩიეთ, აქედგან რომ გადახვეწილიყვნენ,
რადგან მოსკალებისაგან სასჯელი მოელოდათ
და ჩვენს ლეგიონებში შესვლის იმედიც ჰქონდათ.
მე მწყობრში მყავს დობჟინსკი თქვა ერთმა მეთაურმა.
ხმლით კაცი გადაჩეხოს — მისთვის არ ღირს ჩირადა,
ულვაშებ გაფოფხილი, დათვივით მაჯლაჯუნა,
ხოლო მას ვაჟკაცობა დღემდე ვერვინ უწუნა".
ცხენოსან ასეულის იგი არის ზემდეგი.
ლაპარაკს ჩაერია მეთაური შემდეგი,
თქვა: „სხვა მწყობრებშიცა გვყავს ლიტველი დობჟინსკები,
ცნობილი ვაჟკაცობით და ქებული ბიჭები".
დომბროვსკიმ თქვა: „მანახეთ თქვენ დანას რომ ეძახით,
ამბობენ, რომ რაინდი არის ტანად და სახით,
მსმენია, რომ ბაყბაყდევს ის არ დაუვარდება,
თვითონ ერთი დანითა ოცსაც გაუსწორდება.
მე ვოისკმა მომიყვა რა ვაჟკაცი ყოფილა,
პირველობაში დღემდე მას ვერვინ შეეცილა".
ვოისკმა თქვა: „აქამდე ტყეში იმალებოდა,
როგორც დათვი ბუნაგში, არვის ენახებოდა,
დღეს ტყიდან გამოვიდა, დროა ომიანობის,
რადგან შიში არა გვაქვს დღეს მოსკოვისა მთავრობის.
ღმერთს ასეთი იღბალი იმისთვის მიუცია,
ომში გამოგადგებათ თუმც ცოტად მოხუცია".

გერვაზი დიდხანს იყო ტყეში გადამალული,
რადგანაც იმის მიერ იყო პლუტი მოკლული
და რადგან სახიფათო დღეს არაფერი არის,
მოვიდა, ნახვა უნდა საპატიო სტუმრისა.
დერეფანში გამოჩნდა ბელატი და მაღალი —
გერვაზის, უბრჭყვიალებს მოტვლეპილი კეფალი,
ხალხში გზა გაიკვლია, (ხელში უჭირავს ხმალი).
დარბაისლად გასწია საცა იჯდა სარდალი.

ჯერ მას სალამი მისცა და შემდეგ მოახსენა:
დიდად ბედნიერნი ვართ აქა მყოფელნი ჩვენა,
რომ უცქერით სარდალსა მტერზე გამარჯვებულსა,
იმედი გვაქვს, რომ ხმლით დაგვიბრუნებ მამულსა.
ეხლა აქ გეახელით, გავიგე რომ მეძახით,
ვდგევარ თქვენ წინ გერვაზი, პატიოსანი სახით,

ეს არის ჩემი ხმალი — უწოდებენ „დანასა,"
სიტყვის თქმა რომ შეეძლოს, ალგიწერდათ ხანასა,
რა გადაუტანია, რა ბრძოლები უნახავს,
რითაც ყოველი იცნობს ლიტვაში ჩემსა დანას.
მისგან მოკვეთილ თაეებს ხომ ვერავინ ვერ დასთვლის?
ვით მწერალი დანითა — ფანქარსა, ეს ძვლებსა თლის,
უიარალოზე აროდეს შერცხვენილა,
ჩემს ხმალს პირველობაში, ვერც ვინმე შეეცილა.
ორთავე ემსახურებდით ჰორეშკოს ცხონებულსა,
ბატონსა დაუვიწყარს და ლიტვაში ქებულსა.
ერთხელ უიარაღოს მხოლოდ მოვუღე ბოლო,
ღმერთი არის მოწამე, რომ „pro publico bono".

სარდალმა გასასინჯად ხმალი აიღო ხელში,
ოთახს შუა გავიდა, ჯერ გაიმართა წელში,
შემდეგ მაღლა ასწია და წარმოთქვა ღიმილით:
„ჯალათისთვის კარგია წონით და ბასრი პირით.
სათითაოდ გასინჯა იქ მყოფ ყველა მხედარმა,
არავის მოემარჯვა, ყველას უმტყუნა მხარმა".
თქვეს, რომ დობჟინსკი არის გოლიათისა ძალის,
მხოლოდ მას შეუძლია ხმარებაო ამ ხმლის.
მაგრამ, აქ იყო ერთი მეთაური დვერნიცკი,
და მისი მეგობარი ახალგაზრდა რუჟიცკი,
იმათ კი მოემარჯვათ, მოეწონათ ორთავეს,
და ოდეს მათ გასინჯეს, გადასცეს ხელიდან ხელს.

კნიაზევიჩი იყო სარდალი ტანად დიდი,
ხმალი ხელში აიღო, მოხარა როგორც მშვილდი,
შემდეგ მაღლა აღმართა, სწრაფად დაატრიალა
ვით ბავშვის გასართობი მსტვენავი რამ ბზრიალა.
ძველად სამხედრო სკოლა მას გაუთავებია,
და ხმალ-შუბის ხმარება როდი დავიწყებია.

მოიწონა გერვაზმა ხმლის ქნევა სარდლისა,
უთხრა: ეს ხელობაა პულავსკევის გვარისა
სავა და ღერჟანოვსკი ხმარობდნენ სულ სხვაგვარად,
და ვიცით, თავის ქება რომ არა ღირს არაფრად,
ხოლო ასეთი ქნევა ჩემი მოგონილია,
რომლითაც მე მიცნობენ — ყველგან გაგონილია.
ვხედავ, რომ გაგიწვრთნია ხმლის ხმარებაში ხელი,
ალბათ მოხუცი მათე იყო მასწავლებელი.
ახლა აღარ ვინანებ თუ რომ სული გამხდება

რადგან, ეხედავ რომ დანა უქმად არ დაჟანგდება.
ჩემი ხმალი აროდეს არ აცრუებს ნდობასა,
გთხოვ ნუ მიწყენ ჩემს სიტყვას და ჩემს თავხედობასა,
შენ როგორ გეკადრება მაგ შამფურის ტარება?
მე მრცხვენია მაგ რკინის ხმლისა შედარება,
აბა რომელ აზნაურს მასეთი რამ ჰქონია?
სარდლის ასეთი ხმალი ვის სად გაუგონია?
ვაჟკაცს სჭირს იარაღი, არა რაღაცა რიკი,
ხარის უღელს არგია მაგისთანა ტაბიკი.
ამიტომ გევედრები, მიიღე ჩემი დანა,
ომში გამოგადგება, ატარე მუდამ თანა.
დილიდან საღამომდე მე მას თან ვატარებდი,
ოდეს გვერდზე მეკიდა, თავს დევსა ვადარებდი,
ცოლ-შვილი მე არა მყავს, მხოლოდ ხმალი მიყვარდა,
ღამით გვერდითა მედო, აროდეს დამიჟანგდა,
სასთუმალს მიკიდია ვით ებრაელს ღვთის მცნება,
უმაგისოდ აროდეს მე არ დამეძინება.
მე რადგანაც დავბერდი, ეხლა აღარ მჭირია,
არც ვინანებ თუ მოვკვდი, შენი მქონდეს ჭირია.

გულაჩვილებულ სარდალს ცრემლები მოერია,
უთხრა: „ხმლის ნაზღაური არის ჩემი ჯერია,
და რით გადაგიხადო დანისა საფასური?
შენ უმისოდ დარჩები ობოლი — უბედური.
ან მე რითი დაგიტკბო ეს შენი დაქვრივება?
სიბერეში უმისოდ რითი გექნება შვება?"
გერვაზმა უპასუხა: „ჩემთვის საკმარისია,
შენს ხელში ხმალი დარჩეს, დარდიც მქონდეს რისია?
მინდოდა ჩემთან ერთად საფლავში დამემარხა,
ხოლო მან სათანადო ეხედავ პატრონი ნახა.
დაიხსოვენე რას გეტყვი: მოკლე გქონდეს სამბული,
და თუ რომ მარცხნივ დაჰკრავ, ხმალი გაქანებული,
თუ კიპკიპაში მოხვდა, მტერს გააპობს ჭიპამდე,
რაც გითხარ დაიხსოვნე ანდერძად სიკვდილამდე".

რადგან კნიაზევიჩი გაახარა ამ ხალხმა,
მოხუც გერვაზს მადლობა გადაუხადა სარდალმა,
ხოლო სატარებლად კი იყო უხერხული,
გრძელი, მძიმე და მასთან მეტარდე მოკაკული,
ამიტომ, სარდლის მსახურს მის სკივრში შეუნახავს,
სხვა ნივთებთან და ხმალი აღარავის უნახავს.
დღეს არავინ არ იცის დანა სად დაიკარგა,

მასზე ჭორიც ბევრია, ხოლო თქმა კი არ ვარგა.

დომბროვსკიმ მათეს ჰკითხა: „რათა ზიხარ მოწყენით?
ნუთუ არ გაიხარე გამარჯვებითა ჩვენით?
ვხედავ, რომ შენ არ მოგწონს არწივთა შეერთება,
ყვითელისა და თეთრის, რომლითაც მტერი ფრთხება?
თუ ცხენზე არ შეჯდები, არ გსურს ჩვენთან იბრძოლო,
ჩვენთან მაინც დალიე სამშობლოს სადღეგრძელო,
პოლონეთისა ბედის და კეთილდღეობისა,
მეფე ნაპოლეონის, ცნობილ ბონაპარტისა".

მათემ უთხრა: „მე ვხედავ ეხლა ჩვენში რაც ხდება,
ხოლო ორი არწივი ერთად არ მოთავსდება,
ნათქვამია ანდაზა რაც ეხლა მაგონდება,
ამნაურთ ნაჩუქარი სუფრას არ დაიდება.
უცხო მეფე რად გვინდა? ჩვენ გვინდა პოლონელი,
ჩვენივე სისხლის იყოს ჩვენივე მბრძანებელი.
იუზეფი, ან მათე, ანდა კიდევ იანი,
უცხო არავინ მოვიდაო პოლონელი ჯარები,
მართალს გეტყვი, ნუ მიწყენ რომ არ მოგეხათრები,
ამ ბრძოლაში ვერა ვხედავ ვერაფერს ეროვნულსა,
რაღაც სიტყვები მესმის, წაგავან გერმანულსა,
აბა ვის გაუგია ჩვენში ფიზილიერი?
კანონიერ, საპიორი და ან გრენადიერი?
კიდევ გავიმეორებ და ნუ განმირისხდები,
ალბათ თქვენთან არიან ოსმალო ან თათრები.
ხალხს და საყდრებს ძარცვავენ, დასდევენ ჩვენსა ქალებს,
მე თვითონ დავინახე, თუმც არ ვუჯერდი თვალებს.
ამბობენ: „ბონაპარტე მოსკოვზე ილაშქრება,
გზა გრძელია, იცოდე უღვთოდ არარა ხდება;
გავიგეთ, ბონაპარტე თურმე ღმერთსაც კი ებრძვის,
ეს ცუდი მოვლენაა, აბა ეს ვის შეჰფერის?
მიტომაც ეგზარხოსმა ბონაპარტე დაწყევლა,
და თუ ღმერთს ეომება ვისაგან უნდა შველა?
დაამთავრა, წამოდგა და ქუდს დაავლო ხელი,
გავიდა გულმოსული, არც იგემა სასმელი".

არ ეამა პოდკომოეს მათეს სიტყვები თქმული,
ყმაწვილებმაც დაიწყეს აქეთ-იქით ჩურჩული,
მაგრამ მესამე წყვილი დანიშნულთ შემოვიდა,
რომელთაც, წინ მსაჯული ღიმილით მოუძღვოდა.

ტელიმენა შემოჰყვა რეენტს, თვისსა საქმროს,
ჩაცმულობით რეენტი აბა ვის შეედაროს?
უჩმახურად აცვია ფრანგულ ყაიდაზედა,
ყველას ღიმი აკრავს პირს იმის დანახვაზედა.
აქამდე დადიოდა ეროვნულად ჩაცმული,
ყურთმაჯიან კონტუშზე ხმალიც ჰქონდა მორტყმული,
ეხლა გაშეშებულა, გეგონება სულს ღაფავს,
ვერც იხრება ვითომდა სარი გადაუყლაპავს.
ამგვარად რომ ჩაეცვა საცოლემ აიძულა,
თავსა გრძნობს უხერხულად თუმცა კი გაბღინძულა,
მათე აქამდე იყო მასთან მეგობრულადა,
ერთმანეთს პატივს სცემდნენ, რეენტს იგი უყვარდა.
ეხლა ერთმანეთს შეხვდნენ, თვალი თვალს გაუყარეს,
რეენტს შერცხვა.... არ იცის საით მიაწყდეს მხარეს.

მათე ისე უცქერდა, თითქოს ხდისო ტანსაცმელს.
ერთიც წამოიძახა: „აბა დახეთ ამ სულელს!
ბრაზმორეული გარბის, არვის გამოეთხოვა,
ამგვარად მოხუც მათემ წვეულება დატოვა".

ტელიმენა ცდილობდა მოეხიბლა ყველანი,
ეშმაკურად ცქერდა და სწორად ეჭირა ტანი.
კაბა ინდოს ფართლისა, წოდებით ქიშმირი
სამკაული მრავალი, მარგალიტები ძვირი,
ბლომად ფერუმარული და წარბი შეღებილი,
სიტყვით ვთქვა ყოველივე – როდი არის ადვილი!
სათანადოდ, დახატვას შეძლებს მხოლოდ მხატვარი,
მე მეტს ვერაფერს გეტყვით, მისთვის ვარ უმეცარი.

გრაფმა რა დაინახა, წამს იცნო ტელიმენა,
და ბოლმად გადაექცა აქამდე გულში ლხენა.
უთხრა: რად მომალორე და გამცვალე სხვაზედა?
ეხლა ვნანობ და ვფიქრობ ჩემსა შეცდომაზედა.
გიცქერ და ვერ მიმხვდარვარ, თვალისა არა მჯერა,
რომ ცრუ და გამცვლელი ხარ და მასთან გაიძვერა,
მალე დაგვიწყებია შენ დადებული ფიცი,
რა ყოფილან ქალები – დღეიდან უკვე ვიცი.
სანამ თქვენ ჯვარს დაიწერთ, შემობრძანდებით საყდარში,
გახსოვდეს, ჩემი ხმალი ისევ მაქვს მე ქარქაშში,
ან საქმროს მოგიკლავ, ან დასცინეთ ჩემს გვამსა,
მარდად შემოტრიალდა და ხელი იკრა ხმალსა.

სტუმრები აიშალნენ, რეენტს დაესხა რეტი,
აღარ იცის მან რა ქნას, დგას ვით მარილის სვეტი.
პოდკომოჟმა ისურვა გრაფისა შერიგება,
ტელიმენამ გრაფს უთხრა: „ეგრე როგორ იქნება?
გრაფს სტაცა ხელი, გვერდით ოთახში გაიყვანა,
ყურში წაუჩურჩულა: არა გრცხვენია განა?
რეენტს მე მივატოვებ მხოლოდ მითხარი მე ჯერ,
თუ გიყვარვარ და მზად ხარ, დღესვე ჯვარსა დაიწერ?".

გრაფმა უთხრა: „არსებავ! ჩემთვის გაუგებარო,
წინათ იყავ გრძნობებით პოეზიისა წყარო,
ეხლა ვხედავ, ყოფილხარ სულიერი უბრალო,
ცოლქმრობა მაშ რა არის? აბა მითხარი ქალო!
თუ არა მუსაიფი მოყვარულთა გულისა,
არსებით შეერთება და კვეთებით სულისა?
არის მოვალეობა რომელიც არ ითქმება,
უამისოდ, მერწმუნე ცოლქმრობა არ იქნება.
ამიტომაც მიწა მზეს მუდამ ეალერსება,
მუდამ მისკენ მიიწევს, შეერთება არ ხდება.
ქალმა უთხრა: „შეწყვიტე პოეტების სიტყვები,
ზეცაში ნუ დაფრინავ, ვარსკვლავებს ნუ მიჰყვები,
ღვთის წყალობით ქალი ვარ, ვიცი ჩემს გულს რა უნდა.
დაამთავრე ლაქლაქი, მომწყინდა აბდაუბდა,
ხოლო ეხლა გაფრთხილებ, თუ რომ შენ კრინტსა დაძრავ,
და ქორწილს ჩამიფუშავ შენ პირსა დაგიკაწრავ,
გრაფმა უთხრა: არ ჩავშლი შენსა ბედნიერებას,'
გავიდა. შეუერთდა ოთახში სტუმართ კრებას,
და რომ ამით დასაჯოს ორგული საყვარელი,
პოდკომოჟის ასულსა მხარს გაუყარა ხელი".

თუმცა ვოისკის სურდა მეტოქეთ შერიგება,
რაღაც მაგალითებით დაიწყო დარიგება,
და ნელიბოსკის ტყეში ღორზე ნადირობისა,
რეიტანის ამბავი, თავადთან დაობისა,
ხოლო, არ მოუსმინეს, დარბაზიდან გავიდნენ —
ეზოში სასეირნოდ — ცოტაოდენ გაგრილდნენ.

აქ ქეიფი თავდება, დაცალეს ბევრი ჭური,
და ეხლა საცეკვაოდ მომართეს ჭიანური,
თადეოზს დაეძებენ, (ხომ არეის ემალება?)
ველზე დგას სოფიოსთან და მას ეჩურჩულება.

სოფიო! მინდა გითხრა, გულში რაც მაქვს სათქმელი,
პირადად გადავწყვიტო, ჩემთვის ეს არის ძნელი,
ბიძას შევეკითხე და ის არის ყაბული,
ხოლო შენგნითაც უნდა იყოს ნებადართული.
ის სოფლები რომელნიც მზითევად დაგრჩენია,
ამით ძლიერ დიდდება ბარ-მიდამო ჩვენია,
ხოლო კანონიერად შენია ეს მამული,
შენია ქვეშევრდომი მასზე დასახლებული.
გლეხი თუ აზნაური — შენია ქვემდებარე,
არ მინდა რომ უშენოდ ვმართო ეს არემარე.
ჩვენ ღმერთმა მოგვანიჭა ეხლა თავისუფლება,
კაცნი ვართ მომაკვდავნი, ვინ იცის რა მოხდება?
და ამიტომ მინდოდა მიმეცა ეს მიწები —
მათთვის, თუ რა თქმა უნდა, შენ თანახმა იქნები.
ამ მიწაზე არიან შობილნი და აღზრდილნი,
დეე მიცემულ მიწით გაახარონ ცოლშვილნი;
დილიდან საღამომდე ძალას არ იზოგავენ
ჩვენი სიმდიდრისათვის ხნავენ, მკიან, თესავენ,
მრავალია მიწაში მათი ოფლი დაღვრილი,
და ჩვენსა სიხარულში მიიღონ მათაც წილი,
ამით ჩვენ დაგვაკლდება ცოტა შემოსავალი,
მაგრამ იმედიანი მგონია მომავალი.
ამის გარდა, არ ვიცი აქ სოფლური ცხოვრება,
ქალაქს ხარ მიჩვეული და თუ მოგეწონება.
სოფიომ უპასუხა: „გეკუთვნის მმართველობა,
მე ქალი ვარ, ეს კაცის ბუნებით არს ხელობა,
თანახმა ვარ იმაზე, რაც შენ დაგიდგენია.
ამით სიხარულისა დაგიდგება დღენია,
ხოლო რჩევას ვერ მოგცემ — ახალგაზრდა ვარ ჯერა,
რასაც თვითონ გადაწყვეტ, კარგი იქნება მჯერა.
მე ქალაქი მომბეზრდა, ძლიერ მიყვარს სოფელი,
ობლადა აღვიზარდე არც კი მახსოვს მშობელი,
მსაჯული იყო ჩემი მესვეურია — თავდები
ბავშვობაში და ეხლა აქავე გავთხოვდები.
პეტერბურგს მირჩევნია სოპლიცოვს ფრინველები,
შრომა როდი მაშინებს, ვისწავლი — აღვიზრდები.

საცა სოფიო იყო თადეოზთან გართული
რჩევაში, თუ რა გვარად გლეხთ გაუყონ მამული,
გერვაზმა მოირბინა და უთხრა: „ქალბატონო!
გაგიმქლავნებთ რას ვფიქრობ აბა რაღად დავყოვნო?
მსაჯულმა მითხრა: გლეხებს მიწებს აძლევთ საკუთრად,

და ყველა თქვენს ქვეშევრდომს აცხადებთ თავისუფლად,
მე კი გეტყვით, თუმცა ჩვენ ერთმა გვშობა მამამა,
ვით ძველი მცნება ამბობს, პირველ კაცმა ადამმა,
ხოლო გლეხი ქამისა არის შთამომავალი,
ებრაელი — იაფეტის და წოდება მაღალი
სემის მოდგმის არიან, მის წყალობით ზნიანი
დამიჯერეთ რას ვამბობ, მე კაცი ვარ ხნიანი,
ამიტომ აზნიანებს ეკუთვნით ბატონობა,
ალბათ თქვენთვის არ არის ახალი რამ ეს ცნობა!
მაგრამ, როს ქრისტე იშვა ღარიბ გლეხის ბოსელში,
მეფე იყო, თუმც არა მეფისა სამოსელში,
და ებრაელთა შორის იყო მისი მოძღვრება,
ამითი წოდებათა თანასწორობა ხდება.
ხოლო მე თქვენ გაფრთხილებთ, არამც თუ სიტყვიერად,
თავისუფლება მიეცთ იმათ კანონიერად,
თქვენ მიეცით ტვიფარი ზოგს ნახევარი ვაცი —
პორეშკოების გლეხებს, ვინც არის ქუდზე კაცი
და სოპლიცამ ლელივა — ტვიფარი მისცეს თვისი,
გასწორდნენ წოდებანი — გადიხადეთ მეჯლისი,
დამფუძნებელმა კრებამ შემდეგ ეს დაამტკიცოს,
რომ ერმა ჩვენი გლეხი თავისუფლადა იცნოს.
მახსოვს — კარპმა თვის გლეხებს მიწა მისცა საკუთრად,
მადლობის გარდა აბა, ასეთ ბატონს რა ეუთხრათ?
ხოლო რუსის მთავრობამ ეს როდი დაამტკიცა,
უფრო მეტი წაართვა, რაც იმათ კარპმა მისცა.
მიტომ, თქვენ დაამტკიცეთ ესე კანონიერად,
რაც გითხარით, ამითი ნუ ჩამთვლით კადნიერად,
შენ, ჩემო ქალბატონო! ჩემი ხარ მბრძანებელი,
მე ყოველისა ნებისა შენის აღმსრულებელი,
ხოლო გეტყვით და მგონი ამით არ გაკვირდებით,
რომ მიწების გაცემით როდი გაღარიბდებით!
რადგან, კოშკში გვაქვს ძველი — წინაპართა სალარო,
საცა ოქრო-ვერცხლითა სავსეა ბევრი თარო,
ძვირფასი იარაღი, ცხენის მოკაზმულობა,
იქ წყობილი ჭურჭლისა ცნობილია ძვირობა;
სტოლნიკმა იქ დამალა, ვიყავ მისი დარაჯი,
ოქროთ სავსე ტომარაც — რაც არის დასახარჯი.
ყოველივეს ვიცავდი ვით ჩემს საკუთარ თვალსა,
რომ მტერს არ გაეტანა და ან სოპლიცის ხალხსა.
ოქრო თვით შევაგროვე მიღებულ საჩუქრებით,
მინდოდა მომეხმარა, (ალბათ არ გაკვირდებით).
კოშკის შესაკეთებლად. ახლა მიიღეთ თქვენა,

მე კი ჩემს ქალბატონთან დაერჩები, მქონდეს ლხენა.
და მესამე ნაშიერს ჰორეშკოთა დავურწევ
და რამდენადაც შევძლებ, სამსახურსაც გავუწევ.
ხმლის ხმარებას ვასწავლი თუ რომ ვაჟი იქნება,
ვიცი, ომის დრო არის ვაჟი დაიბადება,

ოდეს თავისა სიტყვას ამთავრებდა გერვაზი,
დინჯი ნაბიჯით იმათ შეუერთდა პროტაზი,
ჯერ მათ სალამი მისცა, უბეს ჩაიდო ხელი,
ნაწერი ამოიღო ორი დიდი ფურცელი.
ლექსები წაიკითხა ახალგაზრდა პოეტის,
რომელიც მწერალია ლექსის სამასზე მეტის,
და რომელიც რომ ეხლა ნაცვლად ყოფილა ჯარში,
მაგრამ, თურმე ეხლაც წერს, ვერავინ უდრის დარგში.
ოდესაც წაიკითხა რომ მარსს ებრძვის ჰიმენა,
მშვენივრად აღწერილი, გსურს განუწყვეტლივ სმენა,
ტაში დაჰკრა სოფიომ, თადეოზმა, გერვაზმა,
სიტყვა აღარ ისმოდა და შეწყვიტა პროტაზმა
რადგან, მსაჯულს გლეხები ეზოს შეუკრებია,
თადეოზის სურვილი რომ განუცხადებია.

რა მოესმათ ამბავი გლეხებს მის ქვეშევრდომთა,
თადეოზს და სოფიოს მისცვივდნენ იქვე მდგომთა,
შესძახეს: „გაუმარჯოს ჩვენსა ახალ ბატონსა,
წამდაწუმ იშრობდნენ თვალზედ მოსულსა ფონსა".
თადეოზმა შესძახა: „გაუმარჯოს ჩვენს ძმებსა,
საყვარელ პოლონელებს, ეხლა თავისუფლებსა".
დომბროვსკიმ დაიძახა: „ერისა სადღეგრძელო
მათ შესძახეს: იცოცხლე — სარდალო საყვარელო.
გაუმარჯოს ჩვენს სარდლებს, გაუმარჯოს ჩვენს ერსა,
გაუმარჯოს სამშობლოს — პოლონეთს მშვენიერსა."

მხოლოდ ბუხმანს არ მოსწონს ამგვარად დამთავრება
მიწის დარიგებისა, სურს მოახდინოს კრება,
უნდა მათ წარუდგინოს, გეგმა აქვს ახალია,
ხოლო რომ მოუსმინონ, მისთვის არვის სცალია.

რადგან უკვე ეზოში შეკრებილან წყვილ-წყვილად,
საცეკვაოდ, ჯერ მხედრებს ასულნი ცქერენ ფრთხილად,
ხოლო თანდათანობით მოჩანს გამბედაობა,
რადგანაც თამამია დღეს ახალი თაობა.
პოლონეზი! შესძახეს იქ მდგომთ ერთისა ხმითა,

მსაჯულმა წასჩურჩულა სარდალს მორიდებითა:
ჯერ გთხოვ ნება მიეცით ჭიანურმა დაუკრას,
უნდა გითსრათ, სოფლის ხალხს საცეკვაოდ ეს უყვარს.
რადგანაც თადეოში ნიშნავს დღეს თვის საცოლეს,
საზანდარი მოიხმეს, დაუძახეს მეღოლეს,
დეე დაუკრან, გლეხობამ თადეოშთან ილხინოს,
ვით მოცეკვავე არის, თავი გამოიჩინოს.
(მომართეს საკრავები და დასხდნენ დამკვრელები,
ბრძანების მოლოდინში უთამაშებთ ხელები).
იხალისონ. დღეს არის ჩვენი დღესასწაული,
ქალი როს ინიშნება, მეჯლისსა ვართ ჩვეული,
შემდეგ ჯარი დაუკრავს და ჩვენც მითი გავერთოთ,
და ეს დღესასწაული გადაიქცეს საერთოდ.
დახე! მეჭიანურემ სიმები დაუქაჩა,
სურს რომ მალე დაუკრან, მოამზადა ქამანჩა.
საზანდარმა დაიწყო და აჰყვა ჭიანური,
დუდუკის ხმას მიჰყვება ნაზად დილის ხმაური;
თუმცა მრავალი იყო დღეს სოპლიცოვს დამკვრელი,
ხოლო ყველას კი სჯობდა ებრაელ — იანკელი.
(იგი მთელი ზამთარი იყო გადამალული,
ამ ხნის განმაელობაში — არვის მიერ ნახული).
ლიტვაში ყველამ იცის იანკელისა ნიჭი,
რომ დამკვრელი ამ მოხუცს ვერა სჯობს ვერა ბიჭი.
ამიტომ, სუყველანი სთხოვენ დაკვრას იანკელს,
იანკელი ღიმილით დგას, დინჯად წვერზე ისვამს ხელს.
(ეხლა პოლონელ ჯარებს ჩამოჰყვა საიდღანაც,
მოვიდა, თადეოშის დანიშვნაა რადგანაც).
სოფიომ მოირბინა, სთხოვს და ემუდარება,
დღეს ჩემი დანიშვნაა, ნუთუ არ გეხარება?
და ნუთუ დაგავიწყდა შენი დაპირებები,
რომ შენ ჩემთვის დაუკრავ ოდეს მე გაეთხოვდები?

იანკელი ამ თხოვნით ცოტა კი შეყოყმანდა,
რადგან სოფიო მოხუცს ბავშვობიდან უყვარდა.
იანკელსა ყიჟინით ხელი გამოსდვეს მხრებში,
საკრავი ხელში მისცეს და შეიყვანეს წრეში.
სკამზე დასვეს მოხუცი და შემოერტყნენ გარსა,
სახით მოგაგონებდა გამოცდილს ძველ მხედარსა,
რომელსაც დიდი ხნიდან ხმალი არ უხმარია,
ხოლო რა დაინახა ველს - მებრძოლი ჯარია,
იარაღს სტაცა ხელი, შეუერთდა მეომრებს,
ბრძოლაში გამოცდილსა ხელი არ უღალატებს.

იანკელი დაჯდა და ხელს აიღო საკრავი,
დიდებული კი იყო მოხუცი სანახავი,
ჯერ გასინჯა სიმები, შემდეგ შეუხმატკბილა,
შემდეგ დააჟღარუნა და ყველანი მოხიბლა.

ხოლო, ეს ჯერ არ იყო ნამდვილი ხელოვნება,
თუმცა მსმენელმა იგრძნო სმენით სიამოვნება;
იგი მხოლოდ სინჯავდა სიმების აწყობასა,
ალბათ ეხლა გვაჩვენებს თვისსა უებრობასა.

თითქოს სიმებს შეეხო პატარა ბუზი—ფრთხილი,
და გაისმა სიმების მომხიბლავი ბზუილი;
იანკელი ზეცას ცქერს, ღმერთს თხოვს შთაგონებასა,
საკრავის ასეთი ხმა, მოგანიჭებს შვებასა.
დადუმდნენ და ყველანი სმენად გადაქცეული,
იდგნენ გაუნძრევლად, ვითომ არც აქვთ სხეული.

იანკელის ჭიანურს აყვნენ სხვა საკრავები,
და ერთხმად გამოისმის საამო მათი ხმები.
მკვნესარი საზანდარი ეტოქება ჭიანურს,
საამო პოლონეზი ატკბობს მსმენელისა ყურს.
გოგონები ძლივს დგანან — უთამაშებთ ფეხები,
და თუ ცეკვას დაიწყებ მიწას არც შეეხები.
მოაგონდათ ძველი დრო, მოაგონდათ წარსული
ოდესაც მეფე იყო ხალხისგან არჩეული.
ერი გაიძახოდა: გაუმარჯოს მეფესო,
გაუმარჯოს გლეხობას, თავად-აზნაურებსო.
გაუმარჯოს პოლონეთს და ყოველ წოდებასა,
გაუმარჯოს მთავრობას, დამფუძნებელ კრებასა.

ეხლა ხმა გადუკეთა ოსტატმა თავის საკრავს,
და სიმებისა ხმები გველის სისინს წააგავს.
თითქოს მან გადაუსვა მინას რკინის ნატეხი,
მსმენელთ თმა აებუძგათ თითქოს დაეცა მეხი.
სამშობლოს ისტორიას ჭიანურით გვიამბობს,
ხან სიხარულს გამოთქვამს, ხან კი რაღაცას ნანობს.
ხან მომღერალი სიმი უეცრად დაიკივლებს,
შემდეგ დაიგრიალებს ოდეს გაუშვებს თითებს.
გერვაზს მოესმა ეს ხმა და წრიდანა გაიქცა,
დაიძახა: „ვიცი რომ, ეს არის ტარგოვიცა.
უცებ ყველა სიმების ხმები მან აურია;
ამგვარად იგონებდა ებრაელი ისტორიას.

უეცრად ჭიანურის გამოისმა გრიალი,
ეს ომის ხანა არის, ბრძოლის ატყდა გრიგალი,
ვითომ თოფის სროლაა და ხმალისა ჩხარია,
თითქოს იშლება ველზე შესატევად ჯარია.
ისმის ბავშვის ტირილი და ხან მოთქმა დედისა,
შემდეგ კვნესა დაჭრილის და გმობა თვის ბედისა.
ამ ხმის მოსმენაზე აკანკალდნენ ქალები,
პრაგის მოგონებაზე აუცრემლდათ თვალები.
ეს ამბავი იციან ლექსად ანდა თხრობითა,
ოდეს ჯარებმა ველურ ულმერთობითა,
ბავშვი, ქალი, მოხუცი პრაგაში ამოჟლიტეს,
რომლის წარმოდგენას — კაცის ტვინიც ვერ იტევს.

მსმენელნი აღტაცებით უცქეროდნენ იანკელს,
სიმებს ეხება ვითომც, არხევს ობობასა ქსელს;
სულ სხვა ხმით ააკვნესა ჯადოსნური სიმები,
ჭიანურმა გამოსცა რაღაც სამოთხის ხმები.
მოგვეითხრობს ჯართა კრებას, ჩვენის ლეგიონისა,
დღეს რომ არის ბრძანების ქვეშ, ნაპოლეონისა.
შემდეგ დააჟღარუნა ხმა ცნობილი სიმღერის,
გვაჩვენა იანკელმა ოსტატობა თითების.
ეს სიმღერა ცნობილი არის ყველა კუთხეში,
რომელიც სამუდამოდ დარჩა ჩვენს პოლონეთში,
და რომელიც დასტირის ჩვენს ჯარისკაცის ბედსა,
სამშობლოს სიყვარულით დამწვარს როგორც აბელსა;
რომელიც ტყე-ტყე მიდის მშიერი და მწყურვალი,
ხოლო ბრძოლის სურვილის მას წვავს მხურვალე ალი.
დაგლეჯილ-დაფლეთილი — ის ბედს არ ემონება,
იბრძვის, რომ მოიპოვოს სრული თავისუფლება.
ბოლოს ძალღალეული თვის ცხენთან დაეცემა,
და საყვარლის ჩლიქებთან ჩერდება გულისცემა.
ცხენი გაუთხრის ტორით თავის მხედარს სამარეს,
და ჭიხვინით აცნობებს სიკვდილსა არემარეს.
საყვარელი სიმღერა პოლონეთის ჯარისა,
მცხოვრებთათვის ცნობილი ყოველ კუთხეს — მხარისა,
ამ ხმამ, აქ მყოფთ მეომართ მოაგონა წარსული,
ოდეს მტერთან საომრად სამშობლოდან გასული,
სადღაც უცხო მხარეში მან თავი შეაფარა,
და არა ერთ მეგობარს იქ მიწაც მიაყარა;
იბრძოლა უდაბნოში, უცხო ტყესა და ბარში
და უცხო ერთა შვილთან ომობდა მხარი — მხარში,
ხშირად ცის ქვეშ, ბანაკად, ბევრი ჭირი უნახავს,

სამშობლოს სიყვარული გულში კი დაუმარხავს.
მოაგონდათ ცნობილი სიმღერა ეროვნული,
მძიმე ფიქრით მოცულნი იდგნენ თავჩაღუნულნი

ხოლო დიდხანს არ იდგნენ ამგვარი მოწყენით,
სიმების ხმა გაისმა სიხარულით და ლხენით,
საკრავმა იგრიალა როგორც სპილენძის ბუკმა,
თავი გამოიჩინა დამქაშობით დუდუკმა.
პოლონეთის ჰიმნის ხმით გაიჟღენთა ჰაერი,
ლეგიონთა მოსვლამდე იმღერდა რასაც ერი:
ამ სიმღერის სიტყვები გულით ამოძახილი,
ჩვენი თავისუფლების წინამორბედი — ტკბილი,
გუნდმა დაიგრიალა, უმღეროდნენ პოლონეთს,
და სამშობლოს მომავალს ავედრებდნენ მაღალ ღმერთს.
არსებობს პოლონეთი სანამ ჩვენ ვართ ცოცხალი,
მტერმა რაც ჩვენ წაგვართვა, გამოგლეჯს ჩვენი ხმალი,
მაშ წინ! პოლონეთისკენ! შევუერთდეთ ჩვენს ერსა,
დომბროვსკი დაგვიბრუნებს სამშობლოს მშვენიერსა.
ალბათ თვით იანკელი გაკვირდა თვის ხელობით,
ზეცას თვალნი აღაპყრო მან ღვთისადმი მადლობით,
მელის ტყავისა ქუდი გადმოუვარდა მხარზე,
გრძელი წვერი და თმები ფრიალებდა ნიავზე.
ვით ახალგაზრდა ყმაწვილს ლოყები აუწითლდა,
სარდალი დაინახა და ბალღივით ატირდა,
შესძახა: „მინდა გითხრა გულში ნადები სიტყვა,
დიდხანს გელოდებოდა პოლონეთი და ლიტვა,
ყველანი შენზე მღერის ჭირში არის თუ ლხინში,
გიცდიან ვით ებრაელებს — მესიას მოლოდინში,
სასწაულად იყავი შენ აქ გაცხადებული,
ერისა დასახსნელად ღვთისგან მოვლინებული.
გაუძეხი შენ ერსა, მოგვევლინე მხსნელადა,
იბრძოლე, გამოგყვებით მტრის დასამარცხებლადა".
ამ სიტყვებს რომ ამბობდა, ცრემლი განუწყვეტელი,
იანკელს თვალსა სდიდა; სარდალს მოხვია ხელი,
შემდეგ ხელზე აკოცა, მადლობა გადაუხადა,
მით გამოთქვა თუ როგორ პოლონეთი უყვარდა.

პოდკომოჟი დაიძრა, პოლონეზის დრო არის,
ყურთმაჯა გაისწორა მამშვენებელი მხარის,
ულვაში გადიგრიხა, ხელი მისცა სოფიოს,
წესია, რომ ყმაწვილმა ქალი ამოირჩიოს.

მიესალმა და შემდეგ მოიწვია ცეკვაზე,
საცეკვაოდ მოეწყვნენ წყვილ-წყვილ ბრძანების ხმაზე,
გამოეიდნენ და დადგნენ ფეროვან გრძელ რიგებში,
(სადარბაზო ცეკვაა ამგვარი პოლონეთში).

წითელ-ყვითელ წაღებით მინდორია მოცული,
ბრჭყვიალებენ ხმლები და ქამრები მოოქრული,
პოდკომოჟი აბიჯებს ვითომ არა აქვს სურვილი,
დარბაისელ ნაბიჯით მოჰყვება ქალ-ვაჟთ წყვილი.
შედგა. ალბათ აპირებს ქალს უთხრას ხვაშიადი;
(ამ ცეკვის მიხვრა-მოხვრა უნდა იყოს ზვიადი)
ქალმა თავი დახარა ვითომ არ სურს მოსმენა,
სალამი მისცა ქალსა, ნიშნად რომ არ სურს წყენა.
სოფიომ შემოსცქირა ცივად, პირის დუმილით,
პოდკომოჟმა სიჩუმე ჩამოართვა ღიმილით,
სიჩუმე პასუხია წესად მოცეკვავისა,
და პასუხის გაგებას ნიშნავს დახრა თავისა.
პოდკომოჟი სოფიოს პასუხმა გაახარა,
ულვაში გადიგრიხა, შემდეგ გადიხარხარა.
ჯერ ნაბიჯს აუჩქარა, გადახედა მეტოქეთ,
მოცეკვავეთ ანიშნა, გამომყევითო მე აქეთ.
უცქერენ მას სურვილით, მიჰყვებიან უკანა,
იგი წასვლას აპირებს, სოფიოც მიჰყავს თანა,
ხან ხელს ასწევს, პატიჟობს გაიარონ მის წინა,
მკაცრად ქალს გადახედა, მაგრამ ვერ შეაშინა.
გვერდზე დადგა, თითქოს სურს აურიოს გზა-კვალი,
მაგრამ მწყობრად მოჰყვება ვაჟს-ვაჟი, ქალსა ქალი,
ხმალზე ხელი დაიდო, ეს ბრაზის ნიშანია,
რადგან არვინ ჩამორჩა ამოდენი ხანია.

წრე შეუკრეს, ის ეძებს სად არის გასავალი,
ქალის წრიდან გაყვანა, ვაჟისა არის ვალი,
შეცვალა წყობილება, ამით გზა გაიკვლია,
წრიდან რომ გამოეიდა, ქალსა მისცა იღლია.
მივლენ წყვილად ქალ-ვაჟნი, ხან წრეა ჩაქსოვილი,
ხან სათითოდ გადიან წრიდან ქალ-ვაჟი წყვილი.
ხან გველივით გრძელდება, ხან კი არის გრეხილი,
ხან წყვილი შეიცვლება, ოდეს ისმის ძახილი.
ფეხის ხმას უერთდება ჭიანური და ჩანგი,
ხალხისა ფერადობა ჩანს ვით გველის პერანგი.
ქალთ კაბები და ჯარის ბრჭყვიალა მორთულობა,
ჩამავალ მზის სხივებში ჩანს ვით ოქროულობა,

სრიალებენ, ცეკვავენ, ხან გამოისმის ტაში,
ამგვარია ეს ცეკვა პოლონეთისა და ლიტვაში.

მხოლოდ ერთი დობჟინსკი რომელს ერქვა მწოვარა,
როდი ცეკვავს! მოწყენით შორით გვერდზე გამდგარა,
ჯარში იყო ის ეხლა ნაცვლად — წარჩინებული,
სოფიოსადმი დღემდე ტანჯავდა სიყვარული
მოიგონა წარსული, როგორი საჩუქრები
მიუძღვენია და მათში კურკის საყურეები.
რამდენი თაიგული ანდა შაშვის ბახალა,
ან გვრიტი, ანდა ჩხართვი, ანდა ბოლო ქანქალა,
მისთვის დაუჭერია, მისდამი ჰქონდა ტრფობა,
ეხლა ცქერს რომ სოფიომ დიდი უმადურობა
გამოიჩინა. ვაჟი არის გულდაწყვეტილი,
რომ ამ ლხინში ბედშავსა ვერ მიუღია წილი,
მოიგონა როს ჩუმად ყორეზე დაჯდებოდა,
და ბოსტანში სოფიოს ფარულად უცქეროდა,
და ქალის სიყვარულით არც მიდიოდა შინა,
თუმცა მამა კი სცემდა, მაგრამ ვერ დააშინა.
ქალის ცქერით ტკბებოდა დილიდან საღამომდე,
და ჭამაც არ ახსოვდა ბნელდებოდა სანამდე.
ეხლა შემოტრიალდა, დასტვინა, გაეშურა
ბანაკისკენ გულმკვდარი, ვით გალახული მურა.
სურს რომ დარდი ჩაახრჩოს მეგობრებთან სმაშია,
ხოლო იწვის საბრალო — სიყვარულის ალშია.

სოფიო ვით პეპელა მწვანე ველზე ტრიალებს,
შორს არის და მცქერელის თუმც დაემალა თვალებს,
ადვილად კი მიხვდები სად არის  და სად ცეკვავს,
ყველა მისკენ მიილტვის, მაგრამ ვერავინ ხედავს.
აგერ ვაჟმა სოფიო პოდკომოჟს გამოსტაცა,
სახტად დარჩა მოხუცი ცეკვავდა იგი საცა
და ამაოდ ცდილობდა სოფიო მოეძებნა,
ვერ გაიგო სად გაქრა, გზა და კვალი აებნა.
ყმაწვილები ცდილობენ სოფიოს გატაცებას,
ხოლო დიდი ხნის ცეკვის ქალთან ვინ მოგცემს ნებას?
რადგანაც წამოიწყეს ვაჟებმა წართმეული,
წართმეულში კი არვინ არ არს გამორჩეული.
დომბროვსკიმ მოახერხა სოფიოსა დაჭერა,
ხოლო წამში წაართვეს. ვაჟს ვაჟი დაეძგერა,
გაიტაცა, უნდოდა დიდხანს ქალთან თამაში,
თადეოზი გამოჩნდა და ჩადგა მათ შუაში.

მოცეკვავის გამოცვლა სოფიოს აღარ სურდა,
საქმროსთან ცეკვაში პოლონეზი დასრულდა.

მზე ჩადის. საღამოა თბილი და საამური,
ცას ღრუბლები ეღება ბნელი და საღამური,
კონქი ჯერ ზურმუხტია, დასავლეთი – წითელი,
ასეთი მზის ჩასვლა ხომ, ტაროსის არის მძლევნელი?
ღრუბელთ დიდი ზვავები ვით ველზე ცხვრისა ფარა,
ჩრდილოეთით დაიძრა, ცის ნაწილი დაფარა;
მზე არა ჩანს, ცის კიდე ვით ოქროს ვარაყშია,
ხოლო ვარაყს ბინდისა აკრავს ბნელი არშია.
მზე ჩაწვა სარეცელში სად ღამის აქვს მას ბინა,
თბილად ამოიხვნეშა და ტკბილად ჩაიძინა.
სვამენ მოქეიფენი ზედიზედ სადღეგრძელოს,
(ამოდენი ღეინის სმა აბა რა მწდემა შესძლოს?)
თადეოზის, სოფიოს, ბონაპარტის, სარდლისა,
შემდეგ ყველას, საერთოდ სამ წყვილ დანიშნულისა,
მკვდარისა და ცოცხალის, შემდეგ წვეულ სტუმრების,
ხოლო თავი აღარ მაქვს მათი დამახსოვრების.

მეც კარგად ვიქეიფე როს ვიყავ ამ ლხინშია,
და რაც იქ დავინახე, დავწერე შიგ – წიგნშია.

## დასასრული

# პოეტის განმარტებანი

[სათაური]

უკანასკნელი თაედასხმა ლიტვაში

ძველ დროში პოლონეთში სასამართლოს განაჩენის სისრულეში მოყვანა ძალიან ძნელი იყო, რადგან ქვეყანაში არ არსებობდა პოლიცია. გავლენიანი პირები – თავადები საკუთარი ჯარით სასამართლო განაჩენს სისრულეში მოიყვანდნენ. (მაგალითად თავად რადზივილს 20 000 მებრძოლი ჰყავდა), რომელსაც თავისი ხარჯით ინახავდა. გარდა ამისა ეხმარებოდნენ მოყვრები, ნათესავები და მეგობრები. სასამართლოს გზირს მოიყვანდნენ და განაჩენს წააკითხებდნენ - ამით გადაწყვეტილებას აუწყებდნენ. შემდეგ ნებით თუ არა, ძალის გამოყენებით ან ბრძოლით სადაო მიწების გადაცემას აიძულებდნენ. ხშირი იყო მიწებზე დავა და ბრძოლებიც, იყო სისხლისღვრაც.

წიგნი I, 5-6:

დედავ ღვთისაო! შენ ხარ მფარველი ჩენსტოხოვისა წმინდა კედლების,
ოსტრობრამაში ანათებ ნაზად და ქომაგი ხარ ციხე-კოშკების.

მთელ პოლონეთში ცნობილია სასწაულმოქმედი ღვთისმშობლის ხატები. ჩენსტოხოვის ნათელ მთაზე, ოსტრობრამის, ნოვოგრუდკის, ქუროვიცისა და ბორუნის.

წიგნი I, 154:

აქ ვოისკის ელოდებიან.

ვოისკი - ლათინურად „tribunus". იგი ომის დროს დანიშნული იყო ქვრივობოლთ მესვეურად. რუსეთის მთავრობამ თანდათანობით თანამდებობა გააუქმა და მის ნაცვლად სხვა შემოიტანა. ლიტველები და პოლონელები ყოველივე ამას ზიზღით შეჰყურებდნენ. ხშირად ხანში შესულ პიროვნებას ამ სახელს უწოდებდნენ. თუმცა მოსკალების მთავრობა ამის წინააღმდეგი იყო. ასეთი წოდება ამა თუ იმ პიროვნებას საბუთებში ხოლმე შერჩებოდათ, მოსკალები მათ მაინც დასცინოდნენ.

წიგნი I, 184:

პოდკომოჟიც აქ არის მეუღლით, ასულებით.

პოდკომოჟი - ლათინურად „Princeps Nobilitatis", თავად-აზნაურთა წინამძღვარი - როდესაც მოსკალები გაბატონდნენ პოლონეთსა და ლიტვაში გა-

აუქმეს პოდკომოჟის თანამდებობა და დარჩა მხოლოდ როგორც წოდება. პოდკომოჟი ასამართლებდა საზღვრების დავას, მაგრამ ბოლოს ეს უფლებაც გააუქმეს.

წიგნი I, 250:
არ გააგზავნა გზირი.

სასამართლოს გზირი არჩეული იყო მოსამართლეთა მიერ ან აზნაურთა ყრილობაზე. იგი წოდებით აზნაური უნდა ყოფილიყო. გზირს დაჰქონდა სასამართლოს ოქმები, უწყებები და განაჩენი. სასამართლოზე მომჩივრებს სიის მიხედვით იძახებდნენ.

წიგნი I, 532:
ბონაპარტემ იცის მოჯადოება.

ბევრია თქმულება რუსის ხალხში სუვოროვზე და ნაპოლეონზე, რომ ორთავემ თითქოს მოჯადოება იციანო.

წიგნი I, 733-734:
ტანმცირე ასესორი ზანტად იყო მოძრავი,
რეენტზედ უფრო წვრილი, დინჯად ეჭირა თავი.

ასესორი არის მიწის პოლიციის უფროსი. დანიშნულია უმაღლესი ბრძანებით. რეენტი განაგებს კანცელარიის საქმეებს, წერს ბრძანებებს. არჩეული არის სასამართლოს დაბალი მოხელეებისგან.

წიგნი I, 797-798:
ან კიდევ ნესიოლოვსკი, ვოევოდად რომ არი,
დუნიაზე არვის ჰყავს მისგვარი მეძებარი.

იოსებ ნიესოლოვსკი, ნოვოგროდკის უკანასკნელი მმართველი წოდებით გრაფი. იასინსკის აჯანყების დროს რევოლუციური მთავრობის თავმჯდომარე იყო.

წიგნი I, 803:
თვით ბიალოპეტროვიჩსა მან განუცხადა უარი.

გიორგი ბიალოპეტროვიჩი ლიტვის დიდი სამთავროს უკანასკნელი მწერალი. ვილნოში აჯანყების დროს მოსამართლედ იყო დანიშნული. დიდი პატრიოტი და ცნობილი პიროვნება ლიტვაში.

წიგნი I, 931:
იაბლონოვსკი იბრძვის, საცა პილპილი ყვავის

სარდალი თავადი იაბლონოვსკი გარდაიცვალა სან-დომინგოში, სადაც თითქმის მთელი მისი ლეგიონი დაიღუპა.

წიგნი II, 836:

თავად რადზიეილისგან იგი მაქვს ნაჩუქარი.

თავადი დომინიკ რადზივილი ნადირობის დიდი მოყვარული. თავის ხარჯზე შეადგინა ცხენოსანი რაზმი, რომლის უფროსი თავად იყო. გარდაიცვალა საფრანგეთში.

წიგნი III, 625-626:

ვიცნობ ორლოვსკის მხატვრობითა,
პოლონელია, ხოლო სოფლურ გემოვნებითა.

ორლოვსკი, გამოჩენილი პოლონელი მხატვარი. გარდაიცვალა პეტერბურგში.

წიგნი IV, 544-545:

მიტომაც საცა ტყეში კაცის ფეხი დადგმულა,
მკვდარი ნადირის ძვლები აროდეს არ ნახულა.

არ არის შემთხვევა, რომ მკვდარი ნადირის ჩონჩხი ამ ტყეში ვინმეს ენახა.

წიგნი VI, 525:

ბრძოლის დროს პოცეის,

ალექსანდრე გრაფი პოცეი. ბრძოლის შემდეგ ლიტვაში დაბრუნდა, მატერიალურ დახმარებას უწევდა პოლონელებს საფრანგეთში რომ მიდიოდნენ. დიდი თანხაც შესწირა პოლონელ ლეგიონებს.

წიგნი VIII, 77-78:

შემდეგ არის ურემი – (ამბობენ) დავითისა,
ხოლო ნამდვილად არის ეს ანგელოზებისა.

ვარსკვლავთ კრებული დავითისა, ლათინურად „Ursa maior".

წიგნი VIII, 105-107:

რაღაც უცხო ვარსკვლავი ცაზეა გაწოლილი,
ფოჩიან წითელ კუდით კომეტად იწოდება,
და ჩრდილოეთისკენ იგი მიეშურება.

კომეტა, კუდიანი ვარსკვლავი, 1811 წელს იყო.

წიგნი VIII, 154-155:

ხუცესი პოჩობუტი ამ საგანს ასწავლიდა,
სწაელით მეტად ქებული, სხვასაც როდი წაგვიდა!

მღვდელი გვარად პოჩობუტი გამოჩენილი ასტრონომი იყო, რომელმაც ბევრი მეცნიერული წიგნი დაწერა.

წიგნი VIII, 210:

რომელიც ძველად მოხდა, თავადსა დენასისა.

თავადი ნასსაუ-სიეგენი, რუსეთის ცნობილი ადმირალი და ავანტიურნიკი. დაამარცხა ოსმალოს ჯარი ლემანზე. შემდეგ იგი დაამარცხეს შვედებმა. პოლონეთში დაჰყო რამდენიმე ხანი. მისი ბრძოლა ვეფხვთან ევროპის გაზეთებში იყო აღწერილი.

წიგნი IX, 185:

პლუტმა მსაჯულსა ჰკითხა: იცით წიგნი ყვითელი?

„ყვითელი წიგნი" ეწოდა, რადგან ყდა ყვითელი ჰქონდა. წიგნში ძლიერ მკაცრი სამხედრო კანონები იყო, სადაც მხედრობას ეძლეოდა დიდი უფლებები. ამ წიგნით 1821 წლიდან ლიტვის მმართველობა ხელმძღვანელობდა რუსეთის რევოლუციამდე.

წიგნი IX, 483-484:

ჩარნობაცკის ამბავი რომ მოკლა მოსკალთ სარდალი,
დეიოვი — ყაზახი და არამც თუ ამალი.

იასინსკის აჯანყების შემდეგ, ლიტვის ჯარები პოლონეთში გადავიდნენ. რუსი გენერალი დეიოვი ჯარით ვილნოში შედიოდა, როდესაც მიუახლოვდა ოსტრობრამის საყდარს იქ მცხოვრებნი შიშით სახლებში ჩაიკეტნენ. ერთმა ქალაქის მოსახლემ დატოვებული ზარბაზანი დაინახა, დაუმიზნა და გაისროლა. გენერალი დეიოვი და რამდენიმე ოფიცერი მოკლულ იქნა. შეშინებული ჯარი გაქცეულა. ამგვარად გადაურჩა ვილნო გადაწვას. ხოლო ქალაქის მოსახლის გვარი დანამდვილებით დღემდე ვერავინ გაიგო.

წიგნი X, 766-767:

ოდესაც დავინახე მოსკალი ბრძოლას წააგებს,
სტოლნიკისა ბედ-იღბალს ზეცით ღმერთი განაგებს.

სტოლნიკი მოკლულ იქნა 1791 წელს პირველი ომის დროს.

წიგნი XI, 117:

წიგნსა ჰქვია სახელად უებრო მზარეული.

წიგნი „დიდებული მზარეული", ეხლა მეტად იშვიათია, ასორმოცდაათი წლის წინათ გამოსცა სტანისლავ ჩერნიეცკიმ.

წიგნი XI, 269:
ოდეს ჰოჰენლინდენთან,

ცნობილია, რომ ჰოჰენლიდენთან ომში, გადამწყვეტი მნიშენელობა იქონია პოლონელთა „კორპუსმა", რომლის უფროსი იყო სარდალი კნიაზევიჩი, რომელმაც ეს ბრძოლა მოიგო.

წიგნი XII, 191-192:
ჩვეულება არის, თუ ჩვენს პატივსაცემად
დაგვიდგი, რომ ვუცქიროთ ხელოვნების საქებად?

მეთექვსმეტე და მეჩვიდმეტე საუკუნის დასაწყისში, როდესაც ხელოვნება აყვავებას განიცდიდა ზეიმები იმართებოდა თეატრალური ხელოვნებით ცნობილ წვეულებაზე, რომელიც გამართულ იყო პაპის ლეონ X-სთვის. დადგმული ჭურჭელი წარმოადგენდა წელიწადის ოთხ დროს, რომელიც ალბათ რადზიეილის წაბაძვა უნდა ყოფილიყო. ასეთი სუფრის ჩვეულებები ეეროპაში შეიცვალა მეთვრამეტე საუკუნის დამლევს.

წიგნი XII, 480:
რეიტანის ამბაეი, თაეადთან დაობისა,

რეიტანის წაკიდება თავად დე ნასსაუსთან, რომელიც ვოისკიმ ვერ დაამთავრა — შემდეგია: ნადირობის დროს გულმოსული რეიტანი თავადთან ერთად იდგა ტყეში. მათკენ მორბოდა გააფრთებული ტახი. რეიტამნა გამოგლიჯა თავადს თოფი, თავისი დააგდო მიწაზე, აიღო ჯირითი და მეორე თავადს მისცა და უთხრა: „ეხლა დავინახოთ, ვინ უკეთ ხმარობს ჯირითსო". როდესაც ტახი მათკენ გარბოდა, პრეჩეხამ ესროლა და ტახი მოკლა. რეიტანი და თავადი გაცხარდნენ, მაგრამ შემდეგ იგი დაასაჩუქრეს.

წიგნი XII, 549:
მახსოვს — კარპმა თვის გლეხებს მიწა მისცა საკუთრად,

1818 წელს, ვილნოს ოლქის აზნაურებმა დაადგინეს, გაენთავისუფლებინათ გლეხები და რუსეთის მეფეს გაუგზავნეს წარმომადგენლები. რუსეთის მეფემ ეს არ დაამტკიცა, ამიტომ თავად-აზნაურები თავიანთ გლეხებს, ურიგებდნენ მიწას და წოდებას, რომ ამგვარად დაეხსნათ გლეხები რუსეთის კანონისაგან, რადგან გლეხი არ შეიძლებოდა რუსეთში ყოფილიყო თავისუფალი. ხშირი შემთხვევა იყო, როცა აზნაური თავის გვარს აძლევდა გლეხს. ამგვარად ბევრი გააზნაურდა, ზოგი თავად-აზნაურთა წყალობით, ზოგი - ფულით ყიდულობდა მათგან ასეთ უფლებას და წოდებას.

# ეპილოგი

მასზედ ვიფიქრო პარიზს ქუჩებში?
ყოველმხრივ, დღე-ღამ მწვეთავს ყურებში,
ლანძღვა-გინება უთანხმოების,
აუსრულებელ ჩვენის ოცნების?

ოჰ! ჩვენ ლტოლვილნო! ოდეს სამშობლოს მოადგა ჭირი,
დავტოვეთ ერი, ჩვენიანები და მოაჯირი:
ვფიქრობდით — ჩვენთვის უცხო მხარე არის მშველელი,
ხოლო ყოველი მოყვარეა ჩვენივე მკვლელი.
ეხლა ჯაჭვისა სალტე მჭიდროდ გვაქვს შემორტყმული,
და იძახიან: ბარემ მალე დავლიოთ სული.

ყრუა მსოფლიო ჩვენს გოდებაზე,
შიშის ზარი სცემს ყველას ცნობაზე,
რომელიც მოდის ჩვენს სამშობლოდან,
ვით სასაფლაოს შორ სამრეკლოდან.
სული დავლაფოთ — ცქერს ყარაული,
სურს მიგვიტყუოს, მოგვეედოს ლული,
და ოდეს ერი ვერ ხედავს შველას,
წყევლის მსოფლიოს და თვის გაჩენას,
ამოდენ ტანჯვას ველარ იტანენ,
და ამიტომაც ერთმანეთს ჭამენ.

არა მსურს მაღლა ჩიტური ფრენა,
მინდა დავტოვო თქეში და გრგვენა,
მზიან ამინდში მსურს ვნახო ჩრდილი
ბავშვობის ხანა და ჩემი ეზო,
და სად ჩემები იყვნენ აღზრდილი.

ნუთუ ნახავ რამ მეტსა საამოს?
როს მეგობრებში ბინდსა — საღამოს,
ბუხართან ზიხარ.
ჩაიკეტე ევროპის კარი,
ძველ დროს იგონებ და სამშობლოს, ხოლო შორს არი,
გულის მალამოდ მოგონების არს საუბარი.

ამდენი სისხლი რომ დაიღვარა
და ცრემლი ბედმა რომ არ გვაკმარა,
ჩვენი დიდება ხომ ეხლაც გრგვინავს?

ამაზე ფიქრი არ გვინდა, — გვძინავს.
ჩვენ მოვიხადეთ მოვალეობა,
არვის ეხება ჩვენი ტყვეობა
და რაღად გვინდა ეხლა მხნეობა?

ჩვენი თაობა მოცული ძაძით,
სავსე აქვთ პირი წყევლით და ლანძღვით,
ველარა აძლევს თავსა ოცნებას,
დედისა კერას და მამის მცნებას.

სამშობლო! დედავ! სუდარაში ხარ გახვეული,
სამარეს ჩასდევს საყვარელი შენი სხეული,
სიტყვას ვერ გეტყვი, ჩემი სული არის სნეული,
ვით მარმარილო — გონება მაქვს გაციებული.
სიტყვით მინდოდა გულს სარქმელი ქვისა ამეღო,
ცრემლებით სავსე შენი თვალი ისევ გამეღო,
მსურდა გამენდო გაყინული ცრემლი უპეზე,
და თქეშით მსურდა რომ მიმეღო ჩემსა უბეზე,
ამ სიტყვის ნახვას, დრო სჭირს მეტი საუკუნეზე.

ოდესმე ლომის ღრიალიცა ხომ დადუმდება?
ჯართ წყობილებაც დაინგრევა — განადგურდება,
და ოდეს მტერი სასიკვდილოდ ამოიკვნესავს,
ის მიიცვლება. ვეღირსებით თავისუფლებას.
და არწივები ჩვენნი გმირნი მოფრინდებიან,
ხრობრის მიწაზე და საზღვრებზე გამაგრდებიან,
და სველი სისხლი ჭრილობაზე აქ შეაშრებათ,
ფრთებს შეკეცავენ დაქანცულნი დასასვენებლად.
დაჰყრიან ფარ-ხმალს. მოურჩება ყველას წყლულია,
შარავანდედით პირი მათი ხომ მოცულია?
იქ მოისმენენ მშობლიურ მღერას და დატკბებიან,
მთელ მსოფლიოდან შურის თვალით შემოსცქერიან.
ყურსა უგდებენ ძველი დროის ამბავს გასულსა,
უბედურ მშობელთ უსურვებენ ცხონებას სულსა,
ვაჟკაცს ნუ ჰრცხვენის და ნუ მალავს ცრემლსა მოსულსა.
როგორც სტუმარი ყველგან ცუდად ვართ მიღებული,
ხოლო აწმყოა თუ ნამყოა ძველი — წარსული,
ერთია მხოლოდ ქვეყანაზე ადგილი ჩვენთვის,
საცა განცხრომა და ბედია პოლონეთისთვის.
ბავშვობის მხარე! წმიდათ წმიდა, არ შელახული,
როგორც პირველი უმანკოა ის სიყვარული,
შეუბღალავი შეცდომების მოგონებითა,

შეურყეველი იმედების ასრულებითა,
და შეუცვლელი ამ მსოფლიოს ნიავ — ღვრებითა.
იქ არ ვტიროდი. არ შემიკრავს ბრაზით კბილები,
და სიხარულით, ფიქრით იმას მივესალმები.
ბავშვობის მხარე! სიხარულის და ნავარდისა,
მთელი მსოფლიო მე მეგონა იყო ვარდისა.
სუნნელ ყვავილებს მე მინდორში ოდეს ვკრეფავდი,
შხამიანს გვერდსა აუხვევდი, არც კი ვთელავდი.

მხარე ბედნიერი, ვიწრო და ღარიბი,
სტუმართმოყვარე, უხვი არ ყარიბი,
ჩვენ გვეკუთვნოდა ვით ღმერთს განგება,
რა ტანჯვით გვახსოვს და გვაგონდება,
ის დიდი ცაცხვი მწვანე გვირგვინით,
რომ მასპინძლობდა ბავშვებს თვის ჩრდილით,
კლდისა ჩანჩქერი რომ გადმოდულს ქაფით მჩქეფარე
მეზობელთ ქოხი მისი ხულა და არემარე,
ყოველი გვახსოვს, რადგან იყო ეს ჩვენი მხარე.

მისი ერთგული მოგახსენო აბა ვინ არი!
ვინც იქა დარჩა, ნამდვილია მის მეგობარი.
იქა ცხოერობენ მოყვარენი, და-ძმა — მშობლები.
ყველანი ჩვენი მოკეთენი და მეზობლები,
რომელთა შორის მრავალია საიქიოსა,
იმათზე ფიქრი გულს რომ გვიკლავს ყოველსა დროსა.
იქ ხომ მსახურიც ერთგულია თვის ბატონისა,
მეტადრე, ვინემ სხვა მხარეში ცოლი ქმარისა,
იქა მებრძოლი უფრო დიდხანს დასტირს იარაღს,
ვინემ სხვა მხარეს ვაჟი ნანობს მამის იარას.
უცხო მხარეში კაცი მკვდარ ძაღლს უფრო დასტირის,
ვინემ დაღუპვას და სიკვდილსა ეროვნულ გმირის.

მე მეგობრები დამეხმარნენ ჩემს მუსაიფში
და ჩემს სიმღერას დაუმატეს სიტყვა ტაეპში,
ვითა ზღაპრული წეროები ველურ კუნძულზე,
ჯადოსნურ კოშკს რომ გადაფრინდნენ თბილ გაზაფხულზე.

წეროთ მოესმათ იქ ჩაკეტილ ვაჟის ჩივილი,
ყოველმა წერომ ყმაწვილს მისცა ბუმბულის წილი,
ფრთები იმისა ბავშვმა, მარდად თავი ჰკრა ზეცას,
სამშობლო მხარეს გადაფრინდა ჩაჰკროდა დედას.
მსურს სასწაული ერთი რამ მოხდეს,

ჩემი წიგნები ჩვენს ქოხში მოხვდეს,
სადაც მღერიან ყოფილ სიმღერას,
უბედურ ობოლთ ბედისაწერას,
და იმ პატარა ლამაზ გოგოზე,
ბატებს რომ რეკავს შინ საღამოზე,
აიღონ ხელში ეს მცირე წიგნი,
და ჩაიხედონ ფურცლებში შიგნი,
გაიგონ თუ რა მაქვს საჟალალო,
როგორც იმათი მღერა — უბრალო!.

ჩემს ბავშვობისას, წინათ, ძველ დროზე,
ცაცხვების ჩრდილში მსხდომნი მინდორზე,
ჩვენ ვკითხულობდით თხრობას ვესლაევზე,
და გრძელსა ლექსებს იუსტინაზე.
მოხუცი გლეხი ჩვენთან ისმენდა,
და რთულსა საკითხს ის გაგვირკვევდა,
მიგვითითებდა, გვიჩვენებდა სილამაზესა,
სულგრძელი იყო, აპატიებდა შეცდომებსა.

შურით ვისმენდით ყმაწვილები დიდებულთ ქებას,
ჩვენ თქმულებებში ვერ ამოშლით რომელთ ხსენებას;
მშობლიურ ველზე ყვავილები კონად შეკრული,
ქალის ხელითა როგორც ჯილდო მათ მიცემული,
დაფნისა გვირგვინს ურჩევნიათ მუდმივ ქებულსა,
კაპიტოლისა მწვერვალიდან მოწოდებულსა.

# ბოლოთქმა

დიდი პოლონელი პოეტი და ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის მოღვაწე ადამ მიცკევიჩი დაიბადა 1798 წლის 24 დეკემბერს ნოვოგრუდკში (ან კიდევ, როგორც სხვა წყაროები გადმოგვცემენ ნოვოგრუდკის მახლობლად სოფელ ზაოსში). 1799 წლის 12 თებერვალს ნათლობისას დაარქვეს ადამ ბერნარდი. მამამისი მიკოლაი მიცკევიჩი ნოვოგრუდკის ვექილი იყო, დედა - ბარბარა მაევსკა კი ეკონომისტის ქალიშვილი. 1807 წელს სწავლა დაიწყო ნოვოგრუდკის დომინიკანელების სკოლაში. დაახლოებით ამ პერიოდიდან იწყება მისი პოეტური დებიუტიც. 1812 წლის 16 მაისს გარდაიცვალა პოეტის მამა. მისმა სიკვდილმა ოჯახის მატერიალური მდგომარეობა გააუარესა.

1815 წელს ადამ მიცკევიჩი მიემგზავრება ქალაქ ვილნოში სასწავლებლად. ვილნოს უნივერსიტეტი იმ დროს წარმოადგენდა მნიშვნელოვან საგანმანათლებლო-კულტურულ კერას ლიტვაში. ჯერ ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე სწავლობდა, შემდეგ ლექციებს ისმენდა ლიტერატურისა და თავისუფალი ხელოვნების ფაკულტეტებზე. ასევე ერთდროულად ცდილობს გააგრძელოს სწავლა იმავე უნივერსიტეტის სამასწავლებლო სემინარიაში. ამიტომაც მიცკევიჩი თხოვნით მიმართავს მთავრობას სტიპენდიის დანიშვნის თაობაზე.

1817 წელს ადამ მიცკევიჩი იყო ერთ-ერთი საიდუმლო წრის დამაარსებელი, რომლის მიზანი იყო უნივერსიტეტის სტუდენტებს შორის პატრიოტულ-აღმზრდელობითი მუშაობის გაწევა. 1818 წელს „ტიგოდნიკ ვილენსკში" დაიბეჭდა მისი პირველი ლექსი. 1819 წელს დაამთავრა უნივერსიტეტი და მიიღო მაგისტრის დიპლომი. უნივერსიტეტში მიიღო ბრწყინვალე განათლება კლასიკურ ფილოლოგიაში, ისტორიასა და პოეზიაში. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ მუშაობა განაგრძო კოვნოს სამაზრო სკოლაში მასწავლებლად.

1822 წელს ვილნოში გამოქვეყნდა მისი პოეზიის პირველი კრებული (ბალადები და რომანსები), რომელიც თავის მეგობრებს მიუძღვნა. კრებულის ნოვატორულმა და ორიგინალურმა პოეტურმა სახემ განაპირობა, ის რომ 1822 წელი მიჩნეულია რომანტიზმის გარდატეხის დასაწყისად პოლონეთში. შემდგომ წლებში გამოსცა პოეზიის მეორე კრებული, რომლის შემადგენლობაში შევიდა „გრაჟინა" და „ძიადების" მეორე და მეოთხე ნაწილი.

1823 წლის ივლისში ვილნოში ლიტვის ახალგაზრდა საიდუმლო წრის საქმიანობაზე გამოძიება დაიწყო. რამდენიმე თვის შემდეგ ადამ მიცკევიჩი დააპატიმრეს, რომელიც 1824 წლის მაისამდე სასჯელს იხდიდა ბაზილიანების მონასტრის ციხეში.

1824 წლის შემოდგომაზე პოეტი ტოვებს ლიტვას და მიემგზავრება მოსკოვში. რუსეთში ყოფნამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა მის ცხოვრებაში. თავდაპირველად ცხოვრობდა პეტერბურგში, შემდეგ ოდესაში, საიდანაც 1825 წელს იმოგზაურა ყირიმში. რომელსაც მოჰყვა „ყირიმის სონეტების" შექმნა. 1825 წლის დეკემბრიდან 1828 წლის აპრილამდე ცხოვრობდა მოსკოვში, სადაც ფორმალურად მუშაობდა გენერალ-გუბერნატორის კანცელარიაში. მოსკოვსა

და პეტერბურგში ინტელექტუალურ წრეებში მოიპოვა რომანტიკოსი პოეტის სახელი. მის იმპროვიზაციას აღფრთოვანებაში მოჰყაედა მსმენელი. გაიცნო რუსი პოეტები, მათ შორის პუშკინი. დაუმეგობრდა დეკაბრისტებს: კონსტანტინ რილეევს და ალექსანდრე ბესტუჟევს. იმ ცოდნას, რომელსაც იღებს რუსეთის იმპერიისა და ცარიზმის დესპოტიზმის შესახებ მოგვიანებით იყენებს თავის შემოქმედებაში. 1826 წელს მოსკოვში გამოაქვეყნა სონეტები, ხოლო 1828 წელს „კონრად ვალენროდი" პეტერბურგში. რუსეთში უკანასკნელი წელი პეტერბურგში გაატარა. მეგობრების დახმარებით მიიღო პასპორტი და 1829 წლის მაისში ინგლისური ხომალდით, რომელიც მიცურავდა ჰამბურგში რუსეთი დატოვა.

1829 წელს მიცკევიჩმა ევროპაში იმოგზაურა. გერმანიაში ისმენდა ჰეგელის ლექციებს. ვაიმარში გაიცნო გოეთე, ბონში ა. ვ. შლეგელი. ჩეხეთში ვ. ჰანკე. იყო შვეიცარიასა და იტალიაში. რომში ყოფნისას მიიღო ცნობა ვარშავის 1831 წლის აჯანყების შესახებ, მაგრამ მას აჯანყებაში მონაწილეობა არ მიუღია. 1832 წლის მარტში მიემგზავრება დრეზდენში, სადაც ამთავრებს „დზიადების" მესამე ნაწილს, ხოლო „დზიადების" ბირონისეული თარგმანის ფრაგმენტები გამოქვეყნდა პარიზში 1832 წელს. ამავე წლის ივლისში საცხოვრებლად გადადის პარიზში. 1833 წელს იყო „პოლონელი პილიგრიმების" ლიტერატურული რედაქტორი. ეროვნულ იდეებს აქვეყნებს „პოლონელი ხალხისა" და „პილიგრიმების" წიგნებში. 1834 წელს გამოაქვეყნა ეპიკური პოემა „პან თადეოში".

ევროპაში პოლიტიკური გადატრიალებითა და ემიგრაციაში ყოფნით გულმოკლული პოეტი შორდება პოლიტიკურ ცხოვრებას. ამ დროს რელიგიური ცხოვრებით შეპყრობილი კითხულობს წმინდა მარტინის მისტიკებს.

1834 წელს ადამ მიცკევიჩმა ცოლად შეირთო ცელინა სიმანოვსკა. პოეტს არ ჰქონდა მუდმივი შემოსავალი, ხოლო ოჯახის შექმნამ კი მისი მატერიალური მდგომარეობა კიდევ უფრო დაამძიმა. მათ ჰყავდათ ექვსი შვილი.

1839-1840 წლებში შვეიცარიაში ლოზანის აკადემიაში კითხულობდა ლექციებს ლათინურ ლიტერატურაში. 1840 წლის შემოდგომაზე პარიზში სათავეში ჩაუდგა სლავური ლიტერატურის კათედრას საფრანგეთის კოლეჯში. მისი პარიზული ლექციები ცხოველურ ინტერესს იწვევდა არა მარტო პოლონურ ემიგრაციაში, არამედ სხვადასხვა ეროვნების სტუდენტებს შორის.

სიცოცხლის ბოლომდე ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის ერთგული იყო. 1848 წლის მარტში იმყოფებოდა რომში, სადაც ჰქონდა აუდიენცია რომის პაპთან პიუს IX. იუზეფ ვისოცკისთან ერთად ორგანიზებას უწევდა პოლონელთა ლეგიონის შექმნას, რომელიც იბრძოდა იტალიაში 1849 წლის ივლისამდე. სხვადასხვა ეროვნების ემიგრანტებთან ერთად დაარსა გაზეთი „ტრიბუნა ლუდუ", სადაც აქვეყნებდა რადიკალურ-პოლიტიკურ იდეებს. მალე ჟურნალი გაუქმდა, რუსეთის საელჩოს ჩარევის გამო მიცკევიჩმა რედაქცია დატოვა.

1852 წელს არსენალის ბიბლიოთეკაში დაიწყო მუშაობა. 1855 წელს გარდაეცვალა მეუღლე. მეუღლის გარდაცვალების შემდეგ ტოვებს არასრულწლოვან შვილებს პარიზში და მიემგზავრება თურქეთში, სადაც მონაწილეობს პოლო-

ნელთა ლეგიონის ჩამოყალიბებაში რუსეთის წინააღმდეგ საბრძოლველად. პოლიტიკური მოღვაწეობისგან იმედგაცრუებული ფიზიკურად და ფსიქიკურად დაღლილი 1855 წლის 26 ნოემბერს გარდაიცვალა სტამბულში. მისი ნეშთი გადასვენებულ იქნა საფრანგეთში და დასაფლავებულ იქნა მონთმორენის სასაფლაოზე. მოგვიანებით 1890 წელს მიცკევიჩი კრაკოვში ვაველის მეფეთა საძვალეში დაკრძალეს.

ჯერ კიდევ პოეტის სიცოცხლეში მიცკევიჩის პოეზიამ უდიდესი პოპულარობა მოიპოვა საქართველოში. მისი მთელი რიგი სონეტები „ბაღჩისარაი ღამით", „პარემის საფლავები", „აიუდაღი", „პილიგრიმი", „პოტოცკის საფლავი", „აკერმანის ტრამალები" და ლექსები გიორგი ერისთავმა და სოლომონ რაზმაძემ თარგმნეს. შემდგომში – ირაკლი აბაშიძემ, კარლო კალაძემ, კონსტანტინე ლორთქიფანიძემ, კონსტანტინე ჭიჭინაძემ და სხვა პოეტებმა.

1955 წელს გამოჩენილმა ქართველმა მოღვაწემ და ლიტერატორმა ვიტალი უგრეხელიძემ ადამ მიცკევიჩის ეპიკური პოემის „პან თადეოშის" ქართული თარგმანი ლონდონში პოლონეთის ბიბლიოთეკას გადასცა. ლონდონის პოლონეთის ბიბლიოთეკის დირექციამ ქალბატონმა იადვიგა სმიდტმა, რომელთანაც მოლაპარაკებებს ვაწარმოებდი 2008 წლიდან, გამონაკლისის სახით დამრთო ნება და გადმომცა პოემის ქართული თარგმანის ხელნაწერი საავტორო უფლებების გამოყენებით გამოსაცემად. ლიტერატურული გამოკვლევებისა და დედანთან შეჯერების შემდეგ გამოვეცი ცალკე წიგნად. საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ „პან თადეოშის" თარგმანი უცნობია ქართული საზოგადოებისათვის და იგი არასოდეს ყოფილა გამოქვეყნებული ქართულ ენაზე.

ვიტალი უგრეხელიძე დაიბადა 1902 წლის 29 აპრილს პლატონ უგრეხელიძის ოჯახში. მამამისი პროფესიით იურისტი იყო, დედა - იაშვილი, რომელიც საქველმოქმედო საქმიანობას ეწეოდა სოფელში. მათ შვიდი ვაჟი ჰყავდათ. მისი წინაპრები ბობოთის ციხის მთავრები ყოფილან. ბავშვობა სოფელ ოკრიბაში გაატარა.

ქართული ტრადიციის თანახმად ვიტალი უგრეხელიძე ბავშვობაში გაუძიძავებიათ. როცა წამოიზარდა სწავლობდა ძველ ხალხურ ტრადიციებს, მედიცინას, ფოლკლორს. ბავშვობიდანვე ეზიარა პატრიოტიზმის იდეებს. სწავლობდა ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში. ამ დროს გიმნაზიის დირექტორი იყო ცნობილი ქართველი პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე იოსებ ოცხელი, რომელიც მაღალი პატრიოტული სულისკვეთებით ზრდიდა თავის მოწაფეებს. გიმნაზიაში სწავლის დროს, მას მზრუნველობას არ აკლებდნენ ისეთი გამოჩენილი ქართველი პედაგოგები როგორებიც იყვნენ სილოვან ხუნდაძე, უკოლ ბერიძე, ალექსანდრე წერეთელი, შალვა ნუცუბიძე. ქუთაისის ქართული გიმნაზიის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო ქართულ სამხედრო იუნკერთა სკოლაში. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ იგი ქართულ ჯარში მსახურობს და როგორც გამოცდილი და გულადი ოფიცერი მონაწილეობს ამ ხანაში გადახდილ ყველა ბრძოლასა თუ სამხედრო საქმეში.

1921 წელს მენშევიკების მთავრობამ თბილისი რომ დატოვა და ბათუმისაკენ გაეშურა, ხოლო ქართულმა ჯარმა დაშლა რომ დაიწყო, იმ დროს ბრძოლა-



ვიტალი უგრეხელიძე
ვარშავა 1927 წელი

ში დაჭრილი უგრეხელიძე სამშობლოდან გადაიხვეწა და თურქეთში გადავიდა, სადაც სხვა ქართველ იუნკრებთან ერთად ბოსფორის სანაპიროზე ცხოვრობდა. ათი თვის ლოდინის შემდეგ, პოლონეთის მთავრობის გადაწყვეტილებით, ქართველი იუნკრების გარკვეული ჯგუფი პოლონეთს მიემგზავრება.

1922 წელს იგი ვარშავაში ჩადის. მარშალ იუზეფ პილსუცკის მთავრობის მზრუნველობითა და ხელმძღვანელობით ეუფლება სამხედრო განათლებას. დიდი ენთუზიაზმით სწავლობდა პოლონეთის კულტურასა და ისტორიას. ჰენრიკ სენკევიჩის ისტორიული ტრილოგიით შთაგონებული ოცნებობდა გამხდარიყო „ჰუსარი''. უმაღლესი სკოლის დასრულების შემდეგ საკუთარი თხოვნით გადაიყვანეს პოლონეთის არმიის მეცხრამეტე ულანთა რაზმში. როგორც ძლიერმა, მამაცმა და ნიჭიერმა მეთაურმა მალე გაითქვა სახელი. ბოლშევიკებთან ბრძოლაში მას „შავი პორუჩნიკი'' უწოდეს. გაიარა სამხედრო სამსახური გრუძიონძში, პოზნანსა და ლვოვში. 1933 წელს ცოლად შეირთო ჰალინა ტროიცკა, ვისგანაც ეყოლა ქალიშვილი სევდია-დარეჯან (აკა) უგრეხელიძე.

1939 წლის სექტემბრის ცნობილ მოვლენებთან დაკავშირებით დაჯილდოვდა ვირტუტი მილიტარის უმაღლესი ჯილდოთი. ვარშავის ოკუპაციის დროს იფარავდა გერმანელების მიერ დევნილ ებრაელებს. 1939-1944 წლებში „უგორსკის'' ფსევდონიმით „არმია კრაიოვას'' ხელმძღვანელობასთან იატაკქვეშეთში თანამშრომლობდა. 1945 წელს შეუერთდა გენერალ ანდერსის მეორე კორპუსს იტალიაში.

1946 წელს საცხოვრებლად გადავიდა დიდ ბრიტანეთში, სადაც სიცოცხლის ბოლომდე ცხოვრობდა. ლონდონში აქტიურად მონაწილეობდა პოლონეთის ემიგრაციის კულტურულ ცხოვრებაში. გადათარგმნილი ჰქონდა პოლონელი მწერლების მიხეილ ბალუცკის (1837-1901), ალექსანდრე ფრედროს (1793-1876), იან პარანდოვსკის (1895-1978) და სხვათა თხზულებანი. მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა ქართველ მეცნიერებთან: გრიგოლ ფერაძესთან, გიორგი ნაკაშიძესთან, იეანე ქავთარაძესთან, ვიქტორ ნოზაძესთან, კიტა ჩხენკელთან, ალექსანდრე ყიფიანთან. არაერთხელ ჩასულა პარიზში – ლევილში, ქართველ საზოგადო და პოლიტიკურ მოღვაწეებთან,სადაც მიცკევიჩის ქართული თარგმანი წაუკითხავს და მას დიდი მოწონება დაუმსახურებია. გარდაიცვალა ლონდონში, 81 წლის ასაკში, 1983 წლის 8 იანვარს. დაკრძალულია თბილისში დიდუბის პანთეონში.

ჩვენი საზოგადოებისთვის უცნობია ვიტალი უგრეხელიძის სახელი. მას უნდა ვუმადლოდეთ მიცკევიჩის „პან თადეოზის'' შესანიშნავ თარგმანს. მიცკევიჩის თარგმნა გარკვეულ სიძნელეებთან არის დაკავშირებული. პოლონელი პოეტის ენა საერთოდ მდიდარი და ფერმრავალია. მთარგმნელის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან წარმატებით გაართვა თავი სიძნელეს. პოემა კარგი ენითაა თარგმნილი, ვიტალი უგრეხელიძეს არ აკლია ქართული არც დედნისეული ემოციებისა და არც სოციალურ-პოლიტიკური თუ რელიგიური რეალიების გადმოცემისას. ვიტალი უგრეხელიძის ეს თარგმანი თამამად უსწორებს თვალს მიცკევიჩის სონეტებისა და ლექსების ქართულ თარგმანებს.

დავით ყოლბაია